


# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

18 აგვისტო 2006

№17



ყველაზე პოპულარული პოეტის ნაამბობი  
უმცროსი შეფიცულის ქალიშვილი  
ქართველთა კვალი წმინდა მინაზე  
სიპი ქვის ნოველები  
ფრანგული დეტექტივი  
ჰერმან ჰესეს ზღაპარი

## შინაარსი

<b>ალიონიდან ალიონამდე</b>	2	<b>როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უკრაინოდ</b>
<b>ეხსკრან-ინტერვიუ</b>	6	<b>ლექსეაშვილი და ლექსეაშვილი მიღმა</b> (საუბარი ლელა სამინიაშვილთან)
<b>უსსოელის თვალთ</b>	7	<b>ჯონ დოს პასოსი განსაზღვრული კავკასია</b>
<b>პროზა</b>	12	<b>გრიგოლ კ. რობაქიძე მოულოდნელი ოკეანე</b>
<b>პირველი შთაბეჭდილება</b>	16	<b>მაკა ჯოხაძე ღვთის ანაბარა</b>
<b>პოეზია</b>	17	<b>მარი აბრამიშვილი მოვეფერეთ პოეტს</b>
<b>გამოსმაურება</b>	18	<b>ქარდა ქარდუხი შედეგებული ჰაერი</b>
<b>პოეზია</b>	19	<b>ნუნუ ჯანელიძე ერთმა ჩრდილმა უთხრა მეორეს</b>
<b>ენისტიკა</b>	22	<b>მიგელ დე უნამუნო ფლოპერს რომ ვკითხულობ</b>
<b>რახ კალამს მოყვება</b>	25	<b>სიმონ ლეისი მცირე შენიშვნები მორალის თემაზე</b>
<b>ფაუნდური სახელები</b>	26	<b>რუსუდან დაუშვილი უმცროსი შეფიცულის ქალიშვილი</b>
<b>პოეტის ერთი ლექსი</b>	29	<b>ელა გოჩიაშვილი ჯდა მტირალი</b>
<b>აკაკაღული ნიგნები</b>	29	<b>„ჰეკლბერი ფინის თავგადასავლის“ თავგადასავალი</b>
<b>მომონებათა სივრდიდან</b>	33	<b>სიმონ წერეთელი გიგო ხაჩუაშვილის ნაამბობი</b>
<b>ფაუნდური</b>	36	<b>პ.ა. დე როსო ეს მნარე ტკბილი შურისძიება</b>
<b>ლიტერატურული ზღაპარი</b>	42	<b>ჰერმან ჰესე ქალაქი</b>
<b>კრიტიკა</b>	44	<b>მურმან ჯგუბურია როგორ იცვლის ხმას დოქი სითხით შევსებინას</b>
<b>რეპორტაჟი</b>	47	<b>ქართველთა კვალი წმინდა მიწაზე</b> (გოჩა ჯაფარიძის საჯარო ლექცია)
<b>გამოსმაურება</b>	49	<b>ერეკლე ხატისკაცია ესეი რომანის უკვდავი სულისათვის</b>
<b>პოეზიის მერიდიანები</b>	51	<b>ფუნე ნედაი დაკარგული ფრთები და სხვა ლექსები</b>
	53	<b>კარლ ვოლფი თვალნი და მზერანი</b>
<b>უსსოური ნოველა</b>	55	<b>ალექსანდრე პაპადიამანტისი ოცნება ზვირთებში</b>
<b>ნაქვესები</b>	61	<b>მასვილსნიტყვაოვის ნიშუშები</b>
<b>მოზაიკა</b>	63	<b>ვინ იყო ზოპიროსი</b>

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 95-23-24

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბეჭდო "ომეგა ტეგი" სააქტიურო, თბილისი, საჯაროებო 17  
საქართველო, თბილისი, საჯაროებო 17  
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE  
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET  
TELEPHONE: +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: არაგვის ხეობა. ფოტო ირაკლი ბლუიშვილისა.

გუსტავ ფლობერი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 1 სექტემბერს

# როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უკრანოდ

## სიპი ძვის ნოველები

მკითხველს ვთხოვ, ეს პატარ-პატარა მოთხრობები ქვაზე თითო წარწერად ჩამითვალოსო, – გიორგი ცოცხანიძემ.

კრებულის სახელწოდება ამიტომაც უსესხია გომენტის ხეობაში სიპ ქვაზე დანისა თუ ხანჯლის წვერით ამოკანრული ლექსიდან.

თავის წუთისოფელს ჯამრულ გრიგოლაიძეც დაიტირებდა („ჩემი ცხოვრების სიმწარე არ გამოითქმის ენითა“), მაგრამ ბედს მაინც არ გაუტყდებოდა და გულზე მოკიდებულ ჯავრს ლექსებად ჩამოარიგებდა ქვებზე, იქნებ თავისებურ პოეტურ კრებულსაც შეადგენდა შუმერ თუ აქადელ რაფსოდებივით, ვითომც ისევ ძველთუძველესი დრო ყოფილიყოს და გულისთქმა მხოლოდ თიხის ფირფიტებს მიენდობოდა.

რა, ახალი „გილგამეშის“ ფრაგმენტებით არ მოგვესმის?

**მოვა დრო, დავიკარგები  
თავისივ ბედისწერითა,  
აქ კი გავსწირავ სახსოვრად  
წაწერებს ხანჯრის წვერითა.**

ჩაიკარგებოდა თიხის ფირფიტები და... ეს სიპი ქვებიც მინის ქვეშ მოექცეოდა თუ მიიფანტ-მოიფანტებოდა, ვერც ახალი დროის ეპოსი შედგებოდა, ველარც მთლიანი პოეტური ციკლი, მაგრამ ნაშთი თუ ნასამალი მაინც შენარჩუნებოდა გამქრალი ტრადიციის ხსოვნად, ტრადიციისა, ვაჟა-ფშაველას სახელითაც რომ დამშვენებულა.

ვაჟასიც, აბა!..

ხან თან არა ჰქონდა ქაღალდი, ხან საერთოდ არ გააჩნდა და სიპ ქვებზე კანრავდა გილგამეშის სიმღერების შემქმნელსავით. მერე ფურცლებზეც გადაიტანდა, მაგრამ ის სიპი ქვა რალაც იდუმალი ძალით მოჰყვებოდა თან და არ ანებებდა პირვანდელ ცივილიზაციასთან ძაფების განწყვეტას.

ეს მხოლოდ ყოფითობა არა ყოფილა, რეალობით გამოწვეული იძულება.

თავისებური მითოსი უფროა.

და ჯამრულ გრიგოლაიძეც ამ მითოსში ამოჰყოფდა თავს, თუმც ამდენი არც ეფიქრა და მხოლოდ უბედო ბედი ეჯავრა, ცხვარს რომ მისდევდა ჩექლიმზე ჯოხის ბჯენით. სამკვიდრო ვერც მას ეპოვნა, რაც მეცხვარეებს დაწესებოდათ ათაბაბიდან, მაგრამ აბელურ ცივილიზაციაში კი შეებიჯებინა და ხელშესახებად გამოეცადა იმ ყოფის ანარეკლი, რასაც იმთავითვე აცდენოდა კაცობრიობა. აბელი გამხდარიყო მეცხვარეთა სიმბოლურ თუ წინარე სახედ და ის ნაღვერდალი, ტრაგიკულად აღსრულებულ ბიბლიურ გმირში რომ ჩაკირულიყო, ყოველგვარი რომანტიკული სულისკვეთებისას კი ჟოლავდა და ჟოლავს, მაგრამ

უპირველესად მაინც ალბათ მეცხვარეობა ინახავდა იმ ძველთუძველეს განცდასა თუ ცხოვრების წესს – ღვთისათვის ასე სათნოს და... უარყოფილს ადამიანის მიერ კანწური ცივილიზაციის არჩევით.

მაგრამ ადამიანთა ერთ წრეს რაკილა შეენარჩუნებინა, ეს შლიდა დრო-ჟამის მიჯნებს და იმ ეპოქაში გვაბრუნებდა, როდესაც გზა-გზა ხეტიალის გარდა სხვაგვარი ყოფა ვერც წარმოედგინათ.

ალექსანდრე ყაზბეგი სხვას კი არაფერს აეყოლებინა, შვიდ წელიწადს მეცხვარის ცხოვრებით რომ იცხოვრებდა – აბელური სული ეძახდა, სულში ადუღებული ის საწყისი არ მოასვენებდა და მხოლოდ საბაბად გაუხდებოდა მეცხვარეების დაჩვილება: გზაში ყაზახ-რუსები მოსვენებას არ გვაძლევენ და ჩვენს დაჩავგრას ცდილობენ, ერთი გაბედული კაცი რომ მოგვცა გამყოლად, ჩვენს ბედს ძალლი არ დაჰყვებოდა.

ჰოი რა გნიასი მოჰყვებოდა მის გადავარდნას ცხვარში: გენერლის შვილმა კომბალი როგორ აიღო ხელში, რა ღმერთი გაუნყრა მაგ შეჩვენებულს, თუ თვითონ ვერ მოახერხა სხვარიგად ეშოვნა ლუკმაპური, ჩვენ მაინც შეგვატყობინებდა, სხვა რომარა ყოფილიყო რა, პრისტავობას მაინც ვუშოვნიდითო, – დაუფარავი ირონიით გადადიოდა ბაგიდან ბაგეზე იმ წრეებში, ქვეყნის პროვინციად გადაქცევა განგების აუცილებლობად და ცხოვრების ერთადერთ წესად რომ მიაჩნდათ.

ვისაც უყვარდა მოჩხუბარიძე, გამართლებას ამით ცდილობდნენ: რა მწყემსობა, რისი მწყემსობა, ერთადერთხელ გაჰყვა მეცხვარეებს დამცველად ყიზლარამდღო.

არადა, აბელურ საწყისს არ მოეხვენებინა.

წაწერებს ხანჯრის წვერითაო...

სიპ ქვებზე ამოკანრულ ამ წარწერებს შეეგულიანებინა გიორგი ცოცხანიძე, საქართველოს მთა-ბარში ხეტიალისას წამოკრეფილი ამბები – გავონილი თუ თავსგადახდენილი – ნოველებად თუ მინიატურებად გადაეთქვა და სულაც კრებულისათვის მოეყარა თავი.

ამ პატარ-პატარა მოთხრობებს სიუჟეტი ან სულ არ გააჩნიათ, ანდა ძალიან მკრთალი, უფრო მეცხვარეთა ხასიათებია გამოკვეთილი და ცალ-ცალკე თვითეული ნიმუში ნოველისა და ლიტერატურული პორტრეტის ზღვარზე გადის – თითქოს ისეც შეიძლება ჟანრობრივად განსაზღვროს და ასეც. ოღონდ ერთად ასხმული უკვე ბელეტრისტული ქმნილებაა, დოკუმენტური პროზის ნაკადსაც რომ ბუნებრივად და მოხდენილად ითავსებს და თავისებურ ეპოსადაც წარმოგვიდგება: ზოგად განზომილებაშიც და იმ კერძო ეპოქაშიც, თავისი მკაცრი და უღმობელი ტოტი მეცხვარეთათვისაც ისევე რომ დაედო, როგორც ყველასა და ყველაფრისათვის.

ბევრი ცხვარი გყავს?

სიმდიდრით მორჭმულხარ?

მთელი ცხოვრება მუხლჩაუხრელ გარჯაში გაგიტარებია და ნელგამართული ხვდები ყოველ ცისკარს?

მამ უნდა წაგართვან, მშრალზე დაგსვან, ციმბირში გადაგკარგონ ან, შერისხული, კოლექტივის რიგით, დაბეჩავებულ ნევრად გაქციონ, შენს ნაპრომ-ნაამაგარს კი დაძაბატიჟეები დაეპატრონონ.

ნოველების მდინარეებში ეს რეალობაც იჭრება და ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და სამანელთა მოძრაობის ხსოვნაც, იმ ისტორიულ მინიშნებებს რომ ქმნის, რაც არ განებებს დრო-ჟამის განუსაზღვრელობაში ჩაძირვას.

თითქოს გზაგასაყარზე იდგე კერძო დროისა და ზედროულისა.

და თუ ასეთი გზაგასაყარია, მამ სისხლის მითოსმაც უნდა გაივლევოს. აუცილებლობაა? ცხადია, ოღონდ არა მინცდამინც გაცნობიერებული. თავისთავად უნდა ამოჩნდეს რომელიმე ამბავში და „სისხლის ყივილი“ სწორედ ამის ნიმუშად წარმოგვიდგება. ქარგა ისაა, თუ როგორ ერიდება ჩხუბსა და დავიდარაბას ნოველის მთავარი გმირი, სულ დათმობაზეა, სულ დაწყნარება-დაშოშმინებას ცდილობს; მაგრამ ზოგჯერ თვითონაც არ იცის, რა მოსდის, ისე გაუგებრად, გაუაზრებლად გაეგმის ჩხუბში, ვერაფრით ვერ აუხსნია. აი, ძმისწული კი ჩანვდება ამ გაუაზრებელი ქმედების ფსიქოლოგიურ სანყის და ყოველივეს სისხლის ყივილით ახსნის: „ი ბაღმა ილიურებებს ქვები რომ აუტყეხე, იქაო შენი საგვარეულოს სისხლმა იყივლაო; შენი ბალები თუშეხს რომ მიეშველნენ, იქ თუშური სისხლი აყივლდაო; შენ რომ რუსებს მოხევე არ ეცემინე, ეგ ქართული სისხლის ყივილი იყოო და ლეკებს რომ მიეშველე, ეგ კიდე – კავკასიური სისხლის ყივილიო“.

ეს გაცხებულია: განა რამდენნაირი სისხლი აქვს კაცსა, მე სისხლი სულ ერთნაირი მგონიაო, – მაგრამ ნოველის ქვეტექსტი ისეთი გამჭვირვალეა, ძალდაუტანებლად მიგვანიშნებს სისხლის მითოსზე, როგორც უჟამო დროის ერთ-ერთ მოტივზე.

კიდეც ერთი მოტივი მტრედის გამოცხადებაა და, რა გასაკვირია, „მტრედები“ სწორედ ამ გამოცხადებით რომ გასხივოსნებულა – პატარა მეცხვარეს უნდა მოეველინოს სამი მტრედი, რომელთაგან ერთი ცხვარს უდარაჯებს და თუ შორს წავლენ, მოაბრუნებს, ორი კი ამ ყმანვილ მოჯამაგირეს წიგნს ასწავლის. მაგრამ ამ ღვთიურ სურათში ტრაგიკული სული უნდა შემოიჭრას, იმთავითვე რომ აევენე კაცობრიობას – მეპატრონე მოულოდნელად უნდა წაადგეს ყმანვილს და მისი შემხედვარე მტრედები სამუდამოდ გადაიკარგონ. ერთი, ერთადერთი ფურცელი დააკლდა პატარა მეცხვარეს, რათა ყველაფერი შეესწავლა, მაგრამ ეს ის ერთადერთი ფურცელია, რომელიც გილგამეშის უკვდავების ბალახით ხელიდან უნდა გაგექცეს.

ამბავი კი დარჩეს ხსოვნაში, იქნებ ძველთაძველი და იქნებ სულ ახალიც, დრო-ჟამის კვალი მაინც არ ეტყობა.

წაწერებს ხანჯრის წვერითაო...

გიორგი ცოცანიძის ეს „თიხის ფირფიტები“, მეცხვარისა და მეცხვარეობის საგალობლად ჩაფიქრებული, ცხვრის აპოლოგია ხომ არის, ძაღლის აპოლოგიაც იქნე-

ბოდა და არის კიდეც, ოღონდ, მასთან ერთად, დათვის აპოლოგიაცაა.

თუნდ ის მინიატურა „ვაგინე და მაგინა“ – მონადირეს მოულოდნელად დათვი რომ წაადგება თავს, ეს ვერც გაქცევას ველარ ახერხებს, ველარც თოფის გადმოღებას და ჩხუბსა და გინებას დაუწყებს: თავიდან მომწყდო. ის კი

ხან ერთ გვერდზე აჩენს კბილს და ხან მეორეზე, თითქოს ისიც აგინებდეს. ამ ჯავრ-ჩხუბში ათი წუთი რომ გაივლის, დათვი მიტრიალდება და გაიქცევა. ისეთი სურათი იხატება, თითქოს ორი კაცი შეჯახებოდეს ერთმანეთს და ბოლოსდაბოლოს ერთს დაეთმოს. დათვის კაცად აღქმა პერსონაჟის განცდაცაა და მწერლისაც, ისევე, როგორც კიდეც უფრო ამაღლებულ ნოველაში „ბათლომე“. დათვი ბალოში გაბმულა და ორ შეიარაღებულ თუშს სხვა რა დარჩენია, გარდა იმისა, იოლად იძიონ შური ნასუქი ძროხების განყვეტისათვის, მაგრამ მის მიწყდომ-მონყდომას რომ შეჰყურებენ, პოლე უეცრად ასე გადასძახებს: ე, ჰე, ჰე, ბათლომე, კაცო, ეგ რა დაგმართნიაო.


ბათლომეს შეარქმევს თავისდამოულოდნელადაც.

ეტყობა, რალაც შორეულმა, აბელისა და ენქიდუსებურმა, სულაც მინდასებურმა გაიღვიძა მასში და დათვი თანამომედ მოაჩვენა. იქნებ მოკვლა ერჩინა, მაგრამ სათქმელი ნათქვამია, დათვისათვის სახელე შერქმეულია და მამ მისი გამეტება სასიკვდილოდ აღარ შეიძლება – უკვე კაცის განირვის ტოლფასია. ამიტომაც ერთიღა დარჩენიათ: ტყვიები ისე დაუშინონ ბაგირს, რომ განყვიტონ და ბათლომე ისეც ტყის მფარველობას მიანდონ.

დათვის აპოლოგიის გარეშე თითქოს რალაც სხივი მოაკლდებოდა კრებულს. ამას ახლა ვგრძნობთ? ცხადია, ახლა, თორემ ისე იქნებ ვერც მივხვდარიყავით, ნეტა რამ გავგიჩინა ეს სინაკლულის განცდაო. მაგრამ იმ სხივის არარსებობას იდუმალად ვიგრძნობდით. ახლა კი რა, პოლოს გადაძახილი: ბათლომე, კაცო, – ყოველივეს თავთავის ადგილას ალაგებს და კიდეც ერთხელ შეგვახსენებს, რომ მარტოდენ ბლუჯა-ბლუჯა ვარსკვლავები არ არიან ჩვენი და-ძმანი...

აქ კი გავსწირავ სახსოვრად ნაწერებს ხანჯრის წვერითაო, – თავისი პოეტური კრებულის შედგენას განიზრახავდა ჯამრულ გრიგოლაიძე, სიბ ქვებს მიანდობდა ფიქრსა და ოცნებას, გიორგი ცოცანიძე კი თავის ბელეტრისტიკულ კრებულს აანყობდა ამ კამერტონზე, წიგნიერ გამოძახილს იმ მატინისა, საქართველოს საიალალეობი რომ გადაუვსია: საცხვრე და სახაროვნე მთაგორები, საბატკნე ხორხები, სანადირო ჭაუხები თუ სამთაბარო გზა-ბილიკთა სანაპიროები.

თუ ვერ დატევდნენ ქვის ზედაპირზე, ზოგჯერ იქნებ სიმბოლური ნიშნებიც შემოეღოთ, ოღონდ წამკითხველისთვისაც იოლად ამოსახსნელი. თავიდან აკი შუმერული თუ ეგვიპტური იეროგლიფებიც უფრო ადვილად წაიკითხებოდა, ვიდრე ნახატებისაგან თანდათან მინიშნება-



ნი დარჩებოდა; და თუკი ეს დამწერლობა არ გაგვეგებოდა, ვერც ვერაფერს მიხვდებოდი.

ქვის ზედაპირი თავისთავად გიბიძგებდა ანბანურ-იეროგლიფური შერეული დამწერლობისაკენ, ოღონდ ბელეტრისტული ჩანანერი ქვაზე არც არავის მოაფიქრებოდა. ამიტომაც გადავიდოდა მინიატურები და ნოველები ფურცელზე, ოღონდ კამერტონის ხსოვნას ასე მკაფიოდ შეინარჩუნებდა.

... ისე ვაჟა-ფშაველა იქნებ კიდევ იმიზეზებდა ქალღმერთის უქონლობას, რათა იმ შორეულსა და ბუნდოვანს, მხოლოდ მისთვის მშობლიურს, ხელშესახებადაც მიწვდენოდა.

ქვა მაინც სხვა იყო, სიბი ქვა, ვაჟა-ფშაველას ტკივილებსაც რომ იტევდა და მითუფრო დაიტევდა ჯამრულ გრიგოლაიძის კვნესას: მოვა დრო, დავიკარგები თავისივ ბედისწერითაო.

ქვა იქნებ თავისასაც კვნესოდა, ხანჯლის წვერით გაღაჩხაპნილი.

თითო მოთხრობა თითო წარწერადო.

იყოს: თითო წარწერად.

\*\*\*

არა, ვაჟა-ფშაველა ნამდვილად იმიზეზებდა.

**„ზურაბისთანა ბატონი ვინღა გამოვა ხმლიანი“**

იქნებ სჯობდა თხრობა ზურაბ ერისთავის ტრაგიკული აღსასრულით დანყებულებით?

რალაც გულს დამაკლდება, დავით მჭედლურის მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებას რომ გადავიკითხავ – „ლეგენდა ხეობის დაქცევაზე“, და გულნაკლულობის მიზეზს რომ ვეძიებ, კომპოზიციურ აღნაგობასთან მივიდვიარ. თითქოს მთლად მარჯვედ ვერ არის მოძებნილი ის კარი, საიდანაც უნდა შეხსნილიყო მისი იდუმალებითმოსცული სახება.

და იქნებ სწორხაზობრივად კი არ აღდგენილიყო ამ მეტად კოლორიტული ისტორიული პერსონაჟისა და ბრწყინვალე პოეზიის გმირის ბიოგრაფია, არამედ იმ საბედისწერო ნადიმის ირგვლივ დატრიალებულიყო სიუჟეტური ქარგა, ასეთი შთამბეჭდაობით რომ წარმოსახულა ხალხურსა და კლასიკურ პოეზიაში და საისტორიო ანალებში?

რა გამოდის –

მე როგორც ვარჩევდი, ზურაბ არაგვის-ერისთავზე რომ განმეზრახა ბიოგრაფიული რომანის შექმნა?

ნამდვილად ასე კი ვარჩევდი, მაგრამ, რასაკვირველია, იმ გარემოებას არ შევუფიქრიათბივარ, რომ დავით მჭედლურს სხვა კალაპოტში მოუქცევია თხრობა.

უბრალოდ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ბიოგრაფოსი დიდხანს არც უნდა ეძიებდეს დასაწყისს, და ბოლოსდაბოლოს კი არ შეაჯერებდეს გულს, ვთქვათ, სწორედ იმგვარ ექსპოზიციას, ამ მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების პირველი ფურცლები რომ წარმოგვიდება, არამედ

თვითონ მასალა გიბიძგებს არჩევანისაკენ და ხელში გაჩეჩებს სისხლიანი ნადიმის იმ გულისშემძვრელ სურათს, შექსპირულ ტრაგედიებს რომ დაშვენებოდა – აქ შენივთებოდა დიდი ვნებანი და აქედანვე გაიშლებოდა თხრობის ნაკადები, ბოლოს ისევ აქ რომ ამოთავდებოდა.

შეთქმულნი მზად არიან გადამწყვეტი წუთებისათვის და ლომად გადაქცეული ზურაბიც კი ველარსად უნდა წაუვიდეთ.

ჯერ ხმალი ქარქაშზე დაუბან – ყოველი შემთხვევისათვის. და როგორც მოვლენათა მსვლელობა დაუდასტურებთ, ეს მოქმედება გადამეტებული სიფრთხილე კი არა ყოფილა, არამედ ის აუცილებლობა, ურომლისოდაც მომხვედურთა სიჭარბეს იქნებ ვერც გადაეძალა.

გილაღატებენ, ზურაბო, ელიან შენსა ძილსაო, – მე-ლექსის ეს სიტყვები არ ჩაესმოდა მომავლიდან, თუმც ვისი რა გაფრთხილება სჭირდებოდა, როდესაც ეჭვიანი ბუნება ისედაც უნდობლობით განაწყობდა ყველასა და ყველაფრის მიმართ. მაგრამ უკვე ბედისწერა ჩარეულა და ეჭვსაც წამიერად უნდა მიეძინოს. და ეს წამიერი მოდუნება სავსებით კმარა შეთქმულთა განზრახვის აღსასრულებლად.

ღალატი გიყვარს, ზურაბო, ღალატი ჩემიც ნახეო, – ამას უკვე კლასიკური პოეზიის სტრიქონებიდან წააკეცავს თეიმურაზ პირველი, იქ კი, ნადიმისას, სუფრას რომ აუყვავებენ, სულ სხვაგვარი მიმართვა უნდა ამჯობინოს მეფემ:

სიძევ, შაექე ხილსაო.

დესერტის გარეშე არ უნდათ გაუშვან სასუფეველში თუ რა?

ეს ის რეალისტური დეტალია, ხალხურ შედეგს თავისებური ინტიმითაც რომ მსჭვალავს, და უეცრად ხმაღალს-ხანჯალს რომ მიუმარჯვებენ მარტყოფისა და მარაბდის გამირს:

**ზურაბმ ჭირთ გაცოფებულმა ხმალსა დაჰკლიჯნა ვადანი.  
ვაი თქვენს ზურაბს, ფშაველებო! ძაფ დაუხვევავ მაგარი...**

და გადავიდოდა ზურაბ ერისთავის სახება „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზეც და სახალხო მელექსეთა რეპერტუარშიც, გაზვიადებოდა, გასიმბოლოვებოდა მისი ბიოგრაფია და პოეტური შარავანდით შეიმოსებოდა.

გმირები სხვანიც ყოფილან, მაგრამ ხალხური პოეტური შედეგების პერსონაჟობა არა რგებიან და მარტყოფსა და მარაბდაზე მეტად ზურაბი ლექსებით შემორჩებოდა საზოგადოებრივ ცნობიერებას – თავისი გაორებული პორტრეტით, არც გმობა რომ არ მოაკლდებოდა, მაგრამ ქებასაც არ დაიშურებდნენ: ზურაბისთანა ბატონი ვინღა გამოვა ხმლიანიო.

ქართული ფოლკლორის მკვლევარნი არაერთხელ დაუბრუნდებოდნენ ამ ხალხურ პოეტურ ციკლსა და გოროზი მებატონის სახეს, გურამ ასათიანი ქართული ხასიათის ერთ-ერთი თვისების ემბლემადაც დასახავდა „სათავეებში“, მაგრამ განსაკუთრებით თამაზ ნატროშვილის ისტორიულ ესეებში წარმოსდგებოდა არაგვის ერისთავი რელიეფურობითა და სიღრმით, და იმ შთამბეჭდაობით, რაც

ნიმანდობლივია ჩვენი დროის ამ კარლაილის ძიებებისა და სტილური მანერისათვის.

სულ ველოდი, რომ ეს გამორჩეული ინტერესი ბიოგრაფიული რომანითაც დაგვირგვინდებოდა მისი ხელიდან.

და ქვეშეცნეულად უკვე ვხედავდი დასაწყისსაც – ზურაბ ერისთავი საბედისწერო სუფრას უზის და ჯერ კიდევ არ უთქვამთ: სიძევ, შაექე ხილსაო!..

ეჭვი არ მეპარება, თამაზ ნატროშვილი სწორედ ამ სცენით ამოახვევდა კომპოზიციურ ქარგას.

საერთოდაც – უმთავრესად პოეზიიდან გაიკვლევდა გზას ზურაბის რთული ბუნების გასახსნელად და ისტორიული ანალები უფრო დამხმარე მასალა აღმოჩნდებოდა ზოგადი ფონის წარმოსახვისათვის.

დავით მჭედლურის მონოგრაფიაში კი როგორღაც მიიკარგა, მიმკრთალდა ფოლკლორული ციკლი, უკან გადაინია იმ მხატვრულმა სინამდვილემ, რომელსაც აეყოლებინა წლების წინათ და შეეგულიანებინა „ხეობის დაქცევის ლეგენდა“ შესაქმნელად. იმან შეაგულიანა და... თითქოს ხელიდან გაუსხლტებოდა. ლაშარის ხის მოჭრის სცენა საერთოდ გაქრებოდა თხრობიდან, აღსასრულის შექსპირული სურათი გადაილეგებდა და გაქრებოდა. ისტორიული მონტაჟი იძალებდა და ქვეყნის ცხოვრების თავისთავად საგულისხმოდ წარმოჩენილი სურათები გადაფარავდა არაგვის ერისთავის მონუმენტურ სახეებას.

აზიდავდა, თითქოს აზიდავდა და... დადრკებოდა.

მაჯა მოუდუნდებოდა.

განზრახვას იმ შთამბეჭდაობით ვერ შეასხამდა ხორცს, წლობით რომ ელოლიავენოდა; და მისხალ-მისხალ რომ აგროვებდა და ერთმანეთს შეაჯვრებდა ათასგვარ ცნობებს, ზურაბ ერისთავის კვალზე იმ ლანდშაფტშიც მოუწყინრად ტრიალებდა, სადაც ის ბრდღვინავდა და ბობოქრობდა ერთ დროს.

ხელშესახებად სურდა განეცადა ყოველივე.

არადა, თვითონვე აკლდა გულს.

ჩემთვისაც შემოუჩივლია, გივი ალხაზიშვილისთვისაც – ვერა და ვერ დავამთავრეო. და ეს წუხილი ისეთი მძაფრი გახლდათ, მისი ტრაგიკული აღსასრულის შემდგომ გივის წყალობით „ლეგენდა ხეობის დაქცევაზე“ მზის სინათლეს რომ იხილავდა, მოველოდი, რომ ბოლო თავები აკლდა.

ფორმალური თვალსაზრისით წიგნს არაფერი არ აკლია – კომპოზიცია შეკრულია, თხრობა მოთავებული, ფინალი თავის ადგილასაა... მაგრამ... მაგრამ... და გრძნობ, რაც ღრღნიდა, მოდუნებული მაჯა ურთულეს თემას ბოლომდე ველარ მორეოდა და აღარც დრო დარჩენოდა საკმარისი, რათა ერთხელ კიდევ მიბრუნებოდა ზურაბ ერისთავის მღელვარე თავგადასავალს, ხელახლა გამოჰყოლოდა თხრობას და გამკრთალებული ფინალური ნაწილი მეტი ექსპრესიით აღევსო.

მინდობოდა მხურვალე მიპატიჟებას ეჭვიანზე ეჭვიანი ერისთავი, რაღაც სიმი მოდუნებოდა გულშიც და გონებაშიც, სითამამესა და თვითდაჯერებას ჩაეხშო წინათ-გრძნობის იდუმალი ძახილი: ვერაფერს გამიბედავენო. და არც სოლომონ ლიონიძისთანა მრჩეველი გამოსჩენოდა: რომ გაგიბედონო?..

ხელახლა გამოჰყოლოდა თხრობასო...

და იმ მარჯვენით, რომელსაც სასიკეთო და გაბედული განზრახვა შესაფერისადაც უნდა დაევირგვინებინა და ქართულ ბიოგრაფიულ რომანთა წყებას კიდევ ერთი ნიმუში შემატებოდა, სულ სხვა სტრიქონები გამოჰყავდა ფურცელზე. მეგობარ პოეტს ემშვიდობებოდა საბედისწერო გადაწყვეტილების აღსრულების წინ – გივი ალხაზიშვილს, და ისეთი სტოიკური სიმშვიდით უბარებდა ზოგიერთი საქმის მოგვარებას და, მათ შორის, ზურაბ ერისთავზე ამ წიგნის გამოქვეყნებასაც (დიდი მხატვრული გაფორმებისათვის ნუ შენუხდებით, მთავარია გამოიცესო), რომ შთაბეჭდილება გრჩება, რამდენიმე თვით თუ მიემგზავრება თბილისიდანო.

არა სამარადისოდ, არამედ სწორედაც რამდენიმე თვით!..

როგორი გულდამშვიდებით მიუტანია თოფის ლულა შუბლთან.

„ჩვენი მწერლობის“ ფურცლებიდან (2006, №1) გაეცნობოდა ამ პირად წერილს მკითხველი საზოგადოება, გივი ალხაზიშვილის ერთი ლამის ჩანაწერების ციკლში ჩართულს, და ფინალური პასაჟიც საკმაოდ შეძრავდათ: ახლა ოდნავ ღია კარიდან ერთი ჭრელი პატარა ჩიტი შემოფრინდა, კედელს დაეტაკა და უსულოდ დაეცა იატაკზე, ის თუ იყო ჩემი სულიო.

მისტიკას ნაზიარები პოეტისათვის ეს სურათი მართლაც სიმბოლურად აღიქმებოდა. და თუ „ლეგენდა ხეობის დაქცევაზე“ ბიოგრაფიულ რომანად ვერ წარმოგვიდგება, მონოგრაფიად ჩინებულია – მისი თავისთავადი ლიტერატურული ღირებულება უეჭველია და კიდევ ერთხელ შეგვახვედებს ზურაბ ერისთავის მონუმენტურ სახეებას: ლერწამი ზღვის პირისაო, – სახალხო მგოსნებს ეს და ამგვარი მეტაფორებიც რომ უჩნდებოდათ ცხენებაში მისი ხსენებისა თუ მისი უწყალოდ დაჩეხილი ცხედრის დატირებისას, თან... მკვლელსაც მარჯვენას რომ შეუქებდნენ.

ჯერ კი, იმ საბედისწერო წამამდე, სუფრა ერთხელ კიდევ უნდა აყვავებულიყო და გულითადი, მონიწიებითი შეთავაზებაც აღარ დახანებულიყო: – სიძევ, შაექე ხილსაო! და კიდევ ერთხელ მოგინდება, მარტყოფის, მარაბდისა და ხალხური პოეზიის გმირი ბიოგრაფიული რომანის მთავარ პერსონაჟადაც იხილო.

ისე თუ ვინმეს გუნებაში გიტრიალებთ, ეს ჩანაწერი არაფერს გავალდებულებთ და სულაც არ არის აუცილებელი, რომ რომანი სისხლიანი ნადიმის სცენით დაიწყეთ. თუმც... თუმც ზურაბ არაგვის-ერისთავის სულიერი პორტრეტის აღდგენა, აბა, საიდან უნდა დაიწყოს?!



# ლექსეუმი და ლექსეუს მიღმა

\*

საუბარი  
ლელა სამხიაშვილთან



მერე გამოცხადდა კონკურსი ფონდ „საქართველო – ღია საზოგადოების“ მიერ ახალგაზრდა ლექტორ-მასწავლებელთათვის. შედეგად აღმოჩნდი კალიფორნიაში, კერძოდ, ბერკლის უნივერსიტეტში. იქ სამი საგაზაფხულო სემესტრი ვესწრებოდი ლექციებს, ვაკვირდებოდი მათთან დამკვიდრებულ სწავლების წესებს და ვიკვლევდი ინგლისურენოვან ლიტერატურას. როცა პროგრამა დავასრულე, იძალა სურვილმა ევროპული განათლება მიმელო. არსებობს ნორვეგიის სახელმწიფო პროგრამა უცხოელი სტუდენტებისათვის. კვლავ მივიღე სათანადო კონკურსში მონაწილეობა და ნორვეგიის მთავრობამ სტიპენდიაც დამინიშნა, რის ხარჯზეც სამაგისტრო პროგრამას გავდივარ და უნივერსიტეტების ფუნქციონირებას შევისწავლი.

**– როგორ საზღვრავთ, ამ პროგრამის ამონურვის შემდეგ უცხოეთის რომელიმე ქვეყანაში სწავლას ისევ გააგრძელებთ თუ სამშობლოში დაბრუნდებით? და თუ დაბრუნდებით, სამსახურს ინატრებდით?**

– არც ისაა გამორიცხული, სხვაგანაც მომიწიოს სწავლის გაგრძელება, მაგრამ თუ დაბრუნების გადაწყვეტილება მივიღე, აქ განათლების რეფორმას დაეუკავშირებდი ჩემს საქმიანობას. უცხოეთში სწავლების მერე, ჩემი პირდაპირი პროფილი ესაა. დასამალი არაა, რეფორმები ჩვენთან მაინც უცხოელ ექსპერტთა რეკომენდაციებით ხორციელდება. ეროვნული ტრადიციები განათლებაშიც არსებობს და მისი ხელაღებით, გაუთვალისწინებლად უარყოფა არ მიმაჩნია სახარბიელოდ, ამდენად საიმედოდაც. წარსულიდან ყველაფერი კი არ უნდა დაიკარგოს. გასაკეთებელი მართლაც ბევრია, მაგრამ საფუძვლის დანგრევას სულაც არ გულისხმობს. ესეც ხომ აღიარებულა, ამერიკისა და ევროპის განათლების კერებში ერთ-ერთ გამორჩეულ სტუდენტებად აღმოსავლეთ ევროპიდან წარგზავნილი ახალგაზრდები რომ მიიჩნევიან და პოსტ-სოციალისტური ქვეყნებიდან ემიგრაციაში მყოფი პროფესორებიც ღირსეულ ადგილს იკავებენ დღევანდელ დასავლურ უნივერსიტეტებში.

**– ამ დროს, როდესაც სულ სხვა საქმითა ხართ გატაცებული, როგორ პატრონობთ საკუთარ ლექსებს? აგერ ჩვენი ჟურნალის ბოლო ნომერშიც გამოქვეყნდა თქვენი პოეტური ციკლი, მალე ახალ კრებულსაც გამოსცემთ, როგორ ადგენთ წიგნს და როგორ იწერება თქვენი ლექსები?**

– მალე ჩემი მესამე პოეტური კრებული გამოვა, „სიესტა“ გამოსცემს. წიგნში ბოლო წელიწადნახევარში დანერგილი ლექსებია თავმოყრილი. ცხადია, ნორვეგიული შთაბეჭდილებებიც აირეკლება; ზოგადად შემიძლია ვთქვა, რომ კრებულს ამჩნევია განწყობა პოეტისა, რომელიც სულ გზაშია. საკუთარი წიგნის შედგენისას ყოველთვის დამოუკიდებელი ვარ. რჩევას ვეკითხები ახლობ-

– ლელა, შეიძლება თუ არა პოეტმა ლექსებით იცხოვროს? აქაურობისა – მოგვეხსენება, იმ ქვეყნების მაგალითზე გკითხავთ, სადაც თქვენ იმოგზაურეთ, სწავლობდით და ახლაც განათლებას ეუფლებით.

– თქვენ თუ მატერიალურ საფუძველს გულისხმობთ, გიპასუხებთ, რომ ლექსებით ვერსად ვერ იცხოვრებ, პოპულარობისათვის გრძელი და რთული გზა თუ არ განვლელექსებით სწრაფად სახელის დამკვიდრება მხოლოდ აქტუალური თემებით მანიპულირებით, ან საკუთარი პოეტობის „შოუდ“ ქცევის საფუძველზე თუა შესაძლებელი და ამ შემთხვევაშიც, პროზაიკოსობა უფროა წარმატების გარანტი, ვიდრე პოეტობა. პოეტები ხომ ნაკლებად ემორჩილებიან დროის და მკითხველის მოთხოვნებს.

**– რას გულისხმობთ – დრო-ჟამის შესაფერისად წერას? ნათქვამი რომაა, წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო?**

– ძალიან მარტივ რაღაცას გეუბნებით, დროის შესაფერისად წერა შემოქმედებას ბიზნესადაც აქცევს. თუნდაც, სალმან რუშდის მაგალითიც კმარა. შეიძლება მას თავდაპირველად არც არაფერი ჰქონდა გათვლილი, მაგრამ ბოლოს მაინც ასე გამოუვიდა. თუმცა, მის შემთხვევაში მწერლური ნიჭი და პრაგმატიზმი ერთმანეთს თანხვდება, რაც ხელოვნებაში საკმაოდ იშვიათია.

საერთოდ, ჭეშმარიტი ხელოვნება დროის მიღმა იქმნება. თუმცა ხელოვანი ალბათ ყოველთვის მაინც გრძნობს და ფიქრის ადამიანია და არ შეუძლია გულგრილი იყოს იმ ყველაფრის მიმართ, რაც მის დროში, მის გარშემო ხდება. უფრო მეტიც, ის ხშირად ცდილობს თავისი შემოქმედებით „რაღაცის შეცვლას“. თუ რამდენად წარმატებით, ამასაც დრო განსჯის.

კნუტ ჰამსუნი არასწორი პოლიტიკის გამო კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს. ის სწორედ აპოლიტიკური ნაწარმოებებით დგას სიმალღეზე, და ამას ერთნაირად აღიარებს ჩვეულებრივი მკითხველი თუ ლიტერატურის პროფესიონალიც.

**– თქვენი ბიოგრაფიიდან თუ შეგიძლიათ, ჩამოთვალთ ორიოდ სიტყვით ის, ამ წუთას რაზეც გირჩევნიათ ისაუბროთ.**

– დავამთავრე თბილისის ი.ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის ფაკულტეტი. ვსწავლობდი სინქრონულ თარგმანს. ვმუშაობდი მთარგმნელად და ლექციებსაც ვკითხულობდი გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ლებს და მეგობრებს, ვის ლიტერატურულ გემოვნებასაც ვენდობი, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას თვითონ ვიღებ.

– უფრო ახლოდან ხომ ვერ დაახსიათებთ საკუთარ ლექსებს?

– ჩემი ლექსები ერთხაზოვნად გრძნობების პოეზია არაა. პოეზია ჩემთვის საკუთარი მსოფლმხედველობის გამოხატვის გზაცაა. პოეზიაში ნაკლებად ვეძებ კეთილხმოვანებას და თვითონაც ნაკლებად ვფიქრობ მასზე, თუკი ბუნებრივი განწყობით არ მოდის ლექსში. ამიტომაც ჩემი ლექსები უფრო მკითხველის თვალისთვისაა განკუთვნილი, ვიდრე ხმამაღლა წასაკითხი. როცა მაინც მიწევს პოეტურ საღამოებსა თუ შეხვედრებზე საკუთარი ლექსების კითხვა, საყვედურსაც გამავგონებენ ხოლმე, გამოთქმით, მშვიდად მოგვასმენინებო. არ გამომდის.

ლექსები სხვადასხვანაირად მენერება: ზოგჯერ ის უცაბედი ფორმისა და შინაარსის ნაზავით მოდის. ზოგჯერ ჯერ სათქმელი ამეკვიატება და ფურცელზე გადმოტანისას თვითონვე მკარნახობს ფორმას. სიმართლეს გეტყვით, მაქვს ლექსები, სპონტანურად გაჩენილი, და შემძლია დაგისახელოთ ისეთებიც, რომლებზეც მიფიქრია.

სპონტანურად გაჩენილი ლექსები უფრო ახლოსაა ტრადიციულ პოეზიასთან. ანუ, როცა თავისით ირითმება და ლაგდება. არ მიყვარს რითმაზე მუშაობა. რითმის კეთება არ მიყვარს. ამიტომ განწყობის მიხედვით ვწერ – ხან „კონვენციურ“ ლექსს, ხან ვერლიბრს.

– ისეთი დღეები, კვირები და წელიწადიც თუ ჩამომდგარა, როცა ლექსი არ დაგინერიათ? და თუ ასეთი ვახსოვთ, შიშაც ხომ არ გაგჩენიათ ამის გამო? წელან რომ აკვიატებული აზრი ახსენეთ, ფურცელზე გადმოტანამდე თუ დაგცილებიათ სამუდამოდ?

– ვყოფილვარ ისე, რომ წელიწადნახევარი არაფერი დამინერია. შიში რატომ უნდა გამჩენოდა? ვგრძნობდი, რომ ეს ახალი ნაფიქრის და ახალი განცდების დაგროვების პერიოდი იყო. მერე ეს ყველაფერი თავისით დაიწურა ფურცელზე. გულმავინყოფა კი ლექსად აკვიატებულ აზრებთან არაფერ შუაშია. პოეტური მესხიერება რაღაც სულ სხვაა.

– როგორია ღმერთის განცდა ყოველდღიურობაში, ზოგადად ცხოვრებაში?

– ჩემთვის ყველაზე ახლოსაა ქრისტიანობა. ჩემი ფესვები მართლმადიდებლობაშია. მაგრამ აგნოსტიკური განწყობილებებიც მაქვს. ღმერთი ჩემთვის არის სიკეთე. ღვთის სახელით ძალადობას ვერ ვამართლებ. სიკეთესთან ვინ რა გზით მიდის, ამას ჩემთვის მნიშვნელობა არ გააჩნია. ორგანიზებული რელიგიები ყველაფერს აკეთებენ იმის საწინააღმდეგოდ, რასაც ქადაგებენ. თუნდაც – რელიგიური ომები ისტორიის მანძილზე.

ძალაუფლების თავს მოხვევა არ უნდა ხდებოდეს. ღმერთი ხომ ერთია.

ესაუბრა  
ნინო დეკანოიძე

უცხოელის თვალით

ჯონ დოს პასოსი

ბასაბჭოეზული  
კავკასია

უპირველეს ყოვლისა, მკითხველი უნდა გავაფრთხილო იმის თაობაზე, დაუფერებლად არ მოეჩვენოს სტატიაში გადმოცემული ფაქტები. იმიტომ კი არა, „ფაქტებს“ თითქოს განზრახ ვაყალბებ, არამედ შეუძლებელია ბოლომდე ჩანვდე უწესრიგოდ აფუთფუთებული, ყლორტებამოყრილი ახალი ცხოვრების არსს. ადამიანს მხოლოდ გარდასული ფაქტებისა სჯერა, ისტორიის სახელმძღვანელოში კობტად და მწყობრად რომაა ერთმანეთის მიყოლებით ჩარიგებული. სულ სხვაა, ისინი შენს ფერხთ ხვლიკებივით რომ სხლტიან; ყოველი მცდელობა, რომელიმე მათგანი მოიხელთო, უშედეგოა, უმეტესწილად, მკვდარი კუდილა გრჩება ხელთ, ცოცხალი და მოსხმარტალე სხეულის ნაცვლად. ყოველივეს ისიც ემატება რუსული, ქართული, თათრული, თურქული და საერთოდ, არცერთი იმ მცირე დია-

ლექტთაგანი, კავკასიაში მრავლად რომაა, არ ვიცი, თანაც ამ ქვეყნებში თავით ბოლომდე მხოლოდ სამი კვირა გავატარე. ჰოდა, რა შთაბეჭდილება უნდა მოსთხოვო ჩინელს ნიუ-იორკის შესახებ, იქ არჩევნების დღეს რომ ჩავა და, ენის უცოდინარობის გამო, ხალხთან ურთიერთობა კი არა, აზრებისა და ფირნიშების ნაკითხვაც არ შეუძლია.

ბათუმში ჩასვლამდე, წინა ღამით, იტალიელი კაპიტანი გვიმტკიცებდა, ნითელარმიელებს პატარა ნითელრქიანი მუზარადები ახურავთო, *come il diavolo*.\* გემი ნავსადგურში ალიონის შუქზე შევიდა, ჩვეულებრივ ცისფერ-მწვანე შავი ზღვა ხასხასა მწვანედ ლივილივებდა. მგზავრებს შორის ჭოგრიტზე დიდი ტაციაობა ატყდა, ყველას სურდა ბოლშევიკებისთვის პირველს შეეველო თვალი. ძირითადად, საქონლის ფუთებიანი, მენვრილმანე ვაჭრები იყვნენ, ისეთი ცნობისნადილით ელოდნენ ხმელეთზე გადასვლას, როგორც ავადმყოფები ანესთეზიას ოპერაციის წინ. ამასობაში, საკარანტინო მოტორიანი ბარკასი შეუმჩნევლად დამდგარი-



\* *come il Diavolo* (იტალ.) – როგორც ეშმაკი.



ყო გვერდით. კარგად ჩანდა თეთრ კიტელებში გამოწყობილი აფრიანქუდებიანი რამდენიმე კაცი, მშვიდი გამომეტყველებით თამბაქოს მოსანევ ოთახში რომ სვამდა. კაპიტანს ჰკითხეს, რქები სად არისო. მან თავისი უზარმაზარი უღვაშები უშნოდ გადაიგრიხა და წაიწურჩულა: დაიცადეთ, ვიდრე წითელ გუშაგებს ნახავთო.

ნავსადგური, რა თქმა უნდა, განადგურებული იყო. გამქრალი ფიცრების ადგილას სიცარიელე ჩანდა, ხიმინჯები ყველა მიმართულებით უსწორმასწოროდ გადახრილიყო. შორიასხლოს, ზღვის მხრიდან, ნაავარიები ტანკერი იდგა, საიდანაც დიდ-პატარა წყალში ხტებოდა. ნავსადგურში უსაქმო, მხიარულ ახალგაზრდებს მოეყარათ თავი, ბევრი მათგანი ფეხშიშველა იყო, ხელში ხიშტიანი გრძელი შაშხანები ეჭრათ. ერთი გამხდარი, ქერათმიანი ახალგაზრდა, დაახლოებით 18 წლისა, დიდი შავი ჩექმებით რომ გამოირჩეოდა, მათ წინ აღმა-დაღმა დააბიჯებდა და ბრძანებებს გასცემდა. საბჭინელი რომ დაუშვეს, ახალგაზრდების ჯგუფი, თეძოზე მიკრულ ბუდეში რევოლვერი რომ უხტოდათ, გემბანზე ამოვიდა. საპნის გასაყიდად ჩამოსულმა შვედმა მათი მისამართით ზიზლით, წმინდა სტოკჰოლმური ფრანგულით თქვა: „ბიჭები მართავენ ამ ქვეყანას Ce n'est pas serio. Ce n'est pas serio“.\*

ბათუმი აჭარის ახალშექმნილი რესპუბლიკის დედაქალაქია. რუსების ცნობით, ამ მხარის მოსახლეობა – აჭარელთა სახელით ცნობილი ტომი – ლაზების მონათესავე მუსლიმანი ქართველებია. ლაზები მოხდენილი ხალხია, თავზე დაუდევრად შავ-დოღბანდ ნაკრულები, პირატებს გვანან, შავი ზღვის მთელ სანაპიროზე ცნობილი არიან, როგორც კარგი მეზღვაურები და მეთევზეები. რადგან აჭარლები თავიანთი რელიგიური ძმების, თურქების, ადათ-წესების მიმდევარი არიან, მიღებულ იქნა გადანყვებილება მათთვის საკუთარი მმართველობა მიეცათ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მითხრეს, როგორც ჰეროდოტე იტყოდახლომე. ფაქტობრივად, ბათუმის კომისრები, ვისაც კი შეეხვედა, ყველა რუსი გამოდგა. ქალაქს ნაომარი ეთქმის. ირგვლივ, არავინ იყოს საიდან ჩამოსული, უამრავი უსაქმოდ მოხეტიალე უმუშევარი ირევა, ნავსადგურში რამდენიმე გემის გადმოტვირთვა მიმდინარეობს; ელექტროსადგური მუშაობს; ბევრი თეატრი და კინო ღიაა. ვრცელი, კენჭებიანი ზღვის სანაპირო მობანავე ხალხითაა მუდამ სავსე. ასე რომ, ჩემი დაკვირვებით, აქ ცხოვრება შედარებით ნაკლებადაა ჩამკვდარი, ვიდრე ტრაპზონსა და სამსუნში, ან შავი ზღვის ნებისმიერ პორტში, ომმა ვაჭრობა სრულიად რომ ჩაკლა, რაც ახლო აღმოსავლეთში მოკავშირეთა პოლიტიკის შედეგად შექმნილი ქაოსითაა გამოწვეული.

აქაც ისევე, როგორც ყველგან საბჭოთა რუსეთში, განათლებისკენაა დიდი ძალისხმევა მიმართული. ხანდაზმული ხალხისთვის საღამოს სკოლებია გახსნილი – ბოლშევიკები სულ სამი თვეა, რაც ვითარებას განაგებენ – განათლების კომიტეტის მდივანმა მითხრა, იმედი გვაქვს, მომავალ თვეში რუსული პოლიტექნიკუმის გარდა, დაწყებითი განათლების დღის სკოლებსაც გაფხსნით, სადაც ბავშვები მშობლიურ ენებზე ისწავლიანო. ეს იმ ქალაქში, სადაც ქარ-

თველების, სომხების, ებრაელების, რუსების თანაბარი რაოდენობა ცხოვრობს და, როგორც შევიტყვე, მანამდე, სკოლა უბრალო ხალხისთვის საერთოდ არ ყოფილა ხელმისაწვდომი. ასევე მოქმედებდნენ თეატრალური დასები, რომლებიც სპექტაკლებს დგამდნენ რუსულად, ქართულად, სომხურად, თათრულად და იდიშში. გამომგზავრების ღამეს, კონსტანტინოპოლში ამბავი გავრცელდა, თბილისის ოპერის თეატრში კორდე-ბალეტის ჯგუფის შემქმნელისა და მოცეკვავის, მორდკინის დასის სპექტაკლები ვერ შედგება, ქართველებმა ჯაშუშობის გამო მოკლესო. მუშაობდა აგიტთეატრი, სადაც მიმდინარე მოვლენათა ქრონიკები სცენაზე იდგებოდა. მრავლად იყო კინოსეანები.

ბათუმიდან ტფილისისაკენ ყოველდღე ექსპრეს-მატარებელი დადის, რომლის შეადგენლობაშია ერთი საძინებელი ვაგონი სახელმწიფო მოსამსახურეთათვის, ერთი – არმიის ოფიცრებისათვის და ერთიც საზოგადოების სხვა ფენების წარმომადგენლებისთვისაა, რამდენიმე სატვირთო ვაგონი კი – ადგილობრივი გადაზიდვებისთვის. რუსებმა საქართველოს დაპყრობის პირველ დღეებში ტფილის-ბათუმის მატარებლით მგზავრობის ფასი 250 რუბლი დაანესეს, დაახლოებით ცენტის მეოთხედი. ამის გამო მატარებელს გართობის მიზნით გასასეირნებლად იმდენი ხალხი მოაწყდა, ხშირად საქმიანი ადამიანებისთვის აღარ რჩებოდა ადგილი. ამჟამად მგზავრობის ღირებულება 180 000 რუბლია. მიუხედავად ამისა, მგზავრთა რაოდენობა მაინც ჭარბობს მატარებელში არსებულ ადგილებს. მოკლე მანძილზე ნამსვლელები მატარებლის სახურავზე მოკალათებულნი მგზავრობენ. მთელი ღამის განმავლობაში ჩაის – რუსული ფუფუნების უკანასკნელ გადმონაშთს – ხშირ-ხშირად დაატარებენ. გადაჭედულ კუპებში მგზავრები ყლუპ-ყლუპობით სვამენ ჩაის და როგორც ადრე რევოლუციამდე, პუშკინსა და რუსეთის მომავალზე საუბრობენ.

ტფილისში ჯერ კიდევ შემორჩენილია ფუნიკულიორი, გოგირდის აბანოები, ვერცხლის ქაშრები, მუშაობს რესტორნები, სადაც ალავერდს კვლავ გაიძახიან. სასმისებს ახლაც ბოლომდე ცლიან, თუმცა ძველი მედიდურობის გარეშე. გოლოვინის პროსპექტზე, სადაც ადრე, გადმოცემით, ქართველი თავადაზნაურობა გრძელი ჩოხებით, მრგვალი კრაველის ქუდებითა და ძვირფასთვლებიანი ვერცხლის ხმლებით თავმოშონედ დადიოდა, ახლა ნახავთ მხოლოდ წელზე შემოჭერილ ქაშრიან, საბჭოთა რუსეთის სავალდებულო თეთრ კიტელებში გამოწყობილ უწვერულვაშო ახალგაზრდებს. „გრუზინსკი“ კლუბში, სადაც ძველი რეჟიმის დროს ალავერდები არ წყდებოდა, ახლა ძირითადად წითელი არმიის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს, საკმაოდ ღარიბულად ჩაცმულ ქალებს, უმეტესობას ნატოვი ქცევებით რომ გამოარჩევ, კომისრებს, სტენოგრაფისტებს, ოფიცერთა ცოლებსა და საყვარლებს შეხვდებით. დაბალ ხმაზე მოსაუბრე, წყნარი, მხიარული კომპანია ყურადღებით უსმენს ორკესტრს და გასაოცარი დუმილით გამოხატავს მსახიობებისადმი პატივისცემას პატარა ღია თეატრში, სადაც ყოველ საღამოს სპექტაკლები ხან რუსულად იმართება, ხან ქართულად.

ტფილისში ხეტიალისას თანდათანობით თვალში გხვდება მოსახლეობის სიმცირე, ვერ შეხვდები მოხუც, ჭალარა, წვეროსან ადამიანებს, მსუქან, ფხუკიან გამომეტყველების რანტიებს. მრავლადაა გამოუცდელი, მაგრამ

\* Ce n'est pas serio. Ce n'est pas serio (ფრ.) – ეს არასერიოზულია

იმედიანი გამომეტყველების კოხტა ახალგაზრდები. ხალხმრავლობის დროსაც კი მთავარი ქუჩა, მთელს სიგრძეზე ისე შეგიძლია ჩაიარო, 35 წელს ზევით ასაკის ადამიანს ვერ შეხვდები, ცოტა დამაკლდა ლამის 25 წლისანი არ ვახსენე. გაოცებას ვერ ვფარავდი იმის გამო, რომ ვერ გამეგო მოხუცები ყველა გარდაცვლილიყო, „ჩეკას“ მიერ იყვნენ დაკავებულნი თუ ისინი ახალი ცხოვრების წესით გამოწვეულმა სასტიკმა ძალმომრეობამ გააქრო.

ამ მოხუცებს ძალზედ უბადრუკი ხვედრი ხვდათ წილად, უმრავლესობისთვის ახალი რეჟიმი სავსებით მიუღებელი აღმოჩნდა. წუთისოფელი იმით გააქვთ, რაც გააჩნიათ, ნაწილ-ნაწილ, ყველაფერს რომ ყიდიან, დღეს ხალიჩას, ხვალ ვერცხლის ფინჯანს, ზეგ რომელიმე ფაიფურის ნივთს, სხედან დაცარიელებულ სასტუმრო ოთახებში, ჩამოფარებულ ფარდებს მიღმა და ფიქრობენ იმ აუხდენელ დღეზე, იქნებ ბედი შემობრუნდეს და ყირაზე მდგარი სამყარო უკან გადმოტრიალდესო. ვერც დენიკინის, ვრანგელის და ვერც დანარჩენ მოკავშირეების მარიონეტთა დამარცხებებმა გადაარწმუნეს ისინი, ძველი დიდების დღეები რომ გარდასულიყო და ველარ დაბრუნდებოდა.

ვიდრე „ახლო აღმოსავლეთის დახმარების“ მისიაში ვიმყოფებოდი, ნივთების გასაყიდად ნაკადად მოსული ადამიანებისაგან თავი გაბეზრებული გვექონდა. მოჰქონდათ საათები, ხმლები, ძვირფასი თვლები, ფოტოაპარატები, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, მათი აზრით ყველაფერი, რაც ამერიკელთათვის იყო მისაღები და იმდღევანდელი კურსის მიხედვით ფულის ჩადება შეიძლებოდა. ყოველდღიურად არამარტო ყოფილი მდიდრები მოდიოდნენ ნივთების გასასყიდად, ღარიბებიც, იძულებულნი რომ იყვნენ უკანასკნელ ნივთებს შელეოდნენ. სახელმწიფოს სიღარიბის გამო კავკასიაში, როგორც რევოლუციური კომიტეტის პრეზიდენტი, ისევე ასანთის ფაბრიკის მუშა საარსებო მინიმუმს ვერ ღებულობს და რადგან გირვანქა პური 5000 რუბლს ღირს, სპეკულანტებისა და გლეხობის გარდა, სხვებს – მიუხედავად იმისა რომ თავდაუზოგავად შრომობენ – უსახსრობის გამო თავი ვერ გააქვთ.

ჩემი დაკვირვებით, გლეხობა შეძლებულად ცხოვრობს, მთელი ქვეყნის გადარჩენილი სიმდიდრე თანდათანობით მათ ხელში გადადის, მცირე რაოდენობით წარმოებული პროდუქციაც კი იმთავითვე დიდი მოგებით ეყიდებათ. როგორც კი ბათუმის მატარებელი ტფილისს მიუახლოვდა, ხორბლით, კარტოფილითა და სიმინდით სავსე ტომრებიანი უამრავი გლეხი ზოგი სახურავზე აძვრა, ნაწილი ამორტიზატორებზე იდგა, სხვები კიდე კიბეებზე იყვნენ ჩამოკიდებულნი. ადამიანთა უმრავლესობა თავის პროდუქციას ყიდდა, მიუხედავად იმისა, სჭირდებოდათ თუ არა, სპეკულიანტთა მალაზიებში ქაღალდის ფულს ცვლიდნენ ოქროს ან ვერცხლის ნივთებზე და უკეთესი დროებისათვის ინახავდნენ. ტფილისიდან შორს, ყველა მიმართულებით, სოფლებიდან გასაყიდი პროდუქტებით სავსე მომავალ ურმებს შეამჩნევთ, თუმცა ქალაქიდან ამავე ურმებით ქალაქში დაგროვილი სიმდიდრის გაცილებით მეტი რაოდენობა გლეხებს უკან მიაქვთ, რაც სოფლის შურისძიებაა XIX საუკუნეში გაუაზრებლად გაშენებული ქალაქების მიმართ, მინის მთელი ენერგია რომ შეისრუტეს.

გლეხობის უმეტესობა, დიდი შემოსავლების მიუხედავად, სახელმწიფოს მხრიდან მოსალოდნელი რეკვიზიციის

სამიშროებით დამფრთხალი, ამასთან კრიზისის გამო შექმნილი გაურკვეველი ვითარებით აფორიაქებული, საკუთარ მინას მოწყდა და მიატოვა ჩვეული საქმიანობა. დაძინებულები, მშვირები მოედნენ ქალაქებს, რკინიგზებს, ექებდნენ, მაგრამ რას, თვითონაც არ იცოდნენ. მათი დასახლების ყველა მცდელობამ, ფუჭად ჩაიარა. ევროპაშიც, ალბათ, რალაც ამდაგვარი მოხდა ათასწლეულის დამდეგს, როცა ფიქრობდნენ, და მანანალებად ქცეულები, შეძრწუნებულები ცისა და დედამიწის შუაზე გამყოფ ბუკის ხმას ელოდნენ. ათასწლეუანი მიჯნის დადგომით თავზარდაცემული ხალხი შიშმა მოიცვა რუსეთშიც, ცენტრალური აზიის თვალწინდენელ ველებზეც, რომლის კარიბჭესაც კავკასია წარმოადგენს. მშვიერ-მწყურვალნი, უიმედონი თავისუფლად დაეხეტებოდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე, სასომიხდილები საზოგადოებრივი წესრიგის რთული მანქანის ნაკვალევზე თითქოს უკანასკნელად დააბიჯებდნენ. ამ ისედაც აზვირთებულ ქაოსში, გაუგებარი რომ იყო, რა ხდებოდა, კიდე უფრო აბსურდული მოჩანდა პრო-ბოლშევიკური და ანტი-ბოლშევიკური დაყოფა.

საუბარია წელზე ქამარშემორტყმულ, თეთრკიტელიან ბიჭებზე, დრაკონთან შებმულებს გამოუცდევლობის გამო სახეზე მწუხარება რომ აღბეჭდვიათ. მმართველობაში მოსულებს ბოლშევიკები რომ ვუნდოთ, მართებული არ იქნება, რადგანაც ხელისუფლებამ, თვით წითელი არმიის ადმინისტრაციულ სტრუქტურებშიც კი ნახევარი თუა კომუნისტი. საქართველოს მთავრობაში, საერთოდ ვერ ვნახე კომუნისტი, გარდა პრეზიდენტ ნიდევისა (დოს პასოსი გულისხმობს რეკომის თავმჯდომარეს ბუდე მდივანს). რუსეთში განათლებული და უნარიანი ადამიანების დიდი ნაკლებობაა. ვინც არ ამჟღავნებს არსებული ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილებას, ნაწილობრივ ან ოდნავ განათლებულია, სამთავრობო იერარქიაში საკმაოდ მაღალი, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე უჭირავთ. ამის გამოა, როცა კომუნისტები მოსკოვში ეკლიანი გზებით კვლავ ბრძოლით მიინევენ უტოპიისკენ, მთავრობა სულ უფრო და უფრო იხრება იქით, რომ უთავბოლო, ჩამოყალიბებული თეორიებით ცდილობს შეინარჩუნოს ის, რაც ძველი ცივილიზაციიდან გადარჩა. ჩემი შეხედულებით, რუსეთი მკვდარი ნიჟარაა, რომელშიც ახალი, მნიშვნელოვანი იდეები და მრწამსი ისახება. კომუნისმისა და პატარა მამამთავრის ძველი იერარქია წარსული თაობის კუთვნილებაა და არა მათი, ვინც მღელვარე ეპოქის შუაგულში სრულწლოვანებას მიაღწია და რუსეთის განახლება-გაახალგაზრდავებას აპირებს.

რომან „ქალის“\* მთავარი გმირი, ცნობილი „ქალი-რომელიც-უნდა-დამორჩილებულ იქნას“ ხომ სწორედ გამახალგაზრდავებელ ცეცხლში დიდხანს ყოფნამ მიიყვანა სავალალო დასასრულამდე. ჩემი ვარაუდით, რუსეთიც იმავე დღეშია. არსებობს იმის შესაძლო ზღვარი, თუ რამდენ წელს გაუძლებს ქვეყანა შიმშილს, შფოთსა და ნგრევას ისე, რომ სრულად არ დაკარგოს სასიცოცხლო ძალა და ენერგია. რომის იმპერიის დაცემამ ევროპაში საუკუნეობით შეაჩერა განვითარება და ჩაკლა სიცოცხლე. ეჭვგარეშეა, ვოლგისპირეთში შიმშილობა რომ არა, მოდიფი-

\* მწერალ ჰენრი რაიდერ ჰაგარდის რომანი: „ქალი: ერთი თავგადასავლის ისტორია“

ცირებული საბჭოთა სისტემა შედარებით ადვილად გადაიხანდა ზამთარს, რაც ხალხს საშუალებას მისცემდა, თავიანთი ენერჯია ცხოვრებისთვის საჭირო პირობების შესაქმნელად მიემართა. ახლა კი არავინ იცის რა მოხდება. შეიძლება ითქვას, რუსეთი ნაპოლეონისეულ დროშია. ამ უზარმაზარ ქვეყანაში, დამბლების სიბინძურეში, უამრავი ენერჯია ქაფდება და შხეფებად იშლება, როგორც საახალწლო ნაძვის ხის ნესტიანი სატკაცუნებლები. ასეთ ყოფაში ყველაფერი შეიძლება წარმოიშვას – კეთილიც და ბოროტიც, შეიძლება დაპყრობების ტალღამ მთელი აღმოსავლეთი მოიცვას და ევროპასაც გადაწვეს, ან შემოქმედებითი, მშვიდობიანი საქმიანობა – პროლეტარული სახელმწიფოს მშენებლობა – დაიწყოს. თეორიებით თუ მათ გარეშე, რუსებს საუკეთესო ინსტრუმენტი აქვთ წითელ არმიას, შინ დარჩენენ და იმიმშილონ. მოვლენათა განვითარება დიდადა დამოკიდებული მოკავშირეებზე, ანუ ინგლისსა და საფრანგეთზე, უფრო მეტად ამერიკაზე – ერთადერთ ძლიერ სახელმწიფოზე, ომის გამო აზიაში თავისი პრესტიჟი რომ არ დაუკარგავს. ამერიკამ ვოლგის აუზში 40 მილიონი დამშუქლისთვის შექმნა უანგარო დახმარების სამსახური, ამ საქმეში ფაბრიკა-ქარხნებისა და რკინიგზების ტექნიკური პერსონალის მხარდაჭერა აქვს. ეს შესანიშნავი საშუალებაა რუსეთი ცნობილი გახდეს დანარჩენი მსოფლიოსთვის და მისი ენერჯია მიმართულ იქნას ახალი ცივილიზაციის მშენებლობისაკენ. რა სახის თანამშრომლობა უნდა გაენია მისიისთვის ხელისუფლებას, როცა ლიდერები მიიჩნევენ, რომ ეს ნაშრომებია პოლიტიკურ ზრახვებზე მალა უნდა მდგარიყო, იქედანაც ჩანს, კავკასიაში „ახლო აღმოსავლეთის დახმარების“ მისიის მოქმედების სრული თავისუფლება რომ ჰქონდა მინიჭებული.

რა თქმა უნდა შიმშილს ყველაფერს ვერ დააბრალებ. არსებული „დამბლა“, უმეტესწილად ბლოკადასა და ინტერვენციასთან ერთად, იმ გარემოებებითაა გამოწვეული, კომუნისტური მართვის მეთოდებს რომ ახლავს თან. პირველ რიგში ეს არის „ჩეკა“ - საგანგებო კომისია. არა მგონია, რუსულ სასამართლო სისტემას ოდესმე რაიმე ჰქონოდა სატრაბახო, მაგრამ რაც შეეხება თანამედროვე იურიდიულ სისტემას, განზრახ თუ უნებლიეთ, საიდუმლო მეთოდებით დატერორებული რომ ჰყავს მოსახლეობა, უკიდურესად ცუდია. ნებისმიერი სამოქალაქო ომის დამახასიათებელია ოპონენტთა სწრაფი განადგურება, მაგრამ როცა სამხედრო ტრიბუნალები მშვიდობიან დროშიც არსებობენ, აუტანელი ხდება უსაფრთხოების უკმარისობა. ჩვეს არმიაშიც ჩატარებულმა გამოკვლევებმა სამხედრო სასამართლოების მიერ ჩადენილი უამრავი უსამართლობა გამოაშკარავა. რამდენადაც შევძელი დადგენა, კავკასიაში, სადაც სასამართლო შედარებით ზომიერად ითვლებოდა, ერთადერთი სასჯელი ნებისმიერი დანაშაულისთვის დახვრეტა იყო. ფაქტობრივად, ბრალდებულებს საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცების არანაირი მექანიზმები არ გააჩნდათ. ამის გამოა, ადამიანები, ვისაც ადმინისტრაციული პოსტები უჭირავთ, ძალიან ფრთხილდებიან რაიმე პასუხისმგებლობა აიღონ იმის შიშით, რომ კომისია დაგმობს მათ გადაწყვეტილებას და „ჩეკაში“ გააგზავნის. ასევე საშიშია უმოქმედობაც, თუმცა ამას ნაკლებად აქცევენ ყურადღებას. ამიტომ უპრეცედენტოა პასუხისმგებლობის

თავიდან აცილებისა და მისი სხვაზე გადაბრალების ხარისხი. იმის გამო, რომ სახელმწიფოს ნებისმიერ დროს, როცა საჭიროდ მიიჩნევა, შეუძლია რეკვიზიცია მოახდინოს, საშიშროება ექმნება კერძო საკუთრებას და ვაჭრობას კავკასიაშიც კი. ამის გამოსწორების არანაირი ხილული მექანიზმები არ არსებობს, ამიტომ ყველას ეშინია რაიმეს კეთების. სტაგნაცია ჩვევაში გადადის, რომლის დარღვევა ძნელია.

მთავრობა, მიუხედავად იმისა, რომ ხელფასს მხოლოდ სახელმწიფო მოხელეები იღებენ, დიდ ჯამაგირებს მაინც არ არიგებს, რაც ძნელი ასახსნელია, მითუმეტეს, ფულის საბეჭდი დაზგის პრობლემა არ არსებობს. შეიძლება იმის შიშით, კიდევ მეტად რომ არ შეუწყონ ხელი „უბედური“ რუბლის უსასრულო გაუფასურებას. არავის არ უხდია იმდენს, სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ სურსათ-სანოვარის ნორმას რაიმე აუცილებელი დაამატონ გვერდითი შემოსავლების გარეშე, შედეგად, როგორც რევოლუციამდე, უფრო მეტად თუ არა, კვლავაც ჰყვავის სპეკულაცია და მექრთამეობა, რაც ყოველთვის დამახასიათებელი იყო რუსი ჩინოვნიკებისთვის. თუმცა მედალს ორი მხარე აქვს, ალბათ ასეთი მდგომარეობა გარდუვალია ყველა იმ საზოგადოებისთვის, სადაც გადატრიალება ხდება. განსაკუთრებით მაშინ, რევოლუციით გამოწვეული ენთუზიაზმის პირველი მგზნებარება რომ ჩაცხრება და იმედიც, მოახლოებული ათასწლეულიდან რომ ელოდნენ, ჩაკვდება. ხალხი ძირითადად საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ფიქრობს. ყოველივე ამის მიუხედავად, კომუნისტურმა პარტიამ დიდი კონსტრუქციული სამუშაოები ჩაატარა და ენით აუნერვლია, როგორ განმინდა ჰაერი ეკლესიისა და დიდგვაროვნთა სასტიკი ტირანისგან. მიუხედავად ახალი ტიპის ტირანისა, ჩემი აზრით, უდავოა, ხალხს მიეცა უსაზღვრო შესაძლებლობა თავი დააღწიონ ინერტულობას და თავიანთი ცხოვრება უფრო ენერჯიულად წარმართონ, ვიდრე რევოლუციამდე. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია თეატრების უჩვეულო ზრდა. ვფიქრობ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე ყველას აქვს შანსი, კვირაში ერთხელ მაინც რაიმე სპექტაკლს დაესწროს და კონცერტს მოუსმინოს. ცენტრებში ეს შესაძლებლობა კიდევ უფრო მეტია. მართალია, ჯერჯერობით ჩონჩხია, მაგრამ გიგანტურ განათლების სისტემას ჩაუყარეს საფუძველი. როგორც კომუნისტური ინოვაციების უმეტესობა, განათლების სისტემა ყველაზე კარგად არმიაში ამუშავდა. თუ მე-11 არმიას ან კავკასიის არმიას ტიპურად მივიჩნევთ, მაშინ წერა-კითხვის აღმოსაფხვრელად საოცრებაა მომხდარი. 1921 წლის ივნისის სტატისტიკური მონაცემებით რევოლუციამდე არსებული წერა-კითხვის უცოდინართა 85-90% შეამცირეს 5,7%-მდე. შეიძლება ეს ციფრები ოდნავ გადაჭარბებული იყოს, მაგრამ მიღწეული თავისთავად შთამბეჭდავია. ასევე, ჯარში კლუბების, ჯარისკაცთა საბჭოებისა და ყრილობების მეშვეობით რეალური თვითმართველობის ორგანოები ჩამოყალიბდა.

ვზივარ მთის წვერზე, ტფილისს რომ გადაჰყურებს, წინ მიდგას ერთი ჭიქა კახური ღვინო, აღმოსავლეთის ძლიერი ქარი ლაქებიან მაგიდის სუფრას ფეხებში მიტყლაშუნებს. მოშორებით, ძირს ფერდობზე ოთხი ჯარისკაცი შექუჩუ-

ლად ზის, ქალაქს ზემოდან გადაჰყურებენ და საუბრობენ. ჩვენს ფერხთ ქალაქი უზარმაზარ უსწორმასწორო კვადრატებადაა გადაშლილი. მარჯვნივ ციხე-სიმაგრის ნანგრევებია, მის ქვემოთ, მტკვრის ხეობაში ძველი სპარსული და ქართული ქალაქია, ქართული ეკლესიების შავ-თეთრ ორნამენტებიანი, მტევნებად შექუჩებული ფარნები ჩანს. მარცხნივ, ტალახიანი მდინარის ირგვლივ მოჩანს ხიდები, რკინიგზა, მართლმადიდებლური ეკლესიების ხახვისთავა გუმბათები და უზარმაზარი რუსული ქალაქის ხედი. შემდეგ ყველა მიმართულებით მომწვანო-მოყვითალო მთების სიმაღლეები და ფერდობები, პირდაპირ, ხალიჩასავით გაფენილი საძოვრების მიღმა მოთეთრო-მოლურჯო კავკასიონის მწვერვალები, ჩრდილოეთის ჰორიზონტს რომ ფარავენ. გამუდმებით ძლიერი აღმოსავლეთის ქარი უბერავს და ქალაქის თავზე მტკვრის ღრუბლებს ატრიალებს. მთის წვერზე, ქოხში მექანიკური პიანინო უკრავს და გიჟური კრიმანჭულის ნახავს ქარი ირგვლივ ფანტავს. აღმოსავლეთით, საიდანაც ქარი უბერავს, მთები არა დგას, მხოლოდ უსასრულო ლურჯი სივრცეა.

აზია, ხმამაღლა წარმოვთქვამ. ეს აზიაა. ქარნალებული, უკიდევანო, სასტიკი აზია. აზია, სადაც ურიცხვი მასები მზითა და ყინვით დამზრალ თვალუნვდენელ სტეპებში ზანტად და უაზროდ დაძრწიან, ალბათ გრძობენ იმ ბიძგთა პირველ იმპულსებს, რომლებმაც შეიძლება ჯებირები გაარღვიოს და უცხო ხალხის ნიაღვარი მორევად დაატრიალოს მყუდრო ქალაქებად გაშენებული მსოფლიოს თავზე. მექანიკური პიანინოს გიჟურ ჰანგებზე გონებაში ასეთი ფრაზა მიფეთქავს: მომავალი აზიაზე გადის. ამასობაში ქარის ახალმა ტალღამ დაუბერა, სკამები და დანჯღრეული მაგიდები გადააყირავა, მიმტანი კიტელის ბოლოების ფრიალით გარეთ გამოვარდა. ჯარისკაცები სახლში წასულიყვნენ. ცაში ღრუბლები, როგორც ნიჟარაში საპნიანი წყალი, სპილენძისფრად აქაფ-აქაფებულიყო.

მომავალს აზია უკარნახებს, აზიის ყალიბი კი რუსებს უპყრიათ ხელთ. მსოფლიოს რუკაზე საზღვრებს ისინი გაავლებენ. ევროპელები – ბრიტანელები, ფრანგები, ჰოლანდიელები ჯერ მხოლოდ ფოჩებს ჩასჭიდებდნენ, იმ დროს, როცა რუსებმა რასების მშობელი კონტინენტის შუაგულში შეაღწიეს. ეს ის კიტელიანი ახალგაზრდებია, წელზე შემორტყმული ქამრებით, დაკონკილი ფორმებით წითელი არმიის უსასრულოდ გადაჭიმულ, გაცვეთილ ემელონებში რომ სხედან და ღია კარებიდან შიშველ ფეხებს აქანავებენ. მერხებზე მეცადინეობის დროს ებრძვიან შიმშილით გამოწვეულ სისუსტეს, კორუფციასა და უიმედობას, საღამოობით სხვადასხვა კლუბებში ბეთჰოვენს, ბოროდინსა და პროლეტარულ სახელმწიფოზე საზეიმო გამოსვლებს გაუთავებლად ისმენენ, ეს ახალი თაობის ქერათმიანი ბიჭებია – სე ნ'ესტ პას სერიოს – როგორც გაჯავრებულმა შვედმა თქვა ბათუმში – მათ მომავალ საუკუნეთა ყალიბი უპყრიათ ხელთ, ყოველ შემთხვევაში აღმოსავლეთში მაინც.

ტფილისი, 1921წ.

**ინგლისურიდან თარგმნა  
პანტანო აბალოძემ**

**განადგურებული ლიტერატურული  
ნაწარმოებები**

- \* ნიკოლი გოგოლმა „მკვდარი სულებს“ მეორე ტომი ცეცხლისათვის რომ გაიმეტა, ეს საქციელი ასე ახსნა რუსულმა ლიტერატურისმცოდნეობამ: რუსეთის სი-ცარიელე იხილა, განიცადა და ეს ვერ გადაიტანაო.
  - \* 1866 წლის 18 თებერვალს დოსტოვესკი მეგობარს სწერდა, რომანი „დანაშაული და სასჯელი“ დაწვინო: „მე თვითონ არ მომეწონა. ახალმა გეგმამ გამიტაცა და თავიდან დავიწყე“.
  - \* ინგლისელი მწერლის რობერტ ლუის სტივენსონის ცოლმა მისი რომანის – „დოქტორ ჯეკილი და მისტერ ჰაიდი“ – პირველი ხელნაწერი დაწვა. სტივენსონების მეგობრისადმი მიწერილ წერილში უ.ე. ჰენგოი ამას იმით ხსნის: ნიგნი სრული სისუღელის ნახავი იყოო.
  - \* ბევრი რამ არ შემორჩა მორის მეტერლინკის პირველ ნაწარმოებთაგან, რადგან თვით ავტორის მიერ განად-გურდა. გადარჩა მხოლოდ ფრაგმენტები.
  - \* ფრანც კაფკა თავის მეგობარსა და გულის მესაიდუმ-ლეს მაქს ბროდს ანდერძში სთხოვდა, დაეწვა მისი რომანები „ამერიკა“, „პროცესი“, „ციხე-კოშკი“. და მოთ-ხრობების კრებული „ჩინეთის კედლის მშენებლობა-ზე“. მაქს ბროდმა არ შეასრულა ანდერძი და 1925-31 წლებში გამოსცა ნიგნები, რამაც კაფკას მსოფლიო აღიარება მოუტანა, თუმც გარდაცვალების შემდეგ.
  - \* მიხაილ ბულგაკოვმა რომანის „ოსტატი და მარგარი-ტა“ პირველი რედაქცია გაანადგურა: „და მე ჩემი ხე-ლით ვისროლე ცეცხლში ეშმაკზე რომანის შავი პირი!“ დამწვარი რომანისაგან წინასწარი მონახაზის შავი პი-რი, დახეულფურცლებიანი ორი საერთო რვეული და მესამე რვეულის დაფლეთილი პატარა კონალა შემორ-ჩა. მწერალმა რამდენიმე წლის დღიური, „თეთრი გვარდის“ მეორე და მესამე ტომის შავი ვარიანტები და ბევრი სხვა რამაც გაანადგურა.
  - \* ბორის პასტერნაკმა „მხატ“-ის დაკვეთით დაწერა პიე-სა „ამ ქვეყანაზე“. ალექსანდრე ფადეევმა ნაწარმოები „ჩვენი დროისათვის უხერხულად მიიჩნია“ და ავტორ-მაც პიესა გაანადგურა. თუმცა რიგი სცენებისა შემ-დგომ რომან „დოქტორ ჟიგაგოში“ გამოიყენა.
  - \* ანა ახმატოვამ გაანადგურა თავის ნაწარმოებები „რუ-სული ტრიანონი“ (1925-1935) და „ჩემი ახალგაზრდა ხელები“ (1940). ისინი მხოლოდ ნაწყვეტებად შემორჩა.
  - \* სავალალო ბედი ენია ენათმეცნიერის, მწერლისა და ეთნოგრაფის ვლადიმერ დალის რუსული ზღაპრების პირველ კრებულს. ნიგნის ტექსტში ცენზურამ ხელი-სუფლების კრიტიკა დაინახა, ამიტომაც ტირაჟი მთლიანად იქნა ამოღებული და განადგურებული.
- ჩვენი მხრივ დავუმატოთ, რომ:
- \* ცენზურის მოთხოვნით განადგურდა ალექსანდრე ყაზბეგის რომანი „ელგუჯა“ – ავტორის მიერ საბო-ლოოდ ჩასწორებული ვერსია. გადარჩა ორიოდ ცალი – სტამბის მუშების წყალობით.
  - \* საქართველოს მწერალთა კავშირისა და პარტიის ცენ-ტრალური კომიტეტის ჩარევით დაიჭრა და მოისპო-ლადო ასათიანის პირველი პოეტური კრებული „წინაპ-რები“ – გადარჩა ორიოდ ცალი, ისიც კვლავ სტამბის მუშების მეოხებით.

გრიგოლ კ. რობაქიძე

## მოულოდნელი ოკეანე

პატარა არწივმა იმ დილით ადრე გაიღვიძა. პატარა კი იყო, მაგრამ ამაყი გახლდათ ძალიან და ამიტომ ისე, რომ არავის შეემჩნია მისი სევდა-ნაღველ-კაეშან-სპლინ-ხანდრა; მშვიდად მიმოავლო თვალი თავის პატარავე სამფლობელოს: კლდეს, ოდესღაც მთლიანად მისი რომ იყო, თითქმის ფარავდა ნაირ-ნაირი ვარდების ნამქერი; ბუნებრიობა და თავისთავადობა მხოლოდ მწვერვალზე შეყუჟულ ბუდე და მის გვერდით ჩამონანგრევებულ-გასაცოდავებულ, ბებერ, ხავსმოდებულ ეკლესიასლა შეენარჩუნებინა.

არწივი დაბლობში ჩაფრინდა და რამდენიმე წუთში კლანჭებით მოზიდული იასამნის დიდრონი ბუჩქით ბუდე დაჩრდილა და გააკეთილსურნელოვანა: ვარდების ავი სურნელი მართვეებს აღერგიას აძლევდა, ცხოვრების ხალისს უკარგავდა და, როგორც ამბობდნენ ექიმები, იმპოტენციისაც კი იწვევდა.

– არავითარი კომპიუტერი, იმეცადინეთ! სადილი ქურაზეა, – დაუბრიალა არწივმა თვალი მართვეებს, – მე მალე დავბრუნდები.

მალეო – კი უთხრა, მაგრამ იცოდა, დღეს უამრავი საქმე ჰქონდა და შეიძლება შუალამემდეგ დაგვიანებოდა.

ვარდებს თავისი „უფლებების ინსტიტუტი“ ჰქონდათ; ამ ინსტიტუტის აქტივისტები დროდადრო ეკლესიასთან ამოდიოდნენ და თავისი ეკლებით და ავსურნელებით ეკლესიისაგან „ფართის განთავისუფლებას“ მოითხოვდნენ; თუმცა ჯვრის ემინოდან მანაც სასტიკად და ძალიანაც ვერ უახლოვდებოდნენ.

არწივმა სალოცავს მოწინებით შემოუარა და რამდენიმე ეკალი და ფარისეველების მორთმეული ფოთოლი მოაშორა... ეკლესიამ ღიმილით უპასუხა და პირჯვარი გადასახა.

ახლადა იღვიძებდა გარემო-ყველაზე ენერგიული ვარდები უკვე საქმიანად შრიალებდნენ, მეზობელ კლდეზე დაბუდეებული დიდცხვირა, ტარაკანივით შავ სვავსაც უკვე გამოღვიძებოდა და მლიქნელური, ქვემოქვემა მზერით ადევნებდა თვალს არწივის საგზაო სამზადისს.

მართვეების დარდი არ ჰქონდა – კი, ჯერაც პატარები იყვნენ, მაგრამ სისხლი თავისას აკეთებდა – არ ეშინოდან არც სვავის, არც სხვა ვინმესი; ვარდებისგან კი ეკლესია იცავდა... ჯერჯერობით. გულჩათხრობილმა, მაგრამ ამაყმა არწივმა მეზობლის მონინებულ სალამს ნისკარტის ოდნავ აწევით უპასუხა და გზას გაუდგა.

ჯერ უდაბნო უნდა გადაეფრინა არწივს. ამ უდაბნოს მკვიდრი მოსახლეობა – თეთრი ყვავები – თითქმის არ-

წივივითვე ამაყები და ლამაზები იყვნენ, მაგრამ სხვა ჯურისა.

ამისდა მიუხედავად, თეთრი ყვავები დიდ პატივს სცემდნენ არწივს; ოდესღაც თურმე (!) დიდად მტრობდნენ ამათი წინაპრები მაგრამ დღეს ყვავებს მაინც ჰქონდათ არწივის მცირე იმედი – ეგებ ამან გვიშველოს რამეო... საშველი კი, იცოცხლე, ჰქონდათ! – ამ მდიდარ უდაბნოს ვარდისფერი დრაკონის ხელქვეითები, წითელზოლიანი კოიოტები შესეოდნენ და წოვდნენ და წოვდნენ ნავთო... ეეე, სისხლს.

ვარდისფერი დრაკონი ვახსენეთ და სწორედ ის იყო პატარა არწივის დღევანდელი მოგზაურობის მიზეზი. უბრალო საქმე გახლდათ: სხვა ძველისძველი დრაკონებისგან განსხვავებით, ეს სულ ახლახან იყო შეკონინებული სხვადასხვა ცხოველ-ფრინველის ნაწილებისაგან, მაგრამ, სიახლის მიუხედავად, დიდი იყო?! – აჰ! ნურც იკითხავთ – უზარმაზარი! თანაც, ეს წითელზოლიანი კოიოტების ხროვაც ამდენად მრავალრიცხოვანი და გამაძლარი ჰყავდა, რომ შენუხდა საცხოველეთი მათი მადითა და, განსაკუთრებით, მათი უბოდიშობით – ყველგან, ყველა ბუნაგსა თუ ბუდეში კოიოტი მთავრობდა, თუ არადა ადგილობრივ მმართველებს აკოიოტებდნენ; კოიოტური ენის და კოიოტურად უშნო, მაგრამ ჩქარი ძუნძულის ცოდნა ხომ უპირობოდ აუცილებელი იყო. ვარდისფერი დრაკონი კი ლალად დანავარდობდა ჯერ კიდევ მენამულ ზეცაში და თავისი მყრალი გამონაბოლქვით თანდათან ამუქ-ამრუმებდა მას.

ამასობაში ჩვენი არწივი გასცდა თეთრი ყვავების უდაბნოს და გეზი ჩრდილოეთისკენ აიღო; გზა კი გაიგრძელა, მაგრამ, რას იზამ, ხომ უნდა დაეხედა, რა ჭკუაზე იყვნენ მისი აღმოსავლელი მეზობლები.

რამდენიმე ხანში ქვევით უკიდევანო ტრამალი გადაიჭიმა; არწივმა მზერა დაძაბა და მალე დაინახა ზედ თეთრ თოვლზე მიგორებული ვეებერთელა დათვი – თათი პირში, თავქვემ კი არყით სავსე ყუთი; – ეძინა მურას, მაგრამ არც თუ მშვიდად, ეტყობოდა, მალე გაიღვიძებდა.

ჯერ კიდევ საკმაოდ ადრე იყო, მაგრამ არწივმა ფრთების მძლავრი მოქნევით მაინც მოუჩქარა დასავლეთისკენ და თვალის დახამხამებაში ბრანდენბურგის კარიბჭესთან აღმოჩნდა – ნარნარი ირაოთი დაშვებული მეგობარი შორიდანვე შენიშნა როგორც ყოველთვის ადრე ამდგარმა, მოვლილ-დაბანილ-გაპარსულმა რუხმა მგელმა.

– აგერ, სავარძელში დაბრძანდი, – გაუღიმა სტუმარს, „შპიგელი“ გვერდზე გადადო, პენსზე მოიხსნა და ანკეპილ ულვაშზე აისვა თათი, – მართა, სოსისი და ლუდი კიდევ! – გასძახა მერე ცოლს სამზარეულოში,



რამდენიმე წუთში ოქროსფერი ლუდი კათხებიდან მზის სხივებს ირეკლავდა, სოსისი უკვე მირთმეული გახლდათ, მეგობრებს შორის კი ასეთი მასლათი გრძელდებოდა:

– ... ან მე რაღა უნდა მოვუხერხო არ ვიცი, – ჩიოდა მგელი, – კი იცი შენ, ჩემი ჯიშისაა ეგ უპატრონო, მაგრამ მას შემდეგ ათასმა წყალმა ჩაიარა, მაიმუნის სისხლიც აქვს, ლომისაც, ხვლიკისაც და ათასი ჯანდაბის კიდევ... ამ კოიოტებს, იცოცხლე, მოვეუვლიდი, მაგრამ მთავარი თვითონაა... მინაზე რომ ჩამოდიოდეს, არ დამჭირდებოდა მე არავის ჩარევა, მივხედავდი, მაგრამ ეგ აქ არ ჩამოდის და მე ზემოთ ვერ მივფრინავ...

„მე კი მივფრინავ, მაგრამ რაო“ – გაიფიქრა არწივმა.

– საკუთარ სახლში უფროსად ეს ძუკნა დამინიშნა – ამოიხსრა მგელმა.

– ვინ არის ძუკნა? – გამოიხედა სამზარეულოდან დონჯ-შემოყრილმა ცოლმა; ძუ მგელი კი იყო, მაგრამ აშკარად ეტყობოდა წითელი ზოლები, – შენ განძრევა გეზარებოდეს, სხვისი რა ბრალია, მე კი ბავშვებს რამე უნდა ვაჭამო! – და თავის თავგადაპარსულ ლეკვებს თავში წამოარტყა.

– დაგვტოვე, მართა! – შეუღრინა მგელმა, – ჩემი ნებართვის გარეშე აქ არც ხდებოდა და არც მოხდება რამე!

მერე ამაყად გაიჭიმა სავარძელში და დასძინა:

– მაგრამ შენ მართალი ხარ, რამე უნდა ვილონოთ, – და მობილური ამოილო ჯიბიდან, – დავურეკავ, იგვიანებენ...

– მე რომ გადმოვუფრინე, ეძინა, – თქვა არწივმა, – აღარ გავაღვიძე, ხომ იცი, ისედაც დაძაბული ურთიერთობა გვაქვს...

– უხ, მაგის ბაჯბაჯა კარგიც... – შეიკურთხა მგელმა და ამ დროს ტელეფონიდან ხმამაღალი ბურღლუნი მოისმა, – გზაში ვარ, გვიან გავიღვიძე, თხუთმეტ წუთში მანდ ვიქნები... – ხომ გითხარი, მოვა-მეთქი, მაგას იმისთვის აკბენინე და არც არაყს დაღვეს, არც იკრას შეჭამს, – გაიკრიჭა მგელი და სამხრეთის კარისკენ გაიხედა; კარში ბერეტჩამოფხატული მელა და ჩექმებიანი კატა შემოცუხცუხდნენ.

მელიამ წითური კუდი სავარძლიდან ჩამოუშვა:

– გაგიუბული ვარ პირდაპირ. – დაიწყო ჩვეული წუნუნი, – ის მაიმუნების ნათესავი შავი მელიები რომ შემომისახლა ამას წინათ, ხომ გახსოვთ? გაცოფდნენ ეგ ოხრები, სორო კინალამ გადამინვეს, საკუთარ სახლში აღარ მაყენებენ... და ყველაფერი იმიტომ, რომ უდაბნოში ჩემიანების გაგზავნაზე უარი ვუთხარი... აღარ ვიცი, რა ვქნა, ბავშვები შიშვითი მეხოცება... თან ეს ქათმის გრიბი...

კატამ თათი თათზე გადაიდო და „პერსტენიანი“ ნეკა თითის ფრჩხილით კბილიდან მაკარონის ნარჩენი მოიშორა:

– ოჯახში სიტუაციას უნდა ფლობდე, აი, მე, მაგალითად ვერაფერს მიბედავს, იცის, რომ მაგის ქუჩებს ჩემი ბიჭები აკონტროლებენ; თუმცა, – დააყოლა უქმაყოფი-

ლო კრუტუნით, – ბოლო დროს სულ წავიდნენ ხელიდან... აღარც უფროსის პატივისცემა, აღარც ავტორიტეტის...

– აღარც ქალის, – გამოსძახა სამზარეულოდან მართამ.

ამ დროს აღმოსავლეთის კარი დაიხრდილა და ვილაცამ ბურღლუნით გაუკეთა რეზიუმე დიალოგს:

– მაგრამ ექნებათ პატივისცემა... ძალის! – და დათვი ხმაურით გაიშხლართა სავარძელში.

მალე მეგობრებს მგლის მეზობელი ტახი, ჩრდილოეთის კარიდან მოსული თეთრი დათვი და სხვა ანექსირებულ-შევიწროებული ცხოველებიც შემოუერთდნენ და ყველამ დასავლეთის კარს მიაპყრო თვალი.

– არ მოვა, მაგას ჰგონია, იქით ვეახლებით, – სიჩუმე დაარღვია მელამ.

– უმაგისოდაც იოლად გავალთ, – ჩაიბურღლუნა დათვმა.

– აბა, რა! – გაიცინა მგელმა.

ის, ვისაც ასე ელოდნენ, არ მოვიდა. ან როგორ მივიდოდა?! – ბოლო ასი წლის განმავლობაში დრაკონი მას რაღაც უცნაური აბებით კვებავდა და ამ ბებერ, კეთილშობილ არსებას თავი ჯერ კიდევ მეფედ მიაჩნდა.

მგელი ინტერნეტით დაუკავშირდა, მაგრამ მონიტორზე „მეფის“ ნაცვლად ძუ ლომი გამოჩნდა, ოდნავ დაბნეული ჩანდა:

– სძინავს... ვერ იყო კარგად... თანაც, – კამერისკენ გადმოიხარა ლომი და ჩურჩულით მიმართა მგელს, – ასე ლიად... ხომ იცი, რამდენი ხელის შემშლელი პირობა აქვს... ლიად ვერ უპირისპირდება და თან... დინამიკებიდან ყო-უ ბრდღვინვა მოისმა და კავშირი განწყდა. – ასეც ვიცოდი, – სავარძელში გადანვა მგელი; კმაყოფილი ჩანდა, – მახსოვს 40-იანი წლები... ხომ კარგად დაგაბოლეს?! – გადახედა დათვს და გაიცინა.

დათვმა რაღაც გაურკვეველი ჩაიბურღლუნა და მელას გახედა – მელა ედიტ პიაფის რომელიღაც სიმღერას ლილინებდა მეოცნებე სახით.

კატა მგელს მიუახლოვდა:

– კარგი, აღარ გინდა ამ ძველი შეცდომების გახსენება. დროა უკვე გზას გავუდგეთ...

... და მეგობრები მოხუცი კობრას სამფლობელოსკენ გაეშურნენ; კობრა პირამიდაში ცხოვრობდა და თავისი სიბრძნითა და შორსმჭვრეტელობით იყო განთქმული, თანაც თეთრ ყვავებს ენათესავებოდა და მისი აზრი მეგობრებისთვის ამითაც უფრო მნიშვნელოვანი გახლდათ.

... მალე კატის სახლს მიუახლოვდნენ, სცილა და ქარიბდა უკან მოიტოვეს, აპოლონის სალოცავს გვერდი აუქციეს, პატარა რუს გადააბიჯეს და პირამიდას მიადგნენ.

– მე მაგასთან ვერ შემოვალ – გადაულაპარაკა არწივმა მგელს, – შეიძლება თავი ვერ შევიკავო და ჩავუწინსკარტო...

– აუ, შენ რა კონფლიქტური ვინმე ხარ, – კისერიც კი მოაბრუნა მგელმა, – არ მიკვირს, რომ ესეც კი გადაიმტერე...

მგელი დათვს უყურებდა – მურას არყისბოთლიანი ხელით დოინჯი შემოეყარა, მეორეთი კი პირამიდის ზარს აწვალებდა.

კარი გაიღო და ნამძინარევი კობრა თაღებს შუიდან გამოსრიალდა, არწივმა ძალაუნებურად ყურზე იჩქმიტა და – ვინც მე მაგინებს, იმის დედაო! – ჩაილაპარაკა.

– ააა, ვიცოდი, რომ მოხვიდოდით – აჩიფჩიფდა კობრა, – გელოდით, – და კარის წინ, ქვიშაზე განვა.

წუთით უხერხული დუმილი ჩამოვარდა – მართლაც, უცნაური იერარქიულ-ეტიკეტურ-სუბორდინაციული სიტუაცია გამეფებულიყო ფაუნეთში – ფრინველთა მეფე, მართალია უგვირგვინო, არწივი გახლდათ; გვირგვინი კი ჰქონდა, მაგრამ რეალური მეფე ცხოველებისა არ იყო მანაც გამოღრძეებული ლომი, აი, ქვეწარმავლებში კი კობრა მბრძანებლობდა, თუმცა დრაკონის ხელქვეითი, ზღვისგაღმელი ანაკონდები მას აღარ ემორჩილებოდნენ; თან თვითონ კობრაც შენუხებული იყო მის გარშემო განლაგებული მაიმუნების თავხედობით, თავნებობით, თავგასულობით, და თავცარიელობითაც. მოკლედ ბესპრედელი იყო?! – ბატკა მახნოს მიუქარავს.

– გეყოფა, კაცო, რა დროს ძილია! – ველარ მოითმინა გაგრძელებული უხმოობა დათვმა და კობრას (აბა, მხარი, გვერდი და ხელ-ფეხი იმას არ ჰქონდა!) თავზე უბოდიშოდ წაუტყყაპუნა ტორი.

– სსს, – ასისინდა უკმაყოფილო კობრა, – სსს, – თან ტრანსში მყოფი მრავლისმეტყველ-მედიუმ-ორაკულივით მილულა თვალს.

– სსს... სისხლი? – სცადა გამოცნობა მელიამ.

კობრამ უარის ნიშნად თავი გააქნია.

– აბა, სვასტიკა? – ავად გაუნათდა თვალები მგელს. ისევ უარი.

– სსსელძოდკა და არაყი, – გაუხარდა დათვს.

კობრამ ბოროტად გახედა (თავში ჩარტყმული ახსოვდა) – ს კი არა შ! შშშ...შამბალა... ზევით უნდა ახვიდე, იაკთან... იმან იცის. . ქსსსს–სელიი, პროცესსსსორი, მიკრო–სსს–ქემა... – და დაიძინა.

– შშშ – რა ვქნათ? – ენა დაება კატას და ქვიშაზე განოლილ გველთუდიდებულესობას (თფუი ეშმაკს!) დახედა.

– შშშ–ორია, – ამოიხვნეშა დათვმა.

– უნდა შშშავიდეთ! – გადანყვეტით თქვა მგელმა და არწივისკენ გაიხედა, მაგრამ სევდიან მეფეს უკვე ცაში შეეკრა კამარა და იქიდან უყიოდა მეგობრებს – მომყევითო.

– სად უნდა „შავიდეთ“ – ამ ჯანდაბაში? – პირამიდისკენ წაგრძელებული ცხვირი დაემანჭა მელას, – ერთი ჩემი წინაპარი ცდილობდა... ამბობენ, შევიდა კიდეც... მაგრამ მერე ბოროდინო, ვატერლოო, ელენეს კუნძული...

– „შავიდეთ“ კი არა, წავიდეთ, – შეუღრინა მგელმა, – გაინძერიტო – მკაცრად დააგდო და შორეული აღმოსავლეთისკენ არწივის კვალდაკვალ თუ ფრენდაფრენ

დაადგა სავალ-საძუნძულეს, თან ზემოთ იყურებოდა და მეგობრის ნიშნებს პასუხობდა.

დათვმა ნახევარი ბოთლი „ს გორლა“ ჩაცალა, შემკრთალ-შემშინებული მელია ილლიაში ამოიჩარა, ამოიოხრა და მგელს მიჰყვა:

– რა, ლომი მოგენატრა, არა? ნუ გეშინია, ბორდელებს აღარ დაგიხურავენ, როგორც ოკუპაციის დროს... კატა და დანარჩენები უკან მიჰყვები.

შორეული აღმოსავლეთისკენ გზა შორი იქნებოდა, აბა, მოკლე?!

ის იყო, მომქანცველ აღმართს უნდა შეჰყოლოდნენ, მთის ძირას, პატარა მდინარიდან ახლად ამოსული ბებერი ვეფხვი შემოხვდათ, გალუმპული იყო და საცოდავად იყურებოდა ხალიანი შუბლის ქვეშიდან.

– ჰარი კრიშნა!

„ჰარი შენ და ოხრობა“- ო, – გაიფიქრა არწივმა.

– ჰარი, ჰარი, ჰარი-რამა! – გაუხარდა მელას.

– ხარა-ხურა, ხრენ მორჟოვი! – უკმაყოფილოდ ჩაიბურდლუნა დათვმა, თავისი ბანჯგვლიანწარბებიანი წინაპრის და ვეფხვის ბებიის ურთიერთობა გაახსენდა და სევდაშემოწოლილმა ახალი ბოთლი გახსნა.

ვეფხვი თავისი ციცა თვალებით ვილაცას ეძებდა მეგობრებს შორის.

– ნუ გეშინია, აქ არ არის, – ჩაიცინა მგელმა, – ამოიძუა კუდი და სახლშია, „მანჩესტერ“ – „ლივერპულს“ უყურებს!

– ფილმი ვიღებ, – დაბნევით ჩაილაპარაკა ვეფხვმა, მალალ ლელიანს გახედა და ვილაცას გასძახა:

– ჯიმი!

პასუხი დაუყოვნებლივ და თან ქალურ-ბოლივუდური, სამინლად ყურისწამლები ხმით გაისმა:

– აჯა, აჯა, აჯა! – და ვეფხვიც ჯუნგლებში გაუჩინარდა.

აღმართს შეუყვნი; არწივი დროდადრო ქიმებზე ჯდებოდა და მოთმინებით უცდიდა, როდის ამოაღწევდნენ მის დონემდე ეს მოფორთხილ-მხოხავ-მოზოზინე არსებები (სხვათა შორის დათვი ყველაზე მოხერხებული აღმოჩნდა!)ჭალაში შეყუყული პანდები ცნობისმოყვარეობისგან დაწვრილებული თვალებით შესც-ქე-როდნენ მეგობრებს.

იყო და არა იყო რა... კი არადა... სად იყო და სად არა (ან ეს რა შუაშია?) მოკლედ მალე მათ წინ ძაკის კარავი აღიმართა.

სანამ მორიგე თავგადაპარსული „რიგითი“ ძაკი უუ-უუ-იაკეს სტუმრების მოსვლას ამცნობდა, მეგობრები კარვის წინ მოთამაშე თავგადაპარსულსავე მოთამაშე ძაკუნებს უყურებდნენ და ძალაუნებურად კარვიდან მისი უძაკესობის ყოვლად ნეიტრალიზ-ჩაურევლურ-მშვიდობიანი ხმა ესმოდა:

– „ჰეპი მილები“, – ტელეფონით უკვეთავდა „ვეგეტარიანელების მამა“, – ასე, 20 ცალი, 5 „ჰამბურგერი“, 3 „ჩისბურგერი“, 3 „ბიგ-მაკი“ და... (ამ დროს სტუმრებზე მოახსენეს) არა, 15 „ბიგ-მაკი“ და „კოკა-კოლა“... კიდეც კარტოფილი და...

რაზე ისაუბრეს შამბალაზე ქაკმა და მისმა სტუმრებმა, საცხოველთაშორისო დაზვერვის სამსახურის რეკომენდაციით სრულიად გასაიდუმლოებული ინფორმაციაა. თუმცა უბრალო ობივაციელისთვის გასაგებ ცნობად რჩება, რომ, თურმე არწივს, ქაკის რჩევა-პროგნოზის მოსმენის შემდეგ, კარვიდან გამოსვლისას, ჩაუცინია მწარედ: – ესაა პიკასოს ბიჭიო?

– ასე რომ, მნიშვნელოვანი იქაც არაფერი მომხდარა და საგანგებოდ მათთვის შეკვეთილი საგზლით ხელში მეგობრები დაღმართს დაუყვნენ; გზაგასაყარს რომ მიადგნენ, შემდეგი შეხვედრის დრო და ადგილი დათქვეს და დაიშლნენ. დათვის და არწივს მცირე გზა ერთად უნდა გაეელოთ და ამ მოგზაურობის შემდეგ ცოტა – დაღლილ, ცოტა – ჩაფიქრებულ, ცოტა – ნასვამ, ცოტა – იმ ჩაფიქრების წყალობით ისევ დაახლოებულიყვნენ.

– ცოტანი დავრჩით ბებრები, – მეგობრულად მოუთათუნა ფრთაზე თათი დათვმა – ვითომ დასაქოქ ცხოველებად გადავაქცევინ?

– დაგრჩა არაყი? – არწივმა ჯერ მათარა გამოართვა, მოსვა (ჩვეულებრივი, დალოცვილი ხორბლის არაყი იყო) და მერე უპასუხა – სასო არ უნდა წარვიკვეთოთ!

– მოქმედებაა საჭირო, – ჩაიბურღლუნა დათვმა.

– თავისთავად, – დაეთანხმა არწივი, მერე კამარა შეკრა (აქამდე დინჯად აირაოებდა დათვის თავზე), რადგან დათვის ბუნაგს მისდგომოდნენ და უკვე ზემოდან გადმოსჭყვილა) – აბა, შენ იცი, ზაპოი არ აიკიდო... მაგრად!

– ღმერთი შენსკენ, – გულაჩუყებულს მათარა უკვე ამოელო და მთვრალი კაც-ევე, – ცხოველის სინყნარით დუღლუნებდა დათვი, – შენ ყოველთვის მიგებდი... ბევრ რამეში არა ვარ მართალი შენთან, – აქ შენიშნა, რომ არწივს აღარ ესმოდა და თავისთვის, კიდევ უფრო ჩუმად, მაგრამ გულწრფელი სიჯიუტით განაგრძო, – ჰოდა, ძმები რომ ვართ, იმიტომაც ვიგრუხები, ჩემზე უფრო ვილაცა გრიზლის რომ ეძმაკაცები... კაროჩე... არწივი კი მიფრინავდა; აღარც გრიზლი უნდოდა, არც პანდა, არც კოალა და არც შოკოლადი „მიშკა ნა სევერე“ ... საღამოდებოდა.

... და, თითქოს სადღეისოდ საკმარისი იყო თავგადასავლები, არწივს კიდევ ორი შეხვედრა მაინც ელოდა: ჯერიყოდა, უკვეთავის სამფლობელოში უნდა შემოფრენილიყო, რომ საზღვარი გიჟივით გადმოკვეთა

თავანყვეტილმა პატარა, სწრაფმავალმა „ბი-პლანმა“, რომლის „შტურვალ-პულტან“ ვარდების „უფლებების ნისტუტუტის“ სიამაყე, მისი სახე, მისი საპატიო ვითომ-მმართველი (თვითონ მართავდნენ, თან ძირს უთხრიდნენ) იჯდა. სოლიდურობისათვის ამ ვითომ-მმართველს შეფ-ჭინკას ეძახდნენ... ისე „ჭინკის“ მხრივ ამართლებდა „კლიკუნას“ – ტუჩი კურდღლის ჰქონდა, მადა – მგლის, თვალები კი დრაკონის უახლოესი თევზი-ნათესავის – ზვიგენის... თან ჭინკურად შეჰყავდა, გიჟურად... მოკლედ, ჯიგრულად რომ ვთქვათ, უბერავდა, რა! ახლაც ალტაცებული ბავშვის სახით ჩაებლუჯა ერთ-ერთი ბერკეტი (ოლონდ, სინამდვილეში, ცხაადია, სხვა მართავდა) მოპარულ ჯვრიან დროშას აფრიალებდა და სიხარულისგან ქვლოპინებდა.

და და სიხარულისგან ქვლოპინებდა.

– ნეტაი შენ და უი შენს პატრონსო, – სინანულით გადაააქნია თავი არწივმა და გზა განაგრძო.

აი, გამოჩნდა მისი კლდეც, ეკლესია, სახლი; შორიდანვე შენიშნა მართველები – ძილის წინ სახლის ახლო-მახლო ხვედნენ ფრენის ოსტატობას.

ისეთი დაღლილი იყო არწივი, თავი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც ისამხრა შვილებთან ერთად, რამდენიმე ჭიქა ხვანჭკარა გადაჰკრა

და ყველანი დასანოლად მზადებას შეუდგნენ.

სწორედ ამ დროს გაისმა ყრუ გუგუნო.

– ფუ ამის, რა დროს ეს იყო, – შეიკურთხა არწივმა, – თქვენ დაიძინეთ, მე მალე ჩამოვალო, – დაუბარა შვილებს, უკვე მერამდენედ და ისარივით აიჭრა ზევით.

მართველები ხვდებოდნენ, რაშიც იყო საქმე; მშობლის სიფრთხილის ამბავიც კარგად იცოდნენ და მალე მართლაც უდარდელად ჩაიძინეს.

საქმე კი იმაში გახლდათ, რომ წელიწადში ასე, ოთხჯერ-ხუთჯერ ეს გუგუნო უკვე გარდაუვალი გახდა: – ვარდისფერი დრაკონი სწორედ ამ ინტენსიობით უვლიდა ხოლმე პლანეტას გარშემო; ამონებდა „მასსების ხასიათს“, გადასახადების გადახდის ხარისხს, ნავთობის დინების სტაბილურობას და, რაც მთავარია „დემოკრატიული პრინციპების“ გარანტიებს, მოკლედ, კაცობრ... თუ ცხოველბრიობის კეთილდღეობაზე ზრუნავდა.

ჩვენი დაგვაგინყდა, რომ სანამ ბუდეში შეფრინდებოდა, არწივმა ალტქმა შეასრულა და ეკლესიაში სამი სანთელი აანთო – ერთი წარსულის (მადლიერების),



მხატვარი ნანა ტატუაშვილი



მეორე მომავლის (იმედის) და მესამე ანმყოსი (პატი-  
ების). ჰოდა სანთლები ჯერ კიდევ ერთო ხატების წინ,  
როცა სრულიად ზესკნელში აჭრილმა ფრთოსანმა მე-  
ფემ მის წინ გართხმული უზარმაზარი მასსა დაინახა.  
რიტმულად მოტორტმანე ფრთების ხმაურს ნესტო-  
ებიდან გამონაბოლქვი ოხშივარის ქშენა ერთვოდა –  
ეს იყო გუგუნის წყარო; მომრგვალებულკუთხეებიან  
სამკუთხედად გადახლართულ უზარმაზარ ღიპზე  
მოთავსებული ნოუთ-ბუქის მონიტორს ნახევრად  
მთველმარე, ზანტი მედიდურობით ადევნებდა  
თვალს.

პატარა, მაგრამ ამაყმა არწივმა ვერ მოითმინა – ალ-  
ბათ, სომალში მოშიმშილე შავი ყორნები, ფრენის სწავ-  
ლის შესაძლებლობის არმქონე სხვა ფრინველები და კი-  
დევე უამრავი რამ გაახსენდა, - და, აქამდე მშვიდმა და  
ფრთხილმა, პატარა, მაგრამ ამაყმა არწივმა ჯიბე მოიჩ-  
ხრიკა და გაგულისებულმა პირველი, რაც ხელში მოხ-  
ვდა, მონყვეტით გაუქანა ამ მაძლარ, კმაყოფილ, თავის  
თავში დარწმუნებულ, ფრენის უფლების არმქონე, მაგ-  
რამ მაინც მფრენ ობიექტს.

„რალაც“ ძაკის მიერ საგზლად გამოტანებული,  
საფირმო ქალაღდში გახვეული „ბიგ-მაკი“ აღმოჩ-  
ნდა...

... როცა გაგანია გარღემში „სტაროჟილი“ ზანგი ბე-  
ბიას უკანალივით გასიებულ მის გავას ეს გემრიელი,  
მაგრამ ცუდი გულით და ხელით გამოსროლილი სათ-  
ქვლეფი მოხვდა, დრაკონი მოულოდნელობისგან სერი-  
ოზულად შეკუნტრუმ-შეთიმთიმდა და ...

... ნოუთ-ბუქი მთელი თავისი „ნავაროტკით“ ძალიან  
დიღხანს მიფრინავდა – ჯერ დინამიკებით, მონიტორი,  
პროცესორი, პულტი და მათი გაუჩინარდნენ რომელი-  
ღაც ოკეანის სიღრმისაკენ, მათ უუუ-დიღხანესად და  
უუუ-გრძესად მისდევდა გაყვანილობის სადენი.

... ბოლოს კი ოკეანის ზედაპირზე კვების ბლოკის  
წყნარი დგაფუნი გაისმა.

„შეუმჩნეველმა“ არწივმა თავს პირობა მისცა, რომ  
არასდროს დაიფიწყებდა სასიკვდილოდ დაბნეული, სა-  
სო-ნარკვეთილი დრაკონის სახეს...

ოკეანე ისევე მოულოდნელად გაქრა, როგორც გა-  
მოჩნდა. შორიდან ჯერ კიდევ ისმოდა გამწარებული  
დრაკონის ფრთების ტყლაშუნი.

სახლში დაბრუნებული არწივი წყნარად მინებდა თა-  
ვის მოკრძალებულ საწოლზე მოსვენებას.

ათას ვინმეზე და რამეზე ფიქრობდა ძილის წინ:  
დროზე, ილიაზე, მარადიულობაზე, ვაჟაზე, სრულყო-  
ფილებაზე, კანონზომიერებაზე, ქმნაზე, ქმნადობა-  
ზე, დასაწყისზე, უდასაწყისობასა და უსასრულობა-  
ზე, სულზე, გულზე, ტვინზე და სხეულზე, უცნაურო-  
ბაზე, ჭეშმარიტებაზე; მერე – მაცხოვარზე, მაცხოვ-  
რამდე რაც იყო, იმის გათვალისწინებით, შემდეგ მოვ-  
ლენებზე:

ბიზანტიაზე, რომზე, ავინიონზე, ჯვაროსნებზე, ინ-  
კვიზიციაზე, ტამპლზე, შატიონზე, კალვინზე, ლუთერ-  
ზე, კოლინზე, ვილჰელმ ორანელზე ... მართლმადიდებ-  
ლობის სიმართლეზე, პატიოსნებასა და კეთილშობილე-  
ბაზე... კიდევ ჭორიკანა ისტორიაზე, დამლუპველ ფიზი-  
კასა და მომწამვლელ ქიმიაზე... ალექსანდრ- მუსლი-ატი-  
ლაზე, ბონაპარტზე, შიკრუბერზე, პატარა სოსოზე...

ქალაღი რომ ვერ იტევს, იმდენ რამეზე იფიქრა არ-  
წივმა; მერე, თვალს რომ მაინც არ გაეკარგა რული, გან-  
ჯინიდან სამმაგი ჯერი კონიაკი დაისხა, გაიხსენა, რომ  
ხვალ მინა ჰქონდა დასაბარი – გაზაფხული ახლოვდე-  
ბოდა, გულს მოეფონა, ერთბაშად გადაჰკრა დედამინის,  
სიცოცხლის, მშვენიერების სადღეგრძელო და, სანამ  
გადაქანცული ძილს მისცემდა თავს, ერთხელ კიდევ გა-  
მოისახა პირქ.

პირველი შთაბეჭდილება

ღვთის ანაბარა

ცივილიზაციის სამყარო, რაგინდ შენიღბული, შეფუთუ-  
ლიც არ უნდა იყოს საკანონმდებლო სტრუქტურებით, კონ-  
სტიტუციით მონიჭებული საყოველთაო უფლებებით, საერ-  
თაშორისო პაქტებით, ვალდებულებებით და პასუხისმგებ-  
ლობებით, დღეს უკვე ცხადზე ცხადია – თანამედროვე მსოფ-  
ლიო პოლიტიკა არაფერს ისეთ ანგარიშს არ უწევს და არა-  
ფერს ისე არ ემორჩილება, როგორც ჯუნგლის კანონებს,  
რომლის უმთავრესი არსი – ძლიერისაგან სუსტის დაჩაგვრა-  
ში მდგომარეობს.

ამიტომ სულაც არ გამკვირვებია, როდესაც ახალგაზრდა  
ნიჭიერმა კაცმა გრიგოლ-კობა რობაქიძემ, რომელიც მუდმივ  
ძიებაშია, არ უშინდება ექსპერიმენტებს და ყოველი მისი  
მომდევნო მოთხრობა სრულიად განსხვავებული წინამორბე-  
დისაგან დიდი ინტერესით იკითხება, ამჯერად „იასამნის-  
ფრად მართალ და მართლმადიდებლურად სევდიან იგავს“  
მიმართა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ მრავალმხრივმა ადა-

მიანმა 2005 წელს რუსულად დანერილი ლექსების კრებული  
„აერობარი“ გამოსცა მაკა ლდოკონენის მშვენიერი ნახატე-  
ბით გაფორმებული, რაც პირადად მე გრ. კ. რობაქიძის შე-  
მოქმედებით გამარჯვებად მიმაჩნია.

წინამდებარე იგავ-არაკის ცხოველთა სამყარომ ძალიან  
მოიხდინა ის ხასიათები, პორტრეტები, ინტონაციები, შეც-  
დომები, ამბიციები და როლები, რითაც სავსეა ცოდვაში ჩა-  
ძირული მიმდინარე პროცესები და მოვლენები – რომელსაც  
სხვადასხვა სახელმწიფოები და მათი ლიდერები აწარმოებენ  
ე.წ. სამართლიანობისა და მშვიდობიანობის ეგვიდით. რალაც  
აბსტრაქტული, უპიროვნო და აბსურდული ახალი მსოფლიო  
ნესრიგის სახელით.

რაც შეეხება ჩვენს სამშობლოს, მაცხოვრის მადიდებელ  
ამ მიწიერ სამოთხეს როგორ დატოვებდნენ „გულშემატკივ-  
რები“ ღვთის ანაბარა...

ამაზე და კიდევ უამრავ სხვა რამეზე დარდი და სევდა  
განსაკუთრებული სიფაქიზით სწორედ იგავის ფინალში გამ-  
ულავნდა.

მაკა ჯონსაძე



1949 წლის 27 მარტს რამდენიმე ახალგაზრდა პოეტთან ერთად მარი აბრამიშვილმა გამოსცა ხელნაწერი ჟურნალი „ანათემა“. რალაცნაირად წინასწარმეტყველურიც კი გამოდგა თითქოს ამ ჟურნალის სახელწოდება, სრულიად ახალგაზრდა პოეტი ქალიშვილი დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს.

ტუსალობის მძიმე, გაუსაძლისმა წლებმა მაინც ვერ ჩაკლა პოეტის სული და სამშობლოში დაბრუნებული კვლავ განაგრძობს ლიტერატურულ საქმიანობას. გამოცემული აქვს 16 პოეტური კრებული. მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს დაჰკლვებია დარდი და ნუხილი, განსაკუთრებული სევდით სწორედ ბოლო წლების პოეზია გამოირჩევა.

მარი აბრამიშვილი ქართული ლიტერატურის ერთი ჩუმი, მოკრძალებული, ჩრდილში მდგარი პოეტი და იქნებ ამ სიჩუმისა და ნიჭიერების თანმხლები სიმორცხვის გამოც გაუჭირდა ლიტერატურულ კრიტიკას მისი პოეზიით დაინტერესება. თავად ქ-ნი მარისათვის კი ლექსი ყველაფერია: „შენში ვარ შეფარებული შენს სადღეგრძელოს ვნატრობ, შენ ჩემო შეყვარებულო, ჩემო ობლობის ხატო“.

**მარი აბრამიშვილი**

**მოვეფეროთ პოეტს**

მოდი, ჩემო გულო და  
ისევ იმ სიყვარულს ვუგალობოთ,  
ბნელ ბრბოს ვინც ვერ ჰგუობდა,  
პოეტს მოვეფეროთ –  
მუდამ ობოლს.

ხან მღერის და ხანაც დუმს,  
შთაგონება არასოდეს ტოვებს,  
სიმარტოვით დალდასმულს,  
მოვეფეროთ, მოვეფეროთ პოეტს.

ვინც კალამს სისხლში ანებს,  
ამზეურებს სულის ფარულ სარჩოს, –  
პოეტის სისხლით ნაწერს  
სიტყვის უკვდავებას გაუმარჯოს.

**ტაში**

როცა ხალხმრავალ დარბაზებში იფეთქებს ტაში  
და ემსგავსება ხელების ტყე გრივალში ნარხევს,  
ჩემი ხელები მე მიწყვია კალთაში მაშინ,  
ვით ორი ტოტი, ამ ხმაურს რომ სიჩუმით არღვევს.

მე – ტაშს არ ვუკრავ!  
მაგრამ ნუვინ იფიქრებს წამით,  
აღფრთოვანება, მოწონება ჩემში ფრთას არ შლის,  
თავმდამბლობისთვის მხოლოდ პატივს მივაგებ ამით  
მას, ვისაც უნდა ანთილებდეს გრიალი ტაშის.

პოპულარობის დაავადდა ბევრი დღეს სენით,  
რაც თავისუფალ მოქმედებას კაცისას ზღუდავს;  
ტაში კი უფრო ნასულ კაცის ხსენებას შვენის,  
ვისაც სიცოცხლეს და სიკვდილიც ქვეყნისთვის სურდა.

შექების გარდა, ტაში ხშირად პროტესტსაც ნიშნავს,  
ხან დაცინვასაც გამოხატავს, უფრო კი – ლაქუცს, –  
ამ დროს მე სხვაგვარ სტრიქონს ვფერავ – ნვეტიან  
ისარს,  
რომ მართალ სიტყვას ვათქმევინო, ამ ტაშით რაც ქუხს.

**მთვრალი კაცი**

ფანჯრიდან ვხედავ:  
მოდის ვილაცა,  
არ ჰგავს უბრალოდ ნასვამს,  
ამოდის კაცი ქვემოდან ზემოთ  
და სამკუთხედებს ხაზავს.

მარცხნიდან – მარჯვნივ, მარჯვნიდან – მარცხნივ  
მისი თეთრი თმა ელავს, –  
მანდ სადღაც გზაზე თხრილია, მგონი,  
ფრთხილად, მოხუცო, ბნელა!

აჰა, მივიდა, უაზრო მზერით  
კარი მონახა სახლის,  
გამოეგებეთ, ქრისტიანებო,  
მოსვენება სურს დაღლილს.

არ გაიკვირვო, გამწარებული  
კაცი თუ ღვინოს დაღვეს,  
რა დროის ახლა საყვედურია,  
ფხიზელს უთხარი ხვალე.

ფხიზელს მოკითხე და გაურისხდი,  
მთვრალი ცოდოა, ცოდო,  
დაჰკარგა ქუდი, გახადე პალტო,  
არ წაეჩხუბო, ცოლო!

ქალი ხომ სულ ქმრის მოლოდინშია  
(მოვიდეს თუნდაც მთვრალი),  
სიყვარულითა და მოთმინებით  
სავსე ფიალა – ქალი.

**რწმენა**

მკვდრეთით აღსდგა,  
მამა ღმერთთან წავიდა,  
ჯვარცმული კი ჩვენთან დარჩა ქრისტე;  
მძიმე ტვირთით, ტკბილითა თუ მწარითა,  
ქრისტიანი მის ნაკვალევს მისდევს.

## პოეზია

კაცის გულში მალალ რწმენას რა ნაშლის,  
ის ხომ დღესაც ყველგან ხედავს იმ ჯვარს,  
თვალს მოჰკრავს და თუ არ შევა ტაძარში,  
შორიდან ხომ გადაინერს პირჯვარს.

ზღაპარივით კეთილი გაქვს ხომ ბოლო,  
ტანჯვა შენი განიბნევა ქარად, –  
საქართველოვ, შე ლამაზო ობოლო,  
მამა, ძე და ღვთისმშობელი გფარავს.

### ქალი და კაცი

თუმც კი პირველად ღმერთმა შენ შეგქმნა,  
გაგილო სიცოცხლის კარი,  
მაგრამ მართო შენ რა უნდა გექნა,  
რომ არ შეექმნა ქალიც?

შენ თუ მამრი ხარ, გარეშე მდედრის  
ხომ ვერ ივარგებდი ვერსად,  
რომ არ გაეყო ქალს შენი ხვედრი,  
ვერ მოერეოდი მტერსაც.

გახსოვდეს მისი ღირსების დაცვა,  
არ გადავიწყობ არც ის,  
რომ ერთმა ნეკნმა გაქცია კაცად  
თეთრმეტყენიანი კაცი.

### შურისძიება

შურისძიება? შურისძიება  
არ უნდა იყოს კარგი თვისება,  
როდესაც გული ბოლმით ივსება,  
ხელდება, ავობს, იწვის, ცივდება.

არ გამოდგება ეს სულის სარჩოდ,  
სხვაგვარ ფასდება კაცის ღირსება, –  
შენი მტერიც კი არ უნდა საჯო,  
როცა დასჯილი არის ისედაც.

\* \* \*

ჰა, გული ამოვიგლიჯე,  
სული ვაფრინე ცაში,  
აჰა, ლექსს ფრთები შევასხი,  
ცისა და მიწის კავშირს.

მამა-პაპათა ნაკვალევს  
თუ ვერ ჩავუდექე კვალში,  
დედაო, შენი შვილობის  
მე რა ღირსი ვარ მაშინ.

ჰა, ფეხქვეშ გიფენ ცხოვრების  
ფურცლებს კარტივით გაშლილს  
და ჩამოვდივარ სიცოცხლეს –  
გამომიქვითე ვალში.

\* \* \*

რაღას უდგას? რას ჯიუტობს ვიცოდე,  
როცა წუთი წამის კენკავს ნამცეცხვს;  
გათხრილ საფლავს გადაახტა სიცოცხლე,  
სადღა მიდის?  
რაღა უნდა?  
რას ეძებს?

## გამოსაუბრება

### შედეგბული ჰაერი

სილვია პლათისა და ემილი დიკინსონის ქართულად ამა-  
მეტყველებელი რომ დახვეწილი გემოვნებისა და სათუთი  
მგრძობელობის პოეტი იქნებოდა, ამაში ეჭვიც არ მეპარებო-  
და, მაგრამ ლელა სამნიაშვილის ლექსებიდან („ჩვენი მწერლო-  
ბა“, №16) გადმოღვრილი სახეები მაინც მოულოდნელი იყო  
ჩემთვის. ამ ლექსებმა მოახერხეს სხვა სამყაროს ვზიარებოდი.  
პოეტი ქმნის სამყაროს (ჩემი პირადი საზომი პოეზიისა ეგაა).  
არ ვიცი ლიტერატურათმცოდნეობაში რა ტერმინოლოგიებით  
მოიხსენიებენ ამ ყველაფერს და არც მაინტერესებს, იმას, რო-  
ცა ეს რეალური სამყარო – თითქოსდა ჩვენ თვალწინ განფენი-  
ლი – საეჭვო და მოყირაყებულია, ხოლო სხვას, თვალსადასწერს  
მიფარებულს, მაგრამ რეალურს, და ვინ თუ არა პოეტმა უნდა  
მიავნოს და შემოგთავაზოს ეს სიგიჟემდე მონატრებული სამ-

კვიდრო სული. იმ სამყაროში შეიძლება ჰაერი შედეგბული  
იყოს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ სულელები ვიხილოთ ხელშე-  
სახებად. იმ სამყაროში სამშობლოს ოხშივარი სასულეშია გა-  
დაცდენილი, სამყაროში, სადაც შეიძლება დაკარგო ჩრდილი,  
თუმცა ვერ დაკარგავ უკვე სამშობლოში დაკარგულს.

მე არ შემხვედრია: „ატამი – გულის სურნელი“. მე ასე მეს-  
მის. აქამომდე თითქოს რა სასხვათაშორისოდაა ნათქვამი,  
„მშვიდობისთვის დაწყებული ომი მოგონებების ბუმერანგე-  
ბი“; მაგრამ სახეები არაა მხოლოდ სახეებისთვის. სახეების  
ცვენა ისეა, რომ ბარაქიანად დადოს თოვლი და ერთიანად  
გადაათეთროს სანახები, სადაც ცხოვრებამ შეიძლება სულ  
სათითაოდ დაკარგოს დაღმატინელის ლაქები.

სახეთაცვენა შემომეფთა ქალბატონი ლელას ლექსები-  
დან და მიხაროდა, რომ უცებ აღმოჩენილ სამყაროში ლამაზი  
და მოულოდნელი სახეები თოვდა, და უბრალოდ არ შემეძლო  
არ შეგხმინებოდი.

ქარდა ქარდუსი  
ბათუმი



არაფერს ისე გაოცებით არ ადევნებს თვალს და არაფერი ისე არ უკვირს ამ ლექსების ავტორს, როგორც პოეტური სიტყვის აღმოცენება. ეს თითქმის იგივე სასწაულია, მინიდან ბალახი რომ ამოინვერება. ამიტომ მისი ჩაღრმავება და სრული კონცენტრირება საკუთარ თავში უფრო ადამიანური შესაძლებლობების დადგენას და აღმოჩენას ემსახურება და აბსოლუტურად დაცლილია ეგოიზმისგან.

ის მოარული, ერთი შეხედვით ტრივიალური ფრაზა, რომ წიგნები ავტორთათვის შვილებივითაა, ნუნუ ჯანელიძესთან შედარებად, მეტაფორად კი არა, რეალურ განცდად აღიქმება: „... შვილებს სხვა სისხლიც ურევიათ, ლექსები კი ჩემია, ჩემი...“

ნუნუ ჯანელიძე

\* \* \*

ახლა მე ციცხვი ვარ,  
მათ ბნელ გულთა ძირების  
მცოდნე

და სირცხვილმა  
ჩემი თავი თუ შეაძულათ,  
სულაც არ მიკვირს;  
ახლა მე ციცხვი ვარ,  
და ქვის ფსკერზე ჭუჭყს,  
ლექად მიკრულს,  
ცხვირით ვეხები ...

\* \* \*

შვილები არ დამმსგავსებინ ისე,  
როგორც ლექსები;  
რადგან შვილებს სხვა სისხლიც  
ურევიათ,  
ლექსები კი ჩემია, ჩემი,  
ჩემში უმანკოდ ჩასახული  
სასწაულები.

\* \* \*

ჩემი სულის გადასახედთან  
თუნდაც წუთით დააყენა იგი,  
ვინაც მე მომიძულა  
და ანახა სიყვარულის ჩემი  
სამეფო;  
ეგებ ღველფი დარჩენილი  
მოეძია მის მრუმე სულში  
და აენტო პატიების  
მეტაფორები...

\* \* \*

თითქოს თავს აღარავის ვაწონებ,  
მაგრამ სულში ღრმა ნაწილი

რომ არ გამიჩნდეს,  
ვწრიალებ, ვწრიალებ  
და წარამარა ვიცვლი  
გვერდს და მხარს  
და წნორი,  
ჩემში ფესვებგადგმული,  
ცახცახებს, ცახცახებს...

\* \* \*

ან აზრი არ მქონოდა  
და დანახვის ნიჭი,  
არ ეამბნა ამდენი  
კარს დარჩენილს ღრიჭოდ.  
ან მოეცა ჩემთვისაც  
უფალს  
იმის ცოდნაც,  
რომ ამ ქვეყნად  
შევებისთვის  
მოკვდავს ჰყოფნის ცოტაც...

\* \* \*

ერთმა ჩრდილმა უთხრა მეორეს:  
მე უფრო დიდი ლერწმის  
ჩრდილი ვარ  
და უფრო მეტი წელი მაქვს  
ქვეყნად;  
... თუმც ერთნაირად ორივენი  
გაქრნენ სალამოს...

\* \* \*

ლადარში რომ კვერს შეახვევენ  
შორს წასულისთვის,  
ისე როგორ გადამინახე, ცაო,  
ცეცხლისთვის;  
ხელს მიხსნი თითქოს  
ფიცისგან და  
მათავისუფლებ,  
მაგრამ უფრო ტყვედ და მძევლად  
მტოვებ სოფელში.

ღადარში რომ კვერს შეახვევენ  
შორს წასულისთვის...

და გაბნეულ იგავ-არაკებს  
ვაცვამ მძივივით.

\* \* \*

გულის თვალი დამორცხვებით  
ავაპყარ ზეცას,  
ნეტავ როგორ მომინონებს  
ქცევას ახლანდელს;  
... დამიფარა სახე უფალმა,  
მივანვდინე მზერა მხოლოდ  
ღრუბლის სახლამდე  
და უსიტყვოდ უკუვიქეც  
სირცხვილეული.

\* \* \*

პიროფლიანი დაბრუნდა სახლში  
და პურისა საქმელად დაჯდა;  
მე ვდგავარ ფეხზე,  
თუმცა გარჯა  
არც მე მაკლია,  
მაგრამ მას მერე,  
ტკივილებით რაც ვშობე  
ძენი,  
ყველაფრის ძლევა  
მიაღვილდება;  
მაგრამ იცოდე,  
ყველა შენი ვახშამ-  
-სადილი  
ჩემი ლექსებით შემიკმაზავს,  
პიროფლიანო...

\* \* \*

ახალმა ნაძირალებმა  
ძველი ნაძირალები  
დამავინყეს  
და  
ახალმა მეგობრებმა  
ძველი მეგობრები  
გამახსენეს;  
... შენ მიხსნი, ხელებს  
ალბათ, ბავშვურ შეცდომებისგან  
ცაო და  
გულის გულში მახედებ.

\* \* \*

ვითომ ჩემი სიღარიბე  
ისეთი რა სავიზიტო ბარათია  
სასუფეველისთვის;  
ან მდიდარი რითი არის ჩემზე  
ცოდვილი,  
თუ მის სიმდიდრეს, როგორც მელა  
ყურძენს,  
შევნატრი მეც,  
სიხარბისგან ნერწყვმორეული;  
თანაც, სიმდიდრე – სიღარიბეს  
გულით ზომავს თუკი  
უფალი.

\* \* \*

ვინ გაასწორებს სოფელს მრუდეს  
ძაღლის კუდივით,  
კიდით-კიდემდე ჭანგს მოდებულს  
ვინ ამოძირკვავს;  
ჩამკიდე ხელი, სიყვარულო,  
ხელი ჩამკიდე  
და მატარე ფრთხილად ბილიკით  
და ძეძვს და ბირკავს  
თავი ჩემი არ შეატოვო...

\* \* \*

კარგად გამომადგა ბავშვობაში  
ტალახით რომ სახლებს ვაგებდი  
და სიმინდის გუნგით ხუხულებს;  
დღემდე ისევ გაუხუნარ თამაშს  
ვთამაშობ,  
ახლაც ისე, ვით ბავშვობაში,  
ვაშენებ – ვანგრევ,  
ვანგრევ – ვაშენებ  
და არ მთავრდება  
სახლობანას  
ორომტრიალი...

\* \* \*

მე უკვე სხვა ნაპირზე ვდგავარ  
და იქიდან ვუმზერ,  
როგორ ფუთფუთებს მიწა  
და მხოლოდ ვინრო ზოლად მოჩანს  
ადგილი მყარი;  
ის, ვინც მართლა შეძლებს  
სიყვარულს,  
ააშენებს სახლს კლდეთა ზედა  
და მდინარეთა კვეთა ძლიერს  
ვერას დააკლებს;  
მე უკვე სხვა ნაპირზე  
ვდგავარ

\* \* \*

ვისაც ჩემსავით უჭირს,  
უჭირავს ვისაც კბილით  
სული  
და ძალა მუჭით,

ვისაც ჩემსავით ბევრჯერ  
ცარიელი აქვს კუჭი,  
მას ხელებს მაგრად ვუჭერ,  
ვითარცა ზიარჭურჭელს.

\* \* \*

ეჰ, ქვას კი არა,  
ზეთი ნიგოზს ვერ  
დავადინე,  
მივზილ-მოვზილე,  
მაგრამ მაინც ვერ  
დავადინე;  
ასე ადვილი ვინა თქვა  
გზები...  
ეჰ, ქვას კი არა,  
ზეთი  
ნიგოზს ვერ დავადინე...

### ცხოვრება

ვითომ ვუყვარვარ, ვითომ  
და ჭაობისკენ მითრევეს,  
დღეებს და წუთებს მითვლის,  
მირთავს ბზით ხსოვნის ნიშებს.  
ვითომ მატყუებს, ვითომ  
და თითებს თვალწინ  
მიშლის,  
მე კი, ვიჯერებ ვითომ  
სიყვარულით თუ შიშით...

\* \* \*

ჩემი ლექსებიც უკანასკნელი დღეებივით  
დამოკლდნენ,  
თითქოს თქმა რომ მოასწრონ რამეს,  
თანაც მგზავრებს წაკითხვა რომ არ  
დაეზაროთ;  
ჩემი ლექსები –  
– დროსთან შეზრდილი.

\* \* \*

ბუმბულად გიჩნდეს ჩალა-ბულა  
და პური თუ გექნეს,  
ჯერ კიდევ თბილ ცრემლში,  
ვით ღვინოში, ჩაანე  
და ყელთან მოსული სული  
უკანვე ჩააბრუნე...  
... და ნანერს შენსას  
ადამიანის სუნი  
თუ აუვა,  
არ შეგრცხვეს  
იმისა...

\* \* \*

არც კი იყო ჩემი საქმე  
ბნელის მორევა;  
ბნელის მომრევი  
მოვა მალე  
და ფიქრს შორეულს  
მოგვიახლოვებს;  
არც კი იყო ჩემი საქმე  
ბნელის დამხობა,  
მე მხოლოდ წვერი წავემახე  
სიტყვას სახოვანს  
და ბნელს კვალხვეულს  
ნაპერწკლები გავაყრევი...

\* \* \*

როდესაც ვზივარ ჩემთვის  
იმედგადაწურული,  
გონების ბნელი გვირაბიდან  
თუ მინურიდან,  
როგორც მიწიდან,  
ბალახივით ამოიწვერება  
მფეთქავი სიტყვა და  
დამწერეო,  
ჩურჩულით მეტყვის;  
... და ქვეყანა ჩემი  
მგონია.

\* \* \*

ზეცის კალთებზე ვერა, მაგრამ  
ღვიის ტოტებზე მაინც გავაფენ  
საშობაო წვიმებივით  
ჯერაც თბილ პნკარებს  
და ზანზალაკთა შორეულ წკარუნს  
მივაყურადებ.

\* \* \*

სიყვარულისთვის ისე მზად ვარ,  
როგორც ბავშვი დაბადებისთვის;  
წინ ინვდის ხელებს  
და ვარდებს ისვრის  
სული ჩემი  
მოყვასისაკენ;  
... ნუ მომისარკავ  
ყინულიან,  
ცივი მზერით  
უგრძეს ბილიკს  
შენკენ მომავალს,  
მოყვასო ჩემო.

მიგელ დე უნამუნო  
**ფლოპერს  
 რომ  
 ვკითხულობ**

ყველაფერს აქვს თავისი კარგი მხარეც და ცუდიცო, – უთქვამს ჩვენ სასიქადულო პეროგრულოს,\* ვინც ჩემდა-თავად კლასიკოსად მიმაჩნია და ვინც გაუგებარ, ანდა უფრო სწორად, გასაგებ მიზეზთა გამო, – როგორც თვითონ ფიქრობდა, – დაუმსახურებლად გაკილეს. ჯერ კიდევ იმ წლებში, როცა ის-ის იყო ვინყებდი წერას საზოგადოებისათვის, ვთქვი: გაცვეთილ ჭეშმარიტებათა გადამღერება მათი გაუგებებელყოფის საუკეთესო საშუალებაა-მეთქი. იმხანადვე იყო, მადრიდის ყოველკვირეულმა „გედონმა“ მიზანში რომ ამომიღო – ეტყობა, მახვილგონიერებაში განაფვის მიზნით, – და განაცხადა, ამგვარი სენტენციები გონებისათვის მიუწვდომელი ღვლარჭნილი პარადოქსების მეტი არაფერიაო. და რაკი ცოცხალი აღარ ბრძანდება ის, ვინც ამტკიცებდა, ესეც და სხვა მსგავსი გამოთქმები, – თუმცა კი ცხადზე ცხადი, – გაუგებარიო, ვერ დავიჯერებ, მისი დღემდე კარგადმყოფი კოლეგები მაინც თუ გაიგებენ. ჩემთვის კი დღესაც ისევე ნათელია, როგორც მრავალი წლის წინათ იყო, მაშინ, როცა ეს აზრი გამოვთქვი. ასე რომ, თუ კარგად ჩავეუკვირდებით ამ ძველ, პეროგრულოსეულ გაცვეთილ ჭეშმარიტებას, რომლის თანახმად, ყველაფერს აქვს თავისი კარგი მხარეც და ცუდიც, დაეინახავთ, რომ სრულიად დაეკარგება ის მნიშვნელობა, რაც ჩვენი გონებრივი სიზანტის გამო შეიძინა, ანუ, როცა აზრის ადგილს ფრაზა იკავებს.

ისეთ ცხოვრებასაც კი, როგორცაც მე ვცხოვრობ – მთავარი მიმოსვლის გზებიდან კარგა მანძილით დაშორებულ ძველთაძველ პროვინციულ ქალაქში, სადაც შედარებით ადვილია განმარტოება – ამისთვის კი შინ დარჩენაც კმარა, – უთუოდ აქვს კარგი მხარეც და ცუდიც; მე თუ მკითხავთ, კარგი უფრო. თითოთოროლა მეგობარი მაინც გამოჩნდება ხოლმე, ვისაც შეიძლება ფიქრი გაუზიარო; ან ვთქვათ, ზაფხულობით, კარგი ამინდისას მინდორში, მთებში, მუხნარში სეირნობას რა სჯობს; ხანდახან ქალაქის ჭორებს ანდა მუნიციპალიტეტის საქმეებზე მსჯელობას გადააყოლებ გულს. მართალი გითხრა, ნაციონალურ თუ ინტერნაციონალურ საკითხებზე მოსაბეზრებელი მაინც არ არის, ბოლოს და ბოლოს. შემოდგომაზე, დღეები რომ მოკლდება, თან ამინდიც წამდაუნწუმ იცვლება, ხშირად წვიმს, შინ ყოფნას არაფერი მირჩევნია, ჩემს შვილებსა და ჩემს დიდებულ ნეტარსენებულებთან. კაცობრიობის საამაყო გენიოსებს ვგულისხმობ.

\* ფოლკლორული პერსონაჟი, რომელიც საღი აზრის განსაზღვრების საზოგადო სახელად გადაიქცა.

სწორედ ასე ვცხოვრობ ახლაც, ვკითხულობ თუკიდინდეს, ტაციტუსს, ოლონდ კი იმაზე არ ვიფიქრო, თუ რა ხდება ევროპაში. გადავდებ ხოლმე განზე გაზეთს, რომელიც გვამცნობს საფრანგეთსა და გერმანიას შორის მოლაპარაკების, თურქეთ-იტალიის ომის მსვლელობის, ჩინეთის რევოლუციის, სიცილიაში ათენელთა ექსპედიციის, ან გერმანიკუსის სიკვდილისა და სხვა ამბებს. ასე წავიკითხე ამ ბოლო ხანებში ვისენტი ფ. ლოპესის „არგენტინის რესპუბლიკის ისტორია“, რომლის წყალობითაც ბევრი ისეთი რამ გავიგე, რასაც მერე ვიტყვი.

კარგი მკითხველი სამ, ოთხ და ხუთ წიგნსაც კი ერთდროულად უნდა კითხულობდეს, ერთისაგან მეორეში რომ დაისვენოს. ასე ვკითხულობდი ამ დღეებში ქსენოფონტეს, ტაციტუსს, ერთ გერმანულ თხზულებას ქრისტიანული რელიგიის შესახებ, პორტუგალიურ წიგნს, დიდი ჩრდილოამერიკელი ისტორიკოსის პარკმანის ისტორიულ ნაშრომს და ამავე დროს ვკითხულობდი და ხელახლა ვკითხულობდი ფლობერს, მისი წერილების ხუთი ტომი კი არ ვიცი, მერამდენედ გადავიკითხე. ფლობერი ხომ ჩემი ერთი ყველაზე დიდი გატაცებაა. აზრადაც არასდროს მომსვლია მივბრუნებოდი ზოლას რომელიმე რომანს, მაშინ, როცა სამჯერ წავიკითხე ბალზაკის ერთი რომანი, ძმებ გონკურებსაც გადავაგლე თვალი, მაგრამ კვლავ და კვლავ ვუბრუნდები ფლობერს. საქმე ისაა, რომ ზოლას – ეს მართებულად აღნიშნა ფლობერმაც, – თითქმის მთლიანად უგულვებელყოფს ხელოვნებას, სილამაზეს. იგი დალუპა ექსპერიმენტული რომანის შექმნის მცდელობამ და მეცნიერების გულუბრყვილო რწმენამ; მან მეტისმეტად ბავშვურად დაიჯერა მეცნიერებისა, თუმცა სულერთია, მაინც ვერაფერი გაუგო. მაგრამ ფლობერი, ეს მართლაცდა გოლიათი ფლობერი თხემით ტერფამდე ხელოვანია, წმინდა ხელოვანი, ერთიანადაა გამსჭვალული ხელოვნებით, თან სკეპტიციზმითაც და თანაც ღრმა იმედგაცრუებით.

თავიდან გადავიკითხე „გრძნობათა აღზრდა“, „სამი მოთხრობა“, მინდა ხელახლა წავიკითხო „მადამ ბოვარი“, დავასრულე „ბუვარი და პეკიუშე“, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც მისი „წერილები“ მზიბლავს! აი, სად ჩანს მთელი სისრულით ეს მწერალი, ის, ვისზეც ამბობენ, – თვითონ ამასვე ამბობს, – საკუთარი პიროვნება სულ ერთიანად გააქრო თავის წიგნებშიო. არა, ეს არ არის და არც შეიძლება იყოს მართალი, თუკი დიდ ხელოვანზეა საუბარი.

ავტორის პიროვნება არა ჩანს მხოლოდ საშუალო მწერლის შემოქმედებაში და არა ჩანს მხოლოდ იმიტომ, რომ მას არც გააჩნია ინდივიდუალობა, ხოლო ის, ვისაც ეს მადლი აქვს ბოძებული, ყველგან და ყველაფერში სჭვივის, ყველაფერში, რასაც კი შეეხება, და რაც მეტად ცდილობს თავისი პიროვნების მიჩქმალვას, მით ცხადად ვხედავთ მას. ხოლო ფლობერს ნამდვილად ცოცხლად ვხედავ მის წიგნებში და ვხედავ არამარტო ფრედერიკ მოროს სახეში – „გრძნობათა აღზრდა“, – არამედ ემა ბოვარისა და წმინდა ანტონისა, ანდა, თუ გნებავთ, პეკიუშეს სახეშიც, დაახ, სწორედ პეკიუშეს სახეში.

თვითონ ფლობერი ამბობს, ავტორი თავის ქმნილებებში ისე უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ღმერთი ამ სამყაროში, რომელიც ყველგან არის, თუმცა ყოველთვის უხილავიაო. ამ დროს კი მავანი ცდილობს დაგვარწმუნოს,

თითქოს მის წიგნებში სჭვივის ღმერთი. მე კი დაბეჯითებით გეუბნებით, რომ მის ნაწარმოებთა არაერთი გმირის სახეში მე ვცნობ თვითონ ფლობერს, მისივე წერილების ავტორს.

ამ დღეებში კი განსაკუთრებული გულისყურით ვაკვირდებოდი ამ ადამიანის გრძნობათა საკვირველ ცვალებადობას, ამაღლებულთან ერთად ვხედავ ჩვეულებრივ სანიადაგდღეოს, აღფრთოვანებასა და დაღვრემილობას, უსასოობასაც და იმედგაცრუებასაც! მაგრამ ყველაზე უნინ მაინც მაკვირვებს ერთი მისი თავისებურება და ეს გახლავთ ტანჯვა, რასაც მაშინ განიცდის, როცა უსმენს ადამიანთა სისულელებს.

მერედა რა კარგად მესმის მისი და განა მარტო მესმის? მეც ამასვე განვიცდი, ჩემთვისაც კარგადაა ნაცნობი ის გრძნობა, რამაც ათქმევინა წიგნში „ბუვარი და პეკიუშე“ – „და მაშინ მათში გაღვივდა ის მტანჯველი უნარი (une faculte pitoyable), როცა სისულელებს მოისმენდნენ, აღარ მოეთმინათ“. ფრანგული სიტყვა „betise“ კიდევ უფრო მძაფრად გამოხატავს ამ გრძნობას. ხოლო 1880 წელს თავის მეგობარს, მაღამ როჟე დე უენეტს სწერდა: „მთელი ორთვენახევარი სრულ მარტოობაში გავატარე, სწორედ ისე, დათვი რომ შეიყუჩება თავის ბუნაგში და, მართალი გითხრა, ძალიან კარგადაც გავატარე; შეხვედრითაც კი არავის შევხვედრივარ და, ამდენად, სისულელების მოსმენასაც ვადავურჩი. ლამის ავადმყოფობად გადაიქცა ადამიანთა სისულელების სმენა, ისე მაკარგვინებენ მოთმინებას, ასე მგონია, განგებას ეს თვისება მათთვის მარტო ჩემს გასალიზიანებლად მიუცია-მეთქი; ამიტომაცაა, მხოლოდ უკაცრიელ სივრცეში რომ ვსუნთქავ თავისუფლად“. ეს მეც კარგად მესმის და არათუ მესმის, – რაც უნდა ის ილაპარაკონ ჩემზე, ჩემს რაღაც პატივმოყვარეობაზე, – ეს ავადმყოფობა ჩემთვისაც კარგადაა ნაცნობი.

ეს მართლაც რომ გაუსაძლისი ტანჯვაა, მწარე გაცდა, და კარგად მესმის ფლობერის სატკივარიც; ძალზე უსიამოვნოა, მაგრამ ეს სენი მეც შემეყარა, დაე, თუნდაც ქედმაღლობაში ჩამომართვან, მაინც ვიტყვი, რომ ვეღარც მე ვუძლებ ადამიანთა სისულელებს, მითუმეტეს, როცა სიკეთის სახით გამოგვეცხადება ხოლმე. მომიტევოს უფალმა, თუ ვცოდავ, მაგრამ გონიერი და ბოროტი კაცი მირჩევნია კეთილ სულელს; სიკეთე და სისულელე ერთმანეთში კიდევ რომ მორიგებებულიყვნენ, თუკი ეს შესაძლებელია, უკეთეს შედეგს, სულერთია, მაინც არ გამოიღებდა, რადგანაც სისულელე უბირია, შურიანია და კნინი; ეტყობა, სულელს სწორედ სისულელე უშლის ხელს, ბოროტება რომ ჩაიდინოს, მაგრამ სიკეთის ქმნაც რომ არ ძალუძს! მე თვითონ უფრო ადვილად დავხუჭავდი თვალს ბოროტებაზე, ვინემ უსახურობასა და უხამსობაზე, მითუმეტეს, როცა ისე შემოგაპარებენ, გეგონება დიდად საგულისხმო რამ იყოს. გონებრივი უგერგილობა და უღიმღამობა ლამის ფიზიკურ ტკივილს მგვრის. ზოგიერთ ჩემს მეგობართან შეხვედრასაც კი ვერიდები, სულ

ერთი და იგივე გაცვეთილი და გულისგამანყალბელი, თუნდაც მარადიული ჭეშმარიტებები რომ არ ვისმინო, თუნდა კათოლიკეები იყვნენ და თუნდაც ანარქისტები, მორწმუნენი ან ურწმუნონი, ოპტიმისტები თუ პესიმისტები, ხოლო დღევანდელი უხამსობა, ასე რომ მოიკიდა ფეხი, კიდევ უფრო მალონებს, ვინემ ძველი, ტრადიციული; მაგრამ ხვალინდელი ანბანური ჭეშმარიტებანი სულერთიანად მაკარგვინებს მოთმინებას, რადგან სიახლესა და გამორჩეულობაზე დებს თავს და გუშინდელთან სახსენებელიც არ არის. ამიტომაც, კათოლიკური სისულელე ისე არ მალიზიანებს, როგორც ანარქისტული.

ნიგნი, რომელიც მოგვითხრობს ბუვარისა და პეკიუშეს, ამ ყვეფი და უიმედო ადამიანების ამბავს, ნამდვილად გულისდამამძიმებელი ნიგნია; მერედა წერის რა ხერხი შეურჩევია – მშრალი, წყვეტილი, ერთიდან მეორეზე გადადის. ალაგ სარკაზმებს მიმოაბნევს, მართლაც რომ მძიმეა. მაგრამ თუ კარგად ჩავუკვირდებით, ამ ორ მიაშიტ ადამიანს, – თუმცა არც ისე მიაშიტს, – რაღაც აახლოვებს დონ კიხოსთან, ფლობერის ამ ერთ ყველაზე საყვარელ გმირთან და თვით ფლობერთანაც. ბუვარიცა და პეკიუშეც, ისევე, როგორც დონ კიხოტე და სანჩო პანსა, უთუოდ გენეტიკურად მონათესავე სახეები, არც ისეთი კომიკურები გახლავთ, როგორც ერთი შეხედვით მოგეჩვენებათ, ისიც მარტო იმ სულელთა თვალთ ჩანან ასეთები, რომელთაც თვლა არა აქვთ, სოლომონს რომ უთქვამს, სინამდვილეში კი ისინი ტრაგიკული არიან, ღრმად ტრაგიკული.

გუსტავ ფლობერი

„დონ კიხოტე“ ფლობერის უსაყვარლესი ნიგნი იყო; 1852 წელს, მაშინ იგი ოცდათერთმეტი წლისა გახლდათ, თავის მუხას ლუიზ კოლეს სწერდა: „დონ კიხოტეში“ ყველაზე მეტად ის მაცოცებს, რომ მასში ხელოვნურობის კვალსაც ვერსად მიაგნებთ, ხოლო ილუზიისა და რეალობის მართლაც გასაკვირი თანაარსებობის წყალობით ნიგნი ერთდროულად სასაცილოცაა და პოეტურიც. მის გვერდით ნებისმიერი ნიგნი გახუნდება! რა არარაობად წარმომიდგება საკუთარი თავი, ღმერთო ჩემო, რა პანანინაა! დონ კიხოტემ ფლობერის სულში ნამდვილად წარუშლელი კვალი დატოვა; მისი შემოქმედებაც ერთიანადაა გაჟღერებული კიხოტიზმით; სერვანტესი, რაბლესთან და ალბათ გოეთესთან ერთად, იყო ერთი იმ გენიოსთაგანი, ვინც ასე რიგად აღაფრთოვანებდა მას. ვინ იცის, ეგებ სწორედ სერვანტესისაგან გადავინდებო მასაც „ესპანეთის ავადმყოფობა“; ამაზე ამბობს კიდევ ერთ თავის წერილში: „Je suis malade de la maladie de L' Espagne“ („მე ავად ვარ ესპანეთის ავადმყოფობით“). ამ დროს კი მან დანტეს, ამ დიდებულ ფლორენციელს, ვინც ჩემს უსაზღვრო აღფრთოვანებას ინვევს, ჯეროვანი პატივი არ მიაგო; ალბათ ეს ვოლტერისადმი მისი ერთგულებითაც აიხსნება, რასაც მე პირადად ვერ გავიზიარებ; ესეც არ იყოს, გემოვნების საკითხიცაა, უფრო სწორად, აღზრდისა; ფლობერს კი სათანადო კათოლიკური აღზრდა არ მიუღია,



თუმცა კათოლიციზმის ძალას ასე თუ ისე მაინც გრძობდა. 1858 წელს მან მადემუაზელ ლერუაიე დე შანტის, ქალს, რომელიც ღრმად იყო ჩაფლული რელიგიურ საურავში – *rara avis!* – ასეთი სიტყვებით მიმართავდა: „კიდევ ასიოდე წელი გასტანს დავა ორი ტიპის ადამიანებს შორის – ერთ მხარეს კათოლიკებს, მეორე მხარეს კათოლიკებს შორის“.

საბრალო ფლობერი კი ვერც ერთს მიაკუთვნებდა თავს და ვერ მეორეს; მას მტკიცე რელიგიური რწმენა არ გააჩნდა, მაგრამ ვერც იმ ჩვეულებრივი გონების ადამიანთა რიცხვს მიაკუთვნებდით, ვისაც უსაზღვროდ ალაფრთოვანებს ფილოსოფია და მეცნიერება, პროგრესი და ტექნიკა. კარგად მესმის მისი მდგომარეობა, ანდა როგორ შეიძლება არ მესმოდეს? განა მეც ამასვე არ განვიცდი? განა მეც მის დღეში არა ვარ?

1864 წელს მადამ როჟე დე ჟენეტს სწერდა: „მიზეზთა ძიება ანტიფილოსოფიურიცაა და ანტირელიგიურიც, ხოლო რელიგია როცა ამტკიცებს, თითქოს მისთვის მიზეზი ცნობილია, კიდევ უფრო უარესია, ვიდრე ფილოსოფია, თუნდაც ეს გონების მოთხოვნილება იყოს! რას გვთხოვს გული? თანახმა ვარ, ოღონდ სწორედ ამას უნდა მივაგოთ პატივი, ვიდრე ეფემერულ დოგმებს!“ რამდენჯერ მითქვამს მეც იგივე!

ახლა ყურადღება მიაქციეთ იმავე ქალბატონისადმი 1861 წელს გაგზავნილ წერილში გამოთქმულ აზრს: „მართალი ბრძანებით, ლუკრეციუსი ნამდვილად ღირსსაცნობია; მას მხოლოდ ბაირონს თუ შევადარებდი, ოღონდ ეგ არის, ბაირონს მისი დიდმნიშვნელოვნება და სევდის გულწრფელობა აკლია. ანტიკური მელანქოლია უფრო ღრმა მეჩვენება, ვიდრე თანამედროვე, რადგანაც ახალი დროის ადამიანები, ასე თუ ისე, მაინც ახსენებენ უკვდავებას, ბნელი ქვესკნელის მიღმა რომ არსებობს თურმე, ანტიკურობისთვის კი ის ქვესკნელი თვით უსასრულოდ წარმოგვიდგება. მათი ზმანებანი ამ ქვესკნელს დასტრიალებენ თავს, არცა კვიტი, არცა ტკივილი, სულ არაფერი, მხოლოდ სიმშვიდე იხატება მათ გარინდებულ სახეებზე. ღმერთები უკვე აღარ ბოგინობდნენ, ქრისტე კი ვერ არ მოვლენოდა ამქვეყნას. ციცირონიდან მოყოლებული ვიდრე მარკუს ავრელიუსამდე დროის შუალედში დამდგარიყო წამი, ერთადერთი წამი, როცა ადამიანი დარჩა მარტო. ველარასოდეს ველარავინ მოესწრებოდა ასეთ დიდებულ წამს; მაგრამ ამავე დროს ლუკრეციუსი უკვე გაუსაძლისი გამხდარიყო თავისი ფიზიკითა და პოზიტივიზმით. მისი სისუსტე ის იყო, რომ ეჭვი არა ღრღნიდა; მან მოინდომა ყველაფრის ახსნა და შეჯამება!“ ეს რა ადამიანია! მე არათუ ვხედავ მას, ვგრძნობ კიდევც და ვგრძნობ პირდაპირ გულსგულში!

და ეს კაცი, ვინც გულგრილ, უგრძობ ადამიანად მიანჩნიათ და მის ხელოვნებასაც უპიროვნებოდ თვლიან, დიას, სწორედ ეს კაცი 1854 წელს, მაშინ იგი ოცდაცამეტი წლისა გახლდათ, კოლეს წერდა: „ასე მგონია, ვბერდებით, ვმწარდებით, ვმჟავდებით და ჩვენი ძმარი იმღვრევა! და როცა ზოგჯერ შევანჯღრევ საკუთარ თავს, მაშინდა ვხვდები, რა გრძობა მქონია შენდამი – ჯერ ფიზიკური ლტოლვა, მერე სულიერი ნათესაობა, მტკიცე მამაკაცური ერთგულება და პატივისცემა. სიყვარული ჩემთვის ყველაზე მაღლა დგას ამ ცხოვრებაში და მასზე ტყუი-

ლუბრალოდ არასდროს ვლაპარაკობ. გასულ ღამეს ჩემს ოცნებას, თხუთმეტი წლის ყმანვილის კვიმატ ოცნებას, სილა გაანანი და გაანანი ნამდვილ ბურჟუასავით, ბრალი დამდე სულმოკლეობაში. ახლა ჩემთვის ყველაფერი ცხადი გახდა და მერე როგორი ცხადი! მაგრამ შენ მაინც როგორ ვერაფერი გაიგე ჩემი წერილებიდან? ნუთუ ვერ იგრძენი ის ირონია, როცა გრძობის წინააღმდეგ გავიბრძოლე, ეს უფრო დამარცხებულის გმინვა იყო, ვინემ გამარჯვებულის ყიჟინა!“

დიას, დამარცხებულის გმინვა, რასაც ხუთი წლის შემდეგ – 1859 წელს – ერნსტ ფეიდოს სწერდა მისი მეუღლის გარდაცვალების გამო: „ნურც ეცდები გაეცე დავიწყებას, პიროქით, კიდევ მოუხმე! ჩვენისთანა ადამიანებმა ადენ სასონარკვეთილებაში უნდა ვეძიოთ ჩვენი რწმენა. ბედზე მაღლა უნდა დადგე და მასავით გულგრილი გახდე. როცა ჭვრეტ ქვესკნელს და იმეორებ „ასეა, ასეაო!“ მაშინლა მშვიდდები, მაგრამ მშვიდდები კი? განა მართლა ასეა? არა, არ მშვიდდები. მაგრამ იმედი აკი სწორედ უიმედობაში უნდა ვეძიოთ და თავიდან მოვიშოროთ ყველა ეს მეცნიერებაზე გადარეული სულელები, სულ იმ თავიანთ სიმღერებს რომ გაჰკვივან, ვითომ მთლიანად არ ვქრებით, ვითომ სხვა მარადისობაში გადადივართ და რომ ადამიანთა მოდგმა წინ მიინევსო და სხვა ათასგვარ უაზრობას.“

ნაიკითხეთ ფლობერის წერილები და თვალწინ წარმოგიდგებათ კაცი, რომლის შემადრწუნებელი ირონია მხოლოდ დამარცხებულის გმინვა გახლდათ, ადამიანი, რომელიც იტანჯებოდა მადამ ბოვართან ერთად, ფრედერიკ მოროსთან, მადამ არნუსთან, წმინდა ანტონთან და პეკიუშესთან ერთად... თქვენ წარმოგიდგებათ ადამიანი, ვისთვისაც ლამის რელიგიად გადაიქცა სასონარკვეთილება და თვითკმაყოფილი ბურჟუასადმი ზიზლი, ვინც ვითომ ჩანვდა ჭეშმარიტებას და ტკება ამ ცხოვრებით, თან სისულელებით დაგარეტიანებთ რწმენისა და გონების სახელით, ამასთან მეცნიერებას და რელიგიას მოიშველიებს, ოღონდაც დაგაჯეროთ; განა გასაკვირია, თუ ასეთი ადამიანი, როგორიც გახლავთ ფლობერი, ცხოვრობდა კრუსაქში და მტკივნეულად განიცდიდა სისულელებს, ადამიანთა ამ **Betise**-ს, ოღონდ კი განრიდებოდა და აღარ ესმინა მათთვის, მთლიანად ჩაეფლო წიგნებში და თავისი ტკივილი საკუთარ ქმნილებებში ჩაახშო.

მას სტკიოდა თავისი სამშობლო, მერედა როგორ სტკიოდა! საკმარისია ნაიკითხოთ მისი 1870 წლის, პრუსიელთა შემოსევისა და პარიზის ალყის დროინდელი წერილები. მას სჯეროდა, რომ თვითონ იყო ის ერთადერთი ადამიანი, ვისაც საფრანგეთის ამ უბედურებამ განუზომელი ტკივილი მიაყენა. მას მერე აღარც დაუტოვებია კრუსაქი, რათა ექმნა ის, რაშიც ხედავდა თავის მოწოდებას, ანუ ეწერა წიგნები.

„გრძობათა აღზრდა“ დიდად პატრიოტულ ნაწარმოებად ჩაიფიქრა და კიდევ აღასრულა. მისი წვლილი ქვეყნის ცხოვრებაში გაცილებით დიდი იყო, ვიდრე მათი, პარლამენტში რომ ლაყბობდნენ. ხოლო ეს თხზულება არსებითად ღრმად პოლიტიკურია, რომელიც შექმნა იმ ადამიანმა, ვისაც მთელი არსებით სძულდა ის, რასაც დღეს პოლიტიკას უწოდებენ. და განა ასეთ პიროვნებას შეეძლო სხვანაირი დამოკიდებულება ჰქონოდა პოლიტიკისადმი?

ადამიანს, ვისთვისაც გაუსაძლისი გამხდარიყო ადამიანთა სისულელე?

აბა, მე რილასთვის გავიდე შინიდან ამ დღეებში? რისი გულისთვის? განა იმისათვის, რომ მოთმინება დამაკარგვინოს მონარქისტთა სისულელეებმა, ანდა რესპუბლიკელთა, კონსერვატორების, ლიბერალების, კარლისტებისა თუ სოციალისტთა სისულელეებმა? გავიდე იმისათვის, რომ მოვისმინო გამოთავყვანებული მორწმუნის რჩევადარიგება? იმისა, ვისთვისაც უცხოა ეჭვი? ანდა მასავით თავდაჯერებული თავისუფლად მოაზროვნე რეგენისა? არა, არა და არა! მირჩევნია ისევ შინ ვიჯდე და ბედთან შესახვედრად გული გავიმაგრო, ვიკითხო დიდი სკეპტი-

კოსები და დიდებული ენთუზიასტები, უიმედობის მოციქულნი და უკვდავი იმედის მოციქულები, ისინი, ვისაც უნდათ რომ არსებობდნენ, და ისინი, ვისაც უნდათ რომ არ არსებობდნენ მარადიულად. და ამასობაში დაე ცოცხლებმა იცინონ გიჟებზე, დაე გაგრძელდეს სიგიჟე მათი, ვისაც საკუთარი თავი კეთილგონიერი ჰგონია!

ოჰ, წმინდა მარტოობა!

1911. 24. XII.

ესპანურიდან თარგმნა მერი ტიტვინიქა

სიმონ ლეისი

გოთა

# მცირა შენიშვნები მორალის თემაზე

დელიკატური  
სინდისიერების გამოწევი

„ადამიანისთვის თამბაქო ყველაზე სახიფათო სანამლავთაგანია“ ეს კეთილგონივრული გაფრთხილება საკმაოდ ბანალური გახდა, – მეტყვიით. მაგრამ ნაკლებ ბანალური და ფრიად დამაფიქრებელი აქ გამონათქვამის ავტორის ვინაობა გახლავთ – ადოლფ ჰიტლერი!

მეორე ადოლფმა – ეიხმანმა – სასჯელის აღსრულების მოლოდინში ციხის ბიბლიოთეკიდან „ლოლიტა“ გამოიტანა. რამდენიმე გვერდის წაკითხვის შემდეგ (როგორც ნაზოკოვის ერთი ბიოგრაფი მოგვითხრობს) აღშფოთებულმა მოისროლა წიგნი: რა გულის ამრევიანო.

## პლაგიატი

ერთმა ახალგაზრდა ჟურნალისტმა, მარტა გრეჰემს ინტერვიუს რომ ართმევდა, სახელოვნებო პლაგიატის შესახებ ჰკითხა დიდ მოცეკვავესა და ქორეოგრაფს. „მისმინე მეგობარო“ – უპასუხა ბებერმა მონსტრმა, თან ართრითიანი ხელი მხარზე ჩამოადო თანამოსაუბრეს, „ჩვენ ყველანი ქურდები ვართ, მაგრამ საბოლოოდ პასუხს ორ რამეზე მოგვთხოვენ: ვინ ავირჩიეთ გასაფცქვენლად და რა ვუყავით ნაძარცვს“.

ტ. ს. ელიოტმა დახლოებით იგივე თქვა: „უმნიშვარი პოეტები ბაძავენ, ხოლო ზრდასრულნი იპარავენ“.

რალფ ემერსონის ძმას სურდა, თავი საეკლესიო კარიერისათვის მიეძღვნა. რამდენიმე ხანი გერმანიაში დაჰყო, სადაც ბიბლიურ შტუდირებას განაგრძობდა და რამაც საბოლოოდ რწმენის შერყევამდე მიიყვანა. იგი სტუმრად ეწვია გოეთეს და თავისი ეჭვებიც გაუზიარა. გოეთემ გაამხნევა, ურჩია, არ გადაეხვია იმ გზიდან, საითკენაც თავდაპირველად მიმართა თავისი მონოღება: „თქვენი პირადი შეხედულებანი მხოლოდ თქვენი საქმეა და მრევლს სულაც არ ეხება“. ღრმად ნიშანდობლივი შტრიხია: გასაგებია, რად აღმერთებდა გოეთეს ანდრე ჟიდი და რისთვის ძაგდა იგი პოლ კლოდელს.

## შეამსუბუქებელი გარემოებანი

თუ ლეგენდას დავუჯერებთ ( და კიდევ როსინის ოპერასა და ტენტენის კომიქსებს), კაჭკაჭებს ჩვევით ჰქონიათ, ყოველგვარი ხარახურა დაახვავონ თავიანთ ბუდეებში. მეც მაქვს ეს სისუსტე: გაზეთებიდან ვჭრი ხოლმე ჰეტეროკლიტური და უსარგებლო ინფორმაციის ნაგლეჯებს, ისეთ უცნაურ იდიოტობებს, რომელთაც ძნელია, კაცმა რამე დაუპირისპიროს.

ეს დოკუმენტები არც არაფერში მადგება, ყვითლდებიან თავისთვის უჯრაში და, როცა იმდენი დაგროვდება, რომ უჯრას მთლად გამოჭედავენ, ავდგები და გადავყრი ხოლმე. ერთი ასეთი მიმდინარე წმენდის დროს ხელახლა აღმოვაჩინე მასალა, რაც თავის დროზე ავსტრალიური გაზეთიდან ამომიჭრია და რაზეც თარიღის მითითება დამიწყებია (თუმცა კონტექსტიდან ჩანს, რომ ამ დროისათვის პრინცესა დაიანა ახალი გარდაცვლილი ყოფილა). გადავიკითხე და დავრწმუნდი, რომ „მომხიზვლელობა“ ახლაც არ დაუკარგავს. აი ისიც: „59 წლის ენ დავნიმ, ქვისსლენდის მცხოვრებმა, რესტორანში ხორცის საჭრელი დანით დაჭრა თავისი მეგობარი, რადგან ამ უკანასკნელმა უარი თქვა, ოფიციალტისათვის მიეზრუნებინა დამატებითი თავი კერძი, რაც შეკვეთილ სადილთან ერთად მიუტანეს. საქმე გუშინ იქნა მოსმენილი ბერნის ნაფიც მსაჯულთა მიერ ტასმანიაში. მსაჯულებმა მოისმინეს

დანვრილებითი განმარტებანი იმის თაობაზე, თუ როგორ ვერაგულად მოხსნა თავი სამარილეს მისტერ ბრაიან კინგმა, ქვრივმა, ასევე 59 წლისამ, იმგვარად, რომ სამარილის შიგთავსი მთლიანად მისის დავნის თეფშზე აღმოჩნდა; სამაგიეროდ, ქალბატონმა ტომატის სანებელა შეასხურა სახეში. მისის თამარა ჟაკომ, დაცვის ადვოკატმა, ცემასა და ჭრილობის მიყენებაში ბრალდებული მისის დავნისათვის მნიშვნელოვანი შემამსუბუქებელი გარემოების გათვალისწინება ითხოვა: პრინციესა დაიხანას გარდაცვალება, რაც სულ ახლახან შეიტყო ჩემმა კლიენტმა, იგი უკიდურესად ააღელვაო.

**ვინაა ავტორი?**

„ფილოსოფოსი ყოველთვის მეტ ბალახს მოიპოვებს სიბრიყვის ხეობებში, ვიდრე გონიერების ხრიოკ მწვერვლებზე“ – დავიფიცებდი, მიშოს ნათქვამია, თანაც მისი რჩეული ნააზრევიდან-მეთქი, სინამდვილეში კი ვიტგენ-შტიინის აზრი ყოფილა.

**შოპენვაუერი**

ნიგნების კითხვის ჯანსაღ მანერაზე შოპენვაუერმა ისეთი დაკვირვებანი დაგვიტოვა, რომელთაც ამაღელვებელი სიმძაფრე ჯერაც არ განელებია: „ძალზე მნიშვნელოვანია არწაკითხვის ხელოვნება. იგი ნიშნავს, არ დავინტერესდეთ ყოველივე იმით, რაც ფართო მკითხველის ყურადღებას იზიდავს ამ მომენტში. როცა ყველას პირზე აკერია რაიმე თხზულება, გახსოვდეთ, რომ მას, ვინც სულელებისათვის წერს, მკითხველი არასდროს მოაკლდება. კარგი ნიგნების კითხვის წინაპირობა ცუდი ნიგნების კითხვაში დროის დაკარგვაზე უარის თქმაა, ვინაიდან ცხოვრება ხანმოკლეა.“ შემდეგ კი მოდის საუცხოო ფინალური ფრაზა, რომელიც ლამაზად შეაჯამებდა ჩვენს გაბნეულ, კალმის წვერს მოყოლილ ამბებს: „მხოლოდ ისაა წაკითხვის ღირსი, ვისი სათქმელიც უშუალოდ მისივე ტვინით საზრდოობს.“

**ფრანგულიდან თარგმნა ნინო ციმაკურიამ**

რუსუდან დაუშვილი

**უმცროსი  
შეფიცულის  
ქალიშვილი**

შალვა ნებიერიძე ყველაზე უმცროსი იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთაგან. მან საქართველო 1924 წლის სექტემბერში, აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ, მეთაურთან და სხვა შეფიცულებთან ერთად დატოვა. ლტოლვილები თურქეთიდან საფრანგეთში გაემგზავრნენ. შეფიცულები რომ არ დაფანტულიყვნენ, ქაქუცამ პარიზის ახლოს ვირფლეიში იქირავა სახლი, სადაც ყველანი ერთად დასახლდნენ. შალვა ნებიერიძეს ჩვენ გურამ შარაძის მიერ გამოქვეყნებული ფოტოებიდან ვიცნობთ. თუმცა ბევრი არაფერი ვიცით მისი და მისი ოჯახის შესახებ.

ემიგრანტულ პრესაში რამდენიმე ინფორმაცია მოვიძიეთ. ითვალისწინებდნენ რა თეატრისა და სცენიდან წარმოთქმული სიტყვის ძალას, ქართულ კოლონიებში ხშირად იმართებოდა სხვადასხვა ტიპის სცენისმოყვართა თეატრალიზებული წარმოდგენები. 1931 წელს დრამატული წრე დაარსდა, შემდეგ კი – მუდმივი დასი შალვა ნებიერიძის ხელმძღვანელობით. 1931-1935 წლებში დიდი კულტურული მნიშვნელობის მოვლენა იყო აკაკი წერეთლის „პატარა კახის“, ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის

„ლალატის“, დავით ერისთავის „სამშობლოსა“ და სანდრო შანშიაშვილის „ლატავრას“ დადგმა, რასაც ოპერატიულად გამოეხმაურნენ ქართული ემიგრანტული ჟურნალ-გაზეთები.

1931 წლის 4 ივნისს დასმა წარმოადგინა აკაკის „პატარა კახი“, შესავალში ისაუბრა ვიქტორ ნოზაძემ, მოიბოდიშა, რომ პირველი წარმოდგენა ვერ იქნებოდა სათანადო დონეზე, მაგრამ, როგორც რეცენზიის ავტორი აღნიშნავდა, ეს მობოდიშება სრულიად ზედმეტი აღმოჩნდა, რადგან ყველაფერი შესანიშნავად ჩატარდა, რის მჭევრმეტყველური საბუთი ხანგრძლივი ტაში იყო. წარმოდგენის ბოლოს მშვენივრად იმღერა ზალდასტანიშვილ-ბადურაშვილის დუეტმა. მეორე წარმოდგენისათვის შეურჩევიათ სუმბათაშვილ-იუჟინის „ლალატი“. ჟურნალში მოთავსებული ანონსი ყველა ქართველს მოუწოდებდა დასწრებოდნენ წარმოდგენას ნოემბერის ბოლო კვირას, რათა დასს ხარჯები აენაზღაურებინა და მორალური მხარდაჭერაც მიეღო. მართალია, წარმოდგენა დაგვიანებით გაიმართა ტრისტან ბერნარის თეატრში – 1932 წლის 7 თებერვალს, მაგრამ მაყურებელთა დიდი მონონება დაიმსახურა. წარმოდგენის დასაწყებამდე შალვა ნებიერიძეს ბოდიში მოუხდია – რაც ხელთ გვექონდა, ის პიესა წარმოვადგინეთო. მაგრამ პიესის არჩევანიც და მისი ინტერპრეტაციაც იმდენად კარგი აღმოჩნდა, რომ საზოგადოება მეტად ნასიამოვნები და კმაყოფილი დარჩა. დასმა დიდი გულმოდგინება გამოიჩინა, სძლია ყველა სიძნელეს, დაბრკოლებას და შესანიშნავად ითამაშა. ჟურნალ „დამოუკიდებელ საქართველოში“ ივანე ზურაბიშვილმა აღნიშნა მამულაშვილის, ერისთავის, ჯავახიშვილის, ხერხეულიძის, ნებიერიძის, სულხანიშვილის, ზალდასტანიშვილისა და თუხარელის თამაში, მშვენიერი იყო დეკორაციებიც. წარმოდგენის შეფასებაში უფრო მკაცრი იყო ჟურნალ „სამშობლოს“ მიმომხილველი,

თუმცა ისიც ვერ ფარავდა კმაყოფილებას სპექტაკლის დადგმის გამო. 1934 წლის 8 ნოემბერს „Lancry“-ს თეატრში დასმა წარმოდგინა დავით ერისთავის „სამშობლო“, 1935 წელს ალბერტის თეატრში კი – შანშიაშვილის „ლატავრა“. უცნობი რეცენზენტი აღნიშნავდა, რომ პიესა კარგად იყო მომზადებული და თამაშიც დამაკმაყოფილებელი იყო, მაგრამ მხატვრული და ტექნიკური თვალსაზრისით დადგმა სუსტი გამოვიდა. უსახსროდ ბუტაფორიული პიესის დადგმა არ ღირდა, ჯობდა ისტორიული, ან თანამედროვე ცხოვრების ამსახველი პიესაო. მიუხედავად ამისა, მადლობას უხდოდა შალვა ნებიერიძესა და დასს ემიგრაციაში ქართული სცენის პატრონობისათვის. აი, ის ინფორმაცია, რაც ხელთ გვექონდა.

შალვა ნებიერიძის ქალიშვილმა ქალბატონმა ნელი ნებიერიძემ გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ 2002 წლის 23-ე ნომერში გამოქვეყნებული ამავე რედაქციის სალონში 29 აპრილს წაკითხული ჩვენი საჯარო ლექციის ანგარიშის შემდეგ მოგვძებნა, რომელშიც საუბარი იყო გერმანიის მხარეზე მებრძოლ ქართველებზე, მათ შორის, დესანტად ჩამოსმულ ემიგრანტებზე და მამის შესახებ მასალები შემოგვთავაზა – შარშან შალვა ნებიერიძეს დაბადებიდან 100, ტრაგიკული დაღუპვიდან კი – 60 წელი შეუსრულდა.

როცა დიღომში, მრავალსართულიან კორპუსში ვესატუმრე ქ-ნ ნელის, გამოირკვა, რომ წლების განმავლობაში ვხედავდი ამ ქალბატონს ჯორჯიაშილის ქუჩაზე, ლიტერატურის მუზეუმის გვერდით საერთო ეზოში, სადაც ხშირად დავდიოდი არაჩვეულებრივ პიროვნებასთან, 90 წელს მიტანებულ დანტისტ და კინომსახიობ გიორგი გაბელაშვილთან, რომელიც კოჯორ-ტაბახმელას ბრძოლებში დაღუპული მარიამ მაყაშვილის ძმასთან, მხატვარ შალვა მაყაშვილთან ერთად, უკანასკნელი იუნკერი იყო. საფრანგეთში დაბადებულ, გერმანიაში გაზრდილ, ომის შემდეგ რეპარტიანტთა სიაში ძალით ჩანერილ და საბჭოთა კავშირში ჩამოყვანილ ქალბატონ ნელის, ყოფილი ემიგრანტის ფრიად რთული და მძიმე ცხოვრება ჰქონდა. ეს მონათხრობიც მისი ცხოვრების ნაწილია.

– მამაჩემი შალვა ალექსანდრეს ძე ნებიერიძე დაიბადა 1903 წლის 20 დეკემბერს, დედა – მართა ალექსანდრეს ასული ამილახვარი – 1907 წლის 1 მარტს საფრანგეთში, რადგან ბაბუა სამხედრო პირი იყო (კვინიტაძის ფრთის ოფიცერი). ბაბუას ცოლიც ამილახვარი ჰყავდა – ნინა, დედამისი მარიამი კი – მჩაბლის ქალი იყო. მამაჩემი ქაქუცას წაყვა ემიგრაციაში და პარიზში მუშაობდა ტაქსზე, ტაქსზე მუშაობდნენ ბადურაშვილი (ბადური), სულხანიშვილი, კარგარეთელი, ანანიაშვილი. ბადური მამას მენყვილ ეყო და ჩემი ძმის ნათლია. რაკი მამას ოჯახი ჰყავდა სარჩენი, მანონსაც ამზადებდა. მე 1930 წლის 12 აგვის-

ტოს დავიბადე პარიზში, ჩემი ძმა გივი – 1931 წლის 4 სექტემბერს. ვინაიდან მამა იყო პირველი შეფიცული, რომელიც დაქორწინდა, ქაქუცას უნდა მოვენათლე, მაგრამ იგი ჩემს დაბადებამდე ორი თვით ადრე გარდაიცვალა, ამიტომ მიხეილ კედიაშ მომნათლა. ფრანგულ სკოლაში ვსწავლობდით, მაგრამ ოჯახში ქართულად ვსაუბრობდით. ბავშვები დარბაზში ვიკრიბებოდით და დამატებით შოთა ნიკოლაძე გვასწავლიდა ქართულს. პატარები ვიყავით მშობლები რომ გაიყარნენ. დედას აღარ ვნახულობდით, მამას არ უნდოდა. ვერც ვკითხვით რა მოხდა მათ შორის. ლაშქარაშვილები – მიშა და ელენე (ჩივაძე) გვზრდიდნენ. ელენეს „დედას“ ვეძახდით. შაბათ-კვირას მამასთან მივდიოდით. შეფიცულები სულ იქ იყრიდნენ თავს და საქართველოზე ლაპარაკობდნენ. რადიოში ქართულ სიმღერებს რომ დაიჭერდნენ, უნდა გენახათ ამხელა კაცებს როგორ ლაპაღუპით ჩამოდიოდით ცრემლები. მამა და ბადურაშვილი კარგად მღეროდნენ, ხშირად ჩუმად აყვებოდნენ. ამდენი ლაპარაკით, საქართველო ჩვენ იდეალურ ქვეყნად გვესახებოდა. 1940 წელს მამა მიხეილ კედიასთან წავიდა გერმანიაში ქართულ ლეგიონში ჩასანერად. 1941 წელს ჩამოვიდა და ჩვენც წავიყვანა შტეტინში, სადაც დესანტისათვის პარაშუტისტებს ამზადებდნენ. მამაც მათ შორის იყო. ჩვენ კერძო პანსიონში ვიყავით – მე ქალებთან, ჩემი ძმა – ვაჟებთან. 6 თვეში კერძოდ ვისწავლეთ გერმანული და დაგვესვეს 3-4 კლასებში (ერთი წელი დაგვეკარგა). 1942 წლის ზამთარში მამა მატარებელზე გავაცდილეთ, გვითხრა „საქართველოში მივდივართ – უნდა გავათავისუფლოთ, მერე ჩამოვალ და თქვენც წავიყვანთ“. მერე აღარ გვინახავს. არც ვიცოდით, რომ დაიღუპა – აქ, საქართველოში მეგულებოდა. 1974 წელს პირველად რომ ჩავედი საფრანგეთში, მხოლოდ მაშინ გავიგე მისი დაღუპვა. იდა კვინიტაძის ოჯახში ვიყავით და იქ მითხრა ლულუ კერესელიძემ, რომ სამინი გადაუსვამთ პარაშუტებით. მამა ჰაერშივე მოუკლავთ, ორნი ციმბირში გაუგზავნიან. ერთი ლულუს ძმა მათე კერესელიძე ყოფილა. დედა 1944 წელს გათხოვდა არჩილ დადიანზე, მაშინ გერმანიაში ვიყავით და კავშირი მასთან აღარ გვექონდა. არჩილიც იყო გერმანიაში, ბევრი ტყვე ჰყავს გათავისუფლებული. ჩვენს ნახევარძმა ნიკა დადიანთან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ნიკა უცხოურ ლეგიონში იყო აფრიკაში და ხშირად ვერ ვნახულობდით.

1944 წლის ახალ წელს ქართული საკავშირო შტაბის მინვევით ბერლინში შევხვდით. მიტო ანანიაშვილმა, მამიდაჩემის ქმარმა ჩავიყვანა. ნაძვის ხე იყო მიშა და ჰერტრუდე ალანიების ოჯახში. ორი კვირა არდადეგები გავატარეთ ბერლინში. ტყვე ბიჭები იყვნენ, განსაკუთრებით მიშა გაბუნია დამამახსოვრდა, ძალიან კარგად მღეროდა.



შალვა ნებიერიძე და ქაქუცა ჩოლოყაშვილი

სხვათა შორის, როდესაც ანანიაშვილი საფრანგეთში წავიდა, ვაჟი საშა სამი წლისა დატოვა. ეგონა მალე დაბრუნდებოდა, მაგრამ ველარ დაბრუნდა. ქეთი ჩოლოყაშვილის (ირაკლი მიქელაძის ცოლი) მშობლები ზრდიდნენ. ისე რომ, საშას მამა არც უნახავს. ომის შემდეგ კი ყაზახეთში სწორედ მამის გამო გადაასახლეს.

ომი რომ დამთავრდა, 1945 წელს ევაკუაცია დაიწყო. მაშინ კუნძულ რიუგენზე ვსწავლობდით, სადაც იყო უმაღლესი ფასიანი სკოლები და ლიცეუმი – ვაგნერულე. გივი გიმნაზიაში სწავლობდა, სადაც „ჰიტლერიუგენდის“ წევრი გახდა. როცა შტეტინის დაბომბვა დაიწყო, მე საბავშვო კურორტ ზელინში ვიყავი, გივი – 4-5 კილომეტრის მოშორებით ბინცში და ერთმანეთს ვნახულობდით. მიტო ანანიაშვილმა შემოგვითვალა – ცუდადაა საქმე და სამეგობრო გიგზავნით ბერლინში ჩამოსასვლელადო. გივიმ მიიღო სამვი და წავიდა, მე – არა. ქართველებს აღარ დაედგომებოდათ ბერლინში და გივი მიტომ მიუნხენში წაიყვანა. იქიდან მერე საფრანგეთში გაატანა ვილაცას. მაშინ 14 წლის იყო. ჩვენ მასწავლებლებმა ბერლინში ჩაგვიყვანეს და გაგვანაწილეს სხვადასხვა ქალაქებში. ვერც ალანები ვნახე და ვერც სხვები, მივედი რეზო გაბაშვილთან და იმისგან ვავიგე, რომ ქართველები მიუნხენში იყვნენ. გერმანიაში ამხანაგთან ვცხოვრობდი. რიუგენი რუსეთის ზონა იყო და მეც რუსების ზონაში მოვხვდი. გვარი რომ გაიგეს – ვაკვასიაში უნდა წახვიდეო. ვეხვეწე – დედა მყავს საფრანგეთში და იქ გამიშვით-მეთქი, მაგრამ არავინ მომისმინა და გამომიშვეს თბილისში. აქ მიმბარეს ერთ ოჯახში და მითხრეს, რომ ზესტაფონში მამაშენს ძმები მყავსო. ვიცოდი, რომ მამას მარტო ერთი და ჰყავდა, მაგრამ მაინც წავედი. იქ ვცხოვრობდი, როცა 1947 წელს გემით ემიგრანტები ჩამოვიდნენ. მეგონა დედაც იქნებოდა. სხვებთან ერთად ჩამოვიდა ელიკო ციციშვილი თავის ორ პატარა ვაჟთან და იმან წამომიყვანა თბილისში. უცხო ენებში ასწავლიდა ფრანგულს. ცოლად გაჰყვა ირაკლი ლორთქიფანიძეს. 1951 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს. მამას დახვრეტა 10 წლით შეუცვალეს. ორივე შვილი პრიუტში შეყარეს. დიმა კანონიერი ქურდი გამოვიდა, ნოდარი – ლაშა თაბუკაშვილთან ერთად იზრდებოდა. ნოდარმა თავი მოიკლა, მერე დიმაშაც. მედეა ჯაფარიძე მომიყვა – სადღაც, ტაძარში მოუკლავს თავი. ელიკოს დედამ კი პარიზში მოიკლა თავი. ასე განადგურდა ეს მშვენიერი ოჯახი.

თბილისში რომ ჩამოვედით, 6 თვე სასტუმრო „თბილისში“ ვცხოვრობდით ემიგრანტები. თურმე იქვე გვერდით ჯორჯიაშვილის ქუჩაზე იყო დედაჩემის სახლი და არ ვიცოდი. მომათავსეს ფეზეუ-ში. ქსოვას მასწავლიდნენ აბრეშუმის ქარხანაში. მომცეს პასპორტი „Безгражданство“. ყოველ თვეში აღრიცხვაზე უნდა მივსულიყავი. ხმის უფლება არ მქონდა, არც დიდ ქალაქებში ცხოვრებისა და გადაადგილების, ამიტომ გამიშვეს ისევ ზესტაფონში, იქიდან ქუთაისის აბრეშუმის ქარხნის ფეზეუ-ში. 1951 წელს დამაპატიმრეს. 20 წლის ვიყავი. არავითარი სასამართლო. ერთი წელი ვიჯექი ქუთაისის, მერე ორთაჭალის ციხეში. იქ დამხვდა ელიკო ციციშვილი და სხვა ქართველები. არც წამება იყო, არც დაკითხვა. ზაფხულში გამასახლეს ციმბირში. ისეთი ჩუმი იყო ელიკო და ჩემი გულისთვის ატეხა

ერთი ამბავი – სად მიგყავთ ეს ბავშვი ასე შიშველიო. რალაცები მაჩუქეს ტუსალებმა. ვიყავი თავისუფალ გადასახლებაში კრასნოიარსკში, სევერენისეისკის სოფელ რუდნიკში, ოქროს მალაროებში. აღრიცხვაზე ვიყავი, მეზობელ სოფელში ვერ გავიდოდი. ქართველები იყვნენ მუდმივ თავისუფალ გადასახლებაში. მახსოვს მათიკო თვალაშვილი. იქ გავიცანი 20 წლით ჩემზე უფროსი, 1937 წელს დააპატიმრებული შალვა ხმალაძე, მერე კიდევ 10 წელი დამატეს. დახვრეტა ჰქონდა, მაგრამ, რადგან ერთი ძმა – შოთა უკვე დახვრეტილი ჰყავდა, გადაასახლეს. გავთხოვდი. მასთან 2 შვილი მყავს – ნინო და გივი (ცოლად გერმანელი ექიმი ჰყავს და კრასნოიარსკში ცხოვრობს). ნინო გათხოვდა, ორი შვილი ეყოლა. ქმარი რომ მოუკვდა, ქარელის რაიონში მონასტერში წავიდა. მისი ქალიშვილი სურამის მონასტერში აღიკვეცა, მეორე ქალიშვილი გათხოვდა, შვილი ეყოლა და „პრაბაზუშკა“ გავხდი.

1954 წელს გამათავისუფლეს. შემძლო წამოსვლა, მაგრამ ჩემს ქმარს არ უშვებდნენ. როცა ისიც გაათავისუფლეს 1961 წელს, საქართველოში ჩამოვედით. აქ დედა და და ჰყავდა. მიტო ანანიაშვილის და ტასიკო ლეო ხუციშვილზე იყო გათხოვილი. იმასთან დამხვდა დედაჩემის წერილი. დედამ ისიც კი არ იცოდა, რომ საქართველოში წამომიყვანეს. დედას მულისთვის, ქეთო დადიანისათვის მოუწერია წერილი, რომელიც თბილისში იყო და იქიდან გაუგია ჩემი ამბავი. ჩემი ქმარი მევილინე იყო, კონსერვატორიის სტუდენტი, როცა დაიჭირეს. აქ ველარ ავანყვეთ ცხოვრება და უკან გაბრუნდა. მე აღარ გავყევი. დამტოვა დედასთან გორში. ქეთო დადიანი დამეხმარა, რომ თბილისში დედის დეიდასთან, ბებიაჩემის დასთან, საშა ამილახვართან ჩავწერილიყავი ჯორჯიაშვილის ქუჩაზე, ბაბუაჩემის სახლში. ჩანერაზე დიდი ამბები გადამხდა. სამსახურში არ მიღებდნენ, რადგან ისევ ის „Безгражданство“ პასპორტი მომცეს. ქეთო მივიდა ნინა ჟვანიასთან, მისი კურსელი იყო და ის დამეხმარა, ავჭალის ჟაკარდის ქარხნის დირექტორს დაურეკა – უნდა მიიღო. იქ დავინყე მუშაობა. ჩემი დედამთილი უვლიდა ბავშვებს. ქარხანაში გავიცანი ჩემი მეორე მეუღლე ვალიკო მანჩიკაშვილი. შალვა განქორწინებას არ მადლევდა. როცა გარდაიცვალა კრასნოიარსკში, მერე მოვანერეთ ხელი. ორი შვილი გვეყოლა – ვაჟა და ლელა. დუშეთის რაიონის სოფელ ქაისხევში სახლი გვაქვს და 45 ლარი პენსია.

რამდენჯერმე ვიყავი საფრანგეთში. პირველად პარიზში 1974 წელს ჩავედი და მაშინ ვნახე ამდენი ხნის უნახავი დედა და ძმები. გივი პარიზში ცხოვრობს, მუშაობდა საზოგადოება „ელ კრინში“, რომელიც სიგნალიზაციებს აყენებდა. აგენტი იყო. იყო უცხოური ლეგიონის წევრი, ალჟირში დაიჭრა, ტყვია აქვს გულთან, ამიტომ იღებს ინვალიდობისა და შრომის პენსიას, ყოველდღე 200 მეტრს ცურავს აუზში და დარბის. პირველ ცოლად თათარხან ანთაძის ქალიშვილი ლენა ყავდა, მეორე – ფრანგი. ჰყავს ორი შვილი – ნადინ და სერჟ. აქ იყო ჩამოსული. მეორე ძმა ნიკა ახლა პენსიაზე და ტულუზაში ცხოვრობს. ფრანგი ცოლი და ორი შვილი ჰყავს. დედა 1988 წელს გარდაიცვალა. ბოლოს შარშანწინ ზაფხულში ჩავედი საფრანგეთში, ვიყავი მარსელში, ლევილში, მოვიწახულე ქაქუცას, მამაჩემის და სხვა შეფიცულების საფლავები.

ელა გორჩიაშვილი

ჯდა მტირალი

რაის უცხო... ჩემო სისხლო,  
შენზე ყველაფერი ვიცი;  
შენ არც ავთანდილის ძმა ხარ,  
არც ფრიდონის ძმადნაფიცი.

ალარც ხერხი, ალარც ღონე,  
არა სვე და არა ბედი;  
თან ზიხარ და ცრემლს აგორებ,  
თითქოს მთელი არაბეთი

შენს საშველად დასცემოდეს  
ციხესა და ციხის ლიბოს, –  
რომ დაამხოს საქაჯეთი,  
გადასხლას და გადასხიპოს.

თითქოს ვეფხვის ტყავი გეცვას,  
თითქოს ნეკით ჭიდაობდე,  
თითქოს გესხას მარგალიტი  
შავი ცხენის ჯიდაოზე...

შენ ტირილი არ გიხდება,  
ნაცემო და ყოვლის მთმენო;  
ვეფხვებს უნდა ერეოდე,  
ტირილი რომ დაიმშვენო.

არ გიხდება შენ ტირილი,  
განა ავთანდილის ძმა ხარ!  
ვინ გადადებს ქორწილს შენთვის...  
ვინ შეიშლის სადილ-სამხარს...

მოფრიალებს დილეგიდან  
სახსოვარი თავმანდილი...  
შენი თავის მოყმეც შენ ხარ,  
ფრიდონიც და ავთანდილიც.

მკლავნი გაიმამაცურე, –  
გეხვეოდეს ირგვლივ ჯარი;  
შენვე უნდა გამოძერწო  
შენი ნესტან-დარეჯანი!

მზე ბერნია უნესტანოდ,  
და სამზეო ჩირად ღირსა;

.....  
ჯდა მტირალი... ჯდა მტირალი...  
ჯდა მტირალი წყლისა პირსა...

2006, 5-11 ივლისი

# „ჰეკლბერი ფინის თავგადასავლის“ თავგადასავალი

ბევრი ნიგნი აუკრძალავს ცენზურას. მათ შორის ახალი გამოცემებიც მოხვედრილა და ძველიც. აკრძალულ ნიგნებს კი მკითხველი მაინც ჰყავდა და ასეთი ნიგნები საიდუმლოდ გადადიოდა ხელიდან ხელში. ზოგიერთი გამოსვლამდე იკრძალებოდა, რასაც უამრავი სკანდალი, სასამართლო პროცესები და ტირაჟების კონფისკაციები მოჰყვებოდა ხოლმე პირდაპირ სტამბებში. მონინალმდევე მხარეებს ნიგნის დასაცავი და პირიქით, გამამტყუნებელი არგუმენტები მოჰყავდათ, ნიგნებს მოედნებზე წვადნენ, მათი ავტორები ემიგრაციაში გარბოდნენ, ვინც თავს გაქცევით ვერ შველოდა, იჭედნენ და ციხეებში სვამდნენ, შავი ბაზარი კი სარფიანად ვაჭრობდა აკრძალული ლიტერატურით. ნიგნები სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მიზეზით იკრძალებოდა. ზოგ ნიგნს ბრალი პოლიტიკური მოტივებით ედებოდა, ზოგს – რელიგიურით, სოციალურით თუ სექსუალური მოტივებით.

აკრძალულ ნიგნებს იღებდნენ სასკოლო პროგრამებიდან, ბიბლიოთეკის თაროებიდან, წყველიდნენ ეკლესიებში და მორწმუნეებს მათ წაკითხვას უკრძალავდნენ, დევნიდნენ ან სამსახურებიდან ითხოვდნენ გამომცემლებს, მათ სასამართლოებში უჩიოდნენ, რათა პასუხი ეგოთ დანაშაულზე, ნიგნებს კი ხელნაწერებად ამრავლებდნენ და ისე ავრცელებდნენ შერისხული ავტორები. აკრძალული ნიგნების ავტორებს ლანძლავდნენ, მათ თავს ესხმოდნენ, ოჯახი და საზოგადოება ზურგს აქცევდა, ისინი იდევნებოდნენ რელიგიური თემებიდან, მათ ხოცავდნენ, სახრჩობელებზე ჰკიდებდნენ, კოცონზე წვადნენ. აკრძალულ ნიგნებს შორის რომანებიც მოხვედრილა, მოთხრობებიც, ბიოგრაფიებიც, საბავშვო ნიგნებიც, რელიგიური და ფილოსოფიური ტრაქტატებიც, ლექსებიც და პამფლეტებიც...

რა თქმა უნდა, ცენზურა საბჭოთა კავშირშიც დიდი წარმატებით მუშაობდა. მაგალითად, 1953 წელს დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მეორე გამოცემის თითოეულმა ხელმომწერმა რედაქციისგან წერილი მიიღო საკმაოდ მოცულობითი ტექსტითა და ილუსტრაციებით – „ბერინგის ზღვა“. წერილის ავტორები მკითხველს სთხოვდნენ, ენციკლოპედიის მეხუთე ტომიდან ამოეღოთ 21-ე-23-ე გვერდები და მათ ადგილზე რედაქციის მიერ გაგზავნილი გვერდები ჩაეკრათ. რა თქმა უნდა, ყველა ხელმომწერმა უსიტყვოდ შეასრულა რედაქციის თხოვნა თუ მოთხოვნა. ასე გაჩნდა დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მეხუთე ტომის ზემოსხენებულ გვერდებზე „ბერინგის ზღვა“ მთელი თავისი ღირსებებით, ლავრენტი ბერიას „დამსახურებათა“ ნაცვლად ხალხისა და ქვეყნის წინაშე.

ნიგნები დიდი წარმატებით იკრძალებოდა საბჭოთა საქართველოშიც. თავის დროზე აკრძალული იყო გრიგოლ რობაქიძის ნიგნები. აკრძალვის მიზეზი პოლიტიკური გახლდათ, გრიგოლ რობაქიძემ სამშობლო დატოვა და უცხო ქვეყანაში ცხოვრობდა. ამავე მიზეზით აკრძალული იყო ალექსანდრე ჭეიშვილის „ლელო“, თუმცა მწერალს ამ ნაწარმოებისთვის სახელმწიფო ჯილდო ჰქონდა მიღებული. სულ სხვა მიზეზით, მაგრამ აკრძალული იყო შიო გვეტაძის „მონანიება“ და ალექსანდრე იაშაღაშვილის „მგლის ბილიკი“. ორივე ნიგნი კრიმინალების ცხოვრებას აღწერდა. მათი მთავარი გმირები დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები იყვნენ, ავტორებს კი ისე ჰყავდათ დახატული, რომ მკითხველში ერთგვარ სიმპათიას იწვევდნენ. სწორედ ეს გახდა ამ ნიგნების შერისხვის მიზეზი. ზოგჯერ ნიგნი მთლიანად არ იკრძალებოდა და ცენზურის რისხვა მის რომელიმე ცალკეულ მონაკვეთს ან რომელიმე ლექსის ერთ სტრიქონს ან თუნდაც ერთ ფოტოს დაატყდებოდა ხოლმე. გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში უზარმაზარი, უხვად ილუსტრირებული ნიგნი იყიდებოდა თბილისის მაღაზიებში. ნიგნს „საბჭოთა საქართველო“ ეწოდებოდა. ნიგნის ერთ-ერთ გვერდზე დაბეჭდილი იყო საქართველოს ხელოვნების მოღვაწეთა ფოტოები. ერთი ფოტო სტამბის შავი საღებავით დაეფარათ. რა თქმა უნდა, ეს შემთხვევით არ მოხდებოდა. „გაშავებული“ ფოტო ლექსო თორაძისა გახლდათ, რომელმაც სამშობლო მაშინ მიატოვა, როცა ნიგნი უკვე დაბეჭდილი იყო. ეტყობა ასეთი ძვირფასი გამოცემის მთელი ტირაჟის განადგურება ძალზე ძვირი სიამოვნება იქნებოდა და ამიტომ არასასურველი პიროვნების ნიგნიდან ამოღების ასეთ საინტერესო ხერხს მიმართეს, თუმცა ფოტოების ჩამონათვალში, რომელიც ნიგნს ბოლოში ერთვოდა, შავით თეთრზე ეწერა, რომ ამა და ამ გვერდზე მოთავსებულ ფოტოზე აღბეჭდილი იყო ცნობილი ქართველი პიანისტი ლექსო თორაძე.

სამწუხაროდ, ეს პრობლემა აქტუალურია არა იმდენად შორეული წარსულისთვის, რამდენადაც თანამედროვეობისთვის. ცენზურა ჯერ კიდევ არსებობს. ალბათ ბევრს ახსოვს ოციოდე წლის წინათ ატეხილი სკანდალი სალმან რუშდის ნაწარმოების „სატანური ლექსების“ ირგვლივ. 1989 წელს აიათოლა ხომეინის მიერ გამოტანილი განაჩენი სალმან რუშდისთვის მუდმივ სასიკვდილო საფრთხედ იქცა და მას შემდეგ იგი იმალება. მართალია, 1998 წელს განაჩენი ოფიციალურად გაუქმდა, მაგრამ მუსლიმანმა ფუნდამენტალისტებმა გადაწყვიტეს, მაინც ალას-რულონ.

აქვე უნდა აღინიშნოს ამერიკელი მწერლის დენ ბრაუნის გახმაურებული ბესტსელერის „და ვინჩის კოდის“ წინააღმდეგ ატეხილი ხმაური. მართალია, ნიგნი მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში აკრძალა და დღესდღეობით თბილისში ამ რომანის მიხედვით გადაღებულ ფილმსაც უჩვენებენ (თუმცა უსკანდალოდ არც ამ ჩვენებას ჩაუვლია).

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელები შედარებით თავისუფალ საზოგადოებაში ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ, ცენზურის საფრთხე ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ყოველთვის არსებობდა. ბევრი მკითხველისთვის ალბათ მოულოდნელი იქნება, რომ მრავალი ცნობილი ლიტერატურული ნაწარმოები, როგორცაა, მაგალითად, „ჰეკლბე-

რი ფინის თავგადასავალი“, „მრისხანების მტევნები“, „ბიძია თომას ქოხი“, თავის დროზე აკრძალულ ნიგნთა ნუსხაში იყო.

დღეს სწორედ „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალზე“ გვინდა მოგიხროთ, რომელიც სოციალური მოტივებით იყო აკრძალული. მარკ ტვენის ეს პოპულარული ნიგნი პირველად ავტორის ხარჯით გამოიცა 120-ზე მეტი წლის წინათ, 1884 წელს ლონდონში.

რა თქმა უნდა, ამ ნიგნის შინაარსი ყველასთვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ მაინც შეგახსენებთ. ნაწარმოები მოგვითხრობს ერთი დაუდგრომელი პატარა სამხრეთელი ბიჭის თავგადასავალსა და ფათერაკებზე. მოქმედება XIX საუკუნის დასაწყისში ვითარდება. პირველ პირობით მოთხრობილი „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“ აღადგენს ამერიკის და ჰეკლბერის ცხოვრებას, რომელიც ბავშვიდან კაცად გადაიქცევა. ამბავი იწყება ჰეკის შინიდან გაქცევით. იგი სასტიკ და უღმობელ მამას გაუყრბის. ის და მისი მეგობარი მონა ჯიმი მდინარე მისისიპის აღმა მიუყვებიან და ხელისუფლებას და სხვა მდეურებს ემალებიან.

რომანის შესავალში ჰეკი მოკლედ შეახსენებს მკითხველს იმ მოვლენებს, რომლებიც „ტომ სოიერის თავგადასავალშია“ აღწერილი. იგი გვამცნობს, რომ 12 ათასი დოლარი, რომელიც მან და ტომმა იპოვეს, საქმეშია გაშვებული და უკვე შემოსავალს იძლევა. ჰეკი ქვრივ დეუღლასთან და მისს უოტსონთან ცხოვრობს და ძალიან აღიზიანებს, როცა ასე ჯიუტად ცდილობენ, აიძულონ ზრდილობის წესებს დაემორჩილოს. ის ვერავითარ აზრს ვერ ხედავს ასეთ მონესრიგებულ ცხოვრებაში და საოცრად სურს, უბრალოდ თამამი და მოურიდებელი ყმაწვილი იყოს, როგორც სინამდვილეშია.

ჰეკის კეთილდღეობას წერტილი მამამისმა დაუსვა, ქალაქში ცნობილმა ლოთმა და გარენარმა. მან მოიტაცა შვილი და ქალაქის განაპირა ქოხში ჩაკეტა. სანამ ჰეკი იმის მოლოდინშია, რომ იპოვიან და გაათავისუფლებენ, მამამისი გამუდმებით სცემს. ჰეკი მიხვდა, რომ ამ მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი გაქცევაა. თავისი გეგმის გასახორციელებლად მან გადაწყვიტა ისე მოეწყო გაქცევა, რომ მამამისს ეფიქრა, მოკლესო. თავშესაფარი მან კუნძულ ჯექსონზე იპოვა, სადაც მასთან ერთად იმყოფება მისს უოტსონის მონა ჯიმი. ჯიმიც იმალება და სულ იმის შიშშია, რომ დაიჭერენ და გაქცევისთვის სასტიკად დასჯიან. ჰეკი მას ჰპირდება, რომ არ გასცემს და ისინი დამეგობრდებიან. იმის შიშით, რომ ჯიმი უკვე ეძებენ, მათ გადაწყვიტეს დაეტოვებინათ კუნძული და თავისუფალი შტატები მოეძებნათ.

ლტოლენობა კუნძულზე ტივი იპოვეს და მათი მოგზაურობაც ამ ტივით დაიწყო. დღისით საგულდაგულოდ იმალებოდნენ, ღამლამობით კი გზას განაგრძობდნენ. ერთხელ, ღამით ისინი საშინელ შტორმში მოყვნენ და ტივი სულ დაიმსხვრა გემთან შეჯახებისას. ამან ჰეკს კინაღამ სიცოცხლე მოუსწრაფა და ჯიმი დააცილა.

რის ვაივაგლახით ჰეკი ნაპირზე გამოვიდა და ორ სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულ ოჯახს – გრენჯერფორდებსა და შეპერდსონებს შორის აღმოჩნდა. თავიდან ის გრენჯერფორდებს ჩაუვარდა ხელში. მან თავი ჯორჯ ჯექსონად გააცნო და აუხსნა, რომ ნავიდან გად-

მოვარდა და ტალღამ გამოორიყა. ჰეკი ცოტა ხანს მათ ოჯახში დარჩა, საკმაოდ სიამოვნებდა მათი ცხოვრების წესი და ახალი მეგობრებიც შეიძინა. ამ პერიოდში მოახერხა და ჯიმი იპოვა. ამასობაში მოქიშპე ოჯახებს შორის მტრობა გამწვავდა და როცა ჰეკმა და ჯიმი დაინახეს, როგორ იხოცებოდნენ ორივე კლანის წარმომადგენლები, გადაწყვიტეს, კვლავ განეგრძოთ მოგზაურობა მდინარეზე. გზად მათ შეხვდათ ორი კაცი, რომლებიც „ჰერცოგისა“ და „მეფის“ სახელებით იყვნენ ცნობილი. ამ თაღლითებმა, ქურდობითა და სიცრუით რომ ცხოვრობდნენ, ისიც კი იკადრეს, თავი მიცვალებულის ნათესავეებად გაესაღებინათ და მემკვიდრეობა მიეღოთ. მაგრამ ჰეკს თანდაყოლილმა პატიოსნებამ ამ თაღლითობაში მონაწილეობის ნება არ მისცა და „ჰერცოგისა“ და „მეფის“ სიცრუეს ფარდა ახადა. თაღლითები მიიმაღნენ, ოღონდ მანამდე მოასწრეს და ჯიმი ადგილობრივ ფერმერს – საილას ფელპსს მიჰყიდეს.

ჯიმის გასათავისუფლებლად ჰეკი ფელპსის ფერმისკენ გაეშურა. იქ იგი შეცდომით ტომ სოიერად მიიჩნიეს, რომლის ჩასვლასაც სწორედ იმ დღეს ელოდნენ. ჰეკმა ტომის ნათესავეებს თავისი ვინაობა არ გაუმჟღავნა და ისინიც მოტყუვდნენ. ნამდვილი ტომი, რომელსაც ჰეკი მოგვიანებით შეხვდა, დათანხმდა თავისი უმცროსი ძმის – სიდის როლი შეესრულებინა. მეგობრებმა გადაწყვიტეს, რაც შეიძლება მალე დაეხსნათ ჯიმი. მისი გათავისუფლების მრავალი ცდა ბოლოს და ბოლოს წარმატებით დასრულდა, მაგრამ გაქცევისას ტომი შემთხვევით ფეხში დაიჭრა. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოებში ჯიმი ერთ უმცარ, უბირ და გაუთლელ ადამიანადაა გამოყვანილი, ის წესიერების განსახიერება აღმოჩნდა და დროებით უარი თქვა თავის ოცნებაზე თავისუფლების შესახებ, რათა დაჭრილი ტომისთვის მოეგლო.

რომანი მთავრდება ცნობით, რომ ჯიმი უკვე გათავისუფლებულია მისი ბოლო მფლობელის – მისს უოტსონის სურვილის თანახმად. ჯიმი მიიღო ის, რაც ამქვეყნად ყველაზე მეტად უნდოდა – თავისუფლება, ჰეკმა კი გადაწყვიტა, შემდგომში მარტოს ეხეტიალა. იგი დარწმუნებულია, რომ ცივილიზებულ სამყაროში მისი ადგილი არ არის.

აი, სულ ეს არის. რისთვის შეიძლებოდა აეკრძალათ ეს ნაწარმოები?


პოლემიკა „ჰეკლბერი ფინის თავგადასავლის“ ირგვლივ 1885 წელს დაიწყო, მაშინ როცა კონკორდის (მასაჩუსეტსის შტატი) საჯარო ბიბლიოთეკამ აკრძალა წიგნი შემდეგი განცხადებით: „ეს ნაგავი მხოლოდ ჯურღმულეებისთვის თუ გამოდგება“. ტრადიციული ზნეობა ჯიმისა და ჰეკის ჟარგონულმა ენამ და მათმა ცუდმა მანერებმა შეურაცხყო. დენვერის (კოლორადოს შტატი) საჯარო ბიბლიოთეკამ წიგნი 1902 წელს აკრძალა, ხოლო ბრუკლინის საჯარო ბიბლიოთეკაში ის საბავშვო წიგნების განყოფილებიდან ამოიღეს. ამის საფუძველად მათ ის გამოიყენეს, რომ

„ჰეკს არა მარტო ექავება სხეული, არამედ იფხანს კიდევ და ოფლსაც ხშირად ახსენებს“. 1930 წელს საბჭოთა მებაჟეებმა ამ წიგნს კონფისკაცია გაუკეთეს „ტომ სოიერის თავგადასავალთან“ ერთად.

ამერიკის შეერთებულ შტატებში წიგნის გარშემო ატიხილი ხმაური ორმოცდაათი წლით მიწყნარდა, რადგან ნაწარმოები ამერიკული ლიტერატურის ქრესტომათიულ კლასიკად იქცა. ახალი პრობლემები „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალთან“ დაკავშირებით 1957 წელს წარმოიშვა, როცა ფერადკანიანი მოსახლეობის პროგრესის დახმარების ეროვნულმა ასოციაციამ პროტესტი გამოთქვა წიგნის რასისტული მხარეების მიმართ და მოითხოვა, რომ ამოეღოთ ნიუ-იორკის საშუალო სკოლების სასწავლო პროგრამებიდან. აფროამერიკელმა მწერალმა რალფ ელისონმა აღნიშნა, რომ ჰეკის მეგობრობა ჯიმთან შეურაცხყოფს შავკანიანებს, რადგან პატარა ჰეკი ტოლს არ უდებს, ზოგჯერ კი სჯაბნის კიდევ ჯიმს გადაწყვეტილებების მიღების უნარით. 1969 წელს მაიამის (ფლორიდის შტატი) ერთ-ერთ კოლეჯში ნაწარმოები ამოიღეს სავალდებულო საკითხავი ლიტერატურის სიიდან იმ მოსაზრებით, რომ მას შეიძლებოდა კომპლექსები ჩამოეყალიბებინა შავკანიანი მოწაფეებისთვის.

1973 წელს საგამომცემლო კომპანიამ „სკოტ, ფორსმენ“-მა ანგარიში გაუწია ტენესის სკოლების ხელმძღვანელთა მოთხოვნებს და მოამზადა ნაწარმოების ვერსია, რომლიდანაც მთლიანად იყო ამოღებული ის ფრაგმენტები, რომლებიც ჩინოვნიკებს არ მოსწონდათ. მაგალითად, ამოღებული იყო ნაწყვეტი წიგნის მეთვრამეტე თავიდან, რომელშიც გრენჯერფორდების ოჯახების ახალგაზრდა წევრები ყოველ დილას სვამენ თავიანთი მშობლების სადღეგრძელოს. სწორედ ასეთი სახით მოხვდა წიგნი ქრესტომათიაში, სახელწოდებით „შეერთებული შტატები ლიტერატურაში“, რომლითაც მთელ ამერიკაში სარგებლობდნენ.

საყოველთაო პროტესტს იწვევდა წიგნის ენა, რა თქმა უნდა, აფრიკელ ამერიკელებთან მიმართებაში. მთელი ქვეყნის სასკოლო ორგანიზაციათა ზენოლის გამო, სახელმძღვანელოს გამომცემლები 1975 წლამდე პრობლემას იმით წყვეტდნენ, რომ ნაწარმოებში გამოყენებულ სიტყვა „ზანგს“ ევფემიზმებით ცვლიდნენ. გამომცემლობამ „სკოტ, ფორსმენ“-მა მთელი ფრაზები გადაწერა წიგნში, რათა უბრალოდ ამოეგდო ეს სიტყვა. „ზინგერმა“, „ზანგი“ „მონით“ შეცვალა, ხოლო „მაკგროუპილიმა“ – „მოსამსახურით“. 1975 წელს დოროთი უიზერსბი თავის დისერტაციაში შემდეგ დასკვნამდე მივიდა: „ჯინ ენდ კომპანი“ ერთადერთი გამომცემლობაა, რომელმაც ნაწარმოებში ეს სიტყვა შეინარჩუნა. თუმცა, მათ სახელმძღვანელოში დაბეჭდილი იყო ლაიონელ ტრილინგის ნარკვევი, რომელიც ასაბუთებდა წიგნში ამ სიტყვის შენარჩუნების საჭიროებას.



მარკ ტვენი



სასკოლო ორგანიზაციები ნაწარმოებს ხშირად კრძალვადან ან კიცხვადან მისი ენის გამო – განსაკუთრებით მისი რასისტული სარჩულისა და დამამცირებელი მეტსახელის – „ზანგის“ გამო. პროტესტების უმეტესობა ეკუთვნოდნენ განათლებული შავკანიანების საშუალო ფენის წარმომადგენლებს, რომელთაც სურდათ თავიანთი შვილები დაეცვათ ასეთი შეურაცხყოფელი სიტყვებისგან. ნიგნი რასისტულად მიიჩნეეს ვინეტკაში (ილინოისის შტატი) 1976 წელს, ასევე ვარინგტონსა (პენსილვანიის შტატი) და დავენპორტში (აიოვას შტატი) 1981 წელს; ფეირფექს ქანთროში (ვირჯინიის შტატი) და ჰიუსტონში (ტეხასის შტატი) 1982 წელს; სტივტ კოლეჯში (პენსილვანიის შტატი) 1983 წელს; სპრინგფილდსა და უოკეგანში (ორივე ილინოისის შტატი) 1984 წელს.

1988 წელს როკფორდის (ილინოისის შტატი) სახელმწიფო სკოლებში ნიგნი ამოიღეს სავალდებულო საკითხავი ლიტერატურის სიიდან სიტყვა „ზანგისთვის“. ბერიენ სპრინგსის (მიჩიგანის შტატი) საშუალო სკოლაში ნაწარმოები იმავე წელს აკრძალეს. კადო პერიში კი (ლუიზიანას შტატი) ნიგნი არა მარტო ამოიღეს სავალდებულო საკითხავი ლიტერატურის სიიდან, არამედ სასკოლო ბიბლიოთეკებსაც ჩამოართვეს და კვლავ იმავე რასისტული პასაჟებისათვის. ერთი წლის შემდეგ ნიგნი აკრძალეს სერფილ ქანთონის (ტენესის შტატი) საშუალო სკოლაში. ამ შემთხვევაში რასის შეურაცხყოფის ბრალდებებს დაემატა ინგლისური ენის გრამატიკულად არასწორი დიალექტის გამოყენების ბრალდება.

1990 წელს ნიგნის მიმართ ახალი ბრალდებები გაჩნდა. ნაწარმოებთან ომი კვლავ გრძელდებოდა. მშობლებს აფროამერიკელებთან მიმართებაში გამოყენებული დამამცირებელი ფრაზები მოჰყავდათ და აპროტესტებდნენ ნიგნის დამატებითი საკითხავი ლიტერატურის სიაში შეტანას ერის (პენსილვანიის შტატი) საშუალო სკოლაში. იმავე წელს ნიგნს რასისტული უწოდეს პლანოს (ტეხასის შტატი) დამოუკიდებელ სასკოლო ოლქში.

1991 წელს ნაწარმოებში ხშირად გამოყენებული სიტყვა „ზანგისთვის“ მესას (არიზონის შტატი) სასკოლო ოლქის მოსწავლეთა მშობლებმა გააპროტესტეს ნაწარმოების სკოლაში სწავლება და განაცხადეს, რომ მისი ენა ზიანს აყენებს ნორჩი აფროამერიკელების თვითშეფასებას. იმავე მიზეზებით და იმავე წელს ნიგნი ამოიღეს სავალდებულო საკითხავი ლიტერატურის სიიდან ჰოუმის (ლუიზიანას შტატი) სახელმწიფო სკოლებიდან. 1991 წელს ნიგნი დროებით ამოიღეს პორტიეჯის (მიჩიგანის შტატი) სასკოლო

გვეგმიდან. ამის მიზეზი იყო აფროამერიკელი მშობლების მიმართვა: ჯიმისა და სხვა აფროამერიკელთა აღწერა „ავინროებდა“ მათ შვილებს.

1992 წელს კონსტონის (ჩრდილო კაროლინის შტატი) სასკოლო ოლქის ხელმძღვანელმა ნიგნი ამოიღო მეორე საფეხურის სკოლის პროგრამიდან. მან მიიჩნია, რომ მოსწავლეები ძალზე ნორჩები არიან იმისთვის, რომ ნაიკითხონ ნაწარმოები, რომელშიც გამოყენებულია სიტყვა „ზანგი“. ამავე სიტყვამ და ასევე „შეურაცხყოფელმა და რასისტულმა ენამ“ განაპირობა ის, რომ 1992 წელს მოდესტოში (კალიფორნიის შტატი) ნიგნი ამოიღეს სავალდებულო საკითხავი ლიტერატურის სიიდან. 1993 წელს კარლაილის (პენსილვანიის შტატი) განათლების სამმართველოში ნაწარმოების მოწინააღმდეგეებმა მასში გამოყენებული რასისტული შეურაცხყოფანი დამამცირებლად მიიჩნეეს არა მარტო აფროამერიკელი მოსწავლეებისთვის, არამედ თეთრკანიანთათვისაც. სხვა რაიონებისგან განსხვავებით, ლუისვილში (ტეხასის შტატი) სასკოლო ადმინისტრაციამ შეინარჩუნა ნიგნი საკითხავი ლიტერატურის სიაში, მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოები „ბრალდებული“ იყო რასიზმში.

ბრალდების ყველაზე ყოველისმომცველი ფორმულირება ნაწარმოების სწავლების აკრძალვისას ტვილორ ქანთონის (ბატლერი, ჯორჯიის შტატი) საშუალო სკოლაში გაჩნდა 1994 წელს: „ნიგნი არა მარტო რასისტულ

შეურაცხყოფას და გრამატიკულად გაუმართავ ტექსტს შეიცავს, არამედ, ყველაფერთან ერთად, არ კიცხავს მონობას“.

მიუხედავად ცენზორთა ასეთი მკაცრი განცხადებებისა, მარკ ტვენის შემოქმედებას, რა თქმა უნდა, არც ჭეშმარიტი დამფასებლები აკლდა. ერნესტ ჰემინგუეი თავის რამდენიმე მასწავლებელს შორის მარკ ტვენსაც ასახელებს და წერს: „მთელი თანამედროვე ამერიკული ლიტერატურა „ჰეკლბერი ფინიდან“ გამოდის. ეს საუკეთესო ნიგნია, რაც კი ჩვენში გამოსულა. ამგვარი ნიგნი ჯერაც არ დაწერილა“.

რაც შეეხება ქართველ მკითხველს, „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“ საქართველოში არასოდეს აუკრძალავთ და ქართველ მოზარდთა სხვადასხვა თაობას შეუზღუდავად აქვს მისი ნაკითხვის საშუალება.

**რეჟიონალური ვერ ბაიბარსა**

ჩვენი ჟურნალის მკითხველს მოეხსენება, რომ რომანის „მარტოობის ასი წელი“ ავტორისა და ნობელის პრემიის ლაურეატის გაბრიელ გარსია მარკესის მშობლიური ქალაქის მერმა პედრო სანჩესმა თანამემამულეთ შესთავაზა ქალაქისათვის არაკატაკა-მაკონდო ეწოდებინათ. აკი სწორედ არაკატაკაა – ბანანის პლანტაციებით გარშემორტყმული ქალაქი კოლუმბიის ჩრდილოეთით – გამოგონილ ქალაქ მაკონდოს პროტოტიპი.

სანჩესის აზრით, ეს ნაბიჯი ქალაქში ტურისტებს მიიზიდავდა. მითუმეტეს, იქ უკვე არსებობს მარკესის მუზეუმი – მწერლის ბუბიის, ტრანკვილინას სახლში. მაგრამ რეფერენდუმი სახელის გადაჩქვევის თაობაზე ვერ გაიმართა. ამისათვის საჭირო იყო 7400 მომხრის ხმა, უზნებზე კი ადამიანთა საკმარისი რაოდენობა არ მისულა.

თვითონ მარკესი რეფერენდუმში არ ერევა.

**მომხზადა  
მანანა ნაცვლიშვილი**

სიმონ წერეთელი

## გიგო ხეჩუაშვილის ნამუშაობი

ჩემ პირდაპირ იჯდა ღრმა მოხუცებული, მორჩილი ტანის კაცი და მწარედ იცრემლებოდა:

„რა სევდა განუხებს?“

„დღეს შესრულდა ორმოცი, რაც ჩემი ცოლი დავსაფლავე“. მიპასუხა მოხუცებულმა და ქვითინი ამოუშვა. დავამშვიდე და ვთხოვე ეამბა თავისი ცოლის ამბავი.

„ერთადერთი ვაჟი გვყავდა და მეორე სამამულო ომის ფრონტზე გაიწვიეს, იქ შესწირა მან თავი. ეს ამბავი რომ გაიგო ჩემმა ცოლმა, დამბლა დაეცა და 16 წელი ლოგინად იწვა და საშინელ ტანჯვაში გარდამეცვალა. ეხლა კი მე დავობლდი, ანი რაღა დამრჩა...“

ეს მოხუცი იყო ჩვენში პოპულარული მუშა-პოეტი გიგო ხეჩუაშვილი.


მიუხედავად თავისი 80 წლიანობისა, იგი ხშირად გამოდის სცენაზე საკუთარი ლექსებით ყურადღებას იზიდავს და ხალხი ხშირად ოვაციებსაც უმართავს თავის საყვარელ პოეტს.

მოხუცი რომ დავამშვიდე, ვთხოვე ეამბა თავისი ბიოგრაფია-თავგადასავალი.

„რა უნდა გიამბო სიმონ, ეს ცხოვრება ტანჯული გზით მაქვს გავლილი, ბევრი მწარე წყალი დამიღვია და მოხუცებულობის დროს შვილიც დავკარგე და ცოლიც, მაგრამ გიამბობ მოკლედ ჩემ ბიოგრაფიას, თუ ასე გაინტერესებს. მე დავიბადე 1879 წელს, ასე რომ წლეულს შევსრულდი სრული 80 წლის. დავიბადე გორის მაზრის სოფელ ახალქალაქში. ჩვენი გვარი ხეჩოევი იყო, შემდეგ გადავაკეთეთ ხეჩუაშვილად. ტომით სომხები ვიყავით, გულით კი ქართველი და დედაც ქართველი მყავდა. მამაჩემს ერქვა გასპარა, დედას – ქეთევანი. მამაჩემი უკიდურეს სიღარიბეს და ხელმოკლეობას განიცდიდა. თუმცა ხელობით მეჯურჯნე (მეჭურჭლე) იყო, მაგრამ ამ ხელობას არ მისდევდა და ცოლ-შვილს არჩენდა თავის ბატონ თავად მიხეილ გეგენის ძე თარხნიშვილთან სამსახურით. დედაჩემი გულკეთილი ადამიანი იყო, მხნე, გამრჯელი. 12 წლის იყო, რომ დედაჩემი ქეთევანი ძალით მიათხოვეს ღარიბ მამაჩემს, რომელიც ცხოვრობდა მინურ სახლში, სადაც მე დავიბადე. ქეთევანზე გავლენა იქონია წვრილშვილობამ. მოუვლელიობით და უწამლობით ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, როდესაც მე 18 წლის ვიყავი. ათი შვილიდან სამი დარჩა ქეთევანს, ორი ქალი და ერთი ვაჟი. ამ სამში უფროსი მე ვიყავი და ამიტომ ოჯახის ზრუნვა პატარაობიდანვე მე დამანვა კისერზე.“

კითხვა ბავშვობიდანვე ვისწავლე სასაფლაოს ქვებზე წარწერების საშუალებით. იმდენი ვიბეჯითე, რომ პირველად გამოვიყვანე ოთხი ასო „გიგო“. შემდეგ ქალაქში რომ ჩამოვედი შევისწავლე კითხვა. შვიდი წლის რომ ვიყავი, მშობლებმა სოფლის სკოლაში მიმაბარეს, მაგრამ ჯერ ანბანიც არ მესწავლა, რომ იმავე ზამთარს ისევ გამომიყვანეს, რადგან ბატონს ვესაჭიროებოდი მოსამსახურედ.

მამაჩემმა ცემა-ტყეპით მიმიყვანა ამ თავადთან, რომელსაც საზიზღარ ჩვეულებად გადაქცეოდა ფეხების ფხანა და სწორედ ამისათვის მე ვუნდებოდი ყოველდღე მისი ძილის წინ მისი ფეხების ფხანას. შვიდი წელიწადი, ესე იგი 14 წლამდინ მოვუწიე ამ ბატონის აყროლებულ ფეხების ფხანას, მაგრამ ამას გარდა სხვა საქმეებსაც მაკეთებინებდნენ, როგორც არის: ფეხსაცმელების წმენდას, ჭურჭლის რეცხვას, ქვაბების ხეხვას, ოთახების დალაგება-დასუფთავებას და მრავალი სხვა.



და აი, ასეთ პირობებში ვიზრდებოდი, ჩემო სიმონ.

\*\*\*

ერთხელ მახსოვს წარმოდგენაზე რომ გამაყოლეს პალატოების საყარაულოდ. შინ დაბრუნებისას ბატონის პალატოს ჯიბეში სამი აბაზი აღარ აღმოჩენილა, თურმე ვიდაცას მოეპარა, შინ დაბრუნებისას მათ ლაპარაკში შევიტყვე, რომ მე მამრალეზდნენ ქურდობას.

ისე მეწყინა ეს ამბავი, რომ მდინარეში თავის დახრობა მქონდა გადაწყვეტილი. შემდეგ ვხედავ მოდის სოფლის მწერალი ალექსა. ვიფიქრე, ჩემ დასაჭერად თუ მოდის-მეთქი და თოქს ვეძებდი თავის დასაბრუნებად.

მაგრამ ალექსამ ამოიღო ეს სამი აბაზი და დაანყო მაგიდაზე: „სოფლის ბიჭებს მოეპარათ ეს ფული, ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდათ და მე წავართვი ეს ფულიო. დაიბრუნეთ და ამ ბიჭს ტყუილად აყენებთ შეურაცხყოფასო, მაგან ერთხელ გზაში მანეთი იპოვა და სანამ პატრონი არ მონახა, არ მოისვენა. სანყალი ბიჭი, დედა ავადმყოფი უწევს სახლში და თვითონ ოქრო გულია“ და დამარქვეს მას აქეთ „ოქრო გული“.

14 წლის რომ შევსრულდი, მივატოვე ბატონის სამსახური და წავედი მანგლისში, სადაც ერთ მენვრილმანესთან დავდექი ნოქრად.

იმ ხანებში გამოვიდა ანტონ ფურცელაძის ნაშრომი: „ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად“.

მე გამიტაცა გიორგი სააკაძის ცხოვრებამ, შემეყვარდა ნიგნების კითხვა, წერა და ხელი მოვკიდე კალამს. 16 წლისაც არ ვიყავი, რომ ვრცელი პოემა ვუძღვენი გიორგი სააკაძეს, რა თქმა უნდა, როგორც დანყება, სუსტი იყო, მაგრამ დანერგილი თბილი გულით. აი, ამ ხანიდან დავიწყე სამწერლო მოღვაწეობა. მანგლისში ვაჭრობას ვერ შევეთვისე და 17 წლის ერთ ზამთარს მოვეწყვე მამის ოჯახში.

ერთხელ მახსოვს სტუმრად გვესტუმრა ნათლიმამა გიგა დურგლიშვილი, რომელმაც თავის ძმის ქორწილში დაგვპატიჟა მამა და შვილი. მე უარზე ვიდექი, რადგან ქორწილში წასასვლელად მზად არ ვიყავი და არც ფული მქონდა სამი აბაზის მეტი, მაგრამ არ მოგვეშვა დურგლიშვილი, ორი მანეთი ასესხა მამას და მამა-შვილი ერთად წავედით ქორწილში.

აი, ამ ქორნილში წასვლით ვისარგებლე, რადგან სწორედ ეს ქორნილი შეიქნა საბაბი, რომ დამეწერა მოთხრობა „დურგლიანთ ქორნილი“, რომელიც შემდგომ რამდენიმეჯერ გამოიცა და შეიქნა მგონი პოპულარული.

8 წლის რომ ვიყავი, პირველად ვნახე თეატრი. ჩვენ სოფელში დგამდნენ ალექსანდრე ყაზბეგის პიესას „დილა ქორნილის შემდეგ“. სცენა სახლის აივანზე მოეწყობოდა სცენის მოყვარეებს და ხალხი კი ეზოში იჯდა. ჩვენი თავადი თავისი ამალით ფაიტინით მივიდა წარმოდგენაზე დასასწრებად. მე დამაყენეს დერეფანში პალტოების საყარაულოთ და კარებში პატარა ნახვრეტი შევნიშნე და იქიდან ვიჭყიტებოდი, თუ რას აკეთებდნენ აქტიორები, წარმოდგენაც არ მქონდა საერთოდ თეატრზე.

1896 წელს გადავწყვიტე თბილისში წამოსვლა. ერთ მშვენიერ დღეს, რადგან გზის ფული არ გამაჩნდა სოფელ მეტეხის ბოლოში შევხვდი მეტივეებს და თბილისის პირველად ტივით ვესტუმრე.

მაგრამ სამსახურის შოვნა არც ისეთი ადვილი საქმე იყო. პირველად შეშის ვაგონებს ვცლიდი რკინის გზის სადგურზე, შემდეგ შეშის სანყოფინებში ვმუშაობდი, კარგა ხანს საჯინოებში ცხენებსაც ვუყვლიდი, ბოლოს ოჯახებში დავინიყე ხელზე მოსამსახურეობა, ერთხანს სომხის ეპისკოპოსთანაც ვიყავი მსახურად. ეჰ, აბა რა გითხრა, რა არ გადავიტანე, შემდეგ შევედი სტამბაში ჩარხის დამტრიალებლად და შესანიშნავად ვისწავლე ასოების აწყობა და გადავედი ჯაბაღარის „ქართველ ამხანაგობის“ სტამბაში.

### შხვედრები აპაკი წერეთელთან

„გქონდათ თუ არა შეხვედრები აპაკი წერეთელთან?“

„ისე ხშირად არა, როგორც ილიასთან, მაგრამ მაინც მქონდა. ჩვენი სტამბა, სადაც მე ვმუშაობდი, იმყოფებოდა იმ ეზოში, სადაც იმყოფებოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. იქ ხშირად მოდიოდნენ ხოლმე მწერლები.

ერთხელ ბლანკები მიმქონდა საზოგადოებაში სტამბიდან, სადაც მათ მიერ იყო შეკვეთილი, ვხედავ კრებას, ზის როგორც მახსოვს რვა მოღვაწე, მათ შორის აპაკი და ანტონ ფურცელაძეც. და რაღაც კამათი ქონდათ. უნდა მოგახსენოთ, რომ აპაკი თავისი სატირული ლექსით ხშირად გაკრავდა ხოლმე ანტონ ფურცელაძეს, რომელიც მართალია დიდი მუშაკი იყო, მაგრამ ნიჭით რას შეედრებოდა ამ ბუმბერაზ აპაკის, მიუხედავად ბევრი ნაწარმოებისა, რომელიც შექმნა ფურცელაძემ, მას აკლდა მხატვრული ენა. მაგრამ მე წაკითხული მქონდა ფურცელაძის ნაწარმოებები და რადგან უკვე თესი არ წამიკითხავს, ფურცელაძე უდიდეს მწერლად მეჩვენებოდა, რაც რომ რა თქმა უნდა ვაჭარბებდი ჩემ წარმოდგენაში.

კრების მონაწილეებმა რომ შემნიშნეს ბლანკებით ხელში, გამაჩერეს და აპაკიმ მკითხა:

„ხეჩუაშვილო, ერთი ეს მითხარი, შენ ორივეს იცნობ ანტონ ფურცელაძეს და აპაკის, გულწრფელად გვითხარი რომელი უფრო მოგწონს?“

აბა მე მაშინ 19 წლის, უსწავლელი ჩამორჩენილი რა მესმოდა და ვუპასუხე ასე:

„ანტონი მწერალია, აპაკი კი მოშიარე“.

ამაზე მთელმა კრებამ ხარხარი ასტეხა, ბევრი იცინა აკაკიმაც, პლატოკით ცრემლიან თვალებს იწმინდავდა. ბოლოს მივხვდი ჩემ დიდ შეცდომას და ბოლოში მოვიხადე ამ ჩვენს საქართველოს პუშკინის წინაშე.

### შხვედრები ზაქარია ჭიჭინაძესთან

ამ მოღვაწესთან შეხვედრები ხშირად მქონდა. ის იყო დაბალი ტანის, მუდმივ მრავალი წიგნებით ილღიაში, ნელ-ნელა მოსიარულე, ძველ და დალაქავებულ დაქონილ ტანისა მოსში. ოჯახი მას არასოდეს არ ყოლია, მისი ოჯახი იყო მწერლობა. მთანმინდაში მას ქონდა საკუთარი სახლი, მაგრამ ფაქტიურად ის სახლი უფასო სასტუმრო იყო, რადგან ვინც ჩამოდიოდა მწერალი, იქ ჩერდებოდა. მეც რამდენჯერ გამითევია იქ ღამე. მწერლებს ისე ეფერებოდა, როგორც თავის შვილებს. იყო თავდაბალი, მორცხვი, უწყინარი, მისი ხმაშაღალი ლაპარაკი არ მომისმენია. თვითონ წერდა, თვითონვე სცემდა თავის ისტორიულ თემებზე დაწერილ ნაწარმოებს. აი, მის სახლში ხშირად იკრიბებოდნენ მწერლები და მეც ამით მქონდა საშუალება გამეცნო იგინი და მათთან საუბარში ბევრი რამ ამეთვისა სასარგებლო და აზროვანი.

ზაქარია ჭიჭინაძე ქველმოქმედიც იყო, რითაც შეეძლო ეხმარებოდა გაჭირვებულ მწერლებს, იგი იყო უფრო მეტად მშრომელი, საზოგადო მოღვაწე, რადგან მწერლობად ძალიან სუსტი ენა ქონდა და ნაკლები კულტურა. მის ნაწარმოებს არავინ იხილავდა, თვითონ წერდა, თვითონ სცემდა, თვითონ იყო თავისი თავის რედაქტორი და გამომცემელი, კორექტორი და სხვა.

საზოგადოებამ დიდი პატივი სცა მას და მთანმინდის პანთეონში დასაფლავეს ჩვენ დიდ მოღვაწეებთან გვერდით, მის დასაფლავებას აუარებელი ხალხი დაესწრო.

„შენ ნუ ჩქარობ, ეგრე, ხალხისაგან აილე სურათები და აღწერე, ხალხს ხალხური შემოქმედება უნდა მიაწოდო“.

მარიგებდა ხოლმე ზაქარია.

მისი ნაწარმოები ეს მართლაც განძია მკვლევართათვის, განსაკუთრებით მასალები მუსლიმან ქართველების შესახებ, რაზედაც ზაქარიამ ბევრი იმოგზაურა და იწრომა ამ საგანზე.

„გიგო თქვენ ბევრი ნაწარმოები გაქვთ?“

„რალა თავი მოგანყინო ჩამოთვლით, ბევრი მაქვს ხელნაწერი და ბევრიც გამოცემული. ჩემი ნაწარმოებები შეიცავენ: მოთხრობებს, პიესებს, პოემებს, ზღაპრებს და ლექსებს. მაგალითად, 1921 წელს ჩემი პიესა „პაატა, გიორგი სააკაძის შვილი“ ასჯერ დადგეს დასავლეთ საქართველოში და მე-100 წარმოდგენა დიდი ზემოთ აღნიშნეს. მაგრამ სიმართლე მოითხოვს, რომ აღვნიშნო, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ვიგრძენი ჩემი თავი მოქალაქე პოეტად.

1923 წელს 30 დეკემბერს 25 წლის სამწერლო მოღვაწეობის იუბილე გადამიხადეს ტფილისის სახელმწიფო საოპერო თეატრში.

შემდეგ იგივე იუბილე გადამიხადეს გურულუბმა, მწერალ ევანტე ნინოშვილის სოფელში ნივზარში, გურჯაანში და სხვა.

სულ ჩემს სიცოცხლეში გამიმართეს 40 საღამო და აუარებელი შეხვედრები მუშებთან და კოლმეურნეობებთან.

უნდა ვაღიარო, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ დამიფასა ჩემი სამწერლო მოღვაწეობა. თბილისის ერთ-ერთ დიდ ქუჩას დაარქვეს ჩემი სახელი.

**შენსეიდრაბი  
ანტონ ფურცელაქსთაძე**

ანტონი მეტად გულკეთილი ადამიანი იყო და ყოველთვის კარგად მღებულობდა, ხშირად რჩევა-დარიგებას მაძლევდა. ის კოჭლობდა, რადგან ბავშვობისას გადმოვარდნილა კიბიდან. მასთან ხშირად მქონდა ხოლმე საუბარი. მისმა პიესამ გიორგი სააკაძეზე აღფრთოვანება გამოიწვია ჩემში და მეც გამაბედინა დამწერა ამავე თემაზე პიესა. როცა ანტონს წავუღე წასაკითხავად, მასთან ბევრი მწერალი იჯდა და კამათობდნენ. როცა დავასრულე ჩემი პიესის კითხვა, ანტონი წამოდგა, მომიახლოვდა და შუბლზე მაკოცა:

„ყოჩაღ ხეჩუაშვილო, არ მოველოდი მე ამ ამბავს შენგან, თბილად არის დანერილი ეს პიესა. განაგრძე, განაგრძე მწერლობა, იბეჯეთე, იკითხე და იქნება შენც მოხვდე მწერლებში“.

გამამხნევა ამ სიტყვებმა, სიხარულისგან ჟრუანტელი დამიარა ტანში. ერთხელ ჩემი ნაწარმოები მივუტანე ანტონ ფურცელაქსთაძეს წასაკითხავად. მის ოთახში რომ შევედი, ანტონი იჯდა მაგიდასთან და წერდა. მის მეზობლად იჯდა ახალგაზრდა, რომელიც მისი ძმისწული აღმოჩნდა.

ანტონმა დიდი სიხარულით მიმილო, ჩვეულებისამებრ დამაჯინა რა სკამზე, საყვედურით მიმართა თავის ძმისწულს: „აი ეს ხეჩუაშვილი მუშა პოეტია, მას შიმშილის მეტი არაფერი არ გადაუტანია, არც სკოლა, არც არაფერი სიკეთე არ უნახავს და ასეთ ტანჯვის გზა აქვს გავლილი და მიაღწია პოეტის ნოდებას. შენ კი, ამდენ ფულს გაყრიან, თავზე გადგანან მასწავლებლები, ფუფუნება და სიმდიდრე არ გაკლია, მაგრამ არაფერი არ გამოდის შენგანაო“.

აკაკის ნკიპურტები და სატირა ანადგურებდა ანტონს და საერთოდ მწერალში ნაკლს თუ შენიშნავდა ეს ბუმბერაზი პოეტი, არ ინდობდა და მიწასთან ასწორებდა. აბა აკაკიმ ისეთი პოეტი, როგორც ვაჟა-ფშაველა არ დაინდო და მისი კუთხური ფშაური ენა ქარ-ცეცხლში გაატარა და სანყალ ანტონ ფურცელაქსთაძეს რას დაინდობდა.

„როგორ გადვურჩე მაგის გესლიან სატირას“, ჩიოდა ხოლმე ანტონი, მაგრამ მაინც წერდა და ჩამომავლობას დაუტოვავა შედარებით სუსტი, მაგრამ მრავალი ნაწარმოები.

**მუშა პოეტი  
ისაკა მირიანაშვილი**

მე მიწადა ორიოდე სიტყვით მოვიგონო მართლაც ნიჭიერი პოეტი, სოფლის მუშა ისაკა მირიანაშვილი, რომელიც იყო გურჯაანის (სიღნაღის) რაიონიდან. მრავალ ლექსთა შორის განირჩეოდა მისი გრძელი ლექსი „ფული“, სადაც პოეტი სწყევლის მის გაჩენას, რომელიც მიზეზია უსიამოვნების, მკვლელობის, ოჯახის დანგრევის და ომიანობისაც. ამ ლექსმა დიდი პოპულარობა მოიპოვა ხალხში და ხშირად ამეორებიანებდნენ ავტორს.

მისი ლექსები იბეჭდებოდა გაზეთებში, როგორც რაიონულ, ისე ცენტრალურშიც. მისი ოცნება იყო გამოცემა კრებულია მისი რჩეული ლექსების, რომელიც დანერილია ხალხური ენით და მიბაძვავა აკაკის სკოლისა.

მე და ისაკა ხშირად, მთელი ათეული წლების განმავლობაში დავდიოდით კოლმეურნეობებში, ქალაქებში, ფაბრიკა-ქარხნებში და ვკითხულობდით საკუთარ ლექსებს, ხალხი კარგად გვღებულობდა ყველგან.

სანყალი ისაკა გარდაიცვალა 1956 წელს 77 წლის ასაკში, დაასაფლავეს თავის სოფელში და რა ბედი ენია მის აუარებელ ლექსებს, არ ვიცი.

კარგი კი იყო შეგროვება მისი რჩეული ლექსებისა და გამოცემა ცალკე კრებულად. ხალხს უყვარს, როდესაც თავის გასაგებ ენაზე კითხულობს წიგნებს.

დასასრულ რა უნდა გითხრათ:

ჩემი ნატვრაც – გამოიცეს მთლიანი კრებული ჩემი ნაწარმოებებისა, რაც რომ მიწერია ჩემი 61 წლის სამწერლო პერიოდში, რადგან არის იქ ვფიქრობ დაინტერესება.

მაგალითად მე მაქვს რომანი „ბორჯილები“ ორ ნაწილად და სხვა.

ასე დაამთავრა 80 წლის მოხუცმა პოეტმა გიგო ხეჩუაშვილმა თავისი საუბარი მოგონებები.

**მაკა ჯოხაძე ფოცხვერაშვილის ქუჩაზე მიაბიჯებს.**

**დეტექტიური იდუმალება**

**ხომ არ იჭრება? არც უმაგი-**

**სობაა. იგი ეძებს მოზინადრეს, ვინც დაუდასტურებს ამ ქუჩის უფრო ადრინდელ სახელწოდებას. ეს ის კოტე ფოცხვერაშვილია, საქართველოს პირველ რესპუბლიკას სახელმწიფო ჰიმნი რომ შეუქმნა და მის უკვდავსაყოფად რკინიგზის სადგურის ეს მიდამო აირჩიეს.**

მაგრამ ქუჩა უსახელო არა ყოფილა, და მისი ის ადრინდელი სახელი ახსოვს ჩვენს ცნობილ ბელეტრისტს – თვითონ სიყმანვილისას მახლობელ ქუჩაზე ცხოვრობდა და აქ კი მისი თანაკლასელი ბინადრობდა.

ეგაა, არ უნდა, რომ მეხსიერებას ხელალებით დაეყრდნოს და მონმეს ეძიებს.

ნუთუ არავის ემახსოვრება, რომ ეს ქუჩა ადრე გიგო ხეჩუაშვილის სახელობისა იყო? მაშინ ამ გვარისათვის ყურადღება არ მიუქცევია, უნებურად ჩარჩა ხსოვნაში, თორემ ხეჩუაშვი-

**რედაქციისაგან**

**ლიც რევოლუციონერი ეგონა და მისი ვინაობა რატომ უნდა ერკვია.**

მაგრამ უეცრად აღმოჩნდება, რომ გიგო ხეჩუაშვილი მუშა-მწერალი ყოფილა, პროზაიკოსი, დრამატურგი, და, რაც მთავარია, გალაკტიონ ტაბიძის ეპოქის ყველაზე პოპულარული პოეტი, ვის გვერდით სცენაზე გამოსვლასაც ასე უფროსოდნენ აღიარებული პოეტები. და თვით გალაკტიონიც, იოსებ გრიშაშვილიც, გიორგი ლეონიძეც...

მოულოდნელად უნდა შევიტყოთ, რომ გიგო ხეჩუაშვილის სიცოცხლეშივე შეურქმევიათ მისი სახელი ქუჩისათვის და, ცხადია, ძალიან მოვინდომებთ იმ ადგილის დაზუსტებას.

ცნობარები უნდა გადაისინჯოს.

თუ საჭირო გახდება, არქივებიც მოიჩხრიკოს.

და, აი, მაკა ჯოხაძეს აგონდება, რომ ის გვარი სულაც არ ყოფილა მისთვის უცხო, და თუ მისი თანაკლასელი ხეჩუაშვილის ქუჩაზე ცხოვრობდა, ეს ხეჩუაშვილი სავსებით მოსა-

ლოდნელია, სწორედ ის გიგო ხეჩუაშვილი იყოს. განა რამდენ ხეჩუაშვილს არგუნებდნენ უკვდავყოფისათვის ქუჩას?

ადგილი კარგად ახსოვს.

დამადასტურებელი კი ვერა და ვერ უპოვნია.

ვის აღარ აჩერებს, ვის აღარ ეკითხება, ვის აღარ მიუკაკუნებს კარზე.

უცნაურ აზარტს შეუპყრია.

რომც ვერავინ იპოვნოს კვერის დამკვერელი, თავისას მაინც დაიბეჯითებს, ყოველ შემთხვევაში, საყრდენი აქაა, თუ საიდან უნდა დაზუსტდეს ქუჩის ადრინდელი „მფლობელის“ ვინაობა, მაგრამ თანამოაზრის პოვნა ისე სწყურია, თითქოს ერთიანი ესთეტიკური პლატფორმა უნდა შექმნანო.

და, აი, სადარბაზოდან ვილაც ქალი გამოდის.

მაკა უკვე გამობრუნებას აპირებს, დაღალა გამოკითხვამ და ამდენმა მხრების აჩერებამ, მაგრამ რა იქნება ეს ერთიც სცადოს, ისე, ყოველი შემთხვევისათვის... ერთიც და რედაქციისაკენ გამოსწიოს. ისედაც ძალიან დაავიანა.

– ხომ ვერ მეტყვი, ამ ქუჩას ადრე ვისი სახელი ერქვა?

– გიგო ხეჩუაშვილის.

– რას... რას ბრძანებთ!..

– ვინაობისას ვერაფერს მოგახსენებთ, – ქალი შეფიქრია-ნებულია, – მაგრამ რაც ვიცის ესაა – გიგო ხეჩუაშვილის.

ეძიებდე და ჰპოვებდეო – მოგეხსენებათ ეს ბიბლიური შეგონება.

გულით მონადინება იგულისხმება.

ამ ქუჩისათვის სახელი რომ შეუცვლიათ, გიგო ხეჩუაშვი-

ლი გადასაგდებად სულაც არ გაუმეტებიათ და მისი სახელი ავჭალის ერთი ქუჩისათვის მიუკუთვნებიათ.

ამას უკვე თბილისის ქუჩების ცნობარი გვაუწყებს, „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემული 1966 წელს.

„ხეჩუაშვილი გიგოს ქუჩა (ყოფილი ქუჩისშვილის ქუჩა) – უნერისა და ვარდევანის ქუჩებს შორის. ლენინის რაიონი. ავჭალა. ტრამ. 3, 11, ავტ. 9, 11“.

მცირე სარედაქციო ჩანაწერში, რომელმაც მკითხველი საზოგადოებისათვის ცხადი გახადა გამოგნებელი სიმართლე, რომ გიგო ხეჩუაშვილი პოპულარობით აჭარბებდა ყველა პოეტს, მოხსენიებული გახლდათ მისი მოგონებანი ილია ჭავჭავაძეზე, რომელიც „ლიტერატურის მატრიანეში“ გამოქვეყნდა.

სიმონ წერეთლის მიერ ხანდაზმული მუშა-პოეტისაგან ჩანერული მოგონებებიდან ამოირჩა მაშინ ის ორი ფრაგმენტი, ამჟამად კი სხვა ნაწილებს ვთავაზობთ „ჩვენი მწერლობის“ მკითხველს – უდავოდ საგულისხმო ცნობებს ლიტერატურის ისტორიისა და ბიოგრაფიისათვის.

თვითონ ბერიკაციც საკმაოდ რელიეფურად იხატება ამ მოგონებათა წყალობით.

მკითხველის ცნობისწადილს საკმაოდ შეავსებს ეს პუბლიკაცია, რომელიც მოამზადა ქართული ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომელმა ლია გუსეევამ.

რასაკვირველია, ამ ჩანაწერებს ისედაც გაავცნობდით, მაგრამ მისი სახელობის ქუჩის მიუგნებლად რაღაც სხვი მოაკლდებოდა, სხვი, რომელიც ახლა ასე მკაფიოდ გასდევს წრფელ, გულაღალ მონათხრობს.

დეტაქტივი

ჰ.ა. დე როსო

ეს მწარე ტკბილი შურისძიება

გზა გადახერგილი იყო. მის ორივე მხარეს ჩამაგრებული რკინის მილებზე გამაფრთხილებელი აბრები მიეჭებოდათ: „გრუნტი ჩანოლილია. მოძრაობა აკრძალულია“.

უილ ოუენმა დაამუხრუჭა და გზის პირზე გადაუხვია. მეთევზეებისა და მონადირეების მანქანებს გზაზე უამრავი ორმო გაეჩინა.

გადახერგილი მონაკვეთი გაიარა, ისევე ტრასაზე გავიდა და სიჩქარეს მოუმატა.

მანქანის ფარების შუქზე ჩანდა ხან ბალახი და ხან მალაროს თავზე ამონონილი ლითონის კარკასი.

ისევე დაამუხრუჭა, მანქანა მოაბრუნა და ძრავა გამორთო. სიჩქარეში მხოლოდ მისი გულისცემა და იქვე, გუბურიდან ბაყაყების ყიყინი ისმოდა. და არავითარი სხვა ხმა.

ხელი სიგარეტისაკენ გაექცა, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან ჩათვალა, სჯობს ჩემი იქ ყოფნა არ გავამჟღავ-

ნოო. თუმცა რამდენიმე წუთში მაინც გააბოლა, ამ შუალამეს მის მეტი მაინც არავინ გამოჩნდებოდა.

ლოდინი თრგუნავდა. შეიძლება ეს გარემოს ბრალიც იყო: მიტოვებული მალარო, უკაცრიელი, გაპარტახებული შენობები და ჟანგშეჭმული ინვენტარი. მაგრამ მასთან შესახვედრად ეს იდეალური ადგილი გახლდათ.

ხელსაწყოების პანელზე სინათლე აანთო, საათს შეხედა და შემფოთდა. მოვა?

ტელეფონით ძალზე მკაცრად ესაუბრა და მიახვედრა, უარს არ მივიღებო. ეხვეწებოდა, ემუდარებოდა, ეუბნებოდა, შინ ქმარი იქნება და ვერ წარმომიდგენია ასე გვიან მისგან დაფარულად სახლიდან როგორ გამოვიდეთ. ის შეუვალა იყო. უნდა შეძლოს გამოსვლა.

და ახლა, აქ იჯდა, ენეოდა, ნერვიულობისაგან აღარ იცოდა, რა ექნა, და მერამდენედ ეკითხებოდა საკუთარ თავს, ყველაფერს სწორად აკეთებდა თუ არა. ადრე ვერც წარმოიდგენდა, თუ ასე დაეცემოდა.

უკვე მზად იყო დამარცხება ელიარებინა, რომ გზაზე ანთებულფარებიანი მანქანა გამოჩნდა. კარი გააღო და სიბნელეში გადმოვიდა. გული გამმაგებით უცემდა. დანამდვილებით ვერც იტყოდა, რითი იყო მისი ღელვა გამოწვეული, – იმით, რომ მას ისევე უნდა შეხვედროდა, თუ იმით, რაც უნდა ჩაედინა. რა დიდი დრო გავიდა მათი უკანასკნელი შეხვედრიდან!

მანქანა მკვეთრად მობრუნდა და მისი ფარების შუქმა დააბრმავა. თავს უსაყვედურა, რომ აქ, გამოსაჩენ ადგილას გაჩერდა, თუმცა სიფრთხილე უნდა გა-

მოეჩინა. იქნებ სჯობდა, დამალულიყო. მაგრამ ამ საქმეში ახალბედა იყო და დიდად არც აინტერესებდა და იზიდავდა ის, რასაც სჩადიოდა. აუცილებლობა და სიძულვილი – აი, რა ამოძრავებდა.

მანქანა გაჩერდა. ფარები ჩაქრა. და სიჩუმეს ისევ არაფერი არღვევდა.

– სიბილ? – დაუძახა. ხმა ჩაუწყდა. ისევ სისულელე ჩაიდინა – არ უნდა დაეძახა. იქნებ ის არ იყო... ამის გაფიქრებისას ტანში ურუანტელმა დაუარა.

მანქანის კარი გაიღო და სალონის შუქზე დაინახა ის, სიბილი. ყველაფერი ისევ სიბნელემ შთანთქა. მხოლოდ ქალის ჩრდილი დაემატა სიბნელეს.

– მოდი აქ, – დაუძახა მან. ტკივილი და შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა მეტყველებდა მის ნაცვლად.

ჩრდილი არ განძრეულა.

– გეუბნები, მოდი აქ-მეთქი, – ისე ხმამალა უბრძანა, რომ მისი სიტყვები სიჩუმეში ექოდ გაისმა.

ქალი მიუახლოვდა და ისე ახლოს გაჩერდა, მისი სუნამოს სუნი იგრძნო. იასამანი, როგორც ადრე. მკვეთრად და ბრაზით მოიცილა მოგონებები.

არ იცოდა, საიდან დაეწყო. პირდაპირ საქმეზე გადასვლა უხეშად ეჩვენებოდა, მაგრამ რაღაც უნდა ეთქვა.

– დაიგვიანე.

– უფრო ადრე ვერ გამოვედი. თან, ამ გზაზე გამიჭირდა სიარული. გადახერგილია და გაფრთხილებებიცა. მე... მეშინოდა.

– ეს გაფრთხილება კომპანიისათვის პასუხისმგებლობის აცილების მიზნითაა, და იმ შემთხვევისთვისაც, თუ მართლა ჩავარდება მინა. აქ, ახლოს მდინარეა. მეთევზეები და მონადირეები ხშირად სარგებლობენ ამ გზით.

– მაგრამ ძველი მაღაროების გარშემო ნიადაგი მართლა წვება.

– ხომ გითხარი, გაფრთხილებისათვის ყურადღება არ მიგექცია. გაიხსენე ბესემერის ძველი გზა. ის ხომ სავსეა ასეთი ნიშნებით, მაგრამ გზაზე მშვიდობიანად დადიან ავტობუსები. რასაკვირველია, ხანდახან მინა წვება, მაგრამ ძალზე იშვიათად.

თავი იმაში დაიჭირა, რომ ცდილობდა წარმოედგინა, თუ როგორ გამოიყურებოდა. სიბნელეში მხოლოდ მისი მოხდენილი, მაღალი სილუეტი იკვეთებოდა, და ჩანდა, რომ ეცვა შარვალი და ყელმოღებული ღია ფერის ჯემპრი. თმა ალბათ ღია ოქროსფერი ბულბულეზია, სახე კი... თვალები დახუჭა, რათა კარგად წარმოედგინა. მაგრამ წყენამ გრძნობები დაჩრდილა. მიხვდა, რომ გრუნტის ჩავარდნის შესახებ ნაკითხული ლექცია დროის განვლის საშუალება იყო.

– მოიტანე? – შეამჩნია, რომ დაჭიმული ხმით ლაპარაკობდა.

– ფიცი?

– დიახ, დიახ. აბა, სხვა რა? სულ მოიტანე?

– ათასი, როგორც მითხარი.

– კარგი, მომეცი.

ის არ ინძრეოდა.

– რას ელოდები?

კარგად გაიგო, როგორ ამოიხრა.

– მიჭირს ამის დაჯერება. მხოლოდ მამა არა. მხოლოდ ის არა.

– ასლები ხომ ნახე, რომელიც გამოგიგზავნე? მისი ხელწერა ხომ იცანი?

– მამაჩემი კარგი კაცი იყო. ის ქრთამს არასოდეს იღებდა და უკანონო შემოსავლებთან არავითარი კავშირი არ გააჩნდა.

– წერილებიდან სხვა დასკვნის გამოტანა შეიძლება.

– ნუთუ შენში გულმონყალება არ არის? და არ შეგიძლია მიცვალებულებს არ შეეხო?

– მარტო ის არ მომკვდარა, – და სიძულვილი იგრძნო. მამაჩემიც მოკვდა და მამაშენის წყალობით, გაფიქრა მან.

ქალი ჩუმად იყო, თითქოს ისიც იმ უბედურებაზე ფიქრობდა, რამაც გაანადგურა ის ნაზი და მშვენიერი, რაც მათ შორის იყო.

– აპირებ გადმომცე?

ქალმა ჩქარი და ბრაზიანი მოძრაობით რაღაც გადასცა. კაცის თითებმა მაგარი კონვერტი იგრძნო. არც კი შეუხედავს. სიბნელეში მის სახეს აკვირდებოდა და ცდილობდა რაღაც ამოეკითხა, მაგრამ ვერ შეძლო.

– ფულის გადათვლას არ აპირებ? – დაცინვამ მისი ხმა მკვეთრი გახადა – არ გეშინია, რომ მოგატყუებ?

– მერე დავითვლი.

– ვფიქრობ, ამით არ დაკმაყოფილდები.

– არა.

– კიდევ რამდენს მოითხოვ?

ამ კითხვამ შეაცბუნა, შემდეგ თავი დაიმორჩილა.

– არ ვიცი. – ამ წუთას საკუთარი თავი შეძულდა.

– როდესმე საკმარისი იქნება? – განაგრძო ქალმა,

– დაიწყებ ჩემგან გამოძალვას, გამოძალვას და ბოლოს, ამ წერილს გამოაქვეყნებ?

ამაზე არაფერი უპასუხა. ქალი მიბრუნდა და თავი დახარა.

– ტირი?

მაშინვე ანია თავი და ნუთიერი დუმილის შემდეგ უპასუხა:

– რატომ ვიტყვით? სატირალი უკვე ვიტყვი. ერთი, რაც ახლა მინდა, წასვლაა და... და...

მობრუნდა და მანქანაში ჩაჯდა; ძრავა ჩართო და რამდენიმე წამში მისი მანქანის უკანა ფარების ნითელი შუქი მაღაროს უკან გაუჩინარდა. მარტო დატოვა, გაუბედურებული და აუტანლად მარტოსული. მკვდარ მაღაროსთან, მკვდარ მოგონებებთან და უნაყოფო აზრებთან მარტო...

იჯდა, ხელში სავსე ჭიქა ეჭირა და გულგრილად უმზერდა სტრიპტიზგიორლის დახვეწილ მოძრაობას.

„არც მიფიქრია, ასე რომ გამოვიდოდა, – საკუთარ თავს ესაუბრებოდა, – ვფიქრობდი, რალაც სიამოვნებას მაინც მივიღებდი. მაგრამ ყველაფერი, რასაც მივალნიე – სიბილს გული ვატკინე. მასზე მინდოდა შურისძიება, მაგრამ ის მკვდარია; ერთადერთი, რაც დამრჩენია, მის ხსოვნაზე ვიძიო შური, ეს კი ისევ სიბილის გამწარებას ნიშნავს“.

გააცნობიერა, რომ გვერდით სკამზე ვილაც იჯდა. სუნამოს სუნი იგრძნო.

– ლამაზო, არ გამიმასპინძლებდი?

მისკენ დაღლილი და მძიმე მზერა მიმართა. ახლა უფრო მეტი ტანსაცმელი ეცვა. სახეზე კარგად დაყენებული ღიმილი დასათამაშებდა, ისეთივე ხელოვნური, როგორც გრძელი წამწამები, მწითური თმა და სილამაზის ილუზია.

– რა ტკბილად მთხოვ.

ქალის თითები მის ყურს ეფერებოდა.

– რა მოხდა, ძვირფასო? ვინმემ განყენინა? – იგრძნო, როგორ მიეკრო ქალის ბარძაყი, – უყიდე დედის კოსტიკა სასმელი და გული გადაუშალე.

ვილაც შემოვიდა ბარში. უილ ოუენმა იცნო იგი. მასში ისევ გაიღვიძა წყენამ და სიბრაზემ.

– მას მიმართეთ, – მწარედ უთხრა მან. – იქნებ ერთი ბოთლი შამპანურიც გიყიდოს.

– მაღლობა ყველაფრისათვის, ჩურჩუტო.

ქალი წავიდა. ასე გამოდის, ესაა ის ყველაფერი, რაც შენ გინდა, სიბილ?

აღბათ ასეა, რადგან მას გაჰყევი ცოლად. ევან სტერლინგი. დიდი ძალისხმევა დასჭირდა, თავისი სასმელიანი ჭიქა სტერლინგისთვის სახეში რომ არ შეესხა.

მოცეკვავე და სტერლინგი ერთ-ერთ მაგიდას მიუსხდნენ. ქალი ჩაეხუტა, მამაკაცი ხმამაღლა იცინოდა. როგორც ჩანდა, მთვრალი იყო.

ოუენს ისე შეეხიზლა, პირში მწარე გემო იგრძნო. თავისი ჭიქა არც დაუცლია, ისე გავიდა ბარიდან ქუჩაში. თენდებოდა, სახლების სახურავებს მზის პირველი სხივები ანათებდა. რომელიღაც ჩიტი გალობდა. მაგრამ ოუენი ვერაფერს ამჩნევდა.

ქოხი პატარა მინდორზე იდგა, გზიდან მოშორებით. გარს ალვის ხეები და ფიჭვები ერტყა. სახლის წინ მინის ნაკვეთი მოუვლელი და მაღალი, გაყვითლებული სარეველა ბალახით დაფარულიყო. ძველი ავტომანქანა თითქოს აქ სამუდამოდ ჩარჩაო.

ოუენმა შენიშნა, რომ ფანჯრის ერთი მინა გამტყდარიყო და მასში ტომრის ნაჭერი იყო გაჩრილი. კარზე დააბრაახუნა.

– კორბეტ! – დაუძახა, – გააღე, კორბეტ!

ქოხიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. გარშემო მიმოიხედა. ისევ შეავლო თვალი ჭუჭყიან და მტვრიან პლიმუტ-41-ს და კარზე დააბრაახუნა.

– კორბეტ! გაიღვიძე, ოუენი ვარ!

სახლიდან რალაც ხმა მოისმა. კარი ოდნავ გაიღო: ამღვრელი თვალები მზის სინათლეზე მოიჭუტა. ხელმა მოშვებული წვერი მოიქექა.

– რა გნებავთ?

– შენთან დალაპარაკება მინდა, კორბეტ.

ის ოდნავ შეყოვნდა. შემდეგ უხალისოდ მიუგო:

– კარგი, შემოდით.

ხის ძველ ქურაზე ჭუჭყიანი ქვაბები იდგა. მაგიდაზე ჭუჭყიანი ჭურჭელი დახვავებულიყო. სანოლი ანგრეული ჩანდა, ეტყობოდა, ახლახან რომ დატოვეს. ზენრები ნაცრისფერი. სანოლთან თითქმის ცარიელი ჯინის ბოთლი.

კორბეტი მძიმედ ჩაეშვა სავარძელში და ოუენს თვალთ ანიშნა მეორეზე. ჩასისხლიანებული თვალები ბოროტად უმზერდნენ.

– აბა?

ოუენი ოთახს ათვალეერებდა და ცდილობდა აზრები მოეწესრიგებინა. ერთ კუთხეში მიყრილი იყო ხაფანგები და სათევზაო აღჭურვილობა. სანოლის თავზე თოფი ეკიდა. ოთახში გამხმარი თევზის და ცხოველების ტყავის მკვეთრი სუნი იდგა.

– შენ რომ მომყიდე ბლეკუელის წერილი, იმის თაობაზე მინდა გესაუბრო, – ნელა წარმოთქვა ოუენმა. – კიდევ ერთხელ მომიყევი, საიდან ჩავიგარდა ხელში.

კორბეტი მოჭუტული თვალებით უმზერდა ოუენს.

– უკვე გითხარი.

– კიდევ ერთხელ გაიმეორე.

– რატომ?

– რა მნიშვნელობა აქვს, რატომ. – ოუენის ხმაში ფოლადი ჩაიღვარა, – მომიყევი.

კორბეტმა ოთახს თვალი მოავლო, თითქოს უნდა დარწმუნდეს, ჩვენს მეტი არავინააო. ერთი წუთის შემდეგ ალაპარაკდა:

– როგორც ადრე გითხარით, ბლეკუელის კოტეჯში შევძვერი, – ცდილობდა ოუენისათვის არ შეეხედა. – რა ეშმაკად? მძიმე დღე მაღდა. მთელი ზამთარი არც ერთ ხაფანგში არაფერი გაბმულა. ვერც თევზაობით ვიხიერი. ბლეკუელთან კი შეიძლებოდა ხელის მოთბობა. და გადავწყვიტე, ცოტა მომექექა, იქნებ ყველაფერი არ გაუტანიათ-მეთქი.

– როდის შეხვედი?

– შარშან გაზაფხულზე. სადღაც აპრილში ან მაისში. ზუსტად არ მახსოვს.

– სად იპოვნე წერილი?

– რა? – კორბეტი შეკრთა. შემდეგ თავი დაიმორჩილა. ნაღვლიანი მზერა ჯინიან ბოთლს მიაჰყრო. – ნიგნში. იქ სხვადასხვა ნიგნები ეყარა. ერთ-ერთში იდო.

– რა ერქვა ნიგნს?

– აბა, საიდან ვიცი? წასაკითხად კი არ ვარჩევდი.

– სწორედაც, – მშრალად უთხრა ოუენმა. – საერთოდ, რატომ ჩაიხედე იმ ნიგნში? ინტელექტუალს რალაც არ ჰგავხარ.

– ირონიას თავი დაანებე, – უცებ ყალყზე დადგა კორბეტი, – ხუმრობის გუნებაზე სულაც არა ვარ.

– რატომ ჩაიხედე იმ წიგნში?  
 – ადამიანები წიგნებში ხომ რაღაცებს მალავენ, ასე არ არის?  
 – ვითომ?  
 – რა გინდათ? რატომ მისვამთ ამ კითხვებს? წერილი ხომ მიიღეთ? და კაი ფულიც იშოვნეთ.  
 – მივიღე? – მშვიდად ჰკითხა ოუენმა.  
 კორბეტი მაგიდაზე გადაიხარა და აშკარად მტრულად შეხედა ოუენს.  
 – რას ეძებთ? რას იქექებთ?  
 – ბლეკუელი შტატის სამხრეთით ცხოვრობდა, – უთხრა ოუენმა, – მისი საზაფხული სახლი კი აქ არის, ჩრდილოეთით. იგი შარშან იანვარში სამხრეთით მოკვდა. შენ წერილს მის საზაფხულო კოტეჯში პოულობ. ამას რითი ხსნი?

– რა? – როდესაც კორბეტმა პოზა შეიცვალა, სკამმა დაიჭრიჭინა. მზერა ღია კარს მიაპყრო. საიდანღაც ჭრიჭინის ხმა ისმოდა – მოხუცი ბლეკუელი შარშან ზაფხულს და შემოდგომაზე აქ არ იყო? ასე არ არის? – კორბეტმა გამომწვევად შეხედა ოუენს.  
 – ალბათ, სწორედ მაშინ დაწერა ეს წერილი და იმ წიგნში დამალა. ყოველ შემთხვევაში არა სურდა, რომ ეს წერილი მის სიკვდილამდე ეპოვნათ. ასე წერია წერილში.

– რატომ მომყიდე წერილი?  
 სკამმა ისევ დაიჭრიალა.  
 – მამათქვენზე ყველაფერი ვიცოდი. ერთ ზაფხულს მასთან ვმუშაობდი გზის მშენებლობაზე. ყოველთვის ამბობდით, ბლეკუელმა გააკოტრა და ამიტომაც მოიკლა თავიო. ეს ამბავი მთელ ქალაქს მოსდეთ, ოუენ, და რატომ არ უნდა მცოდნოდა? ყველამ კარგად იცის, როგორ ვერ იტანთ ბლეკუელს. და... ვიფიქრე, სამაგიეროს გადაუხდიდით.

– სამაგიეროს გადაუხდიდი სიკვდილის შემდეგ?  
 – მაგრამ მას ხომ ქალიშვილი ჰყავს, ასე არაა? მე-რე, წერილი ხომ მისი სიკვდილის შემდეგ ვიპოვნე.  
 – რატომ მაშინვე არ მომყიდე?  
 – თავში არ მომსვლია. არ ვიცოდი, რა მექნა, ვიდრე მისი ქალიშვილი ჩამოვიდოდა.

ოუენს გული აუჩქარდა. ცდილობდა კორბეტისათვის თვალელებში ჩაეხედა, მაგრამ ლოთი თვალელებს ისე აცეცებდა, მისი მზერა ვერ დაიჭირა.  
 – კორბეტ, შენვე რატომ არ გამოიყენე წერილი? გუშინ სულ იოლად ათასი დოლარი მომცეს. და უფრო მეტის მიღებაც შემიძლია, ბევრად მეტისა. შენ კი სულ

რაღაც ორას დოლარად მომყიდე.  
 – გითხარით, რომ მშრალზე ვიჯექი. სასწრაფოდ უნდა მეშოვნა თუნდაც ორასი დოლარი.  
 – ამ წერილით უფრო მეტ ფულს მიიღებდი, თანაც სასწრაფოდ.  
 – კარგი, – გამომწვევად უთხრა კორბეტმა და სიბრაზისაგან განითლდა. – ამ საქმისთვის ჭკუა არ მეყოფოდა. აი, რატომ. წერა-კითხვაც კარგად არ მეხერხება. შანტაჟი ჩემი საქმე არაა.  
 – პარტნიორობა რატომ არ შემომთავაზე?  
 კორბეტი წამოხტა და სკამი ხმაურით დაეცა.  
 – საით მიგყავთ საუბარი? ყელამდე ვარ თქვენი შეკითხვებით. გაეთრიეთ ჩემი სახლიდან!



მხატვარი ცირა პაპინაშვილი

ოუენი ნელა წამოდგა, შინაგანად დაძაბული. საფეთქლებზე სისხლი მოანვა. რაღაც უცნაურმა აგზნებამ მოიცვა.

– ეს საქმე ძალზე საეჭვოა, – ჩუმი, მაგრამ მტკიცე ხმით ჩაილაპარაკა. – და ამაში გავერკვევი, კორბეტ. აქედან არ წავალ, ვიდრე ყველაფერს არ გავარკვევ.

კორბეტი ცხოველური მოქნილობით მობრუნდა და გადახტა. ოუენი მისკენ გაქანდა, მაგრამ შუაში მაგიდა იდგა. მაგიდა ჭურჭლიანად გადააყრავა და კორბეტისაკენ გა-

იშვირა ხელი, მაგრამ ის კედელზე ჩამოკიდებულ თოფს მიწვდა და ჩამოგლიჯა. სახეზე ბოროტი ღიმილი დასთამაშებდა, როცა მობრუნდა და ოუენს თოფი მიუშვირა.

– ახლა წახვალ, ოუენ, – უთხრა კორბეტმა. – ახლავე წახვალ და შენი ნებით...

ოუენი ნელა მიდიოდა გზაზე და რაღაც წინათგრძნობა აწუხებდა, რომელსაც ვერაფრით ხსნიდა. ქვეცნობიერად რაღაცას უნდა მორიდებოდა. მაგრამ რას?

მზე აჭერდა. ხეები გვიანი ზაფხულისთვის დამახასიათებელ ხასხასა მწვანე ფოთლებით შემოსილიყო. მხოლოდ მოუხნავ, გაყვითლებულ და დამჭკნარ მინდორზე მოუცელავი ბალახი იყო.

ზურგს უკან მანქანის სიგნალის ხმა გაისმა. მოულოდნელობისაგან შეკრთა და გზის პირზე გადავიდა. მაშინვე იცნო მანქანა, რომელმაც გვერდით ჩაუქროლა.

ევან სტერლინგის მანქანა.  
 ამ მხარეში ეს ერთადერთი იაფუარი იყო. სიბილეს ბიუიკი ჰყავდა, მაგრამ ევანი ასე ხომ არ დაეცემოდა, ღვარძლიანად გაიფიქრა ოუენმა.



„ასე ძალიან რატომ მეზიზღება? – საკუთარ თავს ჰკითხა. – იმიტომ, რომ სიბილზე დაქორწინდა? ჩვენ უთანხმოება მოგვივიდა და დავცილდით. ვილაცას ხომ უნდა გაჰყოლოდა ცოლად? ახალგაზრდა, ლამაზი და მდიდარი არ შეიძლება არ გათხოვილიყო. მაგრამ რატომ გაჰყვა სტერლინგს? მასზე ოცი წლით უფროსი მაინცაა, ერთი პენიც არ გააჩნია და მის კისერზე ცხოვრობს. მაგრამ გარეგნულად ლამაზი მამაკაცია. ჭალარა თმა იმპოზანტურ იერს ანიჭებს. იქნებ ამიტომაც გაჰყვა ცოლად?“

სულაც არ ეგონა, რომ ევანის მიმართ ეჭვიანობას განენწყობტრულად. შეგუებული იყო, რომ სიბილი გათხოვდებოდა. მაგრამ ის, რასაც მისადმი განიცდიდა, ეჭვიანობაზე ძლიერი და ავი გახლდათ. ისეთი, რაც მას აშინებდა.

ქალაქამდე მიაღწია და მთავარ ქუჩას შეუყვია. ქუჩის ბოლოს, სადაც ტავერნების მეტი არაფერი იყო, იაგუარი დაინახა. სტერლინგი ასაკოვან ქალს ესაუბრებოდა.

სტერლინგმა ოუენი დაინახა და თვალი გააყოლა. მისი გამოხედვა მტაცებლური და გამჭოლი იყო...

ბინდებოდა და ევანმა ფარები აანთო. მანქანის მიერ დაყენებული მტვერი დიდხანს ეკიდა ჰაერში.

მანქანა დატოვა და გზა ფეხით განაგრძო. გული გაშალეებით უცემდა.

ქობთან შეჩერდა. კორბეტის გამოხედვა და თოფი გაახსენდა. მაგრამ ახლა თოფით არ შეაშინებინებს თავს. ამის ნებას არ მისცემს და კორბეტს ათქმევინებს ყველაფერს, რაც იცის.

ქობი ჩაბნელებული იყო. პლიმუტი – ადგილზე.

ქობის კარი ღია იყო. ოუენი მოუსვენრობამ შეიპყრო. ერთი კი გაიფიქრა, დავუძახებო, მაგრამ რალაც ძალამ უკარნახა, ეს არ ჩაედინა.

წარმოდგენა არ გააჩნდა, ასე რამდენ ხანს იდგა. დაძაბული უსმენდა სიჩუმეს. მაშინვე იგრძნო სიკვდილის სიახლოვე, როგორც კი ოთახში შევიდა. ის ბნელი კუთხეებიდან უმზერდა, ოთახს ავსებდა, კედლებიდან და ჭერიდან ეშვებოდა.

სანთებელა ამოიღო და ჩამოკრა. ორი ნაბიჯი გადადგა და კორბეტი დაინახა.

სანოლის გასწვრივ იწვა იატაკზე. ტყვია საფეთქელში შესულიყო და სანინალმდეგო მხარეს გამოსულიყო. პირი ღია ჰქონდა, თითქოს უკანასკნელი ყვირილი უნდა აღმოხდესო. თოფი ხელთან ეგდო.

სანთებელა ჩაქრა. და საზარელ სიჩუმეში ოუენს გონება გაუნათდა.

სატელეფონო ჯიხურში მდგომმა თქვა:

– სიბილ?

– დიას?

– აუცილებლად უნდა გნახო. მალაროსთან. დღეს.

ჩამოვარდა სიჩუმე, რომელიც იმდენხანს გაგრძელდა, იფიქრა, ყურმილი ხომ არ დადოო.

– მაგრამ ახლა, ახლა ხომ ძალზე გვიანია, – როგორც იქნა ხმა ამოიღო.

– წუხელაც გვიანი იყო.

– იმის თქმა მინდა, რომ ძალზე გვიანია, ბანკში რამე რომ ავიღო.

– მერე ამას ვინ გთხოვს? – იყვირა მან, მაგრამ მერე პანიკას მოერია და მშვიდად უთხრა:

– ჩეკს ავიღებ, რასაც გინდა. ოღონდ იქ იყავი.

ჩამოვარდნილი სიჩუმით მიხვდა, ჩემი სიტყვების არადამაჯერებლობა იგრძნოო, მაგრამ რამის შეცვლა გვიანი იყო.

– არ შეიძლება სხვა დროს იყოს? – სთხოვა მან.

– არა. ამ ღამით.

– მაგრამ დღეს მარტო არა ვარ.

– მერე რა? – აგრესიულად უყვირა. – რამე უთხარი.

რამე მოიფიქრე. მაგრამ აუცილებლად უნდა მოხვიდე.

მის კოლოში იგრძნო ზიზღი, სიმწარე, როცა უთხრა:

– კარგი. მოვალ.

მკვეთრად დააჭირა მუხრუჭს. მანქანა ჭრიჭინით გააქვავა. სწრაფად გადართო უკანა გადაძვემი და დაძრა.

„უფრო ჩქარა რომ მეველო, – გაიფიქრა, თან შიში და შვება იგრძნო, – დროზე ვერ გავჩერდებოდი“.

ფარების შუქზე იმ ადგილას, სადაც გრუნტი დაჯდა და ნიადაგი მალაროს ღრმულში ჩავარდა, დიდი ნაპრალი დაინახა. დაელოდა, ვიდრე სიხარულის აგზნება ჩაცხრებოდა, გადავრჩიო, და მანქანიდან გადმოვიდა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ოვალურ ორმოსთან გაჩერდა. მიწიდან ქვა აიღო და ორმოში ჩააგდო. ესმოდა, როგორ დაეჯახა რამდენჯერმე კედლებს, შემდეგ კი ხმა ვერ გაიგო. ფსკერს მიაღწია თუ ჯერ კიდევ ვარდებოდა, ვერ გაარკვია.

დაძაბული ფიქრობდა. მანქანასთან მივიდა. ცოტა ფიქრის შემდეგ ძრავა აამუშავა, პირველ სიჩქარეში გადართო, გადაიარა დაბალი კიუვეტი და სახიფათო ადგილს ფრთხილად მოშორდა. ნაპრალს შემოუარა და ტრასაზე გაჩერდა. შემდეგ ფეხით მიადგა ორმოს და გაჩერდა. ღამის ნათურა ჰქონდა და დროდადრო საათს დაჰყურებდა. პირველის ათი წუთი იყო, როცა მანქანის ანთებული ფარები დაინახა.

დარწმუნებული იყო, სიბილიაო, იმიტომ, რომ სხვა დროს ამ გზით არ იმგზავრებდა. ფანრით სიგნალი მისცა და მანქანა გაჩერდა.

– მოსახვევთან გზა ჩაინგრა. აქედან ვერ დაინახავ.

– შენი მანქანა სადაა?

– ორმოს შემოვუარე. საბედნიეროდ, ძალიან ნელა მივდიოდი. გადმოდი, შენ მანქანას წავიყვან.

– საშიში არაა?

– მეტი აღარ ჩაინგრევა. ყოველ შემთხვევაში ახლა. გადმოდი.

ქალის ხმა შიშისაგან დაძაბულიყო.

– აქ არ შეიძლება დავილაპარაკოთ?

– გადმოდი. – მის ხმაში სიმკაცრე იგრძნობოდა და ქალიც დაემორჩილა.

სიბილის მანქანა თავისი მანქანის გვერდით დააყენა. მანქანაში ორივე ჩუმად იჯდა და თითოეული საკუთარ ფიქრებში ჩაფლულიყო.

– მე... ფული თან არ მაქვს, – როგორც იქნა ხმა ამოიღო. – არ მეგონა, ასე ჩქარა თუ მოითხოვდი.

– ჰო, ჰო. შენ მართალი ხარ. მაინც ვერ დავხარჯავდი. ასეთი ფული არ მინდა. ახლა ზუსტად ვიცი.

მისი გამჭოლი მზერა იგრძნო.

– უილ? უილ, რისი თქმა გინდა?

უცებ გაიფიქრა, დიდი ხანია სახელით არ მიმიმართავსო, მოგონებებმა სული შეუხუთა, მაგრამ საოცარი იყო, მათი მოცილება არც უცდია.

– აღარ მინდა შენი განამება, – უთხრა მან. – ვფიქრობდი, რომ შევძლებდი, იმიტომ, რომ საშუალება არ მაქვს მამაშენს სამაგიერო გადავუხადო. არადა, აუცილებლად უნდა მეძია შური. მაგრამ როგორიც უნდა ყოფილიყო იგი და რაც უნდა ჩაედინა, შენ აღარასოდეს გავამწარებ. სიბილ, ეს წერილი შეგიძლია დაიტოვო. რაც გინდა, ის ჰქენი.

იგი დაიხარა.

– უილ, მე...

– არ მინდა მადლობა, – სინანულით წარმოთქვა. – ჩვენ შეიძლება ცოტა დრო გვაქვს და მინდა, რომ სწრაფად და გულახდილად მიპასუხო. როგორი ურთიერთობა გაქვს სტერლინგთან?

ქალი მაშინვე გაიწია. სიცივე და გაუცხოება იგრძნო. არ უპასუხა.

– მიპასუხე, – არ ეშვებოდა მამაკაცი. – სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფას არ ვაპირებ. მხოლოდ იმიტომ გეკითხები, რომ შენს პასუხზე ჰკიდია შენი სიცოცხლე.

– რას მელაპარაკები, უილ?

– გთხოვ, გამეცი პასუხი.

იგი მუხლებზე დანყობილ ხელებს უყურებდა.

– მე... ვიდრე ცოლად გავყვებოდი, ვიცოდი რასაც წარმოადგენდა და ახლა წუნუნს არ ვაპირებ.

– გამოდის, მასთან ბედნიერი არ ხარ?

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ უპასუხა:

– ჰო.

– მან ეს იცის?

– ჰო.

– ანუ, ქორწინება დიდხანს არ გასტანს?

ვედრებით შეხედა.

– გთხოვ, უილ. ჩემთვის მტკივნეულია ამ თემაზე საუბარი. არავისთან არ ვსაუბრობ. არასოდეს. გთხოვ, დავამთავროთ.

– იძულებული ვარ ამ თემაზე გესაუბრო, – ახლარბილად უთხრა. – სიბილ, ეს შენს სიცოცხლეს ეხება.

– რატომ იმეორებ?

იგი კორბეტზე მოუყვა.

სიბილს თვალეები გაფართოებოდა. ისე გასწორდა, თითქოს შიშია მისი დასაყრდენიო.

– მაგრამ... ეს მე რანაირად მეხება?

– მან მოკლა კორბეტი.

– ევანმა?

– დარწმუნებული ვარ. სხვას არავის ჰქონდა მიზეზი.

– მაგრამ რისთვის სჭირდებოდა კორბეტის მოკლა?

– იმიტომ, რომ მეტყოდა, წერილი სტერლინგმა მომცაო.

გაოგნებულმა თავი გაიქნია.

– შეუძლებელია. – ძლივს გასაგონად ჩაიჩურჩულა.

– მომისმინე, სიბილ. მხოლოდ ორ ადამიანს შეეძლო ამ წერილის პოვნა. შენ ან მას. შენ არ გიპოვნია. მან იცის, რომ ერთად დიდხანს აღარ იცხოვრებთ. მას შეეძლო წერილი შენი დაშანტაჟებისთვის გამოეყენებინა, მაგრამ მერე უფრო ეშმაკური გეგმა შეიმუშავა – ხელში მთელი შენი ქონება ჩაეგდო.

შეშინებული და გაოგნებული უყურებდა.

– არ მესმის.

– თუ მოკვდები ან მოგკლავენ, მთელი შენი ქონების მემკვიდრე არ ხდება, როგორც ქვრივი?

– ეს არასერიოზულია. – წამოიძახა ჩახლეჩილი ხმით.

– მან წერილი მისცა კორბეტს, ფული გადაუხადა, რათა ეს წერილი ჩემთვის მოეყიდა. როგორც კი შენს დაშანტაჟებას დავიწყებდი, ხაფანგში გავებმებოდი. მას მხოლოდ შენი მოკვლა დარჩენოდა, ყველაფერი კი მე დამბრალდებოდა. ისე გამოჩნდებოდა, თითქოს შენ ფულის გადახდაზე უარი მითხარი, მე კი მოგკალი.

მწარედ ატირდა.

ცოტა დაიცადა და ჰკითხა:

– სტერლინგმა იცის, სად ხარ?

– მგონი იცის. დაინახა, როგორ ჩავჯექი მანქანაში.

– უცებ ხელი სტაცა. – შენ გგონია, მე გამომყვა?

– თუ ყველაფერი სწორად გავთვალე, ის აქ მალე იქნება. არ იცის, რომ კორბეტის სიკვდილი შევიტყვეყველაფერი მანამდე უნდა მოათავსოს, ვიდრე ამას გავიგებდე და ეჭვს მასზე ავიღებდე. ეს ამ ღამით უნდა მოხდეს. თუ არ გამოჩნდება, მაშასადამე შევმცდარვარ.

– მაგრამ თუ ჩემს მოკვლას აპირებს? – ხმა აუკანკალდა.

– თან პისტოლეტი მაქვს.

ბნელ ცაზე სინათლე გაკრთა, თითქოს ციციანათელაო.

– შენი აზრით, ეს სტერლინგია?

– ამ დროს მაგის გარდა ამ გზაზე არავინ გაივლის. ნამდვილად ისაა. ისევე გაკრთა სინათლე, რომელიც გზაზე ჩქარა უახლოვდებოდა. მისმა შუქმა ძველი მალაროს სილუეტი გამოკვეთა.

– ნაპრალი! – უცებ გაახსენდა და წამოიყვირა ქალმა. – დროზე გაჩერებას ვერ მოასწრებს. ხომ იცი, რა სწრაფად დაჰყავს მანქანა!

– ვიცი, – მიუგო ოუენმა.

თარგმანა  
ნუცა თოფჩიშვილი

ჰერმან ჰესე

## ქალაქი

„საქმე წინ მიდის!“ შესძახა ინჟინერმა, როცა წინდლით დაგებულ რკინიგზაზე უკვე მეორე მატარებელი ჩამოდგა, ადამიანებით, ქვანახშირით, სამუშაო იარაღებითა და სურსათით სავსე. პრერია წყნარად ვარვარებდა მზის ყვითელ შუქზე, ჰორიზონტზე ლურჯ ნისლში გახვეული მაღალი ტყიანი მთიანეთი აღმართულიყო. ველური ძაღლები და გაკვირვებული კამეჩები შეჰყურებდნენ, რა მუშაობა და განაშენიანება გაჩაღდა უდაბურ ადგილას, როგორ დახვავდა მწვანე მიწაზე ალაგ ქვანახშირი, ალაგ ნაცარი, ალაგ ქალაქი და ალაგ თუნუქი. პირველი გუთანი ახრჭიალდა გულგახეთილ მიწაში, პირველმა თოფმა იჭექა და მისმა ხმამ მთებზე გადიგრიალა, პირველმა ურომ გაიღო ჭახანი ჩაქუჩის სწრაფ რაკა-რუკში. ნამოიჭიმა თუნუქის სახლი, მეორე დღეს ხისა, მერე სხვებიც, ყოველდღე ახალ-ახალი და მალე ქვისაც. ძაღლები და კამეჩები იქაურობას გაეცალნენ, მიწა დამყოლი და პოხიერი გახდა, პირველსავე გაზაფხულზე ნორჩი მარცვლეულით სავსე ყანები ბიბინებდა, ვაკეზე ეზოები, თავლები და ფარდულები წამოიშრებოდნენ, უდაბური მხარე ქუჩებმა დასერეს.

აშენდა და საზეიმოდ გაიხსნა სადგური, მთავრობის სახლი, ბანკი, სულ რაღაც ერთი თვის შემდეგ ახლო-მახლო კიდევ რამდენიმე ქალაქი ამოიზარდა. ქვეყნიერების ოთხივე კუთხიდან ჩამოდიოდნენ მუშები, გლეხები და ქალაქელები, ჩამოდიოდნენ ვაჭრები და ადვოკატები, მქადაგებლები და მასწავლებლები, დაარსდა სკოლა, სამი რელიგიური გაერთიანება, ორი გაზეთი. დასავლეთით ნავთობის საბადო აღმოაჩინეს, ახალგაზრდა ქალაქს დიდი კეთილდღეობა დაუდგა. ერთი წელიწადი და, გაჩნდნენ ჯიბის ქურდები, საროსკიპოების მეპატრონეები, ბანდიტები, უნივერსიტეტი, ალკოჰოლის მონინალმდგეგმთა საზოგადოება, პარიზელი მკერავი, ბავარიული ლუდხანა. მეზობელ ქალაქთა კონკურენციამ ტემპი ააჩქარა. აღარაფერი აკლდა ქალაქს, საარჩევნო მოხსენებით დაწყებული და გაფიცვით დამთავრებული, კინოთეატრით დაწყებული და სპირიტისტთა გაერთიანებით დამთავრებული. იმოგებოდა ფრანგული ღვინო, ნორვეგიული ზუთხი, იტალიური ძეხვი, ინგლისური ქსოვილი, რუსული ხიზილალა. გასტროლებზე ჩამოდიოდნენ მეორე რანგის მომღერლები, მოცეკვავეები და მუსიკოსები.

ნელ-ნელა კულტურაც შემოვიდა. ქალაქი, თავდაპირველად მხოლოდ დასახლება რომ იყო, თანდათან სამშობლოდ იქცა. აქ მისალმების თავისებური მანერა ჰქონდათ, შეხვედრისას თავის დაკვრის თავისებური მანერა, რომელიც სხვა ქალაქებში მიღებული მანერებისგან ოდნავ და ნატიფად განსხვავდებოდა. კაცები, რომელთაც ქალაქის დაარსებაში მიეღოთ მონაწილეობა, პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდნენ, მათ კეთილშობილების ელფერი დაჰკრავდათ. იზრდებოდა ახალი თაობა, რომელსაც ეს ქალაქი უკვე ძველ, ლამის უხსოვარდროინდელ სამშობლოდ ესახებოდა. ის დრო, როდესაც აქ პირ-

ველი ჩაქუჩი ახმინდა, პირველი მკვლელი მოხდა, პირველი ღვთისმსახურება ჩატარდა, პირველი გაზეთი დაისტამბა, შორეულ წარსულში დარჩენილიყო, უკვე ისტორია გახლდათ.

ეს ქალაქი მეზობელ ქალაქთა მბრძანებელი და მოზრდილი ოლქის დედაქალაქი გახდა. ფართო, ხალისიან ქუჩებზე, სადაც ერთ დროს ნაცრის გროვებისა და ნუმპეების გვერდით ფიცრული, გოფირებული თუნუქით გადახურული სახლები იდგა, დიდის ამბით წამოიშრებოდნენ სამმართველოები და ბანკები, თეატრები და ეკლესიები, სტუდენტები უდარდელად მისეირნობდნენ უნივერსიტეტისა და ბიბლიოთეკისაკენ, სასწრაფო დახმარების მანქანები წყნარად მისრიალებდნენ კლინიკებისკენ, თუ რომელიმე დეპუტატის მანქანას შემამჩნევდა ხალხი, ესალმებოდა თავის რჩეულს, ოც ვეებერთელა, ქვისა და რკინისგან ნაგებ სკოლის შენობაში ყოველწლიურად სიმღერითა და მოხსენებებით აღნიშნავდნენ განთქმული ქალაქის დაარსების დღეს. ყოფილი პრერია ყანებით, ფაბრიკებით, სოფლებით დაიფარა და რკინიგზის ოცი ლიანდაგით დაისერა, მთიანეთი მოიახლოვეს და საბაგირო გზის მეშვეობით ხეობების შუაგულამდე აითვისეს. იქ, ან შორეულ ზღვაზე, მდიდრებს საზაფხულო აგარაკები ჰქონდათ.

დაარსებიდან ასი წლის შემდეგ მინისძვრამ ქვა ქვაზე აღარ დატოვა ამ ქალაქისგან. იგი ხელახლა წამოიშრათა და ყველაფერი, რაც ხისა იყო, ქვისა გახდა, რაც მომცრო იყო, გაიზარდა, რაც ვინრო იყო, გაფართოვდა. რკინიგზის სადგური უდიდესი იყო ქვეყანაში, ბირჟა – უდიდესი მთელს კონტინენტზე, არქიტექტორები და მოქანდაკეები საზოგადოებრივი ნაგებობებით, სკვერებით, შადრევნებითა და ძეგლებით ამკობდნენ განახლებულ ქალაქს. მან ამ ახალ საუკუნეში ქვეყნის ულამაზესი, უმდიდრესი და ღირსშესანიშნაობებით სავსე ქალაქის სახელი მოიხვეჭა. სხვა ქალაქთა პოლიტიკოსები და არქიტექტორები, ტექნიკოსები და ბიურგერმაისტერები ჩამოდიოდნენ, რათა სახელგანთქმული ქალაქის ნაგებობები, წყალგაყვანილობები, მართვა-გამგეობა და სხვა სისტემები შეესწავლათ. იმ ხანებში ახალი რატუმის, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი და უმშვენიერესი ნაგებობის, მშენებლობა დაიწყო, და რაკი ეს, სიმდიდრეში ფეხის შედგმისა და ქალაქური თავმომშონეობის, პერიოდი ილბლიანად დაემთხვა საზოგადოებრივი გემოვნების აღმავლობას, პირველ ყოვლისა არქიტექტურისა და ქანდაკების სფეროში, სწრაფად მზარდი ქალაქი ხელოვნების კოპნია და თვალწარმტაც ნიმუშად იქცა.

შუაგულ დასახლებას, რომლის უკლებლივ ყველა შენობა კეთილშობილი, ღია მწვანე ფერის ქვით იყო ნაგები, გარს ეკრა დიდებული სკვერების ფართო, მწვანე სარტყელი, ამ წრის მიღმა კი ქუჩები და სახლები დიდ მანძილზე თანდათან იკარგებოდნენ სივრცესა და სოფელ ადგილებში. ხალხი აღფრთოვანებით ათვალიერებდა უზარმაზარ



მუზეუმს, რომლის ასობით დარბაზსა და ეზოში ქალაქის მთელი ისტორია იყო წარმოდგენილი დაარსებიდან ვიდრე განვითარების უახლეს ეტაპამდე. ამ ნაგებობის პირველი, უშველელეული წინა ეზო ყოფილ პრერიას წარმოადგენდა, კარგად მოვლილი მცენარეებით, ცხოველებით და უადრესი უზადრუკი სახლების, ქუჩაბანდებისა და დაწესებულებათა ზუსტი მოდელებით. ახალგაზრდობა სეირნობა-სეირნობით ათვალიერებდა გამოფენებს, რომლებიც ქალაქის ისტორიას ასახავდნენ კარვებიდან და ქობმახებიდან პირველი უსწორმასწორო ლიანდაგიდან დიდი ქალაქის ქუჩათა ბრწყინვალეობამდე. ყოველივე ამაზე ისინი თავიანთ მასწავლებელთა ხელმძღვანელობით, რომელთაც ესმოდათ განვითარებისა და პროგრესის დიდებული კანონები, სწავლობდნენ, როგორ წარმოიშობა უხეშისგან ნატიფი, ცხოველისგან ადამიანი, ველურისგან განათლებული, სილარიბისგან დოვლათი, ბუნებისგან კულტურა.

მომდევნო ასწლეულში ქალაქმა თავისი ბრწყინვალეების მწვერვალს მიაღწია. დღითიდღე ემატებოდა პენი და ელვარება, ვიდრე ყოველივე ამას დაბალ ფენათა სისხლიანი რევოლუცია დაუსვამდა ნერტილს. მდაბიოთ იმით დაინყეს, რომ ნავთობის ბევრ დიდ საწარმოს, ქალაქიდან რამდენიმე მილით რომ იყვნენ დაშორებულნი, ცეცხლი წაუკიდეს და ქვეყნის დიდი ნაწილი თავისი ფაბრიკებით, ეზოებითა და სოფლებით ნაწილობრივ გადაიბუგა, ნაწილობრივ გაპარტახდა. ქალაქმა სისხლისღვრა და ყოველგვარი საშინელება გამოიარა, მაგრამ ყველაფერს გაუღლო და დაწყნარებულ საუკუნეებში ნელ-ნელა ისევ მოლონიერდა, ოღონდ უწინდებური მქვეფარე ცხოვრებისა და შენების თავი უკვე აღარ გააჩნდა. მას რომ დუხჭირი ჟამი ედგა, ამ დროს ზღვის გაღმა ერთი შორეული ქვეყანა ერთბაშად აყვავდა, ჰოდა ის აწვდიდა ხორბალს და რკინას, ვერცხლს და სხვა ნიაღისეულს იმ ამოურწყავი მინის სიუხვით, ჯერ კიდევ დაუზარებლად რომ გასცემს. ახალმა ქვეყანამ მძლავრად მიიზიდა ძველი მსოფლიოს გამოუყენებელი ძალები, მისწრაფებანი და სურვილები, იქ ქალაქები ერთ ღამეში ამოიზრდებოდნენ ხოლმე მინიდან, ტყეები ქრებოდნენ, ჩანჩქერები არტახებში ექცეოდნენ.

ლამაზი ქალაქი თანდათან გაღარიბდა. ის აღარ იყო მსოფლიოს გული და ტვინი, აღარც მრავალი ქვეყნის ბაზარი და ბირჟა. უნდა დასჯერებოდა იმას, რომ თავი ერჩინა და ახალი დროების ხმაურში მთლად არ ჩაკარგულიყო. გაზარმაცებულ ადამიანებს, ვინც კი აქ დარჩა და შორეულ ახალ სამყაროში არ გადაიხვეწა, აღარაფერი ჰქონდათ ასაშენებელი და ასათვისებელი, დიდად იკლო ვაჭრობამ და შემოსავალმა. სანაცვლოდ ან უკვე დაბერებუ-



მხატვარი ვალტერ ლეიზიკოვ გრიუნვალდი

ლი კულტურის ნიაღში სულიერი ცხოვრების თესლი გალივდა, მსოფლიოს ხმაურს გარიდებული ქალაქი მეცნიერთა და ხელოვანთა, მხატვრებისა და პოეტების სამშობლოდ იქცა. მათი შთამომავალნი, ვინაც ოდესღაც ყამირ ნიადაგზე პირველი სახლები წამოჭიმა, მლიმარნი ატარებდნენ წუთისოფელს სულიერ განცხრომათა და მისწრაფებათა მშვიდი, ნაგვიანევი გაფურჩქენის ხანაში. ისინი ხატავდნენ ძველი, ხავსმოდებული ბალების სევდიან დიდებულებას, ბალებისას, სადაც ჟამთასვლისგან შელახული ქანდაკებები იდგა და გუბურებში წყალი გამწვანებულიყო; ნატიფი ლექსებით უმღერდნენ გარდასული გმირული დროების შფოთსა და მღელვარებას ანდა დაღალულ ადამიანთა ჩუმ ოცნებებს ძველ სასახლეებში. ყოველივე ამის წყალობით კიდევ ერთხელ მოედო ქვეყნიერებას ამ ქალაქის სახელი და დიდება. დაე, გარეთ ხალხები

ომებს შეეძრა და დიდ-დიდ საქმეებს შეებოდნენ, ყველამ იცოდა, რომ აქ, მდუმარე განდგომილებაში, სიმშვიდე სუფევდა და გარდასულ დროთა ბრწყინვალეობა მკრთალად ციმციმებდა: მყუდრო ქუჩები, აყვავებული რტოებით რომ დაბურულიყვნენ, ამინდებისგან ფერშეცვლილი დიდ შენობათა ფასადები, ოცნებაში წასულნი რომ დაჰყურებდნენ უხმაურო მოედნებს, შადრევანთა ხავსმოდებული ბაკნები, წყნარი რაკრაკით რომ დასდიოდათ ცქრიალა წყალი.

რამდენიმე საუკუნე ძველი, მეოცნებე ქალაქი ახალი სამყაროსთვის პატივსაცემი და საყვარელი ადგილი გახლდათ, რომელსაც პოეტები უმღერდნენ და შეყვარებულები სტუმრობდნენ. მაგრამ კაცობრიობის ცხოვრება სულ უფრო და უფრო მძლავრად მიიწევდა დედამიწის სხვა ნაწილებსაკენ. თვით ამ ქალაქში ძველ, ადგილობრივ ოჯახთა შთამომავალნი თანდათან გადაშენდნენ ან გაპარტახდნენ. ბოლო სულიერი ყვავილობაც დიდი ხნის ჩამთავრებული იყო და უკვე ხრწნა შეჰპარვოდა. პატარ-პატარა მეზობელი ქალაქები კარგა ხანია მთლად გაჩანაგებულიყვნენ, მდუმარე ნანგრევებად ქცეულიყვნენ, სადაც დროდადრო ბოშები და დევნილი ბოროტმოქმედები აფარებდნენ თავს.

მინისძვრის შემდეგ, რომელმაც თვითონ ქალაქი დაინდო, მდინარის კალაპოტმა გადაინია და გაუდაბურებული მინის ნაწილი დაჭაობდა, ნაწილი კი გადახშა. მთებიდან კი, სადაც უძველეს ქვისსამტეხლოთა და სააგარაკო სახლთა ნაშთები იფშხალებოდა, ნელ-ნელა ტყე, უღრანი ტყე წამოვიდა. იგი გაუდაბურებულ ვრცელ არე-მარეს გადმოჰყურებდა და ნელ-ნელა, ნაწილ-ნაწილ იქცევდა მინას თავის ზურმუხტისფერ ნიაღში, აქ ჭაობს გადაუარა შრილა სიმწვანემ, იქ ქვათა შვავი დაფარა ნორჩმა, გამძლე ნაძვენარმა.

## ლიტერატურული ზღაპარი

ბოლოს ქალაქში მკვიდრი აღარავინ დარჩა, მხოლოდ-ლა ვიგინდარები, უკეთური, ველური ხალხი ბინადრობდა აქ, რომელთაც გარდასული დროის დაფერდებული, ჩამომზღვეული სასახლეებისთვის შეეფარებინათ თავი და ყოფილ ბაღნარებსა და ქუჩებში თავიანთ გაძვალტყავებულ თხებს აძოვებდნენ. ესენიც ბოლოს თანდათან სნეულებებმა და უგუნურებამ გააუფა, მთელი ის მხარე დაჭაობების შემდეგ ციებ-ცხელებამ შემუსრა და უდაბურებამ მოიცვა.

ნაშთები ძველი რატიუსისა, რომელიც თავისი დროის სიამაყე გახლდათ, კვლავაც მძლავრად აღმართულიყო - სიმღერებში ყველა ენაზე ხოტბაშესხმული და უთვალავ თქმულებათა წყარო მეზობელ ხალხთათვის, რომელთა ქალაქები ასევე დიდი ხანია გაპარტახებული, კულტურა კი გადაგვარებული იყო. საბავშვო ზღაპრებსა და მელანქოლიურ მწყემსურ სიმღერებში იდუმალად ამოტივტივდებოდა ხოლმე ქალაქის გარდასულ დიდებულ მემკვიდრეებს შერყვნილი და დამახინჯებული სახელები, ხოლო იმ შორეული ხალხების სწავლულნი, ახლა გაფურჩქნის ჟამი რომ ედგათ, დროდადრო სახიფათო ექსპედიციებს აწყობდნენ ამ ნანგრევებში, რომელთა იდუმალებაზე შორეულ ქვეყნებში გატაცებით საუბრობდნენ სკოლის ბიჭები. იქ ბაჯალლო ოქროს კარიბ-

ჭეები და ძვირფასი თვლებით მოჭედილი საფლავის ძეგლები ეგულვებოდათ, ხოლო იქაური მომთაბარე ველური ტომები ძველი საარაკო დროიდან შემორჩენილი ათასწლოვანი გრძნეულების მფლობელებად მიაჩნდათ.

ტყე კი ჩამოდიოდა მთებიდან ვაკეზე, ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ ტბები და მდინარეები, ტყე კი წინ მიიწეოდა, ნელ-ნელა დაიპყრო და მოიცვა მთელი მხარე, ძველ გალავანთა, სასახლეთა, ტაძართა, მუზეუმთა ნაშთები, და იმ უკაცურ ადგილას მელა და კვერნა, მგელი და დათვი მომრავლდა.

ერთი იავარქმნილი სასახლის ადგილას ახალგაზრდა ფიჭვი ამოზრდილიყო. წელიწადის წლის წინათ იგი მზარდი ტყის ყველაზე მონინავე შიკრიკი და წინამორბედი გახლდათ. ახლა უკვე ახალწამოზრდილი ხეების ჯარს გადაჰყურებს ზემოდან.

„საქმე წინ მიდის!“ შესძახა კოდალამ, ხის ზროს რომ უკაკუნებდა და მზარდ ტყესა და დედამინაზე სიმწვანის ძღვეამოსილ წინსვლას კმაყოფილებით შესცქეროდა.

**გერმანულიდან თარგმნა  
რუსულად ბრეზაკამ**

## კრიტიკა

მურმან ჯგუზურია

# როგორ იცვლის ხმას დოქი სითხით შევისებინას

1. ერთხელ, ცხონებულმა იურა ჯაფარიძემ, როგორც გამოცდილ შოფერს, მთხოვა, მანქანის ასარჩევად წავყოლოდი. „ჟიგული“ უნდა შეეძინა. დიდი ხანი ვათვალისწინებდი ვიჭოქმანეთ, ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებდით. კი არ მივიღებდით, არამედ, მიიღებდა. თვითონ აირჩია ფოლადისფერი (ჩემთვის უფერული) ავტო. მე ვურჩევდი უფრო მკვეთრი, კაშკაშა ფერის ავტომობილი აერჩია, რაც შემხვედრი მანქანებისთვის თვალშისაცემია და აქედან გამომდინარე, უფრო უსაფრთხოც, მაგრამ არა ქნა; მაგიერში, ფოლადი ურევიაო, მითხრა.

2. ფოლადისფერი ცისფერს ეხამება და ეს რეაქტიული თვითმფრინავები იშვიათად რომ გამოჩნდნენ, რაც, ალბათ, განზრახ არის მოფიქრებული ავია-მშენებლების მიერ, რათა უცებ არ შეასწრონ თვალი, ანუ კარგად შეინიღბონ, - ხმაური გვეხმის ხოლმე, საფრენი აგრეგატი კი

არა ჩანს. არც ჩვენ ვცდილობთ, თავი ავწიოთ და ხშირ-ხშირად ავიხედოთ ცისკენ...

პოეტმა აიხედა და დაინახა:

**რეაქტიული თვითმფრინავი, როგორც ნემსი,  
მიძვრება ღრუბლებში...**

და ჩვენც დავინახეთ, ავტორმა თავი აგვანევიანა და ცაში აგვახედა.

დავინახეთ რეაქტიული თვითმფრინავი. ბლოკი წერს: „Земле несущий динамит“. ბლოკი რომ ამას წერდა, დიდი ომი ჯერ კიდევ წინ იყო.

ახლა მშვიდობაა და შეიძლება რეაქტიული თვითმფრინავი დაფრთხილდეს ნემსსაც შევადაროთ. რეაქტიული, ესე იგი - ჩქარი.

ნემსი მატერიაში მიძვრება. ხან ჩანს, ხან - არა. ჩაიმალება ნამით და ისევე ამოჰყოფს თავს, კუდი კი მიჰყვება, ძაფი მიჰყვება. რეაქტიული თვითმფრინავი თითქო ბიძგი თითმფრინავს, გაქანებით, - ნემსს ძაფი მიჰყვება, თვითმფრინავს - გამონაბოლქვი, ხვეული, თეთრი, როგორც ძაფი...

მსგავსი სურათი ყველას გვინახავს, ცხადია, და რაც ყველამ ნახა, ის გვანახა პოეტმა.

მაშინ, რას ემსახურება ეს შედარება?

შედარება - შედარებისთვის?

ხელოვნება - ხელოვნებისთვის?

თუ კიდევ რაღაც დევს ამ შედარება-სურათში?

რეაქტიული თვითმფრინავი, ნებსით თუ უნებლიეთ, ომს გვაგონებს.

ნემსი და ძაფი შრომასთან გვაახლოებს.

არჩევანი – მკითხველზეა.

3. კითხვაც შრომაა, სხვათაშორის. „შრომა ჭამასაც უნდა, ბაბუ“, – ეს ჩემი დიდი ბაბუას შეგონებათაგანია. „ზარმაცი კაცი ადრე ბერდება“; ესეც. „ზოგი იმიტომ შრომობს, ბაბუ, რომ დაისვენოს, მე კი იმიტომ ვისვენებ, რომ ვიშრომ“. ესეც და ა.შ. და მისთანანი წიგნიდან მახსოვს: „მუშა მუდამ 18 წლისაა“ (პიერ პაოლო პაზოლინი), რაც, დაახლოებით, ბაბუაჩემის გამონათქვამს („ზარმაცი კაცი ადრე ბერდება“) უახლოვდება.

მარსელ პრუსტმა შექმნა ესე „კითხვის შესახებ“, რაც ნებისმიერ სხვა დარგს (მოთხრობა, ნოველა, ლექსი) არ ჩამოუვარდება.

კითხვაც შრომაა.  
რა მალაპარაკებს?

გივი ალხაზიშვილი გამორჩეული, გემოვნებიანი მკითხველია, რაც სხვადასხვა ეპითეტებითაც შეიძლება გამოიხატოს: განათლებულია, ნაკითხი, ინტელექტუალი, ან სულაც – ერუდიტი. ანუ: თითქმის ყველაფრის მკითხველი და თითქმის ყველაფრის მცოდნე.

ყველაფრის მცოდნე კაცმა და მკითხველმა, ბატონმა ოთარ ჩხეიძემ შექმნა, ჩემი აზრით, მთელ ქართულ ესეისტიკაში ყველაზე საუკეთესო ესე – ირლანდიელი პოეტის შესახებ (ეროვნულისა და არაეროვნულის შესახებ), რაც მამაო ჩვენოსავით უნდა იკითხოს და გაიზებროს მკითხველმა, უმთავრესად, მცირერიცხოვანი ერის შვილმა, ანუ: ჩვენ.

მაგრამ თავად კითხვა თუ არის დაკავშირებული ეროვნულობასთან?

ან – შრომა?

რითი განსხვავდება ერთმანეთისაგან ქართული და რუსული თოხი?

ანდა, ასეთ სურათს შევხედოთ:

ვთქვათ, ზის კაცი მაგიდასთან, წიგნი აქვს გადაშლილი და კითხულობს. შეიძლება თუ არა გავარკვიოთ, რა ეროვნების კაცია იმ წიგნის მკითხველი, ან – რა წიგნს კითხულობს?

„ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ზეცად და ქვეყნად, რაც ფილოსოფოსთ სიზმრად არც კი მოლანდებიათ“.

წმინდა ილია თავის ნაწერებში მუდამ საჩვენოს, საქართველოსათვის და ქართველთათვის გამოსადეგს ეძიებდა.

აკაკი, მაგალითად, რუსებს ვერ იტანდა.

ილიასთვის – რუსეთიც ასატანი იყო.

თუმცა, ორივეს გულში მსგავსი ბალღამი სდუღდა.

ოთარ ჩხეიძე გამოკვეთილად ეროვნული მწერალია.

4. გივი ალხაზიშვილის ამ პუბლიკაციის („ჩვენი მწერლობა“, №10, 12 მაისი, 2006 წ.), „მინიატურები“ ეწოდება. თუმცა, ჩემი აზრით, ეს არაა მარტოდენ მინიატურები, როგორც ამ წერილის სათაურშივე მივანიშნე, მაგრამ ეს არც ესეებია მარტოდენ. ესე-მინიატურა, მინიატურა-ესე. მოკლე ესე, მოკლე მინიატურა.

იცვალენ დრონი. დღეის მკითხველი დიდგანიან ნაწარმოებებს ვერ ეწყობა, გულს ვერ უდებს. ჯერ კიდევ ბუნინი წერდა, ნება რომ მომცა, „ომსა და მშვიდობას“ განავანახვერებდიო, სიტყვას არ მიფუმატებდი, გამოვაკლებდიო. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარეობს ალბათ მისი „არსენიევის ცხოვრების“ კომპაქტურობა.

გივი ალხაზიშვილს საუკუნეა ვიცნობ. ნაკითხული მაქვს მისი ლექსების კრებულები. მისი რომანები. მისი თარგმანი. წერილები. ესეები. ეს ბოლო პუბლიკაცია კი, გულლიად ვამბობ, დღემდე ჩემს მიერ ნაკითხულ მის ნაწარმოებებს მთელი თავით აღემატება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გივი ალხაზიშვილი ერთდერეული მწერალია. წიგნიერი მწერალი. იცნობს მწერლობის ნებისმიერ მიმდინარეობას, ნებისმიერ „იზმს“. ძველსა და ახალ მწერლობას. ქართულს, რუსულს, მსოფლიო მწერლობას. იცნობს და თავად არის რედაქტორი და გამომცემელი კაზმულსიტყვაობის საუკეთესო ნიმუშების. შეიძლება ითქვას, რომ მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება წიგნს შეაღია და წიგნს შესწირა. ცხოვრებულ აკაკი განწერელისი არ იყოს, იგი სადაცაა თავადვე გახდება წიგნი. მთელი მისი ცხოვრება ეწირება სიტყვას და სიტყვასთან ჭიდილს.

მოვიგონოთ გალაკტიონის სასწაული ლექსი:

**შენ მხარზე დოქით, მე ხელში წიგნით  
მივედით მარანს,  
მივედით მარანს, შევედით შიგნით, –  
ჭურს მტვერი ფარავს.**

**არ ჩნდა მემარნე. მაგრამ ძვირფასი  
ღვინო მივიგნეთ,  
უკვდავი ღვინო – შენ ჩემი თასით,  
მე შენი წიგნით...**

ამ ესე-მინიატურებში ვერ გაარჩევ, რომელი უფრო უყვარს ავტორს, წიგნი თუ ღვინო. წიგნიც ათრობს და ღვინოც ათრობს. წიგნიც ისმევა და ღვინოც ისმევა, იჭმევა კიდევ.

„გვინდა თუ არა, წიგნებიდან მიღებული ინფორმაციით ვსაზრდობთ და ჩვენი სააზროვნო ენა ყოველთვის შეიცავს წიგნიერი ცოდნის ქვეტექსტს, რომელსაც ლამის ჭეშმარიტებად ვაღიარებთ“...

ეს ესეისტის გამონათქვამია.

„ალექსანდრემ ფიქრი შეწყვიტა და თვალი გააყოლა ჩამავალ მზეს. მალე დაბინდდება, ჩაილაპარაკა თავისთვის და მზის ანარეკლით გაბრწყინებულ ფანჯრებს გახედა, ამ მზიან დღესაც უქმად არ ჩაუვლია, დღემ მოასწრო ნუშის ყვავილის გამლა...“

ეს მხატვრის ნახელავია.

„შეიძლება თუ არა სახლშიც იყო და ამავე დროს სადღაც მიდიოდე?! თვალს მოხუჭავ და სხვაგან ყოფნას წარმოიდგენ, თუმცა შენი შინ ყოფნა უფრო რეალური იქნება იმისათვის, ვინც თვალს შეგავლებს და გაიფიქრებს: – სადღაც წასვლას აპირებდა და არსად არ წასულა. შენ კი ამ დროს სხვაგან იქნები...“

ესეც ესეისტის ნაფიქრალია.

„ბავშვმა ვაშლი ჩაკბიჩა, ვაშლის გულს ჩახედა, მერე მასთან მიიბრინა და გაკებჩილი ნაყოფი აჩვენა:

– ბაბუ, შეხედე, ეს ვაშლი კურკის სახლია. ვაშლის გულში კურკები ცხოვრობენ...“

აქ ისევ მხატვარი მუშაობს.

5. ამ ესე-მინიატურების გმირი (ლეონტი), როგორც ავტორი ეძახის მას „დიდი უჩინარი“ ვინმეა.

ყველაფერი იცის, მაგრამ არავინ არაფერს ეკითხება. ბარი აქვს მხარზე გადებული და ადრინაი დილით ორღობეს მიუყვება, შრომობს ჩუმად, უხმოდ, ალაღად, მისებური განსაკუთრებული რიტმით, დილიდან დაღამებამდე. დოქი იქვე უდგას, ვენახში, ყანაში. და ლამაზობით უზის სანერ მაგიდას და სანთლის შუქზე წერს საერთო რვეულში თავის ნაფიქრალს და განცდილს.

„ისე წერდა, როგორც ბარავდა, ღრმად, აუჩქარებლად, შეფარული ლელვის თანხლებით, იმდაგვარი რიტმით...“

ორი რამ უყვარს ლეონტის, გამორჩევით, ამ ქვეყანაზე:

ბიბლიოთეკა და ღვინო. „ისევე შეიპარა ბიბლიოთეკაში. ისე მსუბუქად მიაბიჯებდა, გაფრენამდე არაფერი აკლდა...“

„ამალამ არ დამეძინებო, გაიფიქრა. და მარანში ჩაიპარა, ღვინოთ სავსე მოზრდილი დოქი სახლში აიტანა მოსალოდნელი უძილობისგან თავდასახსნელად...“

„ქურთი სახლში ჩავიდა...“ (ო. მამფორია).

ბიბლიოთეკაში „შეიპარა“.

მარანში „ჩაიპარა“.

ბიბლიოთეკა თვალის სწორზეა.

მარანი დაბლაა, სიგრილეში.

მარანს (ღვინოს) ნესტი

და სიგრილე არა წყენს. ბიბლიოთეკას (წიგნს) ნესტი და სიგრილე არ უხდება.

ამიტომაც არის ალბათ ერთგვარად მშრალი ბიბლიოთეკიდან (წიგნებიდან) მოსული სიტყვებიც.

მარნის სიტყვა სველია და ცოცხალი.

ასეთივეა ყანის, ვენახის სიტყვები.

ლეონტი ვენახში შრომობს. არ ლაპარაკობს. და შრომა მისი არის სიტყვა. „ვერც გამოელაპარაკებოდი“, წერს ავტორი, შემოსაზღვრულია ლეონტის სიტყვის მარაგი:

„წალდის სალესი, ბარის საფხეკი, შემის სოლი, ნაჯახი, ბარი, ცული, თოხი, ხერხი. ხერხზე გაბმული თოკი“ და მეტი არაფერი. სხვა სიტყვები ლეონტის არ სჭირდება ჩვენთან ურთიერთობისას. დღიურში კი ამგვარ რამეებს ინერს:

„რა უნდა მესწავლებინა ბავშვებისთვის, ალბათ ერთი რამ: ყური მიუგდონ, როგორ იცვლის ხმას დოქი სითხით შევსებისას...“

ასევე შეიძლება მიუგდო ყური ბარვას, მოროდს, თოხის ხრამუნს, ხერხს და ა.შ. მივაყუროთ და არ ვილაპარაკოთ. თოხმა და ბარმა ილაპარაკონ. ხერხმა თქვას თავისი სათქმელი. ღვინომ თქვას, დოქი რომ ივსება, ჯერ რომ რაკრაკებს, სიცარიელეში რომ ჩადის. და როცა აივსება,

გაჩუმდება, გაყურდება. ხმას არ გაიღებს. ღვინოთ სავსე დოქი – ლეონტის ეპითეტია. გონიერი დოქი. ჭკუით სავსე. ფიქრით, საღონარით, სადარდელით. ხდება ხოლმე, ქვევრს იმდენი სათქმელი დაუგროვდება, თუ არ ამოთქვა, გასკდება. და რომ არ გასკდეს, საამისოდ, ლეონტის, საერთო რვეული აქვს, და ის საერთო რვეული სავსეა ესემინიატურებით. ჩვენ მხოლოდ ხუთად-ხუთი ესემინიატურა ნაწიკითხეთ.

„დროდადრო გავშლი მის საერთო რვეულს და მკითხველს შევთავაზებ ცალკეულ ამბებს, ეპიზოდებსა და დაკვირვებებს, და ამ შეგრძნებებს, უნებლიეთ რომ იბადება საკუთარ თავში ჭვრეტისას...“

მწერლობა (წერა) ერთგვარად სოფლიდან ქალაქში ჩასვლას ჰგავს. სიჩუმიდან, სიმყუდროვიდან იწყება, იზრდება, ნელ-ნელა, ორღობებს გამოივლის, ვინწოვებს გამოივლის, თემშარაზე გამოვსა, გზატკეცილს შეუყვება, ტრასაზე გავს და ხმაურიან ქალაქში შეაბიჯებს. ასე თანდათან მალდება სოფლიდან ქალაქში მიმავალი მგზავრების ხმაც. ამ ქალაქში მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. გამოდის სალიტერატურო ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, და ჟურნალის ფურცლებზე იბეჭდება „დიდი უჩინარის“ (ლეონტის, მეორე სახელია – ალექსანდრე, მესამე, და ნამდვილი – გივი ალხაზიშვილი) ნაწარმოებები.

მე ვკითხულობ ჟურნალს.

და თანდათან სინათლიანდება, ჩემი აზრით, მწერლის ჩანაფიქრი:

მხოლოდ ბიბლიოთეკაში სიარულით (მხოლოდ წიგნებით) ცხოვრება არ შეიძლება. ცხოვრება შენობის გარეთაა. ეზო – კარშია. ყანასა და ვენახში.

ჩვენდა სასიხარულოდ, საამისო, მისაბაძი მაგალითიც მოგვეპოვება: ქართული კაზმულსიტყვაობის დიდოსტატი, ბატონი ოთარ ჩხეიძე მთელი თავისი დღე და მოსწრება სოფელსა და ქალაქს შუაა გახიდილი. სოფელში გროვდება ის ფერები, ავტორს რომ ჩამოაქვს ქალაქში და ვკითხულობთ ჩვენ (ვყიდულობთ), ამჯერად თითქმის ჩალის ფასად, ან სულაც მუქთად გვეძლევა. ღვინო კი, უწინარესად, მშრომელი კაცისათვის არის ალალი.

**P.S.** ჟურნალის ამ ნომერში წინარე და შემდგომი თაობის მწერლის ნაწარმოებები ერთმანეთის მოყოლებით არის გამოქვეყნებული (ო. ჩხეიძე: „ჩემი სოფლის ეტიუდებიდან“, გ. ალხაზიშვილი „მინიატურები“). უბრალო დამთხვევაა და მეტი არაფერი?

**სასამართლო ფაშუქი გაამართლა**

სტამბოლის სასამართლო გაამართლა ცნობილი თურქი მწერალი ორჰან ფაშუქი, რომელსაც „თურქი ერისათვის მორალური ზიანის მიყენებაში“ ედებოდა ბრალი.

ეს ფაშუქის პირველი სასამართლო არ არის.

შვეიცარიის გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში მწერალმა განაცხადა: „მილიონობით სომეხი და 30.000 ქურთი მოკლეს ამ მინა-წყალზე, მაგრამ ჩემს გარდა ვერავინ გაბედა ამაზე ლაპარაკი“.

ამის გამო სტამბოლის სასამართლოში ფაშუქისათვის 6-დან 36 თვემდე პატიმრობა მოითხოვეს თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის მიხედვით „ქვეყნის საჯაროდ გაშავება“. თუმცა ეს პროცესი ა.წ. იანვარში დაიხურა. როგორც დამკვირვებელი აღნიშნავენ, ფაშუქის გამართლება მხოლოდ ადვოკატთა სერიოზულ მტკიცებულებათა არსებობით კი არ განისაზღვრება, არამედ იმიტაც, რომ მისმა „საქმემ“ ძალზედ უარყოფითი გამოძახილი ჰპოვა ევროკავშირში, რომლის წევრობისკენაც ისწრაფვის ანკარა.

# ქართველთა კვალი წმინდა მიწაზე

\*

**გოჩა ჯაფარიძის  
საჯარო ლექცია**

„ეს არის უძნელესი და უვრცესი თემა, რომელსაც ადვილად ვერ მოკიდებს ადამიანი ხელს და უნდა იყო ამ რანგის პროფესიონალი, ამ სიღრმის მეცნიერი, ამ ინტერესების კაცი, რომ ამ თემას შეეჭიდო და წარმატებით დაძლიო“, – ამ სიტყვებით გახსნის როსტომ ჩხეიძე თავყრილობას, სადაც გოჩა ჯაფარიძე ნაიკითხავს საჯარო ლექციას თემაზე – „ახალი არაბული დოკუმენტები წმინდა მიწაზე ქართველთა მოღვაწეობის შესახებ“.

და კიდევ:

– ბატონო გოჩას დიდხანს უწევდა მუშაობა არაბულ ქვეყნებში და კარგად იცნობს აღმოსავლურ სამყაროს.

დაახლოებით თორმეტი წელი ხან სირიაში, ხან ეგვიპტეში, ხან კულტურული ცენტრის დირექტორი იყო, ხან საელჩოში მსახურობდა, ხან სამეცნიერო მივლინებებით იმყოფებოდა. ისედაც იმ ბუნების ადამიანია, მეცნიერი რომ არ ყოფილიყო, მაინც შეეცდებოდა გაერკვია ქართველთა მოღვაწეობის კვალი იმგვარად, მაძიებელ კაცს რომ შეეფერება; და თანაც: იგი გამონაკლისი გახლავთ მეცნიერთა შორის იმ თვისებითაც, რომ ძალიან უყვარს ლიტერატურა, არამარტო თავისი, სპეციფიკური ლიტერატურა, არამედ მხატვრული ლიტერატურა რასაც ჰქვია, ქართული მწერლობაც მათ შორის. იქაც, უცხოეთში, გამონაწერილი ჰქონდა ქართული სამწერლო ჟურნალ-გაზეთები და გულდასმით ადევნებდა თვალყურს ჩვენს სალიტერატურო ცხოვრებას და თვითონაც იყო შიგ ჩართული. თავისი დახვეწილი გემოვნებით საუკეთესო კრიტიკოსი გახლავთ, როგორც ხშირად გვენატრება, – ეს ეტყობა მის სამეცნიერო მოღვაწეობასაც.

ერთ დროს ჰქონდა ასეთი გატაცებაც – იყო ნუმიზმატი, ძველ ფულს აგროვებდა. ძველს, დიახ, ძველს

შემდეგ განივრცო, გაიშალა მისი მოღვაწეობა და დღეს ერთი რომელიმე დარგით არ იზღუდება.

ქართულ-აღმოსავლური ურთიერთობანი, საქართველო და ისლამი, საქართველო და არაბული სამყარო – ასე შეიძლება შეფასდეს ზოგადად ბ-ნ გოჩას ინტერესთა არეალი და ამ გარემოში ერთი მნიშვნელოვანი მხარე მისი მოღვაწეობისა არის მამლუქების ცხოვრების ძიება, მამლუქთა ეპოქის აღდგენა და რაც შეიძლება სრულად წარმოსახვა. და, რა თქმა უნდა, წმინდა მიწაზე ქართველთა მოღვაწეობა. მან მოამზადა გამოსაცემად გრიგოლ ფერაძის „უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქარ-

თველი ბერებისა და ქართული მონასტრის შესახებ“, და ეს ვრცელი ნარკვევიც ამ თემას ეხებოდა სწორედ.

ასე რომ, ყველანაირად ცდილობს ბ-ნი გოჩა სურათი იყო სრული და უფრო ღრმად შემოვიდეს ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში ეს სამყარო, არა მარტო მეცნიერებისთვის, არამედ ყველა მკითხველისათვის.

ჩვენს ლიტერატურულ თავყრილობებს ახსოვთ ბ-ნ გოჩას შესანიშნავი გამოსვლები, ძალიან ცოცხალი, კოლორიტული – იქნებოდა ეს თამაზ ნატროშვილის საჯარო ლექციისას პავლე ჭავჭავაძეზე თუ ომარ ხაიმის ხსოვნის საღამოზე. და ყოველთვის ჩანს მისი მრავალმხრივი, ღრმა ერუდიცია.

საჯარო ლექციის ქარგა კი ამ დებულებებს ეყრდნობოდა:

„ახლო მომავალში, იმ ქართულ და ევროპულ წყაროებს, რომელთა საფუძველზე ხდება წმინდა მიწაზე ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლა, შეემატება XIII-XVII სს. არაბული დოკუმენტური წყაროები – წმინდა ეკატერინეს მონასტრიდან (სინას მთა), იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლურ საპატრიარქოს ბიბლიოთეკიდან და ფრანცისკელთა არქივიდან. მათი მოპოვება მოხერხდა კაიროში საქართველოს საელჩოში ჩემი მივლინების დროს, 1998-2004 წლებში. დაუფასებელი დახმარება ამ საქმეში გამიწია თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა, ჩემმა კოლეგამ, რუსეთის კონსულმა თელ-ავივში გოჩა ბუაჩიძემ. ამ არაბული დოკუმენტიდან ერთი ნაწილი მამლუქთა ბატონობის ხანაზე, 1261-1312 წლებზე მოდის, ხოლო მეორე – ოსმალთა ბატონობის ხანისაა და 1524-1687 წლებს მოიცავს.

ჩემ ხელთაა ძირითადად 90-მდე სხვადასხვა ტიპის არაბული დოკუმენტი:

1. ეგვიპტის სულტნებისა და დიდი მოხელეების ბრძანებულებები ქართული სამონასტრო თემისადმი. ეს ბრძანებულებები გამოიცემოდა პასუხად იმ საჩივრებისა, რომლებიც კაიროში, სულტნის «მართლმსაჯულების სახლში» შედიოდა ქართველი ბერების და ქართული სამონასტრო თემის ხელმძღვანელთა მხრიდან. საჩივრები განპირობებული იყო მამლუქი გამგებლების, ან ცალკეულ პირთა მიერ იერუსალიმის ქართული სამონასტრო თემის ძალდატანება-შევიწროებით და ძალზე ხშირად, ქართველთა საჩივრები კმაყოფილდებოდა.

2. სასამართლო ოქმები – როგორც მამლუქთა, ისე ოსმალთა ბატონობის ხანისა;

3. საიჯარო დოკუმენტები;

4. დოკუმენტები ვალების შესახებ.

რას ეხება კონკრეტულად და რაზეა საუბარი ამ დოკუმენტებში?

ეგვიპტის სულტნების ბრძანებულებები უზრუნველყოფენ ქართველი ბერებისა და პილიგრიმების უსაფრთხოებას პალესტინაში; გადასახადებისგან ათავისუფლებენ პალესტინის საზღვაო პორტებსა და იერუსალიმში შესულ ქართველ პილიგრიმებს.

ისინი მოგვითხრობენ:

– ქართველი ბერებისა და ქართველი პილიგრიმების სტატუსზე;



– ქართველების მიმართ ეგვიპტის სულტნების კეთილგანწყობის მიზეზებზე;

– გარდაცვლილ პილიგრიმთა და ბერთა მემკვიდრეობის შესახებ - როგორც მამლუქთა, ისე ოსმალთა ბატონობის დროს.

– ქართული სამონასტრო თემის კუთვნილი მიწების შესახებ - როგორც მამლუქთა, ისე ოსმალთა ბატონობის დროს;

– ქართველთა ეკლესია-მონასტრების აღდგენა-რესტავრაციის ნებსზე;

– ქართველებისა და კათოლიკე ფრანცისკელების დავაზე გოლგოთას გარშემო, როგორც მამლუქთა, ისე ოსმალთა ბატონობის დროს;

– ფრანცისკელთა პრეტენზიაზე დამკვიდრებულის იერუსალიმში და მოეპოვებინათ ‘ამუდის, იგივე სუეტის მონასტერი XVI ს. 30-იან წლებში;

– ჯვრის მონასტერში მეჩეთის არსებობაზე ოსმალთა ბატონობის ხანაში XVI ს-ში;

– დოკუმენტები აზუსტებენ ჯვრის მამების ქრონოლოგიას და გვაძლევენ ჯვრის მამების ახალ სახელებს.

გვაქვს ეგვიპტის სულტნების წერილებიც ქართველი მეფეებისადმი. ერთი მათგანი, სულტან ჯაკმაკისა (ინგლისურად თარგმნა ბუტრუს აბუ-მანემ), 1440 წ. გაგზავნილი – სავარაუდოდ – ალექსანდრე დიდისადმი, სინამდვილეში აღმორჩნდა სამცხის ათაბაგ ივანესადმი.

არის შესანიშნავი დოკუმენტები XVI ს. II ათწლეულის დამდეგს ეგვიპტესა და იერუსალიმში ქართლის ელჩის და, იმავდროულად, ჯვრის მამის ბენა ჩოლოყაშვილის საქმიანობაზე.

პრაქტიკულად, ეს დოკუმენტები აშუქებენ ქართული სამონასტრო თემის ცხოვრების ისეთ ასპექტებს, რომელთა შესახებ სხვა წყაროები დუმან და რომელთა შესახებ ადრე არაფერი ვიცოდით.

ამჟამად დოკუმენტების უმეტესობა გაშიფრულია, დათარიღებული, სკანირებული და შეტანილი კომპიუტერში. შესრულებულია საბუთების მეოთხედის ზუსტი ქართული თარგმანი და გამოსაცემად მზადდება ის დოკუმენტები, რომლებიც მამლუქთა ხანას განეკუთვნება“.

ეს ზოგადი სქემაა, რომელიც მომხსენებელმა აავსო ისეთი სიუჟეტური ნიაღვრეებითა და მახვილგონივრული დაკვირვებებით, რომ თავყრილობის წამყვანს ათქმევინა: დეტექტიური სიუჟეტით მოვისმინეთო.

#### მანანა გაბაშვილი:

„ბ-ნმა გოჩამ დღეს არამარტო საკუთარი თავი წარმოაჩინა, არამედ აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლაც. ჩემ-

თვის ცალკე პიროვნება და ცალკე სკოლა არ არსებობს. და მათ ყოველთვის ერთად განვიხილავ. თუ პიროვნება არის წარმატებული და აქვს მაღალი დონე, ეს უთუოდ იმ სკოლის დამსახურება, რომლის წარმომადგენელიც არის იგი.

იშვიათად მინახავს ასეთი სიყვარული თავისი დარგი-სადმი.

როსტომ ჩხეიძემ სწორად შენიშნა, რომ ბატონი გოჩა გამომძიებლის გასაოცარი უნარითა და ინტუიციით ეძებს მასალებს და, ვფიქრობ, იურისპრუდენციამ მისი სახით იშვიათი მოღვაწე დაკარგა, როდესაც მან პროფესიად ორიენტალისტიკა აირჩია.

ყოველი მისი გამოკვლევა სიახლეა, ეს დოკუმენტებიც, რომელიც მან მოიძია, სისხლის გადასხმასავით არის ჩვენ დარგში. მისი დღევანდელი გამოსვლაც ამისი დადასტურებაა“.

#### თემურ ნადარეიშვილი:

„შესავალ სიტყვაში კარგად ითქვა, საჯარო, ცოცხალი ლექცია სულ სხვა რამეა, რადგან ამ დროს იქმნება განსაკუთრებული, ახალი

რეალობა.

სამ რამეს გამოვყოფ, რაც ძალზე მომეწონა:

პირველი – შესავალი, ერთგვარი მოთელვა, დოკუმენტების მოპოვების ისტორია, ცოტა დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ აუცილებელი იყო ეს მოგვესმინა

მეორე – იუმორი. ამ მანერით საუბარი რთულ თემებზე ყოველთვის უადვილებს მსმენელს აღქმას. თითქმის ორი საათი გავიდა და დალლა არ გვიგრძენია.

მესამე – თვითონ ის, რაც ამ უნიკალურ დოკუმენტებს შეეხება – უაღრესად საინტერესოა, უდავოდ ამაღლვებელი სიახლეა.

ახლა ერთი კერძო შეკითხვა მაქვს, თქვენ ვეძინის ქუჩაზე ხომ არ ცხოვრობდით? პატარა ვიყავი და მახსოვხართ“.

#### გოჩა ჯაფარიძე:

„ჩემი ცხოვრების თორმეტი წელიწადი ვეძინის ქუჩაზე გავატარე. ბ-ნი თემურის მამა, შესანიშნავი მათემატიკოსი ბ-ნი პავლე მასწავლიდა მათემატიკას, არაჩვეულებრივი პიროვნება. თუ რამე ვიცი მათემატიკაში, მისი წყალობით.

ბ-ნმა თემურმა ჩემი ბავშვობა, ახალგაზრდობა გამახსენა, იტალიური ეზო, ალექსანდრე მარტიროსოვის აშენებული სახლი, რომელსაც ეს შენობა კომუნისტებმა ჩამოართვეს და იმის ოცნებით მოკვდა, ოდესმე კომუნისტები უკან დამიბრუნებენ ამ სახლსო.

ჩვენ კი ვცხოვრობდით და არაჩვეულებრივი ურთიერთობები გვქონდა“.



ჯვრის მონასტერი

**როსტომ ჩხეიძე:**

„ისეთი გრძნობა მაქვს, რომ სპექტაკლი მიდის და მე ვარ რეჟისორი, არადა არაფერ შუაში არ გახლავართ“

**გოჩა ჯაფარიძე:**

„ჩემი პირველი ნიგნი იყო ქართულ მარტიროლოგიაზე აი, აქ გამომადგა მათემატიკური განათლება. შეიძლება ითქვას, ისტორიკოსებში ყველაზე კარგი მათემატიკოსი მოყავი.“

**გიორგი ლობჯანიძე:**

„შესანიშნავი, ძალზე საინტერესო ლექცია მოვისმინეთ, მაგრამ დღეს გამოსვლა იმიტომ გადავწყვიტე, რომ მიინდა, ბატონ გოჩა ჯაფარიძეს კიდევ ერთხელ დავუდასტურო ჩემი დიდი პატივისცემა და სიყვარული. ბედნიერებაა, რომ დღეს ქართულ აღმოსავლეთმცოდნეობას ჰყავს გოჩა ჯაფარიძე – მრავალმხრივი ინტერესების მკვლევარი, რომელიც, იმის მიხედვით, ქვეყანას სად და როდის დასჭირდება, ერთნაირი ნარმატებით მოღვაწეობს სამეცნიერო, პედაგოგიურ თუ დიპლომატიურ სარბიელზე. სამივე ამ საქმიანობას კი ერთმანეთს ისე უხამებს, რომ შეიძლება ითქვას, წუთსაც არ კარგავს ჩვენი ქვეყნის სამსახურისათვის. ამ სიტყვების დასტური მისი დღევანდელი ლექციაცაა. მასალები, რომელიც აქ მკვლევარმა გოჩა ჯაფარიძემ წარმოადგინა, დიპლომატ გოჩა ჯაფარიძის მოძიებულაა.“

ადგილიდან ჩემი რეპლიკა მეუღლის მიერ მისი დახმარების თაობაზე შესაძლოა მათთვის, ვინც ჯაფარიძეების ოჯახს არ იცნობს, არაადეკვატურად გახმიანდა. ამიტომ

მაც, არააღმოსავლეთმცოდნეთათვის აქვე დავაზუსტებ, რასაც ვგულისხმობდი. საქმე ისაა, რომ ბატონი გოჩას მეუღლე ქალბატონი ნუნუ ბეროზაშვილიც ერთ-ერთი უნიჭიერესი არაბისტი გახლავთ, რომელსაც თავისი თარგმანებითა თუ სამეცნიერო სტატიებით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ჩვენი დარგის განვითარებაში. სწორედ მის სახელს უკავშირდება ქართული არაბისტიკის ბოლოდროინდელი მიღწევა: ქართულ-არაბული დიპლომატიური ლექსიკონი.

რაც შეეხება ბატონ გოჩას, მასზე ძალიან ბევრი შეიძლება ითქვას, მაგრამ დღეს კიდევ ერთი რამ მიინდა აღვნიშნო საგანგებოდ. იგი ქართველ მეცნიერთა შორის იმ მხრივაც ბედნიერი გამოჩენილია, რომ ყველაფერს დიდი ინტერესით კითხულობს. ვინმეს შეიძლება გაუკვირდეს, ამას რა აღნიშვნა უნდოდა, ეს ხომ თავისთავად ასეც უნდა იყოსო, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს მეცნიერებს თითქოს სპეციალური ლიტერატურის გარდა დრო აღარაფრისათვის რჩებათ. აი, ბატონი გოჩა კი კითხულობს ყველაფერს და მის თვალს თითქოს უმნიშვნელო, მეორეხარისხოვან გამოცემებში დაბეჭდილი ასე თუ ისე ღირებული მასალაც კი არასოდეს გამოეპარება. მახსოვს, ერთხელ ერთ-ერთ ასეთ გაზეთში ლექსები დაბეჭდებ. ბატონი გოჩა მეორე დღეს უნივერსიტეტში შემხვდა და ერთი ლექსიდან ადგილები ზეპირად წამიკითხა.

ესეც იმ ზრუნვის გამოხატულებაა, რითაც გოჩა ჯაფარიძე, ზოგადად, თავის სტუდენტებს ანებივრებს. ხელთ მუდამ უმძიმესი ჩანთა უჭირავს, ეს ჩანთა კი სტუდენტთა და ასპირანტთათვის გადასაცემი ნიგნებითაა სავსე“.

**ერეკლე ხატისკაცი**

# ესაი რომანის უკვდავი სულისათვის

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულმა უოლკერ პერსის შესანიშნავმა ესეიმ „რომანის მდგომარეობა: მომაკვდავი ხელოვნება თუ ახალი მეცნიერება“ კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმ ნაღვლიან რეალობაში, რა ცუდად ვიცნობთ უახლეს უცხოურ ლიტერატურას და მათ შორის ამერიკულ მწერლობას, რომელსაც, წესით, თუნდაც ჩვენს ქვეყანაში გაბატონებული პოლიტიკური კონიუნქტურის შესაბამისად, ყველა დანარჩენი ქვეყნის ლიტერატურაზე უკეთ და სწრაფად უნდა ვეცნობოდეთ. მაგრამ ჩვენში ამერიკიდან დიდი ლიტერატურის ნაცვლად უმთავრესად სუროგატი შემოდის, მასკულტუ-

რის უდღეური ნაყოფი და ამიტომაც გვგონია, რომ თანამედროვე ამერიკელთა გემოვნება მხოლოდ „ჰოლივუდის“ კინოპროდუქციით იფარგლება, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, ისევ გასული საუკუნის 50-იან წლებში შექმნილი შედეგების იმედად არიან.

აბა, თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის ის ნიმუშები აქა-იქ რომ გაკრთება ხოლმე ჩვენს მწირ სამწერლობო გამოცემებში, ამაზე უკეთესი შეფასების გასაქანს არ გვაძლევს და ჩვენც ახალი ავტორების ჰოლივუდურად დამაქრული ქმნილებების კითხვას ისევ ფოლკლორის, ჰემინგუეისა თუ ჯოისის ათასჯერ ნაკითხულ თხზულებათა ხელახალი ფურცვლა გვირჩევნია.

შეიძლება ეს ვითარება ნაწილობრივ ჩვენი მთარგმნელების არაინფორმირებულობით ანდა უგულისხმობითაც იყოს გამოწვეული. ყველას ვერ მოსთხოვ, ზედმინეწით კარგად იცოდეს, რა ინერება და იქმნება დღეს ღირებული უზარმაზარ ამერიკაში და, გინდ ინფორმაციაც გქონდეს, მაინც იქნებ გული ველარც დაუდო დიდი ლიტერატურის ნიმუშების თარგმნას, რადგან მთარგმნელის საქმე იმხელა შრომას მოითხოვს და ეს შრომა ყოველმხრივ ისეა დაუფასებელი, რომ ვახტანგ ქელიძე უნდა იყო კაცი, უძილო ლამეების, დაუღალავი ძალისხმევის ხარჯზე ერს უძვირფასესი საგანძური დაუტოვო.

სხვათა შორის, აქ ჩვენი ახალშესვენებული დიდი მთარგმნელის სახელი შემთხვევით არ გამხსენებია. სხვა ბევრი რამეც, მაგრამ XX საუკუნის ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის უმთავრესი ავტორები ხომ სწორედ ბატონი ვახტანგის ჩინებული თარგმანებით გავიცანით. საოცარია, როგორ მოასწრო ამდენი რამე. 60-70-იან წლებში დასტამბულ თითქმის ყველა მნიშვნელოვან ნიგნს მისი სახელი ამშვენებს, ხან როგორც მთარგმნელის, ხან კი როგორც რედაქტორის რანგში.

ვინ იცის, მაშინაც რამდენს ქილიკობდნენ ავისმოსურნენი. ჩვენში ხომ ადამიანში ნიჭის, მუშაობის სურვილისა და პიროვნული ერთუზიანობის ჩაკვლის ერთ-ერთი აპრობირებული მეთოდი ესეც არის: „რამდენს თარგმნის! ასე როგორ შეიძლება! ნამდვილი გრაფომანია! ხელაჩქარებით მუშაობს!“ და ა. შ. და ამ დროსაც ვახტანგ ჭელიძე უნდა იყო, რომ ასეთ ბრალდებებს ისეც და ისეც შრომით, ახალ-ახალი რომანების გადმოქართულებით უპასუხო.

ბრალმდებელნი ილავლავებენ, წიგნები კი დარჩება და, რომ არა ვახტანგ ჭელიძე, ხომ ცხადია, რამხელა სიცარიელე, რამხელა კულტურული ნყვეტა გვექნებოდა ინგლისური და ამერიკული მწერლობის თარგმანის თვალსაზრისით.

ამდენს იმიტომ ვლაპარაკობ, რომ საბოლოოდ უმარტივესი რამ ვთქვა: თანამედროვე ინგლისურ და ამერიკულ ლიტერატურასაც სჭირდება ჩვენში თავისი ვახტანგ ჭელიძე, რომ წიგნი წიგნზე მიაწყოს და ამ მწერლობის დღევანდელობის ისეთივე ცოცხალი და დინამიური სურათი შეგვიქმნას, როგორც ეს თავის დროზე ბატონმა ვახტანგმა გააკეთა.

უოლკერ პერსის ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“ გამოქვეყნებულ ესეის მთარგმნელი არ აწერია, მაგრამ სკოლა, მაჩაბელი — ჭელიძის დიდებული ხაზი ისეთი გამჭვირვალეა, რომ დარწმუნებული ვარ, ამ თარგმანის ავტორები პაატა და როსტომ ჩხეიძეები ბრძანდებიან.

რამდენადაც ვიცით, ბატონი პაატა ამ ცოტა ხნის წინათ დაბრუნდა შემოქმედებითი მივლინებიდან და ალბათ, ამერიკიდან ახალ-ახალი მასალებიც მანვე ჩამოიტანა.

მისი გემოვნებიდან გამომდინარე კი წინასწარვე იცი, ბევრისაგან განსხვავებით, იგი როიში მარგალიტებით თამაშს არ დაინწყებდა და მხოლოდ უკეთესთა შორის უკეთეს ავტორებს აარჩევდა.

უოლკერ პერსის ესეიც, რომლის ავტორსაც სარედაქციო წინათქმა ლამის ფოლკნერისხელა მწერლად გვისახავს, ზემოხსენებული მოლოდინის საფუძვლიანობაში გვარწმუნებს. ამ შესანიშნავ ნიმუშში ისე პროფესიულად, ისე საფუძვლიანადაა დამუშავებული მომაკვდავი რომანის მითი ამერიკული მწერლობის უახლესი ნიმუშების ანალიზის ფონზე, რომ ადამიანს თავისთავად უჩნდება სურვილი თუნდაც მისივე რომანების „კინოში-მოარულის“, „თანატოსის სინდრომის“, ანდა მისი ესეების წიგნის — „საგზაო ნიშნები უცხო მინა-წყალზე“ წაკითხვისა.

„თუნდაც“ იმიტომ ვამბობ, რომ უოლკერ პერსის საანალიზო მასალის სახით იმდენი ახალი, პირადად ჩემ-

თვის უცნობი ავტორი ჰყავს მოხმობილი და მერე მათი ნაწერების ისეთი ანალიზი აქვს მოცემული, რომ ამ წიგნითა არცოდნა თავს არცოდნად ველარ ჩაუთვალე!

უოლკერ პერსის ესეიმ თუნდაც „ჩვენი მწერლობის“ ამავე ნომერში დასტამბული ამავე ჟანრის ორიგინალური თხზულებებისაგან (ხართიშვილისა და ახლოურის ოპუსთაგან) განსხვავებით, უპირველესად წერის საქმიანი მანერით მომხიბლა. ავტორი არაფერს ამბობს შემთხვევით, გაუცნობიერებლად და ამიტომაც მასთან ვერ ნააწყდებით იმგვარ პათეტიკას, რაც ლიტერატურას ჩამოკონწიალებულ ადამანთა ნაწერს ახასიათებს. პერსი მზამზარეულ დასკვნებს კი არ გვთავაზობს, ფიქრის, აზროვნების პროცესს გვაზიარებს და ამით გვეუბნება, რომ ის, რასაც იგი იაზრებს, შესაძლოა სხვამ სრულიად განსხვავებულად გაიაზროს და საპირისპირო შედეგებთან მივიღეს.

ამიტომაც ძალზე ბუნებრივად აღიქმება მისი მსჯავრი თავისივე თანამედროვე ლიტერატორების მისამართით და ამ მსჯავრს ისე ლაღად გვანვდის, შეფასებისას, კორექტულობის მიუხედავად, ისეთი პირუთვნელია, რომ გრძობ, რამხელა სიკეთეა დიდი ქვეყნის შვილობა თუნდაც ამ თვალსაზრისით.

საქართველოში, სადაც ლამის ყველა ერთმანეთს იცნობს, გამორიცხულია ესეისტმა ანგარიში კონიუნქტურის რაღაც ფორმას მაინც არ გაუწიოს. სხვაგვარად შეუძლებელია ლიტერატურული არსებობა იქ, სადაც, ძაგეებს ან კრიტიკას რომ თავი დაეხანებოთ, ვინმეს შექებთაც კი 20-30 მტერს მაინც გაიჩენ, რატო ის შეაქე და მე აზრო. ხოლო ანალიზის კი არა, ანალიზის მცდელობასაც ხომ საერთოდ არავინ გაპატიებს, რადგან ანალიზმა შეიძლება თან ტრადიციული ურთიერთობების, შერჩეული, დავარცხნილი (სიკვდილივით) წინასწარგამოცხადებული სამწერლობო შკალისა და იერარქიის რღვევა მოიტანოს.

ამის გამო საქართველოში რომანი მართლა მომაკვდავია, მაგრამ არა იმიტომ, რომ ამ ტყუადმა და მრავალმხრივმა ჟანრმა საკუთარი თავი ამოწურა, არამედ იმიტომ, რომ „მცირეფორმატიანი“ ლიტერატურული მაფია მას საარსებო სივრცეს არ უტოვებს და ამას მკითხველის მოუცლევლობით ანდა ცხოვრების თანამედროვე ტემპის აჩქარებით ამართლებს.

რაც შეეხება ამერიკას, იქ რომანის მომაკვდაობის განსხვავებული მიზეზები არსებობს, რომლებიც უოლკერ პერსის ესეის წაკითხვის შემდეგ ისეთივე ილუზორული და ნაყალბევი აღმოჩნდება, როგორც რომანის კვდომის აქაური, ჩვენებური მიზეზები.

ამდენად, პერსის ესეი რომანის ცხედართან ჩაგალობებული სულთათანა კია რა, რომანის, როგორც ადამიანის სულის უკვდავების დაბეჯითებული მტკიცებაა.

ამერიკელი მწერალი გვეუბნება, რომ იქნებ მართლაც კვდება, რომანი, მაგრამ სიკვდილი ამ შემთხვევაშიც დასასრულს არ ნიშნავს, რადგან მის შემდეგ რომანის სულიც, ადამიანის სულისა არ იყოს, ახალ, არსებითად განსხვავებულ ყოფიერებაში გადადის.

ხოლო თუ გვინდა, რომ ჟანრმა ფიზიკურადაც იარსებოს, წერეთ, ბატონებო, რომანები და გარწმუნებთ: რომანი ნამდვილად არ მოკვდება!



ფუნე ნედაი

ფუნე ნედაი უნიჭიერესი ახალგაზრდა სპარსელი პოეტი ჩემი მეგობარია. თუმცა პირადად არ ვიცნობ და მხოლოდ ინტერნეტის მეშვეობით ვურთიერთობთ მას შემდეგ, რაც ამ რამდენიმე წლის წინათ მისი ლექსების თარგმანები გაზეთ „ჩვენს მწერლობაში“ გამოვაქვეყნე. ფუნე ამ პუბლიკაციის მერე თვითონ დამიკავშირდა, მადლობა გადამიხადა და თავისი რედაქტორობით გამოშვებული ლიტერატურული ჟურნალის „შოუქარანის“ რამდენიმე ნომერიც მომანოდა. ცოტა ხანში კი ლექსების მეორე ნიგნიც – „ერთიმუჭა იდუმალი ფერფლი“ – გამომიგზავნა. პირველი ქართული პუბლიკაცია მისი პირველი პოეტური კრებულიდან „დროის ნაკვალევი“ შერჩეული ნიმუშები იყო. ფუნე ნედაის პირველმა ნიგნმა უშუალოდ და სიახლის ძიებით მომხიბლა. ასევე იმითაც, რომ იგი წარმატებით აგრძელებდა XX საუკუნის უდიდესი სპარსელი პოეტების მიერ არჩეულ პოეტურ გეზსა და მიმართულებას. სასიხარულოა, რომ მეორე კრებულში მისი პიროვნული ხმა კიდევ უფრო გამოიკვეთა და გამკაფიოვდა. ავტორი კიდევ უფრო დაოსტატდა და თანაც არც პირველი კრებულისთვის ნიშანდობლივი საოცარი სიფაქიზე და გულწრფელობა დაუკარგავს. ამ რამდენიმე დღის წინათ, მიმონერაში დიდი პაუზის შემდეგ, ფუნე ნედაის მოკლე იმეილი მივიღე: „გიორგიჯან, სად დამეკარგე? იმედია, კარგადა ხარ. გკოცნი. შენი ფუნე.“ ამ ვირტუალურ კოცნას ალბათ ნამდვილად ვიმსახურებდი იმიტომ, რომ სინამდვილეში არსად დავკარგულვარ. ვიჯექი და სხვა ბევრ რამესთან ერთად ფუნე ნედაის ლექსებსაც ვთარგმნიდი მისი ახალი კრებულიდან „ერთიმუჭა იდუმალი ფერფლი“.

**არაფერი**

*მწუხარე ქალებს*

განა რა სურდა ცხოვრებისგან  
 ცრემლის ყელში შესაკავებლად  
 კაცის მხრის მეტი...  
 ყველამ მშვიდად დაიძინოს.  
 მან სახიფათო გზა გადაჭრა  
 და არცერთ კაცს არ გაუგია,  
 რამხელა გზაა  
 ტირილიდან შეცოდებამდე...

**ნილაზი**

მე მიყვარდა შენი ნილაზი –  
 „ჯაჭვით დაბმული“ –  
 ბურბუშელის პატრონი ვიყავ,  
 ოცნების სახლის დიასახლისი  
 და სიზმართა შვილების დედა...  
 ყოველ დილით  
 უხილავ ხელში  
 ჩაის განვდიდი,  
 დაღამებამდე ვყნოსავდი და ვეფერებოდი  
 ხალიჩათა და ფარდათა ბაღნარს,  
 ფანჯარათა მოლოდინიდან  
 შენს დაბრუნებას ვდარაჯობდი,  
 შენს სილუეტს  
 და მტვერს შენი ნაბიჯებისას.

შენი სუნთქვიდან  
 ჩემს სუნთქვამდე  
 დაღლილობა ამოვიძირკვე,  
 ყურში ლექსი ჩაგჩურჩულე  
 და დიღამდე ცრემლი ვღვარე  
 მთვარის ბალიშზე.

შენ კედლის მიღმა  
 კაცის ეჭვს დუმდი,

მე ჩემ ურყევ რწმენას ვგალობდი  
 და სტრიქონ-სტრიქონ  
 ვქვითინებდი,  
 ვიდრე ჩემი ტრფობის ფურცელი  
 კალმის წვიმით გაივსებოდა...

ღონემიხდელი იყო ჩემი გულის სარკმელი  
 და შენი ნდომის მარადისი გონმიხდლობა  
 რაკრაკებდა  
 სახლის ღვინოში.

ახლა სიცოცხლის ბუნდოვანი ნატვრა-ნადილი  
 მზის სხივივით  
 ჩემი გონების ფარდებს დაუსხლტა...  
 ვწუხვარ...  
 მიყვარდა ნილაზი შენი,  
 დისტანციის სარდაფის თავზე  
 ოცნების დიდებული კოშკი დავაქსოვე,  
 მაგრამ ვერსად  
 შენს ნიშან-წყალს ვერ მივაგენი...

**ღაცემა**

გადმოვვარდი –  
 მზერიდან,  
 ფანჯრიდან,  
 მერცხალთა პატარა თავშესაფრიდან,  
 კედლიდან,  
 რომლის  
 უცხო სიმაღლეც  
 უღმერთო ცას ებჯინებოდა..

გადმოვვარდი  
 და ღვთისნიერი არვინ გამოჩნდა,  
 რომ ჩემი დანთხეული ტვინი,  
 მოკირწყლული ტროტუარიდან წამოკრიფოს...

დროის ნაბიჯები  
 ამ დაცემის შუბლზე  
 გადადიან...

მე გადმოვვარდი...

**დაცემის შამდეა**

სიყვარულის სიმაღლის მიღმა  
ვარსკვლავები იყინებიან  
და ზეცას  
ფრენის ბოლმა  
ყელში უქვავდება,  
ბაგეებს მუდამ დაცემის შემდეგ ვალებთ,  
სიყვარულის სიმაღლის მიღმა  
ჩიტს ფრთები ემსხვრევა...

**სხვანაირად**

მიყვარხარო,  
სხვანაირად დამინერე,  
გულგვამს მიბრუნებს  
ეს უსულო პირდაპირობა...

**მზერის ვარდი**

სამი დღეა  
წვიმა ჩვენს თვალებს ესაუბრება...

ამ ბერნ მინაზე  
ხედვის ვარდი  
ალარ ამოდის....

**ფარდის ფარდი**

მიდიხარ,  
სარკმელს ვხურავ  
და ფარდას მზერის კიდემდე  
ვაფარებ..

შენს შემდეგ  
თვალსანიერი  
ფარდის ფარდია,  
ხოლო სარკმელი –  
პატიმრის ღიმილი

**ამაოლ**

სარკმელს  
ყელი ჩაწყდა  
ქარის ხველით

არ გინდა,  
ამ უკაცური სახლიდან გაემგზავრო?  
ხვალის ყელში ბოლმას ბოლმაზე  
რატომ ახვავებ.

ჩემი სამშობლის მინას ვფიცავ,  
ქარმა ტრფობის თესლი  
ფუჭად მიმოფანტა...

**დაკარგული ფრთები**

გამარჯობა,  
ზაფხულის მდგმურო,  
ყავლი უცებ გავა  
და შენც შემოდგომის სახლში გადასვლა მოგიწევს.  
ჩიტის ენა უკვე აღარ მესმის  
იმის გარდა,  
რომ ტრფობის თავზე ფრენა იკრძალება.  
მაშ ლამპარი რალაში გჭირდებოდა? —  
ზეცა იმაზე უფრო ბნელია,  
რომ იქ დაკარგული ფრთები მოიძიო.

**წვიმის მინიშნებანი**

შემოდგომამ  
შენი თვალი  
ფოთოლივით მომიტანა,  
ხელისგულზე ჩამომისვენა.  
მე კი წვიმის მინიშნებებს გავყევი,  
რომ თითები  
ფოთლებქვეშ დამემალა.

**ცისფერი ყვავილები**

ზღურბლზე ისევ გადააბიჯე  
და ჩემი მზერა  
შენი ნაბიჯების რიცხვთა ჯერ განმეორდა,  
როცა ისევ საკუთარ თვალებს დავუბრუნდი,  
ქუჩა განხმულიყო,  
მე კარს მივყრდნობოდი  
და ჩადრიდან გამფრენოდნენ  
ცისფერი ყვავილები.

**თოკი**

შენი ნაბიჯების ამობრუნებულ ჩრდილებს  
სარკმლის გულმკერდზე უსხლტებათ ფეხი,  
ტკივილი კი, სალამოჟამს გულში რომ ჩამეხვია,  
თოკად იქცევა,  
რომ მასზე შენს თვალებში  
თავი ჩამოვიხრჩო.

**სპარსულიდან თარგმნა  
გიორგი ლოპხანიძე**



კარლ ვოლფი 1943 წელს დაიბადა შვარცენგრუნდში (შემდგომში გდრ-ის ტერიტორია). 1961 წელს ტიურინგია დატოვა და საცხოვრებლად გფრ-ში გადასახლდა, სადაც მარბურგსა და ტუბინგენში სწავლობდა სლავისტიკას, გერმანისტიკასა და ფილოსოფიას.

1974 წლიდან ცხოვრობს მიუნსტერში, სადაც 1988 წელს, მეგობრებთან ერთად, დააარსა გერმანულ-რუსული საზოგადოება. ვოლფი, ძირითადად, ლირიკაში მუშაობს, აგრეთვე გერმანულად თარგმნის რუს პოეტებსა და პროზაიკოსებს.

ავტორის აქ წარმოდგენილი ლექსები თარგმნილია 2000 წელს გამოცემული პოეტური კრებულიდან „დაომინა“ და იბეჭდება გამომცემლობა „თალაია“-ს თავაზიანი ნებართვით.

### კარლ ვოლფი

#### პირველად იყო დაო

დანერლია:

„პირველად იყო დაო.

და დაო იყო ღმერთთან.

და დაო იყო ღმერთი“.

ასევე დანერლია:

„დაო, რომელიც შეიძლება დასახელდეს,

არ არის ჭეშმარიტი დაო.

სახელი, რომელიც შეიძლება დასახელდეს,

არ არის ჭეშმარიტი სახელი“.

და ეს ასევე ნიშნავს:

„იმან, ვინც მეტყველებს, არ იცის.

ვინც იცის, იგი არ მეტყველებს“.

ამას განგვიმარტავს ლაო ძი.

მაშ, რა ვირწმუნოთ?

„უნდა ვირწმუნოთ, რომ იგი თავად

იყო ერთ-ერთი, ვინც იცოდა

და დაწერა არა უმცირეს

ხუთჯერ ათასი სიტყვის?“

მე ვხედავ ქუჩას,

ვხედავ თავს

და ფეხს

და ვეძებ და ვერას ვპოვებ,

და რასაც ვპოვებ,

იმას არ ვეძებ.

არ ვიცი, ყური ვის ვათხოვო.

დასაბამიდან იყო საქმე?

აქ ისე ვდგავარ, ვით კარიბჭე შემეცნებისა.

საქმის წინარე საქმეა დაო.

ეს განსაზღვრებად არ გამოდგება.

საბედნიეროდ

მზერას უკუმივმართავ და

დილის ნათელს

ვესალმები თავისუფალი.

და მის სხივოსან რჩევაში,

მორგვეში,

ბრუნავს არარა,

ყოველი ბრუნავს.

ვის შეუძლია ამის შეცნობა?

\* \* \*

ჩემს სახლს

ჩემს ბაღში მოყვავილე

ოცნებები აღამაზებენ.

ქვეყნიერებას რაც ამინებს,

ის ჩემს სიმშვიდეს

ვერაფერს ავნებს.

მე ვისწავლე,

თუ რა არის ჭეშმარიტება.

მე ვიღიმი.

მეგობრული ვარ.

ბედნიერი ვარ.

ბედნიერი ვარ.

ბედნიერი ვარ.

#### ბედნიერება

უბედურებმა

უნყიან ბედნიერების შესახებ.

ან იქნებ ასე:

უბედურებმა

არაფერი უნყიან

ბედნიერების შესახებ.

ან სულაც ასე:

ბედნიერებმა  
არაფერი უწყიან  
ბედნიერების შესახებ.

**ქამელეონი**

ქამელეონი როგორც ცდილობს,  
თავის ნაცხოვრებ  
ტანზე მოიხრგოს არნაცხოვრები.  
ფერად სურათთან არაფერი ექნებოდა ამას საერთო.  
სამწუხარო იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ.

\* \* \*

ფოთოლ-ფოთოლ  
გაურბიან  
დღეები ქარებს.  
გრძელი ლამით გარემოცული,  
ჩემს თავს დავეძებ  
მიმწუხრის ცაში.

**თვალნი და მზარანი**

ბრმებს შორის  
ცალთვალა  
მეფეა.

ცალთვალათა შორის  
ორივ თვალის მქონეს  
ორი თვალნი აქვს.

სამთვალათა შორის  
ორთვალა  
ბრმაა.

\* \* \*

ჩვენ გვაბრმავებს  
მხოლოდ ის ცოდნა,  
რომელიც არცოდნაა.

არ-ცოდნა,  
რომელიც ცოდნაა,  
სასწაულს გვიჩვენებს.

ჩვენ არ ვსაჭიროებთ ბრმებს,  
რომლებსაც ბრმები მართავენ.  
დავიბადეთ, რათა ვხედავდეთ.

**ფხსსაცმლის გამოცვლა**

ფხსსაცმელზე ხშირად  
ქვეყნებს იცვლიდა  
ბრეხტი.  
ბედნიერია ადამიანი,  
რომელსაც ფხსსაცმელზე და ილუზიებზე  
უფრო ხშირად  
შეუძლია ქვეყნის გამოცვლა.

მე ვცხოვრობ

მე ვცხოვრობ.  
არ ვარ თომას მანი.

ჩემი ცხოვრება ოცნებაა,  
ოცნება ლიტერატურაზე.

ოცნებას აღწერ და  
ცხოვრებას ვკარგავ.

ვცხოვრობ და  
ვკარგავ იმას, რაც რჩება.

**კვიპაროსები**

ქარი არ არის, ისინი რომ არ დაერწიოს.  
არც - ქარიშხალი, ისინი რომ არ დაედრიკოს.  
უამინდობა ვერ ამოგლეჯს მათ ფესვს ვერასდროს.

დათმობა მათი ჩვევა არაა.  
თმობენ და ისევ იმართებიან.  
მგრძნობელობაა მათი უწყება.

მათ მიწინადაც ძალუძთ,  
ზეცის ხმები ისმინონ.  
სხვაგვარად, ვიდრე მოციქულნი,  
მდუმარებენ, ცეცხლის ენებს როცა იგრძნობენ.

უამხებოდ ჰორიზონტი ცარიელი დაგვიჩვენებდა.

**გერმანულიდან თარგმნა  
დათო გარბაქაძე**

ალექსანდრე პაპადიამანტისი

## ოცნება ზვირთებში

ღარიბი მწყემსი ვიყავი, ასე თვრამეტი წლის ერთი უბირი ყმანვილკაცი. მთაში ვცხოვრობდი და თავს ბედნიერად ვგრძნობდი, თუმცა ბედნიერებისა არაფერი გამეგებოდა. უკანასკნელი ბედნიერება ამ ზაფხულს მენია, 189... წელს. ლამაზი გარეგნობის პატრონს გული სიხარულით მევსებოდა, რუებსა და ნაკადულებს რომ ჩავცქეროდი და მათ სარკეში ჩემს სახეს ვხედავდი, მზით გარუჯულსა და ნაადრევად გამკაცრებულს. ნერნეტა მოქნილ ტანს კი კლდე-ლრე ბლოტივლით ვიკაჟებდი.

იმ ზაფხულის მომდევნო ზამთარს მოხუცმა ბერმა სისოსისმა, ანუ სისონისმა, როგორც მას სოფლელები ეძახოდნენ, მოწაფედ ამიყვანა და წერა-კითხვა მასწავლა. ყოფილი მასწავლებელი იყო და სიკვდილამდე ყველას ასე, წოდებითში, მიმართავდა: „მოძღვარო“. აჯანყების<sup>1</sup> წლებში ბერად აღიკვეცა, დიაკვნადაც იყო. შემდეგ თურმე ერთი თურქი გოგონა შეუყვარდა, სმირნის ერთ-ერთი ჰარამხანიდან მოიტაცა, მონათლა და ცოლად შეირთო.

როგორც კი ქვეყანა ცოტა დალაგდა, კაპოდისტრიას<sup>2</sup> მმართველობის დროს, სისოსისმა სკოლებში მასწავლებლობა დაიწყო და სახელიც გაითქვა – „სოტირაკის მასწავლებელზე“ ქება ვის არ სმენოდა. მოგვიანებით, როცა ოჯახი უზრუნველყო, თავისი ძველი საქმიანობა გაიხსენა – კვლავ ანაფორა ჩაიცვა, ოღონდ ამჯერად უბრალო ბერისა, რადგან მღვდლობა ეკრძალებოდა, და იგი, სინანულით აღსავსე ხარების მონასტერში დაფუძნდა. იქ გამოიტირა თავისი ცოდვები. ამბობდნენ სინანულითა და ქველმოქმედებით სული იცხონაო.

როცა მოხუცმა სისოსისმა წერა-კითხვა მასწავლა, მონასტრის სტიპენდიით პროვინციის ერთ-ერთ სასულიერო სასწავლებელში განმანესეს, სადაც მაშინვე უმაღლეს კლასში ჩამრიცხეს, ხოლო შემდეგ ათენის რიზარიონში<sup>3</sup> გამგზავნეს. მოკლედ, სწავლა-განათლება ოცი წლისამ რომ დავიწყე, უნივერსიტეტი ოცდაათი წლისამ დავამთავრე ადვოკატ-ლიცენციატის<sup>4</sup> დიპლომით...

ცხადია, ბევრს ვერაფერს ვენიე. დღესაც ათენის ერთი ცნობილი ადვოკატის კანტორაში ვმუშაობ თანაშემწედ. იგი მძულს, და არ ვიცი, რა ბნელი ძალა ამის მიზეზი. მძულს, ალბათ, იმიტომ, რომ ჩემ მფარველად და კეთილისმყოფლად ითვლება. და რაკი უნიათო და ბოთე ვარ, იმის ძალაც კი არ შემწევს, ჩემი ადგილი რომ მეკავოს – მუდმივი კარისკაცის ადგილი.

ჰო, იმიტომ, რომ, როგორც პატრონის ეზოში ძალიან მოკლე საბელშებმულ ძაღლს არც ყფის თავი აქვს

და არც კბენა შეუძლია იმ საბლით შემოფარგლული წრის მიღმა, მეც ასევე არ შემიძლია მოვიმოქმედო იმაზე მეტი ჩემი უფროსის კანტორაში, რის უფლებასაც მკაცრი კანონმდებლობა მანიჭებს.



ბოლო წელიწადი, როცა ჯერ კიდევ ბუნებრივი ადამიანი ვიყავი, 187... წლის იმ ზაფხულს იყო. მშვენიერი ნაბლისფერთმიანი ყმანვილი მწყემსი ხარების მონასტრის თხებს ვმწყემსავდი ზღვისპირა მთებში, ციცაბოდ რომ მიუყვებიან ქვიან სანაპიროს და ჩრდილოეთის სამეფოსა და ზღვას გადაჰყურებენ. მთელი ის მიდამო, „ილქანდაშვებულს“ რომ ეძახიან (მას შტორმით ქანცგამოცლილი იალქანდაშვებული გემები მოადგებიან ხოლმე), ჩემი იყო.

ციცაბო ქვიანი ნაპირი, „პლატინა“, „დიდი სანაპირო“, „ვენახი“ – ყველანი ჩრდილოეთით გადაშლილიყვნენ და კაიკიის მხარეს გადაჰყურებდნენ. ჩანს, გაშინაურებული ვიყავი ჩრდილოეთის ქარებთან, თმას რომ მიწნავდნენ და ველური ზეთისხილის ბუჩქნარივით მიხუჭუჭებდნენ თავიანთი დაულალავი ქროლვით – მარადიული სუნთქვის მათრახით.

ყველაფერი ეს ჩემი იყო: ხშირი ბუჩქნარი, ხეხეები და მინდორ-ველები, მთები და ზღვის სანაპირო. მიწა გლეხისა მხოლოდ იმ დღეებში იყო, როცა მას ხნავდა, თესავდა, სამჯერ პირჯვარს გადაიწერდა და ამბობდა: „სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისათა, ვთესავ ამ მინდორს, რომ მგზავრმაც შიმშილი მოიკლას, ცის ფრინველებმაც კენკონ და მეც ჩემი წილი მომეცეს!“

არც ხვნა მჭირდებოდა და არც თესვა, მოსავლის მოწილეს. მაცხოვრის მშვიერ მოწაფეებს ვბაძავდი: უნებლიეთ „მეორე წიგნის“<sup>5</sup> მცნებებს ვასრულებდი.

ვენახი ღარიბი ქვრივისა მხოლოდ იმ საათებში იყო, როცა მას გოგირდით წამლავდა, სხლავდა, კალათას ყურძნის მტევნებით ივსებდა, ასევე – რთვლობისას, თუ რამე კიდევ იყო შემორჩენილი სართვლოდ. დანარჩენ დროს კი ეს ჩემი მამული იყო.

ამ „საკუთრებისა და ნაყოფით სარგებლობის უფლებას“ მხოლოდ მუნიციპალიტეტის მეველები მეცილებოდნენ. აქაოდა, ხალხის ბალ-ვენახებს ვიცავთო, სადაც ნუგბარ ხილს შეიგულებდნენ, არა და არ მახარებდნენ ეგ ჩემი მოუსვენარი მეტოქენი.

ჩემი მთავარი „ადგილ-მამული“ მაღლობზე იყო, ზეთისხილის ჭალებისა და ვენახების გადაღმა, მაგრამ საზღვრებს ხშირად ვარღვევდი. იქ, სულ ზემოთ, ორ ხეობასა და სამ მწვერვალს შორის, ველური ბუჩქნარით, სარეველა ბალახითა და ეკლბარდით რომ იყო დაფარული, მონასტრის თხებს ვმწყემსავდი. „მოჯამაგირე“ ვიყავი – თვეში 5 დრაქმას მიხდიდნენ. შემდეგ



ჯამაგირი ექვს დრაქმამდე გამიდიდეს. ამ ჯამაგირთან ერთად მონასტერი საქალამნე ტყავის ნაჭრებსა და ბლომად შავი პურის კვერებს მადლევდა.

ერთადერთ მუდმივ მეზობლად ქვემოთ, ჩემი „ადგილ-მამულის“ მოსაზღვრედ, კირ-მოსხოსი მყავდა, იქაური მემამულე, ძალიან ჭირვეული ხასიათის პატრონი. ქვრივი იყო, აგარაკზე ცხოვრობდა, მომცრო კობტა კოშკში, თავის ძმისწულ მოსხულასთან ერთად. გოგონა ნაშვილები ჰყავდა, თვითონ უშვილოს. მოსხულა დედის მუცლიდანვე ობოლი იყო და მას აქეთ ზრდიდა დედისერთა ძმისწულს, ღვიძლი შვილივით უყვარდა.

კირ-მოსხოსმა ქონება სხვადასხვა საქმიანობითა და მოგზაურობით შეიძინა. დიდი მამული ჰქონდა – რამდენიმე ღარიბი მეზობელი დაიყოლია, რომ მისთვის მინდვრები მიეყიდათ: ერთმანეთის მომიჯნავე ათიოდე მინდორი გააერთიანა, ზღუდე-გალავანი შემოავლო და ჩვენს მხარეში ყველაზე ვრცელი მამულის – მრავალი ასეული სტრემის<sup>7</sup> მფლობელი გახდა.

ეს გალავანი საკმაოდ ძვირი დაუჯდა, ალბათ, თვითონ მამულზე ძვირიც, მაგრამ კირ-მოსხოსს ეს არ ანალვლებდა – თითქოს ცალკე სამეფო სურდა ჰქონოდა თავისთვის და თავისი ძმისწულისათვის.

მამულის განაპირას მაღალი ორსართულიანი კოშკისებური საცხოვრებელი აიშენა, აქა-იქ გაფანტული ნყაროები გაასუფთავა და მოაწესრიგა, ონინარიანი ჭაც გაათხრევინა სარწყავად. მამული ოთხ ნაწილად გაყო: ვენახად, ზეთისხილის ჭალად, ხეხილის ბაღებად და ბაღჩა-ბოსტნებად.

კირ-მოსხოსი მამულში დასახლდა და მუდმივად იქ ცხოვრობდა, დაბაში იშვიათად თუ ჩავიდოდა. მამული ზღვის პირას იყო გაშენებული და გალავნის ზედა კედელი გორაკის წვერამდე უწევდა, ქვედა კედელს კი ჩრდილოეთის ქარი, ბორეასი, აწყდებოდა და ზღვის ტალღები ეხლებოდნენ.

დადიოდა კირ-მოსხოსი თავისი განუყრელი ჩიბუხით, კრიალოსნით, სასხლავით და თან დაატარებდა საყვარელ ძმისწულს მოსხულას. გოგონა ჩემზე ორიოდე წლით უმცროსი იქნებოდა. პატარა რომ იყო, კლდიდან კლდეზე დახტოდა, ზღვის ერთ ყურეში რომ დაჰკრავდა ფეხს ნაპირს, წამსვე მეორეში ამოყოფდა თავს. ქვევით, ზღვის პირას, ნიჟარებს აგროვებდა და კიბორჩხალებს დასდევდა. სანაპიროს ჩიტივით ცხელსისხლა და დაუდეგარი იყო. მშვენიერი, შავგვრემანი, „ქებათა-ქების“ მზით გარუჯულ ქალწულს ჰგავდა, ძმებს რომ ვენახის მცველად დაეყენებინათ. „აჰა, მშვენიერი ხარ, სატრფოვ ჩემო, აჰა, მშვენიერი ხარ! მტრედებია შენი თვალები“.<sup>8</sup> გულისპირიდან თეთრი ყელი გამოუკრთოდა, მის პირის კანზე ბევრად უფრო თეთრი.

ფერმკრთალი იყო, ვარდისფერზე ოქროსფერი გადაჰკრავდა. და მე მეჩვენებოდა, რომ ჩემს ურჩ თიკანს ნააგავდა, მომცროსა და კობტას, მისი ეშხით მოსხულა რომ შევარქვი.

კოშკის დასავლეთის ფანჯარა ხეობას გადასცქეროდა, რომელიც მთის მწვერვალს გადაღმა ღრმავდებოდა. ხეობის თიხიანი, უხეში ნიადაგი ხშირი ეკალბარდითა და სურნელოვანი ბუჩქნარით იყო მოფენილი. იქ იწყებოდა ჩემი სამფლობელო. იქამდე ხშირად ჩავდიოდი, როცა ჩემი სულიერი მამების, ბერების, თხებს ვმწყემსავდი.

ერთ მშვენიერ დღეს, არ ვიცი როგორ, როცა, ჩვეულებისამებრ, თხებს ვითვლიდი (იმ წელს სულ ორმოცდათექვსმეტი იყვნენ: მათი რიცხვი, ასე, ორმოცდახუთსა და სამოცს შორის მერყეობდა), ჩემი საყვარელი თხა, ჩემი მოსხულა, დამაკლდა სათვალავში – როგორღაც ჯოგს ჩამორჩენოდა. სხვა თხა რომ დამკლებოდა, იმდენად არ შევწუხდებოდი, მაგრამ მოსხულას დაკარგვამ დამზაფრა: ნუთუ არნივმა მომტაცა-მეთქი.

ჩვენს მხარეს, რაღაგან არც ისე მაღლა ვართ, არნივები იშვიათად თუ ეწვეოდნენ ხოლმე. ისინი მეტწილად, „არნივის ბუდეს“ რომ ეძახიან, დასავლეთის იმ მაღალი კლდოვანი მთიდან ესხმოდნენ თავს სამსხვერპლოს. მაგრამ არც ისე გასაოცარ და დაუჯერებელ ამბად მიმაჩნდა ისიც, ჩემი თიკნის მოსხულას მშვენებით მოხიბლული არნივი უეცრად აქ ჩამოფრენილიყო.

გიჟივით გაყვიროდი:

– მოსხულა!.. სადა ხარ, მოსხულა?

ამასობაში სულ მიმაჯინყდა, რომ მოსხულა, კირ-მოსხოსის ძმისწული, იქვე შორიანხლოს იყო. ფანჯარა ღია ჰქონდა. გალავნის კედელი და კოშკი, რომელიც იმ კედელს ებჯინებოდა, ხუთასიოდე ნაბიჯით იყო დაშორებული იმ ადგილიდან, სადაც მე ჩემს თხებს ვმწყემსავდი. ჩემი ყვირილი რომ მოესმა, გოგონა ფეხის წვერებზე აიწია, ფანჯრიდან გადმოიხედა და გამომძახა:

– რა მოგივიდა, რა გაყვირებს?

არ ვიცოდი რა მეთქვა, დაბნეულმა ვუპასუხე:

– ჩემს თიკანს ვეძახი, მოსხულას!.. შენ არაფერ შუაში ხარ.

ამის გაგონებაზე ფანჯარა მიიხურა და გაუჩინარდა.

ერთ დღეს კიდევ გამომხედა იმ ფანჯრიდან, ჩრდილში ვიყავი წამოწოლილი, თხებიც იქვე ბალახობდნენ, და მწყემსურ მოტივზე ვუსტვენდი.

არ ვიცი, ეს უცებ აზრად როგორ მოუვიდა, და გამომძახა:

– სულ ასე მღერი! ერთხელაც არ გამიგონია შენი სალამურზე დაკვრა!.. მწყემსი და უსალამური? უცნაური არ არის!..

მქონდა მწყემსური სალამური, მაგრამ სითამამე არ მყოფნიდა დამეკრა, რადგან ვიცოდი, რომ ისიც გაიგონებდა. ამჯერად გულით მოვინდომე და მისი ხათრით დავუკარი. არ ვიცი, როგორ მოენონა სალამურზე დაკვრის ჩემი ხელოვნება. ოღონდ ეს კია, რომ საზღაურად ცოტაოდენი ლელვის ჩირი და ტკბილით სავსე თასი გამომიგზავნა.

ერთ საღამოს ქვევით, სანაპიროზე, თხები ჩამოვრეკე, აი, იმ კლდეებს შორის, სადაც ასობით თვალნამტაც უბეს ტალღები აწყდებიან და ზოგან კლდეები იჭრებიან ზღვაში, ზოგან კი ნაპირია შეღრმავებული გამოქვაბულებში, და წყალი, კლდეების ამდენ ხლართსა და ლაბირინთში მომწყვდეული, ქაფმომდგარი ბუყბუყებს, უწესრიგო ტყლამუნით ცეკვავს და იმ მტირალი თოთო ბავშვივითაა ერთ ამბავში, აკვნიდან წამოდგომას რომ ლამობს, ხოლო დედა მკერდით ეხუტება, ცელქად მოკუნტრუმეს. ჰო, იმას ვამბობდი, თხები ჩამოვრეკე-მეთქი ზღვის წყლით „მოსამლაშებლად“, ჩვეულებისამებრ. სანაპიროს ნახვას არაფერი სჯობდა: სისარულის მომგვრელი იყო, მომაჯადოვებელი. სულმა წამძლია და ძალიან, ძალიან მომინდა ზღვაში ბანაობა. აგვისტოს ხვატი იდგა.

ჯოგი კლდეზე ავრეკე, ორ კბოდეს შუა გამავალ ბილიკზე. ადრე დილით ხომ ამ ბილიკით ჩამოვრეკე და ამავე ბილიკით ვაპირებდით დაბრუნებას მთაში, ღამის სადგომში. აქ თხები საბალახოდ გავუშვი, თუმცა მშვიდები აღარ იყვნენ. ხმადაბლა დავუსტვინე, რომ წყნარად დამლოდებოდნენ. გამიგონეს, დაწყნარდნენ. შევიღირე მათგანი ვაცი იყო, ზანზალაკები ჰქონდათ შებმული და მათ რეკას შორიდანვე გავიგონებდი, თუკი რამე შეაფრთხობდათ.

კვლავ კბოდეს ჩამოვუყვები და ზღვის ნაპირას დავბრუნდი. მზე უკვე ის იყო ჩადიოდა, და თითქმის სავსე მთვარე ჯერ კიდევ დაბლა ანათებდა, მოპირდაპირე კუნძულის მთის წვერს ზემოთ ორიოდ შუბისტარით აცილებული. ჩემი კლდე ჩრდილოეთით იყო გადაჭიმული. კონცხს გადაღმა თვალი მოვკარი ჩამავალი მზის მენამულ ზოლს, რომელიც იმნამსვე ჩაინთქა ზღვაში.

ეს იყო ძონისფერი ბრწყინვალე სამეფო მანტიის ბოლო, ან კიდევ ის ხალიჩა, თქმულებაში რომ დედა ძირს უფენს სავახშმოდ გამზადებულ მზეს.

ჩემი დიდი დამრეცი კლდის მარჯვენა მხარეს ზღვის პატარა გამოქვაბული იყო, თეთრი კრისტალური ნიჟარებითა და კამკამა ჭრელ-ჭრელი კენჭებით მოფენილი, თითქოს ზღვის ნიმფებს რომ მოერთოთ და მოეკაზმათ. გამოქვაბულიდან ბილიკი იწყებოდა, რომელიც ციცაბო ნაპირს ზევით მიუყვებოდა, კირ-მოსხოსის გალავნის ქვედა ჭიშკრისაკენ მიმავალი. ამ გა-

ლავნის ერთი კედელი ასობით მეტრზე გასდევდა ზღვის ნაპირს.

ხალათი სწრაფად გავიხადე, შარვალიც, და ზღვაში გადავეშვი. რამდენიმე წუთს ვბანაობდი, ვცურავდი. საოცარი ნეტარება, რაღაც არამინიერი შვება ვიგრძენი, თითქოს ამ სველი, მლაშე და გრილი ბუნების ნაწილად ვიქეცი. ზღვიდან რა ამომიყვანდა, სანამ ცურვით გულს როდის-როდის მოვიჯერებდი, ჩემს ჯოგზე დარდი რომ არა. თუმცა თიკნები არ მეურჩებოდნენ, და მეც გავძახოდი ხანგამოშვებით, მაგრამ მაინც ხომ თიკნები იყვნენ, ბალღებივით ძნელად გასაზრდელები, და მათი ბოლომდე ნდობა არ შეიძლებოდა. მეშინოდა არ გამსხლტომოდნენ და სადმე არ დაკარგულიყვნენ. მაშინ ღამით მომიწევდა კლდე-ღრე ბლოტიალი მათ საქებნელად, და მხოლოდ ზანზალაკის ხმა თუ მაპოვნინებდა გზაბნეულ თიკანს. რაც შეეხება მოსხულას, მინდოდა დარწმუნებული ვყოფილიყავი, რომ მაშინდელივით ისევ არ გამექცეოდა, როცა უცნობმა ქურდმა (ოჰ, ერთი იმის თავი ჩამეგდო ხელში, სხვა არაფერი მინდოდა!) მოოქრულ-



მხატვარი ლევან მუზაშვილი

ზანზალაკიანი წითელი საყელო მოჰპარა, და ამიტომ ერთ ბუჩქს გამოვავი იმ კლდის წვერზე, სადაც ჩემი ტანსაცმელი დავყარე, ვიდრე ზღვაში გადავეშვებოდი.

წყლიდან სწრაფად ამოვედი, ხალათი და შარვალი ჩავიცვი და კლდეზე ფეხი შევდგი, რათა კლდის წვერზე ამერბინა, ჩემი თიკანი მოსხულა ამეხსნა და იქვე, ორასიოდე ნაბიჯზე, მობალახე ჯოგისათვის მიმეხედა. ციცაბო კლდის იმ პატარა აღმართის არბენა ჩემთვის თამაში იყო, ისევე, როგორც მარმარილოს კიბის საფეხურზე ახტომა უბნის ბავშვებისათვის, ამაში ერთმანეთს რომ ეჯიბრებიან ხოლმე.

შევდგი თუ არა კლდეზე ფეხი, იმნამსვე გავიგონე ზღვაში ჩავარდნილი სხეულის დგაფუნი. ხმაური მარჯვნიდან მოდიოდა, ნიჟარებით მოფენილი და ნიმფების ხელით მორთული გამოქვაბულის მხრიდან. ვიცოდი, რომ ხანდახან იქიდან კირ-მოსხოსის ძმისნული მოსხულა ჩამოდიოდა და ზღვაში ბანაობდა. ამიტომ ფიქრადაც არ მომსვლია, რომ დღისით იმ მიდამოებს ახლოს გავკარებოდი და იქ მებანავა მე, მთის პატარა სატირს. აბა, რა ვიცოდი, თურმე ღამდამობითაც, მთვარის შუქზე, უყვარდა ბანაობა. მეგონა, რომ მხოლოდ დილაობით, მზის ამოსვლისას, ბანაობს-მეთქი.

ორი-სამი ნაბიჯი უჩუმრად გადავდგი, კლდეზე ავედი, ლელქაშს ამოვეფარე (კლდის წვერიც მფარავდა) და ძალიან ფრთხილად გადავიხედე გამოქვაბული-საკენ. დავინახე, რომ, მართლაც, მოსხულა გადაშვე-ბულიყო ზვირთებში და ბანაობდა სრულად შიშველი...

მაშინვე ვიცანი, თუმცა მთვარის საამო შუქს ცისფერი ზღვის უსაზღვრო ზედაპირი მოვერ-ცხლისფრო საბურველში გაეხვია და ზვირთები ფოსფორისფრად ციმციმებდნენ. ზღვაში რომ გა-დახტა, თმა დასველებოდა და მისი კულულები ზიზი-ლების მდინარესავით მიჰქონდა წყალს. მერე ზვირ-თებიდან ამოანათა: ჩემს მხარეს ექცია პირი და აქეთ-იქით აწყდებოდა, ზვირთებში ცელქად მოთა-მაშე. კარგი მოცურავე იყო.

იქაურობას რომ უჩუმრად გავცლოდი, ორიოდე წა-მით მაინც წელში უნდა გავმართულიყავი კლდის წვერზე, მერე, ბურქებს ამოფარებულს, ჩემი თიკანი ამეხსნა და სუნთქვაშეკრული ისე გავუჩინარებულებიყავი, ჩქამიც არ გამელო. მაგრამ ის წამებიც, წელში გა-მართული კლდიდან რომ ჩამოვირბენდი, საკმარისი იქნებოდა საიმისოდ, რომ მოსხულას დავენახე: შეუძ-ლებელი იყო შეუმჩნევლად გავცლოდი იქაურობას, ვიდრე მოსხულა აქეთ იყურებოდა.

მაღლა კლდეზე თუნდაც ერთი წამით ამართული ჩემი ტანი მთვარის შუქზე გარკვევით გამოჩნდებოდა. გოგონა დამინახავდა, რადგან აქეთ იცქირებოდა. ოჰ, როგორ გაოცდებოდა! რა თქმა უნდა, შეშინდებოდა და ყვირილს მორთავდა – ბილნ ზრახვებში დამადანაშაუ-ლებდა. და მაშინ ვაი პატარა მწყემსის ბრალი!

უცებ თავში გამიელვა: „მოდი ერთი ჩავახველებ, რომ ჩემი აქ ყოფნა შევაპარო, და მერე იმწამსვე გავძა-ხებ – აქ ჩემდა უნებურად აღმოვჩნდი... აბა რა ვიცო-დი... ნუ გეშინია, ახლავე გავეცლები-მეთქი აქაურო-ბას!“

მერე, არ ვიცი რატომ, შემრცხვა. ხეპრე და მორი-დებულები ვიყავი. აბა, ვინ მასწავლიდა ქცევის წესებს იმ მივარდნილ მთებში. ისევ კლდის ძირას ჩამოვედი და ვიცდიდი, თანაც გულში ვამბობდი: „აღბათ, აქ დიდ-ხანს არ დარჩება. ცურვით გულს რომ იჯერებს, ჩაიც-ვამს და წავა... თავის ბილიკს გაუყვება, მე კი ჩემს კლდეს მივაშურებ!..“

აი, მაშინ უცებ გამახსენდა სისოისი და მონასტრის მოძღვარი მღვდელი გრიგორიოსი, რომლებიც ხშირად მირჩევდნენ, რომ ყოველთვის გავცლოდი ქალისეულ ცდუნებას.

იქ უნდა დამეცადა – თავის დაღწევის სხვა გზა არ ჩანდა. ან არადა, ტანსაცმლიანად ზღვაში გადავშვე-ბულიყავი და ღრმად შემეცურა დასავლეთის მიმარ-თულებით: იმ ნაპირიდან, სადაც ლელქაშს ამოფარე-ბული ვიდექი, მთავარ ყურემდე და მის ქვიშიან ნაპი-რამდე, სადაც ყმანვილი ქალი ბანაობდა, ნახევარი მი-ლის მანძილზე ზღვის სანაპირო კლდიანი და უვალაი იყო, და მხოლოდ იმ ადგილას, სადაც მე ვიმალეობდი,

ზღვის ტალღები კლდესა და გამოქვაბულს შორის აკ-ვნისებურ ყურეს ქმნიდნენ.

გავცურავდი და მივატოვებდი ჩემს თიკანს, მოსხუ-ლას, ბედის ანაბარა მაღლა, კლდეზე, ბურქის ძირას მიბმულს, და თუ ქვიშიან ნაპირს მივალწვედი, სველი ტანსაცმლით ზღვაში მცურავი (ტანსაცმლიანად უნდა გამეცურა, სხვა რა გზა მქონდა), იქ მარილიანი ქაფით გაჟღენთილი ამ ტანსაცმლით ამოვიდოდი, და ასეთ ყოფაში ორი ათასი ნაბიჯის გავლა მომიწევდა, მერე ბილიკით იმ ადგილამდე რომ მიმეღწია, სადაც ჩემი ჯოგი ბალახობდა. მერე კლდეს ჩავუყვებოდი, რათა ჩემი თიკანი ამეხსნა. ამასობაში კი სანაპიროზე კირ-მოსხოსის ძმისწულის ჭაჭანება აღარ იქნებოდა. ამ გეგმის შესრულებას დიდი ჯაფა დასჭირდებოდა, ნამ-დვილ გმირობას მოითხოვდა. თანაც ყოველივე ამას ერთ საათზე მეტი მოუნდებოდა. ამასობაში ხომ ჩემი ჯოგის უსაფრთხოებაც საეჭვო გახდებოდა.

სხვა გზა არ იყო, უნდა დამეცადა. სუნთქვას შევიკ-რავდი, ქალიშვილი ჩემს იქ ყოფნას ვერც იგრძნობდა. თანაც უდანაშაულო ვიყავი.

ჰო, უდანაშაულო ვიყავი, თუმცა ცნობისმოყვარე-ობაც არ მასვენებდა. და ნელ-ნელა ისევ კლდის წვერ-ზე ავძვერი, თან ბურქებს ვეფარებოდი. გადავიხარე, რომ მოცურავე გოგონა უკეთესად დამენახა.

ეს ნეტარება იყო, საოცარი ზმანება, რალაც სასწა-ული. გამოქვაბულს ხუთიოდე საზღვაო საუენით? და-შორებოდა და მიცურავდა, მიცურავდა აღმოსავლე-თით, ზურგი ჩემკენ მოექცია. ვხედავდი მის შავ, თანაც ოქროსფრად მოლივლივე თმებს, მის მოხდენილ ყელს, მის რძესავით თეთრ მხრებს, მის ჩამოქნილ მკლავებს, ოქროსფერი ნისლით დაბურულნი ბუნდოვნად რომ მოჩანდნენ სიზმარეული მთვარის შუქზე. ვცდილობდი გამერჩია მისი კოხტად გამოყვანილი წელი, მისი თე-ძოები, წვივები, შუქ-ჩრდილში რომ ზვირთები ევლე-ბოდნენ. მსურდა ამომეცნო მისი მკერდი, მისი უნატი-ფესი მკერდი, წელიდან რომ ამოზიდულიყო და ზღვის ნიავი ასე ეალერსებოდა. სულისდგმა იყო, წარმოუდ-გენელი სათაყვანო კერპი, ზვირთებში მოლივლივე ოცნება, ზღვის ნიმფა, სირინოზი – მიცურავდა რო-გორც ჯადოსნური ხომალდი, ოცნებათა ხომალდი.

მაშინ აზრადაც არ მომსვლია, რომ კლდეზე არათუ წელში მოხრილი, გინდ წელში გამართულიც ავსული-ყავი, გოგონა მაინც ვერ დამინახავდა, და მშვენივრად შემეძლო ფარულად გავცლოდი იქაურობას: ის ხომ აღმოსავლეთს გასცქეროდა, მე კი მისგან დასავლე-თით ვიმყოფებოდი. ჩემი ჩრდილიც კი ვერ დაურღვევ-და მყუდროებას, რადგან მთვარე აღმოსავლეთით ანა-თებდა, და ეს ჩრდილი დასავლეთით დაეცემოდა, ჩემი კლდის უკან, გამოქვაბულის მხარეს.

პირდაღებული ვიდექი, ექსტაზით შეპყრობილი, და მიწიერ საგნებზე აღარ ვფიქრობდი.

არ ვიცი, როგორ მომივიდა თავში ეს ვერაგული და თანაც ბავშვური აზრი, წყევლასავით რომ ვუსურვე:

„ახ, ნეტავი ერთი უცებ საფრთხე დაემუქროს! ყვირილი მორთოს! ზღვის ფსკერზე თევზი დაინახოს, საშიშ ურჩხულად მოეჩვენოს, ზვიგენი ეგონოს, და საშველად მიხმოს!..“

ვერა და ვერ ვძლებოდი ზვირთებში მოლივლივე იმ მშვენიერების ცქერით. მაგრამ ბოლო წუთს რაღაც უცნაურად ისევ იმ უწინდელმა აზრმა გამიელვა... ზვირთებში გადავშვებულყავი და მის ზურგს უკან შეუმჩნევლად გამეცურა, სანამ ქვიშიან ნაპირს არ მივალწვედი, და ასე გავცლოდი აქაურობას, გავშორებოდი ცდუნებას!..

მაინც რომ ვერ მომეჯერებინა გული მისი ცქერით... და უცებ ამქვეყნიური საზრუნავი შემახსენა ჩემი თიკნის ხმამ. პატარა მოსხულამ უეცრად კიკინი მორთო...

ოჰ, ეს უკვე ველარ გავითვალისწინე. თვითონ მე კი შემეძლო ჩუმად ვყოფილიყავი, მაგრამ, საუბედუროდ, თხას ვერ ვაიძულებდი ხმა გაეკმინდა. არ ვიცოდი, თუ არსებობდა პირუტყვის პირსაკრავი: მე ხომ არასოდეს მომიპარავს ცოცხალი არსება, ჩემი უცნობი მტრისაგან განსხვავებით, ჩემს თიკანს რომ ზანზალაკი მოჰპარა. მაგრამ ენა ხომ არ ამოუჭრია, რომ აღარ ეკიკინა. არ ვიცოდი რა მექნა, როგორ გამეჩუმებინა: გაფოთლილი ტოტი ჩამეჩარა მისთვის პირში, თუ დრუნჩზე ბალახი შემომეხვია. არ ვიცოდი და, კიდევ რომ მცოდნოდა, რას ვიფიქრებდი, თუ ეს მომელოდა.

გაჟივით გავიქეცი, რომ თიკნისათვის დრუნჩზე ხელისგული მიმეფარებინა, იქნებ ხმა გაეკმინდა... იმწუთას ის მობანავე ქალიშვილი სულ გადამავიწყდა ჩემი თხის გადამკიდეს. ვერ მოვისაზრე, რომ ჩემს დანახვაზე შიშით გული გაუსკდებოდა: წელში მოხრილი კლდეს ავასკდი სირბილით, თიკნისათვის რომ მიმესწრო.

იცით, შიშმა ამიტანა, რადგან გული შემტკიოდა ჩემს საბრალო თიკანზე, მიყვარდა იგი. თოკი, რომლითაც ბუჩქის ძირას მივაბი, ძალიან მოკლე იყო. მეშინოდა არ „გაბანრულიყო“ – კისერზე საბელი არ შემოხლართოდა, შიგ არ გაბმულიყო და არ დამხრჩვალყო გატანჯული პირუტყვი.

არ ვიცოდი, გაიგონა თუ არა ზღვაში მობანავე ყმანვილმა ქალმა ჩემი თხის კიკინი. მაგრამ, კიდევ რომ გაეგონა, რა გასაკვირი იქნებოდა? აქ საშიში რა იყო? პირუტყვის ხმა კიდევ რომ გაეგონა ნაპირიდან სულ რაღაც ხუთი-ექვსი საზღვაო საჟენით დაშორებულს, არა, აქ გასაკვირი არაფერი იქნებოდა.

მაგრამ ის ერთი ნამიც, კლდის წვერზე რომ ფეხი დავადგი, საკმარისი აღმოჩნდა. ყმანვილმა ქალმა გაიგონა თუ არა ჩემი თიკნის ხმა (ჩანს, გაიგონა, რადგან თავი ნაპირისაკენ იბრუნა), ჩემს შავ აჩრდილსაც მოჰკრა თვალი – კლდეზე, ბუჩქებს შორის, იმ ჩემს გამოსახულებას – და შიშისაგან ყვირილი აღმოხდა, თუმცა ჩემამდე ძლივს მოსული...

მაშინ მეც შიშმა ამიტანა. მღელვარება და ენით აუწერელი სინანული დამეუფლა. მუხლი მომეკვეთა. ელდით დაზაფრულმა მაინც მოვახერხე ხმის ამოღება და დავუძახე:

– ნუ გეშინია!.. არაფერია... არაფერს დაგიშვებ!

მეტისმეტად აღელვებულმა გავიფიქრე, რომ ახლა, ალბათ, ან ზღვაში უნდა გადავმხტარიყავი ქალის საშველად, ანდა სირბილით გავცლოდი იქაურობას. საკმარისი იქნებოდა ჩემს გადაძახილს გაემხნეებინა, რომ საშველად მივუსწრებდი.

და აი, ამ დროს, თანაც არც ისე გასაკვირი შემთხვევის წყალობით (მეთევზეები იქაური ზღვისა და სანაპიროს ხშირი სტუმრები იყვნენ) მოპირდაპირე მხარეს ნავი გამოჩნდა, რომელსაც გეზი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ეჭირა და მოპირდაპირე კონცხიდან, რომელიც მომცრო ყურეს რქასავით გამოშვეროდა, ჩვენკენ ნელ-ნელა მოცურავდა.

ნავის გამოჩენამ გამხნეების ნაცვლად ქალი უარესად შეაშინა. ახლა მას უფრო განწირული ხმით აღმოხდა ყვირილი, თანაც იმწამსვე დავინახე, როგორ ჩაიძირა და ტალღებში გაუჩინარდა.

დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. ის ნავი ოციოდე საზღვაო საჟენით იყო დაშორებული იმ ადგილს, სადაც ქალი ტალღებს ებრძოდა, მე კი – მხოლოდ ხუთი-ექვსი საჟენით. და მე მაშინვე, როგორც ვიყავი, ისე, ტანსაცმლიანად, გადავეშვი ზღვაში, კლდიდან თავით გადავხტი.

წყლის სიღრმე ორი კაცის სიმაღლე თუ იქნებოდა. თითქმის ფსკერამდე ჩავეშვი – ფსკერი რბილი იყო, უქვებო, ქვიშით მოფენილი, და ძირს დანარცხების შიშში არ მქონდა. მყისვე ამოვყვინთე და ტალღას ზემოდან მოვექეცი.

ახლა ხუთ საჟენზე ნაკლები მაშორებდა ზღვის იმ ნაწილს, სადაც აქაფებულ ტალღებს მორევი ითრევდა, რომელიც უიღბლო გოგონასათვის სულ მალე შეიძლება საფლავად ქცეულიყო: კვალიც კი აღარ დარჩებოდა ზღვის ტალღებს შეჭიდებული მისი მშვენიერი სხეულისა!.. მხარი სამჯერ ღონივრად მოვუსვი და რამდენიმე წამში მასთან გავჩნდი...

დავინახე, როგორ ითრევდა მორევი ქვევით, ფსკერთან სულ უფრო ახლოს, მის სხეულს, როგორ ათამაშებდა ზღვის აქაფებულ ტალღებსა და ფსკერს შორის მას, სიკვდილთან უფრო ახლოს მყოფს, ვიდრე სიცოცხლესთან. ჩავყვინთე, ქალიშვილი მკლავებში მოვიმწყვდიე და ტალღას ისევ ზემოდან მოვექეცი.

როცა ქალს მარცხენა მკლავი შემოვხვავი, მომეჩვენა, რომ ლოყასთან მისი სუსტი, მიმქრალი სუნთქვა ვიგრძენი. მაღლობა ღმერთს, დროზე მივუსწარი!.. და მაინც, სიცოცხლის ამკარა ნიშანწყალი არ ეტყობოდა... მაგრად შევანჯღრიე, რომ სუნთქვა შეძლებოდა, ზურგზე მოვიკიდე და გავცურე, მარჯვება მკლავი და ფეხები მძლავრად მოვუსვი და ნაპირისაკენ გამოვეშურე. ძალ-ღონე რაღაც სასწაულებრივად გამიათკვცდა.

ვიგრძენი, რომ მომეჭიდა ეს ნაზი არსება: სიცოცხლე სწყუროდა. ოჰ, ოღონდ კი იცოცხლოს და იბედნიეროს-მეთქი, ვნატრობდი. თავში არავითარი უხამსი აზრი არ მომსვლია. გული თავგანწირვითა და უანგარობით მქონდა საესე. სამაგიეროს, გასამრჯელოს მიღებას ხომ მისგან არასოდეს ვაპირებდი.

ნეტავი კიდევ რამდენ ხანს მეხსომება ის ნაზი, ფაფუკი სხეული უბინო ქალწულისა, ჩემს სხეულზე რომ მხოლოდ რამდენიმე წუთით ვიგრძენი სხვა მხრივ უსარგებლო ჩემს ცხოვრებაში. ეს იყო ოცნება, ცდუნება, ხიბლი. და რარიგ განსხვავდებოდა ამქვეყნიური ცხოვრების ყოველგვარ ანგარებიან ურთიერთობათაგან – მგლური მეგობრობისა თუ მრუშობისაგან – ის გამორჩეული, ჰაეროვანი შეხება! წონა არ გააჩნდა იმ მშვენიერ ტვირთს, შვება და სულისდგმა იყო. არასოდეს მიგრძნია თავი ისეთი მსუბუქი, როგორც მაშინ, როცა ეს სიმძიმე მეკავა... მე ის ადამიანი ვიყავი, რომელმაც მოახერხა, რომ თუნდაც ერთი წამით ხელში სჭეროდა ოცნება, საკუთარი ოცნება.

მოსხულა ცოცხალი გადარჩა, არ მომკვდარა. მას შემდეგ თითქმის არც მინახავს, და არ ვიცი, ახლა როგორია. ალბათ, სხვებივით ისიც ევას ერთ-ერთი უბრალო ნაშიერია, მეტი არაფერი.

მაგრამ მე გადავიხადე მისი სიცოცხლის საზღაური. ჩემი საცოდავი პატარა თიკანი, მისი გულისათვის რომ სულ მთლად დავივიწყე, „გაიბანრა“: თოკი, რომლითაც დავაბი, უხეიროდ შემოეხლართა და დაიხრჩო!.. შევწუხდი, მაგრამ არც ისე ძალიან, რადგან მას შევწირე მსხვერპლად.

იმ ბერების სიკეთის ნყალობით მერე მე განათლება მივიღე და ადვოკატი გავეხდი... ეს მოსალოდნელიც იყო – მე ხომ ორი სასულიერო სასწავლებელი დავამთავრე!

მართალს ამბობდა მოხუცი სისოისი: თუკი უნდოდათ, რომ ბერი გამოსულიყავი, მონასტრის გარეთ რაღას გგზავნიდნენო... ჩემი სულის საცხონებლად ის

ანაბანაც იკმარებდა, რაც მან შემასწავლა, თავზეც გადამივიდოდა!..

ახლაც, როცა იმ მოკლე თოკს ვიხსენებ, რომლითაც ჩემი თიკანი მოსხულა დაიხრჩო, გულში იმ მოკლე საბელს ვადარებ, რომლითაც ძალიან დაბმული პატრონის ეზოში, და მიკვირს: ნეტავი ამ ორ ამბავს გენეტიკური კავშირი ხომ არა აქვს, ხომ არ არის აქ „მემკვიდრეობითი გაბანვრა“, ისეთი, როგორიც საღვთო წერილშია.

ახ, ნეტავი ახლაც მწყემსად მამყოფა მთებში!..

**ახალბერძნულიდან თარგმნა  
მზინა ეპრალიქა**

**შენიშვნები**

1. იგულისხმება თურქეთის უღლისაგან საბერძნეთის განთავისუფლებისათვის 1821 წლის აჯანყება, რომლის შედეგად მომდევნო წლის იანვარში გამოცხადდა საბერძნეთის დამოუკიდებლობა.
2. იოანის კაპოდისტრია – გამოჩენილი ბერძენი პოლიტიკოსი, დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე. 1827 წელს აირჩიეს საბერძნეთის პრეზიდენტად (მოკლეს 1831 წელს).
3. ათენის რიზარიონი – სასულიერო სასწავლებელი, რომელიც ქველმოქმედმა ძმებმა მანთოს და გეორგიოს რიზარისებმა 1843 წელს დააარსეს საბერძნეთის დედაქალაქში.
4. ლიცენციატი – დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში: პირველი სამეცნიერო ხარისხი, რომელიც ენიჭებათ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთ სათანადო გამოცდების ჩაბარების შემდეგ; ამ ხარისხის მქონე პირი.
5. აქ უნდა იგულისხმებოდეს ძველი აღთქმის მეორე წიგნის („გამოსვლა“) მე-16 თავი, სადაც ლაპარაკია მშვიდ ისრაელიანთა დაპურებაზე მათი ღმერთის მიერ ციური მანანით სინაის უდაბნოში.
6. კირ – სიტყვა, რომელიც კომპოზიტი წინ უძღვის მამაკაცის საკუთარ სახელს და ნიშნავს „ბატონს“, „ბიძიას“ (სოფლურ მეტყველებაში).
7. სტრემი – 1000 კვადრატული მეტრი.
8. ქებ. 1,5.
9. საზღვაო საყენი – 1,83 მეტრი.

**მთარგმნელისაგან**

ალექსანდრე (ალექსანდროს) პაპადიამანტისი მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელი ათწლეულებისა და მეოცის დასაწყისის ბერძნული ლიტერატურის კლასიკოსია. მას დიდი სიმართლითა და იშვიათი მხატვრული ოსტატობით აქვს ასახული საბერძნეთის კუნძულების უბრალო ადამიანთა მძიმე, გაუხარელი ცხოვრება.

დაიბადა 1851 წელს კუნძულ სკიათოსზე, მღვდლის ოჯახში. სწავლობდა ათენის უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ეწეოდა ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობას, მსახურობდა და ინტენსიურად თანამშრომლობდა გაზეთებში. მაგრამ მისი მთავარი მოწოდება ბელეტრისტიკა იყო. 1908 წელს ათენი დატოვა და მშობლიურ კუნძულს დაუბრუნდა, სადაც მალე, 1911 წელს, გარდაიცვალა კიდევც.

ახალბერძნულ ლიტერატურაში ა. პაპადიამანტისი რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი და დამამკვიდრებელია. იგი

ასევე ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც არაჩვეულებრივი სიმძაფრითა და შთამბეჭდაობით, დოსტოვესკისებური ღრმა ფსიქოლოგიური წვდომით წარმოაჩინა უბრალო, გლეხი ქალის უნუგეშო, განანამები ყოფა იმდროინდელ საბერძნეთში. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია პაპადიამანტისის ვრცელი მოთხრობა „მკვლელი“, რომელსაც სპეციალისტთაგან ბევრი მისი შემოქმედების მწვერვალად მიიჩნევენ და რომელიც მრავალ ევროპულ ენაზეა თარგმნილი, მიუხედავად იმისა, რომ ავტორის ენა უაღრესად თავისებურია და სათარგმნელად რთულზე რთული, ქართულად იგი ჩვენ ვთარგმნეთ და ცალკე წიგნადაც გამოვეცი („ლოტოსი“, თბ., 2001).

იმ დროისათვის ჩვენ თარგმნილი გვექონდა ა. პაპადიამანტისის სხვა მშვენიერი მოთხრობაც – „ოცნება ზვირთებში“. მისი გამოქვეყნება იმხანად რატომღაც ვერ მოხერხდა, და ახლა უურნალი „ჩვენი მწერლობა“ თავის მკითხველს სთავაზობს.

\* \* \*

თქვენი არ იყოს, მეც ძალიან მიყვარს ნიგნებზე სამახსოვრო წარწერების თვალწერება.

თუნდაც სულ უბრალო წარწერა იყოს, ათასგზის გაცვეთილი.

თუნდაც მხოლოდ ფაქსიმილე.

მეტ-ნაკლებად ორიგინალური წარწერების კითხვა კი დაუსრულებლად შემიძლია, გადავდებ ყველაფერს და მხოლოდ მიძღვნებს ვიკითხავ.

შეუძლებელია მოგწყინდეს.

ვინ იცის, ოდესმე ერთი კარგი ნიგნიც შედგეს სამახსოვრო წარწერებისა.

რა გგონიათ – მთელი სამყაროა.

მანამდე ერთი კარგი ციკლიც გამოქვეყნდეს.

სხვათაშორის, ლევან ბრეგვაძე უკვე ადგენს ასეთ ციკლს.

ხან წარწერა თვითონვე იტყვის სათქმელს, ხანაც ერთგვარი კომენტარი დასჭირდება, დრამატიზმსა თუ სიხალისეს რომ შეიტანს მიძღვნაში და თავისებურ იგავად თუ ნაკვესადაც წარმოგვიდგება.

მე თვითონ გავუზიარე ასეთ წარწერებს, ვერა და ვერ ვახერხებ, ვთქვათ, თამაზ ჩხენკელივით ან ნაირა გელაშვილივით ორიგინალური მიძღვნის მოფიქრებას, ლაკონურისა და შთამბეჭდავის, ტრაფარეტის განმეორება კი არა მსიბღვაღს.

თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ჯვიმ ჯოისსაც მეტისმეტად უძნელდებოდა სამახსოვრო წარწერების გაკეთება, ხვნიშოდა, კვენსოდა, თავს იმტვრევდა და როდის-როდის შევებით რომ ამოისუნთქებდა და წიგნს გადასცემდა ადრესატს, ზედ მხოლოდ იმ ადრესატის და თავისი გვარი



ენწერა: ამასა და ამას ჯოისისაგანო. და იქვე თარიღიც.

ეს იყო და ეს.

ნიგნიო... ციკლიო... ასე სახელდახელოდ კი იმ მიძღვნას გავიხსენებ, აკაკი ბაქრაძე რომ წაუწერდა ტარიელ ჭანტურიას კრიტიკული სტატიების კრებულზე „პილპილმოყრილი მაღლი“. ეს ის დროა, აკაკი ბაქრაძე პოპულარობის მწვერვალზე რომ ატყორცნილა და ის ნიგნიც დახლზე გამოტანისთანავე დაიტაცეს. ხალხი დაეძებს, კრებული კი აღარსადაა.

ხოლო წარწერის ერთი ფრაგმენტი ესაა:

**ერთადერთი რამეა**

**ჭერისათვის საშიში:**

**ტაში შინ და ტაში გარეთ,**

**ტაში გარეთ! ტაში შინ!**

თვითონ ადრესატისვე ლექსიდან გადმოიტანდა იმ სტროფს, რისთვისაც ეს ლექსი შექმნილიყო, თავის დასაზღვევად კი ისეთი სათაური შერჩეულიყო, მეუღლის ნაამბობია გალექსილი, სუფრიდან დაბრუნებულსა და ნასვამს ასე დამირიგებია შვილიო.

თვითონ ველარ გაიხსენებდა წუხანდელ ნალაპარაკებს? ვითომ მეუღლე მოაგონებდა, და ამ იუმორისტულ საფარველში გახვეულ მწვავე სარკაზმს აკაკი ბაქრაძე დაუმაღლებდა: ადრე ძალიან მაღიზიანებდა ეს გაუთავებელი ტაში და ოვაციები, ახლა კი სულ უფრო მიხარებს გულს, რადგან ეს სახელმწიფო ტაშის გრიალს გადაჰყვებო.

ტაში შინ და ტაში გარეთ!

ტაში გარეთ, ტაში შინ!

\* \* \*

– რომ იცოდე, რა ესეი ვიპოვნე, – პაატა მირეკავს.

– რა არის ამისთანა?

– ტომას ელიოტის „ირვინგ ბებიტის ჰუმანიზმი“.

გავიოცებ.

– რა პოვნა უნდოდა?

– როგორ არ უნდოდა, რას ამბობ. თვითონ ირვინგ ბებიტის ესეი რომ ვთარგმნეთ ჰუმანიზმზე, ტომას ელიოტისეული ანალიზიც გვაქვს უკვე ხელთ. ბრწყინვალეა. ველარ ვითმენ, სანამ ერთად ჩავუსხდებოდეთ, და გაშიფრვა დაიწყებ. ისე კარგად აენყო – შუაში ვარ უკვე. ვაშინგტონში ყოფნამ როგორ წამნია ინგლისურში – ლექსიკონში მარტო ერთი-ორჯერ ჩავიხედე, ისიც ყოველი შემთხვევისათვის. გაჩვენებ და შენ თვითონაც იტყვი, ეს რა ნავიკითხეო.

– „ირვინგ ბებიტის ჰუმანიზმი“?

– ჰო, რა... სჯობს გავაგრძელო, აბა, შეხვედრამდე.

– მოიცა.

– ისე ვარ ჩაფლული, არ ამომავლო.

– ბებიტის ჰუმანიზმზე ელიოტს რაიმე სხვა ესეიც აქვს?

– როგორ სხვა?

– აბა, ერთი, სწორედ ამ სათაურით, უკვე თარგმნილი გვაქვს და გამოქვეყნებულიც თექვსმეტი თუ ჩვიდმეტი წლის წინათ.

– რა დროს ხუმრობაა.

– ცოტა ხანს მაცალე.

სწორედ იმ დღეებში დამჭირდა ხელახლა გადაკითხვა და ადვილად ვპოულობ.

ტელეფონში ვუკითხავ დასაწყისს:

„ანდაზადაა ქცეული, რომ დანგრევა შენებაზე იოლია; და ამ ანდაზიდან გამომდინარე, მკითხველისათვის ავტორის აზროვნების დესტრუქციული მხარის აღქმა უფრო

იოლია, ვიდრე კონსტრუქციული მხარისა. უფრო მეტიც: როცა ავტორი ნიჭიერებით გამოირჩევა დესტრუქციულ კრიტიკაში, საზოგადოება კმაყოფილია. ხოლო თუ კონსტრუქციული ფილოსოფიური აზროვნება არ გააჩნია, არც არავინ სთხოვს; და თუ აქვს, ყურადღებას არ აქცევენ.“

– რა ხდება, ზუსტად ემთხვევა, – პაატა ლამის ყურმილში გამოძვრეს.

ახლა სხვა პასაჟს შევუნაცვლებ: „ჰუმანიტარიანელებმა დათრგუნეს ჭეშმარიტად ადამიანური და ცხოველთან დარჩენი; ჰუმანისტებმა დათრგუნეს ღვთაებრივი და ადამიანურ სანყისთან დარჩენი, რაც მათ სწრაფად დააბრუნებს ცხოველთან, საიდანაც, ჰუმანისტის აზრით, დაიწყო მათი არსებობა.“

– ვაჰ!..

– მთელი ესეი წაგიკითხო თუ რა გქნა?

– ვისი თარგმანია?

– ჩვენია, ჩვენი!..

ხანგრძლივი პაუზა. და როდის–როდის:

– კი მაგრამ, ეს როგორ დამემართა, როგორ უნდა დამეინცნოდა... შუაში ვარ უკვე...



ნირნამხდარი დაჰყურებს ფურცელს.

– შენ ესეის შუაში ხარ, დიდი ამბავი, ბაჩანა ბრეგვაძემ რალა უნდა თქვას, ნიგნს რომ თარგმნიდა და შუაში მისულმა აღმოაჩინა მოულოდნელად, რომ ოდესღაც უკვე ეთარგმნა თავიდან ბოლომდე.

– მოუგონეს ალბათ.

– რა მოუგონეს, თვითონვე აქვს ჩემთვის ნათქვამი.

– მაშინ... მაშინ არა უშავს, არა?

– რა უშავს, თუ ძმა ხარ.

– მაშ თვით ბაჩანამაც, არა?

– თვით ბაჩანამაც, თანაც ნიგნი.

შემთხვევით რომ არ მოჰყოლოდა ხელთ, ბოლომდე ისე გავიღოდა ბაჩანა ბრეგვაძე, ერთი არ დაეჭვებოდა. ნაცნობი ტექსტი რომ იყო, გრძობდა, განა არა, მაგრამ ფიქრობდა, შესწავლილი მაქვს და დამუშავებული, ეტყობა, და რა კარგია, ნინ რომ წამიგდია საქმეო.

– მაშინ... მაშინ რა უშავს, – ისევ

იმეორებს პაატა. ბაჩანას სახელი ძალიან მოეცხო და მოელამუნა გულზე. და მგონი... მგონი კიდეც უხარია, ელიოტის ესეი ახალი მიგნება რომ ეგონა.

\* \* \*

ნინო მაჭავარიანი სახლის საგულდაგულო დალაგებას რომ გადწყვეტს, დამხმარე ქალსაც დაურეკავს და ხვალისათვის შეიპირებს, რატომღაც მოერიდება, ასე როგორ დავახვედრო, მანამდე ცოტა ხელს ვაკვრავო.

შეყვება და შეყვება.

გვის, ხვეტავს, წმენდს, ფხეკს, აპრილებს და ამარმარებს ყველაფერს – იატაკიდან ერბოც კი აიკრიფება.

გასავათებული მიესვენება სავარძელში, მაგრამ... დამხმარე ქალს ისე ხომ არ დახვდება, კექსიც თუ არ მოუშადა...

მეორე დღეს დათქმულ საათზე დამხმარე ქალიც მოდის, მაგრამ დასახმარებელი არაფერია და გაოგნებული დაიარება ოთახებში.

– თქვენს მოსვლამდე ცოტა ხელი ვაკვარი, – უხსნის ნინო.

– ნეტა ასე მე შემეძლოს დალაგება, – შენატრის ქალი.

– ეს რა კექსის გამოცხობა გცოდნიათ, – ფინჯან ყავაზე მიწვეული აღფრთოვანებას ვერ მალავს.

ფულს არ ართმევს, მაგრამ მასპინძელი არ მოეშვება, ამდენი ხნით გაგაცდინეთო.

– როდესაც დაგჭირდეთ, დამირეკეთ და თქვენთან გავჩნდები.

მასპინძელი გააცილებს და მეგობარს ურეკავს, თამუნა გიგინეიშვილს:

– ქალი დავიხმარე და მაინც როგორ დავილაღე, არაქათი აღარა მაქვს. შენ მარტო როგორ ასდინარ სახლის დალაგებას?..



მეგობრული შარყები კარლო ფაჩულიასი

316 იყო ზოპიროსი

ინგლისელი დიპლომატი ტომას ჰერბერტი, მონაწილე ირანში ინგლისის ელჩობისა (1628 წ.), თავის ჩანაწერებში გარკვეულ ადგილს უთმობს საქართველოში მომხდარ ამბებსაც და არაერთ საგულისხმო ცნობას გვანვდის.

განსაკუთრებით საინტერესოა ის ფრაგმენტი ჰერბერტის თხზულებიდან, სადაც გადმოცემულია შაჰ-აბასის შემოსევა საქართველოში. ჰერბერტის სიტყვით, სეფიანთა ხელმწიფემ უზარმაზარ ძალებს მოუყარა თავი, რათა ქვეყნის აოხრება არ ეკმარა და ქართველი ხალხი მთლად ალეგავა პირისაგან მიწისა. შაჰი თავად ჩაუდგა სათავეში თავის ლაშქარს. ყიზილბაშებმა გაუგონარი ხოცვა-ჟლეტა გააჩაღეს, დაუნდობლად წვაგდნენ სოფლებსა და ეკლესიებს.

ჰერბერტი წერს, რომ ქართველმა დიდებულმა მორადმა სამაგიეროს გადახდა ჩაიდო გულში. ამიტომაც ზოპიროსივით დაიმახინჯა სახე, ეახლა შაჰ-აბასს და თავისი სამსახური შესთავაზა.

სეფიანთა ხელმწიფემ ბრძანება გასცა, რომ ხელახლა შესეოდნენ უკვე აოხრებულ ქვეყანას. საქართველოს საზღვრებთან მიახლოებისას, ერთ მშვენიერ ღამეს, როცა ყიზილბაშებს ტკბილი ძილით ეძინათ და არსაიდან ელოდნენ მტერს, მორადი, ხუთას თანამებრძოლთან ერთად, დაერია ყიზილბაშებს ისეთი საოცარი გამბედაობით, იშვიათად რომ გამოუჩინა ვინმეს და წუთისოფელს გამოასალმა შვიდასი მეომარი, მათ შორის – თერთმეტი ხანი და ბეგლარბეგი.

ჰერბერტის მონათხრობში, ცხადია, იგულისხმება მარტყოფის ძღვევამოსილი აჯანყება (1625 წ.), ხოლო ქართველი დიდებული, სახელად მორადი, რა თქმა უნდა, გიორგი სააკაძეა.

როგორც ცნობილია, ევროპელი ავტორები სახელოვან ქართველ სარდალს ასახელებენ ხოლმე „მოურავის“ დამახინჯებული ფორმით (მორაო, მეჰრუ, მაურო, მეჰრაბ) და ჰერბერტიც იმავე გზას ადგას.

დამონმებულ ცნობაში ამოსახსნელია კიდევ ერთი სახელი – ზოპიროსი (ინგლისელი ავტორის სიტყვაჟიწინი განმარტებით, ზოპიროსმა თავი დაისახიჩრა და ხელი შეუწყო ბაბილონის აღებას).

ზოპიროსის ვინაობას და თავგადასავალს გვაცნობს გამოჩენილი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე (ძვ. წ. 485-424).

როგორც ირკვევა, ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნეში სპარსეთის ხელმწიფეს დარიოს პირველს აუჯანყდა ბაბილონი. დარიოსი თავისი ჯარით უმალ დაიძრა ბაბილონისაკენ და ალყა შემოარტყა ქალაქს. მაგრამ ბაბილონელები მედგრად დაუხვდნენ მტერს და ალყა გაჭიანურდა თითქმის ორი წელიწადი.

ზოპიროსი, სარდალი დარიოსისა, განუწყვეტლივ ფიქრობდა, თუ როგორ მოეხერხებინათ ბაბილონის აღება. მიზნის მისაღწევად იმაზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, რომ თავი დაესახიჩრებინა და მტრის მხარეზე გადასულიყო ციხის შიგნიდან გასატყვობად. გულმშვიდად მოიჭრა ცხვირი და ყურები, სხეული კი შოლტის ურიცხვი დარტყმით საზარლად აიჭრელა. შემდეგ დარიოსს შეუთანხმა

თავისი უაღრესად ორიგინალური ჩანაფიქრი და ხელმწიფის დასტური მიიღო.

ზოპიროსმა ბაბილონს

შეაფარა თავი. როდესაც ქალაქის გამგებლებს მიჰგვარეს, ასე მოახსენა: „დარიოსმა დამასახიჩრა, რადგანაც ვურჩევდი, ალყა მოეხსნა და შინ გაბრუნებულიყო... მოვედი თქვენი კეთილდღეობისათვის. დარიოსს სამაგიერო უნდა გადაეუხადო. ძვირად დავუსვამ ჩემს დასახიჩრებას. მშვენივრად ვიცი მისი იდუმალი ზრახვანი და ხრიკები“.

ბაბილონელებმა გულუბრყვილოდ ირწმუნეს, რომ ცხვირყურმოჭრილი და უწყალოდ გამოლოტილი სპარსელი სარდალი სიმართლეს ამბობდა და მართლაც მეგობრად მოვიდა ალყაშემორტყმულ ქალაქში. ისინი მზად იყვნენ მიენდოთ მისთვის ყველაფერი, რასაც კი მოითხოვდა.

ზოპიროსმა თავისი სიტყვები მალე დაამტკიცა საქმით. მეათე დღეს იგი წინ გაუძღვა ბაბილონელთა რაზმს, თავს დაესხა დარიოსის მიერ განწირულ ათას სპარსელს და მუსრი გაავლო.

ბაბილონელებმა თვალნათლივ იხილეს ზოპიროსის ერთგულება და უსაზღვრო ნდობა მიაგეს. ზოპიროსმა განაგრძო დარიოსთან შეთანხმებული აქციები და ახალახალ წარმატებათა შედეგად ქებას იმსახურებდა ბაბილონელთაგან. იგი დანიშნეს მთავარსარდალად და ციხესიმაგრის გამგებლად.

როდესაც დარიოსმა ბრძანა, რომ ყოველი მხრიდან მიეტანათ იერიში ქალაქის კედლებზე, მაშინდა გამომუდგინდა ზოპიროსის ჩანაფიქრი. მან ციხე-სიმაგრის ორი, დათქმული კარი გაუღო სპარსელებს.

გამარჯვებულმა დარიოსმა ბაბილონი სამფლობელოდ უბოძა ზოპიროსს.

ხელმწიფე თურმე ამბობდა: ასეთი გმირი სპარსელებს კიროსის მერე არა ჰყოლიათ და აღარც შემდგომში ეყოლებათ.

როგორც აღნიშნავენ, ზოპიროსის ამბავი სპარსულ ხალხურ გადმოცემებს ეყრდნობა და ისტორიულ სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო. მაგრამ, ასეა თუ ისე, ჰეროდოტეს წყალობით, ევროპელთა ცნობიერებაში დამკვიდრდა, როგორც უჩვეულო ნიმუში სამშობლოსათვის გმირული თავგანწირვისა.

ზოპიროსთან დაკავშირებით ზურაბ ავალიშვილი წერდა: „ჰეროდოტესაგან ამ ამბის ხსენებით ნასწავლ ახალგაზრდა ინგლისელს იმის თქმა უნდოდა, რომ გიორგი სააკაძეს ასულდგმულებდა მამულიშვილური მისწრაფება მისი სამშობლოს მტარვალისათვის სამაგიერო გადაეხადა და ამისათვის მიემხრო შაჰ-აბასს“.

მიუხედავად ზოგიერთი შეუსაბამობისა ზოპიროსისა და სააკაძის თავგადასავალს შორის თვალში საცემია ზოგადი მსგავსება – მტრის დამარცხება მისი ციხის შიგნიდან გატყვის გზით.

ჰერბერტის მიერ მოთხრობილი ამბავი უნდა მომდინარეობდეს გიორგი სააკაძის ერთგულ ქართველთაგან, რომლებმაც შეაფერადეს პატრონის ცხოვრება და პირად მოტივებს პატრიოტული ჟღერადობა შესძინეს.

ასე დაიბადა ლეგენდა, სულ სხვა ელფერით რომ მოსავდა დიდი მოურავის გაქცევას ირანში და არცთუ სასახელო სამსახურს შაჰ-აბასის დროშებქვეშ.



პრეზიდენტის პოეზიის  
ჰყვარება

ნახევარი საუკუნის წინათ საქართველოში სტუმრად ჩამოსულ ამერიკელ მწერალს ჯონ სტაინბეკს წამდაუნუმ ეკითხებოდნენ, ამერიკელებს უყვართ თუ არა პოეზიაო. არ აინტერესებდათ, რას ჭამდნენ და რას სვამდნენ ამერიკელები, როგორ მუშაობდნენ და როგორ ისვენებდნენ, რამდენს შოულობდნენ და რამდენს ხარჯავდნენ, რას იცვამდნენ და როგორ ატარებდნენ დროს და ა.შ. მხოლოდ ეს აინტერესებდათ – უყვართ თუ არა პოეზიაო.

სტაინბეკი ასე პასუხობდა: ამერიკელთა დამოკიდებულებას მწერლობის ამა თუ იმ დარგისადმი გამოხატავს ერთადერთი მაჩვენებელი – როგორ სალდება წიგნი. ხოლო პოეზიას მაინცდამაინც არ ეტანებიან. ამერიკელებს, ეტყობა, პოეზია არ უყვართო.

სტაინბეკი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა ამ საკითხს და შენიშნავდა: „მაგრამ ქართველებისათვის, რომელთაც პოეზიის სიყვარულ ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი, გულგრილობა პოეზიისადმი ლამის დანაშაულს წარმოადგენს“.

ქართველებს კარგად ახსოვდათ გოეთეს სიტყვები: „ვიცისაჲ პოეტის ხმა არ უძგერებს გულს, იგი ბარბაროსია“ და ათვალწუნებით უყურებდნენ ამერიკელებს. მას შემდეგ მხოლოდ ნახევარი საუკუნეა გასული, მაგრამ უხსოვარი წარსული გეგონება.

რაც შეეხება ამერიკელებს, ყველა ამერიკელი ერთ თარგზე როდია გამოჭრილი. ჯორჯ ბუშიც აშშ პრეზიდენტიცა და აბრაამ ლინკოლნიც აშშ პრეზიდენტი იყო. როგორ უნდა შეადარო ისინი ერთიმეორეს... ცა და მიწა!

ლინკოლნს, ყველა სიკეთესთან ერთად, პოეზიაც ჰყვარებია. როდესაც კონგრესში აირჩიეს, ოფიციალურ ანკეტას რომ ავსებდა, კითხვას განათლების თაობაზე ასეთი პასუხი გასცა: „არასაკმარისი“. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ერთი წელიწადიც არ გაუტარებია სკოლაში. დეილ კარნეგი თავის საყოველთაოდ სახელგანთქმულ წიგნში სათითაოდ ასახელებს ლინკოლნის მასწავლებლებს – მოხეტიალე პედაგოგებს, რომლებიც პიონერთა ერთი დასახლებიდან მეორეში გადადიოდნენ და ძლივძლივობით ირ-

ჩენდნენ თავს, თუკი იპოვიდნენ რამდენიმე მონაფეს, რომლებიც შაშხს, სიმინდსა თუ ხორბალს გადაუცვლიდნენ წერა-კითხვისა და არითმეტიკის გაკვეთილებში.

აი, ასეთი განათლება მიიღო მომავალმა პრეზიდენტმა. თურმე ზეპირად იცოდა დიდრონი ფრაგმენტები ბერნსის, ბაირონისა და ბროუნინგის ნაწარმოებებიდან. ერთხელ ლექციაც კი მოუმზადებია ბერნსზე. ბაირონის კრებულის ერთი ეგზემპლარი თავის კაბინეტში ჰქონდა, მეორე – სახლში, სასთუმალთან.

როდესაც უკვე თეთრ სახლში იმყოფებოდა, როდესაც სამოქალაქო ომის შეჭირვებანი უკანასკნელ ძალ-ღონეს აცლიდა, ლინკოლნი მაინც პოულობდა დროს, რომ ლოგინში მაინც ეკითხა ლექსები. ზოგჯერაც გაელვიძებოდა ლამით, წიგნს გადაშლიდა და, ვინ იცის, მერამდენედ კითხულობდა ყველაზე საყვარელ ლექსებს. ხანდახან წამოდგებოდა საწოლიდან, ლამის პერანგისა და ფლოსტების ამარა გაივლიდა ოთახებს, თავის პირად მდივანს მიადგებოდა, მოურიდებლად გააღვიძებდა და... ლექსებს უკითხავდა. გულით ენადა, რომ ახლობელ ადამიანებსაც გაეზიარებინათ ის ბედნიერება, რასაც პოეზიით ტკობა ჰქვია.

აშშ პრეზიდენტი ზეპირად წარმოთქვამდა შექსპირის გმირთა მონოლოგებს. აკრიტიკებდა ხოლმე რომელიმე მსახიობის კითხვის მანერას. ნაცნობ მსახიობს სწერდა: „მეკვლავ ნავიკითხე შექსპირის ზოგიერთი პიესა – ამას ისევე ხშირად ვიქმ, როგორც ნებისმიერი მკითხველი, რომელსაც სპეციალური მომზადება არა აქვს. ნავიკითხე ლირი, რიჩარდ მესამე, ჰენრი მერვე, ჰამლეტი... მაგრამ მაკბეტს ვერც ერთი ვერ შეედრება, ეს რაღაც საოცრებაა!“

პოეზიის თავგამოდებულ ტრფიალს თვითონაც უცდია ლექსების შეთხზვა. სქელი რვეული ჰქონდა გავსებული თავისი ორიგინალური ლექსებით, მაგრამ ისინი უსუსურ ქმნილებებად მიაჩნდა და იმდენად ერცხვინებოდა, რომ ყველაზე ახლო მეგობრებისთვისაც კი არასოდეს უჩვენებია.

შექსპირისა თუ ბაირონის დამფასებელს თავისი ნაწარის ობიექტურად შეფასების ნიჭიც მოეპოვებოდა.

ქრონიკა

ახალი ავსტრიული ლიტერატურის პრემია – დაარსებული 2006 წელს „ავსტრიის ბანკის“, არასამთავრობო ორგანიზაცია „კულტურული კონტაქტებისა“ და ავსტრიული გამომცემლობა „ვიზერი“-ს მიერ – ყოველ ორ წელიწადში ერთხელ გადაეცემათ ავტორებს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან.

პრემიის ორგანიზატორები დააინტერესა, თუ როგორ აქვთ გააზრებული ამ ქვეყნების მცხოვრებთ ცნობიერებასა და საზოგადოებაში მიმდინარე ძირეული ცვლილებანი.

პრემიის პირველი ლაურეატი და 7,5 ათასი ევროს მფლობელი გახდა ბულგარელი **თეოდორა დიმოვა** რომანისათვის „**დედა და ქალიშვილი**“;

მეორე ადგილი რუმინელი **ფლორინ ლაზარესკუს** ერგო მოთხრობისათვის „**ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი**“;

მესამე კი – ჩეხეთის მოქალაქეს **ანა ცონოვას** რომანისათვის „**სასჯელად და ჯილდოდ**“.

გამარჯვებულთა თხზულებებს გამომცემლობა „ვიზერი“ ორ ენაზე დასტამბავს და უახლოეს გაზაფხულზე მათ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე წარადგენენ.

ქრონიკა

ინგებორგ ბახმანის სახელობის პრემია – გერმანიის ერთ-ერთი მთავარი ლიტერატურული ჯილდო – 25 ივნისს გადაეცა მწერალ **კეტრინ პასიგს**. ჟიურის თავმჯდომარეობდა კრიტიკოსი ირის რადიში.

ამ დრომდე 36 წლის ლაურეატის სახელი თითქმის უცნობი იყო გერმანულენოვანი ლიტერატურული სამყაროსათვის. ჟიურიმ იგი 17 პრეტენდენტს შორის გამოარჩია მოთხრობისათვის „**თქვენ აქ ბრძანდებით**“.

ინგებორგ ბახმანის სახელობის პრემიის მინიჭება ყოველწლიურად ხდება 1977 წლიდან ავტორ-მონაწილეთა მიერ გამოუქვეყნებელ ნაწარმოებთა კითხვის შედეგად გერმანული ლიტერატურის დღეებთან დაკავშირებით. პრემიის თანხა 25.000 ევროს შეადგენს.